# კვირის პალიტრა

№ 32 (443) ◆ 11 – 17 აგვისტო. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## ირიბარენმა დავალება ბრწყინვალედ შეასრულა...

გვ.3

**შსს-ში იმხელა თანხები ბრუნავს, ბიუჯეტს აქეთ დაეხმარებიან**



მახინჯად შობილ ბიუჯეტს აბსოლუტურად უაზრო და ულოგიკო საგადასახადო კოდექსი ემატება – საქართველო ყოველგვარი პროტესტის გარეშე ასრულებს სავალუტო ფონდის ყველაზე იდიოტურ რჩევებსაც კი. არ მესმის, როგორ შეიძლება ნავთობპროდუქტებზე ორმაგი და სამმაგი აქციზების დაწესება. იცით, როდის შემოვიდა ბიუჯეტში ამ ბიზნესიდან ყველაზე მაღალი შემოსავლები? 1997 წელს, – 47 მილიონი ლარი, როცა აქციზი საერთოდ არ იყო.

## „ყველაზე კორუმპირებული ადამიანები პრეზიდენტის გარემოცვას წარმოადგენენ“



გვ.7,11

**„დაუშვებლად მიმაჩნია ქვეყნის სულიერ წინამძღოლთან ღია წერილებით საუბარი“**

ხელმომწერთა შორის რომ ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანი არის, ეს ძალზე უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს. ვისაუბრე ბატონ ელდარსა და სხვებთანაც, მითხრეს, ხელმოწერა უცნაურ ვითარებაში მოხდა, ვიღაც მოვიდა და ხელის მოწერა გვთხოვაო. ვერავის ვაიძულებ და ვერც ვუბიძგებ ასე თუ ისე მოიქცეს, მაგრამ ფაქტია, ამ ხელმოწერებმა ძალზე უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო.

## როგორ დაკარგა საქართველომ რვა ტონაზე მეტი ოქრო და 40 ტონა ვერცხლი...

**თემის გაგრძელება**



**რატომ ცვლიან მოსკოვში ბოლნისიდან გაგზავნილ ტყვიას ოქროს ზოდებში?!**

იმასაც მედავებიან, რომ დღგ-ის ბარათებიდან ფული მივითვისე. ამის დასტურად, გარდაბნის ნავთობპროდუქტების დირექტორის, გოჩა ანთაძის ჩვენება მოჰყავთ, რომელიც სხვათა შორის, გუბერნატორ ლევან მამალაძის სიძეა. თითქოს ანთაძესთან კაბინეტში მივსულვარ, თან კონიაკი მიმიტანია და დამითვრია. მერე კი ბეჭედი, პასპორტის მონაცემები, ბლანკები და სხვა საბუთები მომიპარავს. თანაც ერთხელ კი არა – ხუთ-ექვსჯერ...

გვ.6,11

## სამხედრო თემაზე:
## როგორ მოეწყვნენ ქართველები ერაყში

ჩასვლისთანავე ქართველ სამხედრო მედიკოსთა 20-კაციანი ჯგუფი ბაღდადის ახლოს, ქ. პალადიში, ამერიკული სამხედრო ჰოსპიტლის ტერიტორიაზე განათავსეს, ხოლო იქიდან 4 საათის სავალზე, თიქრიტის მეზობლად, ქ. ბაჯში დაბანაკდა კოჯრის სპეცდანიშნულების ოცეული და მენაღმეთა 15-კაციანი ჯგუფი. ისინი მე-4 ამერიკული დივიზიის ერთ-ერთი ბატალიონის ტერიტორიაზე განთავსდნენ.

გვ.8



## შავბნელ საქმეებს ფარდა აეხდება?!

**რა აჩუქა შევარდნაძემ დემირელს გიორგაძის ხელით?**

გვ.5,11

საქართველო და მისი მმართველი ელიტა შეიძლება ახალი სკანდალების მორევში „ჩაიძიროს“...

**საქმეში ახალი გარემოებები ჩნდება...**

**ვინ ამზადებს იგორ გიორგაძის რეაბილიტაციას?**



## ხმა რეგიონიდან:
## ინამლება თუ არა სვანეთი?

ეს მარტო სვანეთში არ ხდება. ყველაფერს დარიშხანს ნუ დავაბრალებთ.

გვ.27



**რატომ გაწყდა ფუტკარი და რატომ ხმებიან ხეები?**

## არჩევნები მოდის:

როდესაც შენობაში შემოიჭრნენ და ფანჯრების მსხვრევა დაიწყეს, ჩვენები არ დაიბნენ. ყველაზე მამაცურად ჩვენი პარტიის პლეხანოვის ზონის უფროსი, ქურთი ქალბატონი ხანუმა იბრძოდა, – ორი ჯოხი წაართვა მომხდურებს და შეტევაზეც გადავიდა...

გვ.7

*შალვა ნათელაშვილი*

## „სიკვდილის ველი“ ჯვრის მონასტერთან...

**„ვის გაუგია დანაღმულ ველზე ხვნა-თესვა?“**

ნებსით თუ უნებლიეთ, უცხოური ფირმა საქართველოს ტერიტორიაზე დივერსიას ეწევა.

გვ.13

## „გათავხედებული ბოშები უდანაშაულო ქალს წიხლებით შესდგნენ“

გვ.5

ჩხუბი ატყდა. მივედით მე და ჩემი ახლობელი, ვხედავთ, ქალს ექვსამდე ბიჭი ურტყამს. „მსხვერპლმა“ თვალებზე ხელი აიფარა, ძირს დავარდა, ბოშებმა ახლა წიხლებით დაუწყეს ცემა. ველარ მოვითმინე, მეც დავუშინე მუშტები იმ „ციგანს“.

მოკლავდნენ, ჩვენ რომ არ მივსულიყავით. ეგენი ისე არიან გათავხედებულები, ხვალ შეიძლება დედაჩემს გალახონ, ზეგ მამიდაჩემი... ამოგვივიდა ყელში. ამიტომაც გადავუწვით დახლები.



**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## გარდამავალი ხელისუფლება „ახალი სახეებით"?

— ასეთი განცხადება გააკეთა აჭარის ლიდერმა სამთავრობო სხდომის შემდეგ, რომლის პირველ საკითხად ადგილობრივ ბიუჯეტს განიხილავდნენ. ასლან აბაშიძეს ბიუჯეტის გამო გადაყენებულ მინისტრთა კაბინეტზე დეტალურად აღარ უსაუბრია. სამაგიეროდ, საკმაოდ მძაფრი აღმოჩნდა აბაშიძის შენიშვნები აჭარის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის მისამართით. იგი აჭარის ტელევიზიას არაპროფესიონალიზმსა და ჟანრობრივ სიმწირეს უჩივის, რის გამოც აჭარის ლიდერმა ტელევიზიის შეფი თამაზ ბაკურიძე გადააყენა და იური კრივორუკი დანიშნა — მანამდე მას ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობა ეჭირა. თათბირს არც ტელევიზიის გადაყენებული შეფი და არც ახალდანიშნული თავმჯდომარე დასწრებიან.

აბაშიძის დაპირების თანახმად, მომავალი კვირისთვის აჭარის მინისტრთა კაბინეტის ფორმირება მოხდება. ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის თქმით, ეს იქნება გარდამავალი ხელისუფლება, რომლის მუშაობაში უფროს თაობასთან ერთად, „ახალი სახეები და ახალგაზრდა კადრები" მიიღებენ მონაწილეობას.

## ვინ ასრულებს დაკვეთას?

წინასაარჩევნო ბაქანალია, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა შიშითა და ძრწოლით ელის, თანდათან ძალას იკრებს. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ მოძრაობამ „ალიანსი სამშობლოსათვის", რომლის ლიდერიც მონარქისტი თემურ ჟორჟოლიანია, გადაწყვიტა ლეიბორისტული პარტიის სათავო ოფისთან „წურბლების გამოფენა" მოეწყო. მშრომელთა (ლეიბორისტული) პარტიის წევრებს მონარქისტების პლაკატზე თავისი ლიდერის წურბლის ამპლუაში ყოფნა არ ესიამოვნათ და შეხლა-შემოხლა ხელჩართულ (უფრო სწორად კი, ჯოხჩართულ) ჩხუბში გადაიზარდა. შალვა ნათელაშვილმა ლეიბორისტებსა და „ალიანსი სამშობლოსათვის" წევრთა შორის მომხდარი ხელჩართული შეტაკებიდან რამდენიმე წუთში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე მომხდარი ფაქტი მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს დაუკავშირა. მან სათავო ოფისის წინ მომხდარ ინციდენტს ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია მისცა და მის ინიციატორებად შევარდნაძე და სააკაშვილი დაასახელა. თავის მხრივ, ნაციონალების ლიდერი აცხადებს, რომ მომხდარ შეტაკებასთან მის პარტიას არავითარი კავშირი არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს და ნათელაშვილი ყველაფერს მისი დისკრედიტაციისთვის იგონებს, რითაც შევარდნაძის დაკვეთას ასრულებს...

## სამართალი „შვებულებაშია"...

იმის გამო, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების უმრავლესობა 1-ელ სექტემბრამდე შვებულებაშია, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა განმხილველ პალატებში სამართალწარმოება დროებით შეწყდება. სისხლის სამართლის საკასაციო პალატასა და სისხლის სამართლის კოლეგიაში კი მოსამართლეთა ჯგუფი მაინც იმუშავებს.

ანალოგიური მიზეზით, საოლქო სასამართლოშიც ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატებში მოსამართლეთა თითო-თითო შემადგენლობა იმუშავებს, რომლებიც მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ პირველად პროცედურებს შეასრულებენ.

## სექვესტრი გასექვესტრებულა...

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო და გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტებმა 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირების პროექტი განიხილეს და რიგგარეშე სესიაზე მის გატანას მხარი დაუჭირეს.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის, ვასილ გიგოლაშვილის ინფორმაციით, ცვლილებები 130 მილიონ ლარს ეხება. 85 მილიონი ლარით მცირდება ხარჯების პარამეტრი, ხოლო 45 მილიონი ლარით იზრდება შემოსავლების გეგმა. ხარჯების შეკვეცა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისგან გრანტების მიუღებლობამ, აჭარიდან გადმოურიცხავმა თანხებმა და პრივატიზების გეგმის გარღვევამ განაპირობა. ევროგაერთიანებიდან 6 მილიონი ევროს ოდენობით გრანტის მიღება წელს ვერ მოესწრება, აგრეთვე ეჭვქვეშ დგება ჰოლანდიიდან 7-მილიონიანი ევროს გრანტის მიღება, რადგან ჰოლანდიაშიც ბიუჯეტის სეკვესტრი განხორციელდა. გიგოლაშვილის თქმით, აჭარიდან, წლევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტში, 40 მილიონი ლარი უნდა გადმორიცხულიყო და ვინაიდან ეს არ მოხდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, პარამეტრი მთლიანად უნდა შეიკვეცოს. ხარჯების შეკვეცით, როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, ყველაზე მეტად ძალოვანი სტრუქტურები დაზარალდებიან, მათი ხარჯები 18,4 მილიონი ლარით შეიკვეცება, პარლამენტს 2,4 მილიონი ლარი ჩამოეჭრება, პრეზიდენტის საინვესტიციო ფონდი 5 მილიონი ლარით შეიკვეცება, ხოლო სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსება — 4,1 მილიონი ლარით. ხარჯების შეკვეცის პარალელურად, უნდა გაიზარდოს საგარეო ვალისა და სახაზინო ქაღალდების მომსახურებისათვის საჭირო ხარჯები. ორივე მიმართულებით ხარჯებმა 36 მილიონი ლარით უნდა მოიმატოს.

## პრეზიდენტს „საყოველთაო ტყუილს" აბრალებენ

„ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა კობა დავითაშვილმა „საყოველთაო ტყუილი" უწოდა საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მსხვილი სახელმწიფო ობიექტების ნაციონალიზაცია ქვეყანაში ქონების საყოველთაო გადანაწილებას გამოიწვევს. რადიოინტერვიუში ნათქვამ ამ ერთ ფრაზას კობა დავითაშვილმა საგანგებო პრესკონფერენცია მიუძღვნა, სადაც ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლებისა და „ვეფხისტყაოსნის" ბოროტად გამოყენებაში დაადანაშაულა. „პრეზიდენტს თავისებურად ესმის აფორიზმი „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია". რაც გასცა სახელმწიფომ, ყველაფერი პრეზიდენტისა და მისი ნათესავების ჯიბეში აღმოჩნდა", — განაცხადა კობა დავითაშვილმა. მისი თქმით, კონკურენტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია სახელმწიფო ობიექტების დემონოპოლიზაცია და, აქედან გამომდინარე, ნაციონალიზაცია. „ნაციონალური მოძრაობა" აპირებს ქვეყნის პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართოს, რომლის მიხედვითაც პრივატიზებული სახელმწიფო ობიექტები კვლავ სახელმწიფოს დაუბრუნდება.

## ეუთოს მისია უკმაყოფილოა

ეუთოს მისია უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტმა ვერ მოახერხა საარჩევნო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. როგორც ეუთოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, საარჩევნო კოდექსში ცვლილებების დაგვიანებით შეტანა საპარლამენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას შეუშლის ხელს. მისია სურვილს გამოთქვამს, საქართველოს ხელისუფლებას ცესკოს ხელმძღვანელის შერჩევაში დახმარება გაუწიოს და მიაჩნია, რომ ცესკო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებით უნდა დაკომპლექტდეს. აღნიშნული წესით ცესკოს დაკომპლექტება კომისიის მუშაობის გამჭვირვალებას განაპირობებს, აცხადებენ ეუთოში.

## დაკარგული კაპრალი მოკლული იპოვეს

თავდაცვის სამინისტროს საჩხერის მე-16 სამთომსროლელი ბატალიონის კაპრალი, 21 წლის ნიკა ჭკადუა, რომელიც ბატალიონიდან დაახლოებით ორი თვის წინ გაუჩინარდა, სამართალდამცველებმა მოკლული იპოვეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ჯარისკაცი დაახლოებით ორი თვის წინ არის მოკლული. გარდაცვლილის ცხედარი მისმა მშობლებმაც ამოიცნეს. წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში მომზადებულ საჩხერის ბატალიონში ნიკა ჭკადუა საკონტრაქტო პირობებით მსახურობდა.

## იძებნება ავტოინსპექციის მაღალჩინოსანი

როგორც გაირკვა, ლენტეხის რაიონის საგზაო პოლიციის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსმა თემურ ლიპარტელიანმა ბელგიიდან ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი" შემოიყვანა, ლენტეხის რაიონის საგზაო პოლიციის სარეგისტრაციო განყოფილებაში ყალბი დოკუმენტების გამოყენებით მანქანა ქუთაისელი ე. წ. კანონიერი ქურდის, ტარიელ ფოცხვერიას მეუღლის, ირინა ასათიანის სახელზე გააფორმა და შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტს 1.570 ლარის მატერიალური ზარალი მიაყენა. ლიპარტელიანი ამჟამად იძებნება. გაცემულია მისი დაპატიმრების ორდერი.

საქმის მასალები იმერეთის საოლქო პროკურატურამ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის საოლქო პროკურატურას გადასცა.

## უწყებრივი ცემა-ტყეპა გურიაში

გურიის პოლიციის თანამშრომლების მიერ ოზურგეთის სასამართლოს თანამშრომლის პავლე ნაცვალაძის ცემა უწყებრივ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

„ეჭვმიტანილმა სამართალდამცველებმა სასამართლოს თანამშრომლებს გასაჩუმებლად კანონიერი ქურდები მიუგზავნეს", — განაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ აკაკი თოიძემ გურიის სამხარეო ადმინისტრაციის სხდომაზე. მოსამართლის თქმით, ისინი სასამართლოს თანამშრომლებისაგან ჩვენების შეცვლას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ოზურგეთიდან გაძევებით ემუქრებოდნენ. გურული პოლიციელები ცემის ფაქტს კატეგორიულად უარყოფენ და მას მიზანმიმართულ პროვოკაციას უწოდებენ. გურიის სამხარეო პოლიციის უფროსის თქმით, ოზურგეთის ავტოინსპექციამ სასამართლოს თანამშრომელი მაშინ დააკავა, როცა იგი ნასვამ მდგომარეობაში სხვის ავტომანქანას მართავდა და უხეშად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. სიმართლეს ალბათ გამოძიება დაადგენს — ფაქტი კი ფაქტად რჩება, დაკავების შედეგად ნაცვალაძემ ტვინის შერყევა და სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო. მომხდართან დაკავშირებით, გურიის სამხარეო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

## ტაძარი შველას ითხოვს...

ზემო ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძარი შველას ითხოვს.

მისი მოძღვრის, მამა ზურაბის განმარტებით, ეკლესიას დაზიანებული აქვს სახურავი, რის გამოც ტაძარში ჟონავს წყალი და ფრესკებს აფუჭებს. ეკლესია მე-17 საუკუნეშია აგებული, ხატწერითი სამუშაოები კი იქ სულ ახლახან დაიწყო და ეტაპობრივად მიმდინარეობს. შარშან მოიხატა საკურთხეველი, წელს კი — გუმბათი. „სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ტაძარში სარემონტო სამუშაოების დაწყება ვერ ხერხდება. ჩვენი ეკლესიის გადასარჩენად ინტერესს არავინ იჩენს", — აღნიშნა მამა ზურაბმა. მისივე განცხადებით, ეკლესიას ასევე ესაჭიროება საძირკვლისა და ტაძრამდე მისასვლელი კიბის გამაგრება. მოძღვარი თხოვნით მიმართავს ყველას, შეძლებისდაგვარად დაეხმარონ ზემო ბეთლემის მაცხოვრის შობის სახელობის ტაძარს.

## ნარჩემაშვილი დასასჯელ ხალხს თვითონ შეარჩევს...

საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნის მიხედვით, შს სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს მუშაობაში არსებული დარღვევების დადასტურების შემთხვევაში, ამავე სფეროში მომუშავე პოლიციელთა მიმართ უმკაცრესი ზომები გატარდება. თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრის თქმით, ბიუროს დასკვნაში საგზაო პოლიციის მუშაობის შეფასება ზოგჯერ გადაჭარბებულია, რაზეც გამოძიება კვალიფიციურ დასკვნას გააკეთებს. მისი თქმით, ანტიკორუფციული ბიუროს დასკვნის შესწავლა მაქსიმალურად გამჭვირვალედ მოხდება და მასში მონაწილეობას არასამთავრობო ორგანიზაციები და ჟურნალისტებიც მიიღებენ. დასკვნა საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა. მიმდინარეობს გამოძიება.

## ოჯახის შვიდი წევრი ლეიშმანიოზით დაავადდა

აეროპორტის დასახლებაში მცხოვრები ვართანიანების ოჯახის 7 წევრი ლეიშმანიოზის დიაგნოზით ინფექციური პათოლოგიის ცენტრშია მოთავსებული. როგორც სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა განაცხადა, ვართანიანების ოჯახს საქონელი გაუხდა ცუდად, რის შემდეგაც ვეტექიმი მოიყვანეს და საქონელს მკურნალობა უტარდებოდა. თუმცა ცხოველს არაფერი ეშველა, იგი დაკლეს და მისი ხორცისგან მომზადებული კერძი ოჯახის წევრებმა მიირთვეს. როგორც ირკვევა, საქონელი ლეიშმანიოზით იყო დაავადებული, რის გამოც ოჯახის წევრებიც დასნეულდნენ. როგორც სანიტარულ სამსახურში აცხადებენ, პაციენტების სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, თუმცა მათი მდგომარეობა, ჯერჯერობით, საკმაოდ მძიმეა.

## ნინო ბურჯანაძე მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური კურსისთვის იბრძოლებს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მეფისნაცვლის სასახლეში საქართველოს სახელმწიფოს განვითარების ხედვის ძირითადი პრინციპების პრეზენტაცია მოაწყო. ნინო ბურჯანაძეს საქართველოში არსებული ყველა ძირითადი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ჰყავდა დაპატიჟებული. თუმცა დამსწრეებში არ ჩანდნენ სახელისუფლებო ბლოკი „ახალი საქართველოსათვის" და „დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წარმომადგენლები. პრეზენტატორის განცხადებით, ამ პარტიებიდან რამდენიმე პირი მან პიროვნულად მოიწვია.

ბურჯანაძის მიერ წარდგენილ საქართველოს სახელმწიფო განვითარების ხედვის ძირითად პრინციპებში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიან პროფესიონალურ გუნდად ჩამოყალიბების სტრატეგიაა, რომლის თანახმადაც აუცილებელია ქვეყანაში კონსტიტუციური რეფორმის განხორციელება და გუნდური პასუხისმგებლობით მოქმედი მინისტრთა კაბინეტის შემოღება.

## სემეკმა ტარიფი გაზარდა

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია გაითვალისწინა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შემცირებული ელექტროენერგიის ტარიფი გაზარდა. ამავე დროს, სემეკი აცხადებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც სოციალურად დაუცველი ფენებისათვის შეღავათიანი ტარიფის დაწესებას ითვალისწინებდა, არ დარღვეულა, რადგან ტარიფის გაზრდა დიფერენცირებული წესით მოხდა — თბილისში 100 კვტ/საათამდე ელექტროენერგიის მოხმარების შემთხვევაში 1 კვტ/სთ ელექტროენერგია 10,15 თეთრი ეღირება. 101-დან 200 კვტ/სთ-მდე — 11,45 თეთრი. 201-დან 400 კვტ/სთ-მდე — 12,75 თეთრი; ხოლო 401 კვტ/სთ-დან ზემოთ 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის ფასი 14,05 თეთრით განისაზღვრება.

პროექტის მიხედვით, დიფერენცირებული ტარიფი ძალაში 1-ელი ნოემბრიდან უნდა შევიდეს. თუმცა, თუ ექსპერტების ვარაუდსა და ჩუბაისის დაპირებას გავითვალისწინებთ, არ არის გამორიცხული, ამ დროისათვის ელექტროენერგია უფრო გაიაფდეს.

## კრასნოდარი აფხაზეთს ხორბლით მოამარაგებს

კრასნოდარის მხარე აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას ხორბლით მოამარაგებს — ამის შესახებ, სოხუმში არაოფიციალური ვიზიტით მყოფმა კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა აფხაზეთის დედაქალაქში ყოფნისას განაცხადა. მისივე განმარტებით, აფხაზეთში ვიზიტისას, მან და სეპარატისტული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ კრასნოდარის მხარესა და აფხაზეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს და კონკრეტული ღონისძიებებიც დასახეს.

სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ხაჯიმბასა და ტკაჩოვს შორის მიღწეული შეთანხმებით, აფხაზეთის ციტრუსების მოსავლის უდიდესი ნაწილის რუსეთის ფედერაციაში რეალიზებას კრასნოდარის მხარის ბიზნესმენები განახორციელებენ, სანაცვლოდ კი აფხაზეთი კრასნოდარის მხარისაგან ხორბლის წლიურ მარაგს მიიღებს. იმავე წყაროს ცნობით, კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა და სოხუმის ხელისუფლების პრემიერმა რაულ ხაჯიმბამ რიწის ტბა მოინახულეს და იქ სტალინის დასასვენებელ სახლად წოდებულ აღდგენილ აგარაკზე, სადაც ოდესღაც ბელადი და კომპარტიის პოლიტბიუროს წევრები იკრიბებოდნენ, ნადიმი გამართეს.

## აფხაზეთში უკვე 160 ათასმა რუსეთის მოქალაქემ დაისვენა(!)

აღნიშნული ინფორმაცია სოხუმის თვითგამოცხადებული ხელისუფლების ტურიზმის სამინისტრომ გაავრცელა. აფხაზეთში მოქმედი ტურისტული ბიუროების 1-ელი აგვისტოს მონაცემებით, ოფიციალურად, აფხაზეთში მიმდინარე საზაფხულო სეზონში რუსეთის ფედერაციის თითქმის ყველა რეგიონიდან 160 ათასი დამსვენებელია რეგისტრირებული.

სამინისტროს ინფორმაციით, დამსვენებელთა ძირითადი ნაწილი აფხაზეთში კერძო სექტორში ისვენებს, რადგან სანატორიუმებში, ტურბაზებსა და სასტუმროებში თავისუფალი ადგილის შოვნა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ვინაიდან სასტუმროებსა და სანატორიუმებში დამსვენებელთა ის კატეგორია ხვდება, რომლებიც აფხაზეთში ტურისტული საგზურებით(!) ჩამოდიან.




## ჯორჯ ბუშმა მშვიდობის 100 დღე შეაჯამა

გასულ კვირას 100 დღე შესრულდა მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ერაყის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ განაცხადა.

ტექსასში, საკუთარ რანჩოზე მიწვეული ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას, ბუშმა კოალიციის სამშვიდობო ძალისხმევის შედეგები შეაჯამა. „ჩვენ ერაყში 100 დღეა, რაც ვიმყოფებით და ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად წავიწიეთ წინ. კმაყოფილი ვარ ჩვენ მიერ მიღწეული პროგრესით, თუმცა ვიცი, რომ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი", — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა. თუ როდის დაიწყება ერაყიდან სამხედრო ქვედანაყოფების გაყვანა, ბუშს არ დაუზუსტებია.

## ამერიკა მინიატომური ბომბების შექმნას აპირებს

როგორც ბი-ბი-სი იუწყება, ნებრასკაში განთავსებულ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბბინაში, ამერიკელმა სამხედროებმა უკვე განიხილეს ამგვარი ბომბების წარმოებისა და გამოყენების მიზანშეწონილობა. სამხედროების განცხადებით, ამ ტიპის ბომბებით ღრმა მიწისქვეშეთში განლაგებული ბუნკერები და იარაღის საცავები ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდება. აშშ-ის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა და ბუშის მთავარმა ოპონენტმა, ალ გორმა ამერიკელი სამხედროების ამ გეგმას „ნამდვილი სიგიჟე" უწოდა.

## მოსკოველი მანიაკის მორიგი მსხვერპლი?

მოსკოვში მოკლული ქალის გვამი აღმოაჩინეს. ტელეკომპანია НТВ-ს საიტზე გავრცელებული ინფორმაციით, გვამი სპორტულ ჩანთაში იყო მოთავსებული. ივლისსა და აგვისტოში, რუსეთის დედაქალაქში სამართალდამცველებმა სექსუალური ძალადობის ნიშნებით მოკლული ცამეტი მსხვერპლი იპოვეს. სამართალდამცველები მანიაკის არსებობას არ გამორიცხავენ.

საინტერესო დამთხვევა — ზუსტად 115 წლის წინ, ლონდონში, თავისი შემზარავი კარიერა დაიწყო განთქმულმა „ჯეკი მფატრავმა". ინგლისური გაზეთები მაშინ წერდნენ, რომ ქალებმა თავდასაცავად დანებისა და სასტვენების ტარება დაიწყეს. მოსკოვში კი ამ კვირაში, თავდამსხმელების მოსაგერიებელი სპეციალური კურსები გაიხსნა, სადაც ქალიშვილებს თავდაცვის გაკვეთილებს უტარებენ.

CMYK

# ირიბარენმა დავალება ბრწყინვალედ შეასრულა...

*დღეს ზოგი ნიშნისმოგებით ლაპარაკობს, — ამერიკამ ზურგი გვაქცია და რუსი მოდისო, ზოგი — გულისტკივილითა და შიშით, ზოგიც დიდ პოლიტიკურ შეთანხმებაზე ბჭობს, სადაც საქართველო სხვა არაფერია, თუ არა გაცვლის საყოფაცხოვრებო ნივთი... სააქციზო მარკის გარეშე. ქვეყანა კი ნიავდება და პარტახდება, რადგან „პორტფელიანი ვიგინდარებისთვის“ სამშობლოს ცნება ბევრად უფრო დაბალი ფასეულობისაა, ვიდრე ზემოთ ნახსენები უაქციზო საგანი...*

*უკანასკნელ ხანს, ქართულ პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში მომხდარი ახალი ამბების გაცნობისას, სულ უფრო ხშირად მაგონდება ხოლმე კადრები თენგიზ აბულაძის გენიალური „ნატვრის ხიდან“ — ნერვიული კახი კავსაძე ტალახიან გზაზე რომ მიაბიჯებს და ისტერიკულად მოთქვამს — „გაიყიდა საქართველო!“ მერე მომდევნო კადრიც — ულამაზესი მარიტა, საქართველოს სიმბოლო... ყოვლად დაუმსახურებლად შეურაცხყოფილს და შერცხვენილს, თავისივე მოდგმისგან ღირსებააყრილს, ვირზე უკუღმა შემოსმულს რომ დაატარებენ უბან-უბან... როგორც საქართველოს რუსეთისა და ამერიკის „დიდ პოლიტიკაში“... ან შეთესი რა იცოდა საიმისო საწყალმა მარიტამ და ან გედიასი, უზნეობისა და შერცხვენისთვის რომ გაეწირა ციციკორეს, რადგან ისევე, როგორც მარიტა, არც შეთე იყო რამეში დამნაშავე და არც გედია. ციციკორეს სიმბოლო კი ჩვენს გათითოკაცებულ საზოგადოებაში ალბათ სადავო იქნება — ვისთვის „პრეზიდენტია“, ვისთვის მისი რეგიონული კარიკატურა, ვისთვის — „ოპოზიცია“ და ვისთვის „სავალუტო ფონდი“. ბრჭყალები კი გრამატიკული შეცდომა არ გეგონოთ — ქართულ რეალობაში პირველი — ბიზანტიური ინტრიგების დიდოსტატ იმპერატორს უფრო ჰგავს, მეორე — პატარძალს, მსუბუქი ყოფაქცევის დედამთილი მორალს რომ უკითხავს, მესამე კი მევახშეს, ნასესხები ფულის გამოყენებას რომ გასწავლის და არა საკუთარის შოვნას...*

მრავალდღიანი ჭრა-კერვისა და მიმატება-გამოკლების შემდეგ, როგორც ჩანს, აღმასრულებელი ხელისუფლება „საქორწინო ღამეს“ მაინც ვერ ასცდება და ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს. თუ ჩვენს საგარეო ვალებს და სავალუტო ფონდის მუქარანარევ რეკომენდაციებს გავითვალისწინებთ, პარლამენტში მორიგი „შერკინებაა“ მოსალოდნელი, რადგან ოპოზიცია ალბათ ყველანაირად ეცდება, რევანში აიღოს და ბიუჯეტის ჩაგდება თუ არა, მთავრობის გადაყენება მაინც სცადოს. თუ თელასის გასხვისებაზე ატეხილ მითქმა-მოთქმასაც გავითვალისწინებთ, შესაძლებელია, ვაშინგტონმა და, შესაბამისად, სავალუტო ფონდმა, მართლაც ხელი აიღოს თბილისის მეურვეობაზე პარიზის კლუბთან და თუ ამას აქაურ წინასაარჩევნო ბაქნანალიასაც დავუმატებთ, მაშინ კი რუსეთს მართლაც „მომზადებულნი“ დავხვდებით... რამდენად რეალურია საფრთხე და არის თუ არა საქართველოს მომავალი მთლიანად დამოკიდებული უცხო ქვეყნების სურვილზე, რამდენად ავია ან კეთილი ეს სურვილები, ვესაუბრებით ეკონომიკის ექსპერტს **სანდრო თვალჭრელიძეს:**

> — ამისთვის 2 წელი ემზადებოდნენ და თბილისში ირიბარენიც სწორედ ამ მისიით იყო გამოშვებული. უნდა გითხრათ, რომ დავალებას თავი ბრწყინვალედ გაართვა. ისიც უნდა ითქვას, თელასის გაყიდვა წმინდა წყლის პოლიტიკური შეთანხმების შედეგი იყო — ერაყის ომმა ამერიკისთვის რუსეთთან მიმართებაში ბევრი რამ შეცვალა.

— ბიუჯეტის დაგეგმარების არსებული სტრუქტურით, ბიუჯეტის შესრულება არა თუ შეუძლებელი, წარმოუდგენელიც კია. პირველად, საქართველოს ისტორიაში, სახელმწიფოს ბიუჯეტი პარლამენტმა 1995 წელს დაამტკიცა. მოგეხსენებათ, მანამდე მიმოქცევაში კუპონი გახლდათ და ჰიპერინფლაციის პირობებში რაიმის გათვლა შეუძლებელი იყო. მას შემდეგ ქვეყნის ბიუჯეტი არ შესრულებულა. გამოდის, რომ ქვეყანას, რომლის რესურსებზე, ინტელექტსა და პერსპექტიულ მომავალზე ამდენს ვლაპარაკობთ, ბიუჯეტი არასოდეს შეუსრულებია... ჩვენი დღე და მოსწრება ასე, „ჯიბეგამოხეულნი“, ინვესტიციებით და სხვა საერთაშორისო დახმარებებით ვსულდგმულობთ. ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ქვეყანაში მკვეთრად გამოხატული პრიორიტეტები არ არსებობს. არ არსებობს ბიუჯეტის პროგრამული დაგეგმარება. ჩვენი ჩინოსანი ფინანსისტებისთვის ბიუჯეტი სხვადასხვა უწყებაზე გაწერილი თანხების ნუსხა გახლავთ, რომელსაც საფინანსო წლის ბოლოსთვის საჭიროებისამებრ კვეცავენ და ჭრიან ხოლმე — ეს არის და ეს. მაგალითად, წლების განმავლობაში, ჯანდაცვის სისტემისთვის სეკვესტრი ზოგჯერ 50-52%-საც კი აღწევდა ხოლმე. ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველო ხეიბარი ქვეყანაა, რომელსაც არც ერთი ორგანო ჯანმრთელი არა აქვს. პროგრამული დაფინანსება და გამოხატული პრიორიტეტები რომ არსებობდეს, ყველა არა, მაგრამ სტრატეგიული ხასიათისა და დანიშნულების დარგები დროთა განმავლობაში ამოიწევდა და შემდეგ სხვა, „ხეიბრად“ დარჩენილ ორგანოთა გაჯანსაღებასაც ეცდებოდა. მახინჯად შობილ ბიუჯეტს აბსოლუტურად უაზრო და ულოგიკო საგადასახადო კოდექსი ემატება — საქართველო ყოველგვარი პროტესტის გარეშე ასრულებს სავალუტო ფონდის ყველაზე იდიოტურ რჩევებსაც კი. არ მესმის, როგორ შეიძლება ნავთობპროდუქტებზე ორმაგი და სამმაგი აქციზების დაწესება. იცით, როდის შემოვიდა ბიუჯეტში ამ ბიზნესიდან ყველაზე მაღალი შემოსავლები? 1997 წელს, — 47 მილიონი ლარი, როცა აქციზი საერთოდ არ იყო. მას შემდეგ ხალხი, უბრალოდ, იძულებული გახდა, ჩრდილოვან ბიზნესში გადასულიყო — ვიყოთ რეალისტები და მიმოვიხედოთ გარშემო, განა ვინმე მუშაობს ერთი, „თეთრი ბუღალტერიით“? სანამ სავალუტო ფონდის წინაშე კატეგორიულად არ დავსვამთ ბიუჯეტის რეფორმირებისა და დაგეგმვის საკითხს, სიტუაცია არ შეიცვლება და „მარადგარღვეული“ ბიუჯეტი გვექნება...



## „შსს-ში იმხელა თანხები ბრუნავს, ბიუჯეტს აქეთ დაეხმარებიან...“

— **გამოდის, რომ სავალუტო ფონდი და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები საქართველოს ეკონომიკური განვითარებით დაინტერესებულნი არ არიან... თუ მათ აქ არსებული ვითარების შესახებ მცდარ ინფორმაციას ჩვენივე თანამემამულენი აწვდიან? სავალუტო ფონდის პოლიტიკის მიმართ პრეტენზიები ხშირად გაისმის. ისიც ფაქტია, მისი ექსპერტების მცდელობის მიუხედავად, საქართველოში წლების მანძილზე სიტუაცია არ იცვლება...**

— ვერ ვიტყვი, რომ აქ შეგნებულ და გააზრებულ პოლიტიკასთან გვქონდეს საქმე. სავალუტო ფონდს ალბათ უფრო ფილოსოფიური შეცდომა მოსდის. პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები და მათ შორის გამორჩეულად საქართველო, იმდენად განსხვავებულ და განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ვერანაირ ჩარჩოში ვერ თავსდება. თავად განსაჯეთ — საქართველო ხომ ღარიბი ქვეყანაა. 1993-94 წლებში საქართველოს მოსახლეობის 90% უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებოდა. საქართველოს შიდაწარმოების პროდუქტი ერთნახევარჯერ უფრო დაბალი იყო, ვიდრე რუანდაში. რუანდაში კი მაშინ 2 მილიონი ადამიანი შიმშილით მოკვდა. პირადად მე, საქართველოში შიმშილით გამოწვეული მასობრივი მსხვერპლი არ მახსენდება. მეორე შეუსაბამობა საერთაშორისო პრაქტიკასთან — არსებობს დაუწერელი კანონი ეკონომიკის თეორიაში: რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მით უფრო დაბალია განათლების დონე. საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 23% უმაღლესი განათლებითაა. ასეთი მაჩვენებელი ევროპის ბევრ განვითარებულ სახელმწიფოს არ გააჩნია. ქვეყნის სიღარიბეს ევროპა-ამერიკის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ინტელექტის დაბალი მაჩვენებლითაც ხსნიან — დამერწმუნებით, საქართველოში ძალიან ბევრი ინჟინერი და მეცნიერი გვყავს. ყოველი ფეხის ნაბიჯზე გაიგონებთ — მავან გამომგონებელს მსოფლიო დონის ნოვაცია აქვს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ავითარებსო. მორიგი პარადოქსი: სიღარიბე სოციალურ გარიყვას იწვევს. ყველაფრის მიუხედავად, ყველაზე პატივსაცემ და მისაღებ სტუმრებად „მაღალი დონის“ წვეულებაზე ყველაზე გაჭირვებული ქართული ინტელიგენციისა და კულტურის წარმომადგენლები ითვლებიან — პოლიტიკურ პარტიებსაც კი, რეიტინგის გამო, მათზე ტაციაობა აქვთ. ყველაზე ღარიბი ადამიანი, ვისაც კი მე ბოლო პერიოდში ვიცნობდი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ევგენი ხარაძე გახლდათ. ხშირად მის ყოფილ ასპირანტებს იგი ვაკეში, სახაჭაპურეში ჩაჰყავდათ ხოლმე დასაპურებლად. როდესაც ეს ბრწყინვალე ადამიანი უკიდურეს გაჭირვებაში გარდაიცვალა, პანაშვიდზე საქართველოს პრეზიდენტი მივიდა(?!).

კიდევ ერთი პარადოქსი: რაც უფრო ღარიბია ადამიანი, მით უფრო უვარგისი საცხოვრებელი აქვს. დამეთანხმებით, ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები დღეს უკიდურეს გაჭირვებაში, მაგრამ ვაკეში, პრესტიჟულ და ძველ, 5-6 ოთახიან ბინებში ცხოვრობენ, ზოგიერთი მათგანი შუქის ფულსაც კი ვერ იხდის... ყოველივე ამას თავისი ახსნა და მიზეზი აქვს, მაგრამ სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია — საქართველოშიც იმავე გეგმითა და სტრატეგიით დაიწყო მუშაობა, როგორც დანარჩენ 192 ქვეყანაში და მათ შორის, ზემოთ ნახსენებ რუანდაში... ჩვენც, ჩვენი მხრივ, მათ სრულყოფილი ეკონომიკური გუნდი ვერ დავახვედრეთ — მიზეზთა გამო, უფრო ხშირად კი გამორჩენის მიზნით, ქართველი ჩინოსნები ყველაფერზე უპირობოდ თანხმდებოდნენ, გადმორიცხული თანხების ბედი კი დღესაც უცნობი რჩება. ან, დააკვირდით, ვინ ჩამოდის საქართველოში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან — ეს არის ახალგაზრდა, გამოუცდელი ხალხი, რომლებიც ჰარვარდის თუ ბოსტონის კათედრიდან თბილისში აღმოჩნდნენ, სადაც მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ პარამეტრებს სწავლობდნენ. აქ კი — ერთსაათიანი საუბარი ამა თუ იმ მინისტრის კაბინეტში, შემდეგ სადილი კრწანისში, მეორე დღეს მემორანდუმს წერენ, ტოვებენ და მიდიან... არ ვიცი, ასეთ პირობებში და ასეთი რეკომენდაციებით რა ბიუჯეტი უნდა დაიგეგმოს და შესრულდეს. მერე კი მიმდინარეობს გაუთავებელი მთავრობის სხდომები სეკვესტრის თემაზე — ამა თუ იმ უწყების წუწუნი, რომ თანხების ჩამოჭრა დამღუპველი იქნება და ა.შ. მაგრამ ზემოთ ნახსენებ მიზეზთა გამო სეკვესტრი ხომ თავიდანვე, უკვე ბიუჯეტის შედგენისას იყო გარდაუვალი...

— **მაგრამ ყველაფერთან ერთად ისიც ფაქტია, რომ თუნდაც ძალოვან უწყებებში, იმავე შინაგან საქმეთა სამინისტროში, არალეგალურად და ქრთამის სახით ძალიან დიდი თანხები ტრიალებს. ამაზე მსჯელობა მხოლოდ ორთაჭალაში, სამინისტროს ავტოსადგომის მიხედვითაც შეიძლება — მრავალგზის სეკვესტრირებული უწყების თანამშრომლები უცხოური, უახლესი მოდელის ავტომობილებით დაქრიან...**

— გეთანხმებით და მეტსაც გეტყვით. ერთი ნაცნობი ინსპექტორი მყავს, პოლკოვნიკი გახლავთ. ერთხელ, რეიდზე რომ გამაჩერეს, გავეხუმრე, — რას შვრებით, ფულს „ლევად“ კიდევ იღებთ-მეთქი? აბა, რა ვქნათ, ყოველთვიურად „ლევი“ გეგმა — 150 დოლარი მაქვს გადასახდელი და ცალკე კიდევ დღიურიცო... ამის მიხედვით ელემენტარული გაანგარიშებაც კი გვიჩვენებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში იმხელა თანხები ბრუნავს, ბიუჯეტს აქეთ დაეხმარებიან... მაგრამ აქ მეორე ფაქტორიც არის — პიროვნულად მხოლოდ კობა ნარჩემაშვილზე ძალიან ცოტა არის დამოკიდებული. მან რომ ელვისებური რეფორმა ჩაატაროს, ერთ დილას ყველა თანამშრომელი შინ უნდა გაუშვას და იცით, ეს რას ნიშნავს? ისედაც მრავალათასიანი დამნაშავეთა რიცხვი სამინისტროს თანამშრომელთა რაოდენობის პროპორციულად გაიზრდება. ყველანაირად უნდა მოვერიდოთ რევოლუციებს. საქართველოს და ნებისმიერი ქვეყნის მაგალითიც ამას გვიჩვენებს, რომ რეფორმები ევოლუციური გზით უნდა განხორციელდეს. 30-იან წლებში ამერიკის პოლიცია მსოფლიოში ყველაზე გახრწნილი და კორუფციული იყო, მაგრამ რეფორმები პოლიციელების სამსახურიდან დათხოვნით არ დაუწყიათ — ამერიკის მთავრობამ მაშინ პარალელური სტრუქტურა, გამოძიების ფედერალური ბიურო შექმნა და მისი მეშვეობით ებრძოდა დანაშაულობას როგორც კრიმინალურ სამყაროში, ისე პოლიციელებს შორის. სხვათა შორის, ეს პროცესი საკმაოდ დიდხანს — 10-15 წელი გაგრძელდა. ჩვენს შემთხვევაში კი საქმე უფრო რთულად არის — გამოცდილი ოპერატიული მუშაკები, რომელთა ბაზაზეც ანალოგიური ორგანო უნდა შეიქმნას, ძირითადად „კაგებეს“ ყოფილი თანამშრომლები არიან და არავინ იცის, მათ კავშირი „ცენტრთან“ დღესაც აქვთ თუ არა...

— **გამოდის, რომ „ჯადოსნურ წრეში“ მოქცეულ საქართველოს საშველი არ უწერია და მუდმივად უცხო ქვეყნებისთვის მოგვიწევს ხელებში ყურება... მით უმეტეს, რომ ქართული საზოგადოება უკვე მიეჩვია მხსნელის ლოდინს ამერიკის თუ რუსეთის სახით...**

— საშველი არის, თუ საამისო სურვილი იქნება. პირველ რიგში, აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმა უნდა განხორციელდეს. არ შეიძლება თუნდაც კონტრაბანდას ერთდროულად ცხრა უწყება ებრძოდეს და შემდეგ ერთმანეთს აბრალებდნენ ვითარების გაუარესებას. სხვათა შორის, აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმის გენერალურ გეგმაზე თითქმის რვა თვის მანძილზე ინგლისელ და ფრანგ ექსპერტებთან ერთად ვმუშაობდი და ასეთი გეგმა არსებობს, რომლის მიხედვით, ერთ უწყებას ერთი კონკრეტული ფუნქცია უნდა ჰქონდეს. მეორე პრობლემა ჩინოსანთა არმია გახლავთ, რომელიც 25-ჯერ მეტია, ვიდრე შეერთებულ შტატებში. ეს გეგმა პირის თანამდებობაზე დანიშვნას ტენდერის მიხედვით გულისხმობს, რომელიც სრულიად გამჭვირვალედ ჩატარდება და ელემენტარულად, ჩამოწერილ-გამოქვეყნებული იქნება, თუ ვინ რა მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს. სწორი საგადასახადო პოლიტიკისა და ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტარული პირობების შესრულების შემთხვევაში 2-3 წელიწადში მინიმალური ხელფასიც გაიზრდება, მაქსიმალურიც და აღარც ქრთამის აღების სურვილი გაუჩნდება ვინმეს. რაც შეეხება უცხო ქვეყნების პატრონობას — ჩვენი თავის პატრონი ჩვენვე უნდა ვიყოთ, თუნდაც „რაოს“ შემთხვევაში — პირადად ჩემთვის, სულერთია, დენს ამერიკელი მომაწვდის თუ რუსი, თუ მისი პოლიტიკის გატარება ქვეყანაში ჩემსავე ნებაზე იქნება დამოკიდებული. ვიყოთ გულახდილები და ვაღიაროთ, თუ ჩვენს ქვეყანას რაიმე უბედურება სჭირს, პირველ რიგში ისევ ჩვენივე თანამემამულეთა უთავობითა და დაბდურობით.

— **თელასის გასხვისებაზე პოლიტიკურმა სპექტრმა მწვავე პრეტენზიები გამოთქვა. „ეი-ი-ეს“-ს ათას რამეს უპირებენ, ჯარიმით დაწყებული და კონფისკაციით დამთავრებული. განსაკუთრებული ოპტიმიზმი კი ქონების მართვის ყოფილი მინისტრის, მიხეილ**

მახინჯად შობილ ბიუჯეტს აბსოლუტურად უაზრო და ულოგიკო საგადასახადო კოდექსი ემატება – საქართველო ყოველგვარი პროტესტის გარეშე ასრულებს სავალუტო ფონდის ყველაზე იდიოტურ რჩევებსაც კი. არ მესმის, როგორ შეიძლება ნავთობპროდუქტებზე ორმაგი და სამმაგი აქციზების დაწესება. იცით, როდის შემოვიდა ბიუჯეტში ამ ბიზნესიდან ყველაზე მაღალი შემოსავლები? 1997 წელს, – 47 მილიონი ლარი, როცა აქციზი საერთოდ არ იყო

**უკლებას ჩვენების შემდეგ გაჩნდა, რომლის თანახმადაც „ეი-ი-ეს“-ს ქონების გასხვისების უფლება არ ჰქონდა.**

— მერე, ვინ გითხრათ, რომ „ეი-ი-ეს“-მა თელასი გაყიდა? საქართველოსთან ყველა ხელშეკრულებასა და ვალდებულებაზე ხელი მის შვილობილ კომპანიას, „ეი-ი-ეს“ სილკროუდს ჰქონდა მოწერილი. როცა საჭიროება დადგა, არლინგტონის ოფისმა აიღო და ეს კომპანია საქართველოსთან დადებული კონტრაქტიანად გაყიდა. ასე რომ, ჩვენთან ანგარიშვალდებული ვინც იყო, ისევ ის დარჩა. ეს იყო ელემენტარული კომბინაცია, რომელსაც ტრანსკორპორაციები ახორციელებენ ხოლმე და მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, ძალიან მეეჭვება, არლინგტონის ოფისს რაიმე მოსადავებელი დაეტოვებინა — ამისთვის 2 წელი ემზადებოდნენ და თბილისში ირიბარენიც სწორედ ამ მისიით იყო გამოშვებული. უნდა გითხრათ, რომ დავალებას თავი ბრწყინვალედ გაართვა. ისიც უნდა ითქვას, თელასის გაყიდვა წმინდა წყლის პოლიტიკური შეთანხმების შედეგი იყო — ერაყის ომმა ამერიკისთვის რუსეთთან მიმართებაში ბევრი რამ შეცვალა. პოლიტოლოგიაში ვაშინგტონის მიმართ ერთი მუდმივი ცნება არსებობს — მას არ ჰყავს მუდმივი პარტნიორი, სამაგიეროდ, აქვს მუდმივი ინტერესები... ასე რომ, საქართველო ამ შემთხვევაში უფრო განტევების ვაცი გამოვიდა, ხოლო ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციის საფასურად არლინგტონის ოფისმა ამერიკის ფედერალური ბიუჯეტისგან 6 მილიარდი დავალიანების რესტრუქტურიზაცია მიიღო. არლინგტონის ოფისმა გაცილებით დიდი მოგება ნახა, ვიდრე გალატაკებული და გადახდისუუნარო კლიენტურის მქონე თელასი შეიძლება იყოს. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ საერთაშორისო გეოპოლიტიკაში თავისი ფუნქცია და მნიშვნელობა დაკარგა — პირიქით, ეგებ, უფრო გაიზარდა კიდეც. რუსეთის სახით ამერიკა და დასავლეთ ევროპა ეცდება, აღმოსავლეთთან მიმართებაში ბუფერული ზონა შეინარჩუნოს. საქართველოს გარეშე კი როგორც ევროპა-ამერიკის, ისე აღნიშნული ბუფერის აუცილებელ ურთიერთობას აღმოსავლეთთან აზრი არ ექნება. აღარაფერს ვამბობ აზერბაიჯანზე, სადაც სიტუაცია შესაძლოა უმართავი გახდეს და სომხეთზე, სადაც ყველაფერს რუსეთი მართავს. ამიტომაც, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ საქართველომ უნდა გამოიყენოს შანსი ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრებისა, სანამ მსოფლიო გადანაწილების პროცესი დასრულდება. ასეთი შანსი კიდევ ასწლეულების შემდეგ თუ მოგვეცემა...

*დაჩი გრძელიშვილი*

CMYK

## „მე ღმერთმა შემქმნა, თიხიდან მომზილა და ...“

**ეგზიუპერის პატარა უფლისწულს სიყხისგან გათანგული თბილისის ერთ პატარა სკვერში შევხვდი.**

*გუშინ, კვირა დილით, ვიჯექი ჩემთვის პუშკინის სკვერის ღია ბარში და ველოდებოდი რესპონდენტს. უცებ სკამზე ჩამომიჯდა ერთი ლამაზი ცისფერთვალა, ასე ათიოდე წლის ბიჭი — აშკარად თბილისის ქუჩებში მოხეტიალე პატარა მაწანწალების წარმომადგენელი, მაგრამ ისეთი მომხიბვლელი იყო, მომინდა გულში ჩამეკრა, მიუხედავად მოთხუპნილი ცხვირ-პირისა. გავუღიმე, იმანაც გამიღიმა და გაიბა დიალოგი ჩვენ შორის:*

— **რა გქვია?**

— ადამი. ფული გაქვს?

— **არა, რად გინდა?**

— თუ არა გაქვს, აბა, ამ ბარში რას დამჯდარხარ ან მაგ წვენს როგორ სვამ. მეც მინდა წვენი.

ოფიციანტს დავუძახე. წვენი კიდევ მოგვიტანეთ-მეთქი. ადამმა უცებ შემომხედა და მკითხა:

— კი მაგრამ, რატომ არ მეკითხები, რისი წვენი მინდა? ანანასზე ვგიჟდები, ფორთოხალი მიყვარს და ალუბალს სიამოვნებით ვსვამ...

ჩამაბარებ? ეჰ, კარგია მეგობრობა. მაგრამ ვერ გენდობი... ალბათ დედაჩემიც შენნაირი იყო, მაგრამ მიმატოვა. მამაჩემი ალბათ იმ კაცს ჰგავს, ბატკანი რომ წამართვა და საერთოდ, ადამიანები ცუდები ხართ. ხომ შეიძლება შენთან რომ მოვალ, თირკმელები ამომჭრა და გაყიდო (ბავშვს სახე აერია, ისეთი აგრესიული გახდა, რომ სისხლი კინაღამ გამეყინა).

— **დაწყნარდი. ვინ გეუბნება ამ საშინელებებს, ვინ გაბოროტებს ასე.**

— ხალხი და ტელევიზორი. ბოროტი ყუთია ეგ ტელევიზორი და სხვა არაფერი. თუმცა, ფეხბურთის ცქერა მიყვარს დიდ ეკრანზე, მაგალითად, „სონის“ მაღაზიაში ან ტოტალიზატორში. ტელევიზორში ისეთ საშინელ რამეებს ამბობენ, რომ მინდა, მალე წამიყვანოს ღმერთმა სამოთხეში...

— **ადამ, მოდი შევხვდეთ ხოლმე ერთმანეთს. მართლა შენი მეგობარი ვიქნები და იქნებ მეც წამიყვანო სამოთხეში (ვეცადე, ბიჭი მომეთვინიერებინა).**

— გინდა საქმეები ჩააწყო? არაფერი გამოგივა, მე არ მჯერა ქალების, ქალებს ფისოქალები სჯობიან.

# შეხვედრა ეგზიუპერის უფლისწულთან



— თელეთში ვიყავი გიორგობაზე ასული. ერთმა ქალმა ბატკანი ამოიყვანა. სამჯერ შემოატარა ეკლესიას, მერე მღვდელთან მიიყვანა, მანაც პირჯვარი გადაწერა და ბატკანი გაუშვეს. შორიდან ვუყურებდი, იარა, იარა და პირდაპირ ჩემთან მოვიდა. ძალიან საყვარელი იყო. სულ ხუთი წუთი ვეფერებოდი. მერე ვიღაც კაცი მოვიდა და ხელიდან გამომტაცა ჩემი ღრუბელა ბატკანი...

*მივუხვდი გადაკრულ ნათქვამს და სამივე წვენი მივართვი, თან გამიკვირდა, მაწანწალა ბიჭუნას დახვეწილი ქართული და მისი სოციალური მდგომარეობისთვის უჩვეულო მანერები.*

— **ადამ, მშობლები სად არიან, იციან შენ რომ ქუჩაში ხარ?**

— მშობლები არ არიან. მე არ გავჩენილვარ. მე ადამი ვარ, ღმერთმა შემქმნა, თიხიდან მომზილა და სამოთხეში რომ უნდა წავეყვანე, ღრუბლებიდან გადმოვვარდი. ვიცი, რომ მომძებნის ღმერთი და წამიყვანს.

*გული შემეკუმშა, უცნაური ბიჭუნა დიდი, ცისფერი თვალებით მიყურებდა და ისეთი წრფელი იყო, კინაღამ დავუჯერე ნათქვამი.*

— **ეს ვინ გასწავლა, ვინ დაგარიგა, რომ ასე თქვა?**

— შენ რა, სულელი გგონივარ. თუ ჩემი არ გჯერა, რას მელაპარაკები? ხატვა იცი? თუ იცი, გთხოვ, ბატკანი დამიხატო (აი, სწორედ იმ წუთში გამახსენდა ეგზიუპერის პატარა უფლისწული და კინაღამ თვალები მოვიფშვნიტე იმის დასადგენად, სიზმარი იყო თუ ცხადი).

— **კი მაგრამ, რაღა მაინცდამაინც ბატკანი გინდა. ფისოს დაგიხატავ.**

— რომ გეუბნები, ბატკანი დამიხატე და ფისოზე ამბავს მოგიყვები (ამოვიღე ჩანთიდან ფურცელი, ავტოკალამი და ბატკნის ხატვას შევუდექი. ის-ის იყო, ეგზიუპერის „გამოცდილების“ მიხედვით პირდაპირ ყუთის ხატვა დავიწყე, რომ ბიჭი აყვირდა), არ მინდა ჩაკეტილი ბატკანი, ნამდვილი დამიხატე. იმას რომ ჰგავდეს.

— **რას უნდა ჰგავდეს?**

— იმ ბატკანს, თელეთში რომ წამართვეს (კითხვით სავსე თვალებით რომ შევხედე, განაგრძო)... თელეთში ვიყავი გიორგობაზე ასული. ერთმა ქალმა ბატკანი ამოიყვანა. სამჯერ შემოატარა ეკლესიას, მერე მღვდელთან მიიყვანა, მანაც პირჯვარი გადაწერა და ბატკანი გაუშვეს. შორიდან ვუყურებდი, იარა, იარა და პირდაპირ ჩემთან მოვიდა. ძალიან საყვარელი იყო. სულ ხუთი წუთი ვეფერებოდი. მერე ვიღაც კაცი მოვიდა, ხელიდან გამომტაცა ჩემი ღრუბელა ბატკანი და მიყვირა, რას ჩახუტებიხარ ამ ცხოველსო, არადა ის კაცი თვითონ ჰგავდა ცხოველს.

— **მოდი, სათამაშო ან სულაც ნამდვილ ბატკანს გიყიდი და შენ მწყემსი გახდები.**

— ახლა მიყიდი?

— **ახლა მაგდენი ფული არა მაქვს. ჩემს სახლს გასწავლი, მოდი, თან ვიმეგობროთ (გაოცებულმა შემომხედა).**

— ვიმეგობროთ? პოლიციას არ

ამას წინათ კნუტი ვიპოვე. ერთი ხის ქვეშ იჯდა და ტიროდა. ავიყვანე, იმ წუთში ვიფიქრე, ამის მამა გავხდები-მეთქი, მაგრამ... უცებ კატის კნავილი გავიგონე, კნუტის დედა იყო, შეშლილი თვალებით მიყურებდა. დავსვი მისი „ბავშვი“. ჯერ ალოკა, მოეფერა, მერე პირი დაავლო და გააქცია. გესმის ეს ამბავი შენ? კატამ გააფრინა თავისი შვილისთვის, მე კი დედაჩემმა მიმატოვა. ახლა შენ რომ მოგეჩვიო, მერე შენც მიმატოვებ. ამიტომ შენ შენთვის, მე ჩემთვის. ისე, მაინც მასწავლე შენი სახლი (მეც მეორე ფურცელი ავიღე და დავუხატე ჩემს სახლთან მოსასვლელი გზა. „ბატკანს“ დიდხანს უყურა და თავისთვის ჩაილაპარაკა, „მართლა იმას ჰგავს“, მერე ცრემლიანი თვალებით შემომხედა, „მისამართი“ გამომართვა, დაკეცა და ჭუჭყიანი შარვლის ჯიბეში ჩაიდო)... რა გქვია?

— **ეკა.**

— უი, როგორ გავს ევას. შენც ღმერთმა ხომ არ მოგზილა თიხისგან (გაეცინა), მადლობა წვენისთვის და ბატკნისთვის... ახლა მე ერთი ბებია მყავს ინვალიდი და სახლიც მაქვს, მაგრამ მაინც ღმერთთან მინდა. როცა წავალ, წიგნებს წავიღებ თან. ძალიან მიყვარს. ბატკანზე მადლობელი ვარ. წავედი ახლა, გაზეთები უნდა გავყიდო მეტროში. კარგად იყავი.

— **კარგად იყავი, გელოდები ადამ. ჩემი მისამართი არ დაგავიწყდეს...**

*ადამმა გამიცინა, უცებ ლოყაზე მაკოცა და გაიქცა. ასეთი დღე არასოდეს გათენებულა ჩემს ცხოვრებაში და მაინც მგონია, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო. მართლა გელოდები, ადამ და ვიცი, ამიერიდან უამრავი გულშემატკივარი გეყოლება ჩვენი მკითხველების სახით.*

***ეკა ლომიძე***

# „გოგი ოჩიაურის დისწული თითქოს არ უნდა გავეკვირვებინე სურათს, მაგრამ გავოცდი...“

ნათქვამია, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავსო. ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით... გვიხარია, რომ ჩვენ მიერ თქვენთვის — ჩვენი მკითხველისთვის — გამხელილმა ტკივილმა კეთილი ადამიანების გულამდე მიაღწია...

ამას წინათ ჩვენმა გაზეთმა ქალბატონ ლია ბარნაბიშვილზე, ბუმბულებით შექმნილ მის ჯადოსნურ სამყაროზე მოგითხროთ. ვწერდით ნესტიან, ბნელ ოთახში შექმნილ მის სურათებზე და იმაზეც, რომ არავინ გამოჩნდა, ვინც ამ მშვენიერი ქალბატონის ხელოვნებას დააფასებდა, ხელს წააშველებდა და ელემენტარულ პირობებს შეუქმნიდა მუშაობისთვის... ჩვენი გულისტკივილი გულმოწყალე ადამიანების ყურამდე მისულა — ძალიან მალე, სულ ორ კვირაში, ქალბატონ ლია ბარნაბიშვილს ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე საგამოფენო დარბაზი და სახელოსნო ექნება, სადაც მოსწავლეებისთვის მეცადინეობის ჩატარებასაც შეძლებს. ყველაფერი კი, როგორც გვითხრეს, „კვირის პალიტრიდან“ დაწყებულა.

**ლილი მარსაგიშვილი:** თქვენს გაზეთში წავიკითხე ქალბატონ ლიაზე და დავიწყე მისი ძებნა. რედაქციაშიც დავრეკე. მითხრეს, ლია ბარნაბიშვილის გამოფენა რუსთაველზე „მრეწველების“ ოფისშიაო. გამოფენის დახურვას მივუსწარი. განცვიფრებული დავრჩი. თავადაც მხატვრების ოჯახიდან ვარ — გოგი ოჩიაურის დისწული თითქოს არ უნდა გავეკვირვებინე სურათს, მაგრამ გავოცდი... ქალბატონი ლიას გამოფენის დახურვაზე ბევრი ცნობილი ადამიანი იყო. იქ თქვეს, — ნუთუ არ მოიძებნება ისეთი ქველმოქმედი, რომელიც ელემენტარულ პირობებს შეუქმნის სურათების ავტორსო... ხმა არავინ ამოიღო... მე შევთავაზე — დავეხმარები-მეთქი. 80 კვმ მოცულობის ოფისი მაქვს ყაზბეგის გამზირზე და ის დავუთმე. ქალბატონ ლიას ძალიან ლამაზი სახელოსნო ექნება, სადაც მისი სურათები მუდმივად იქნება გამოფენილი. მალე მის ნამუშევრებს კიევშიც წავიღებთ. ლიას შეკვეთების მიღებაც შეეძლება. ვთხოვე, ნამუშევრები არ გაყიდო, საარსებო ფულს მე მოგცემ-მეთქი.

მადლობა უფალს, რომ თქვენი წყალობით ერთი ადამიანის დახმარება მაინც შევძელი...

**ლია ბარნაბიშვილი**: ქალბატონი ლილი გამოფენაზე მოულოდნელად გამოჩნდა. შევამჩნიე, ჩემს სურათებს გაცისკროვნებული თვალებით უყურებდა. იმ დღიდან ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მეგობრობას. სტიმული მომეცა, ჩემი საჭიროება ვიგრძენი.

დღეს მხატვრები და, მათ შორის მეც, დაჩაჩანაკებულები ვართ. გამოფენაზე კი საოცარი განწყობა სუფევდა, სიყვარულით ამავსეს. როცა ქალბატონმა ლილიმ ხელი გამომიწოდა, თითქოს მეორედ დავიბადე... ნამდვილად ღვთის წყალობაა ჩემს თავს. ყველაფერზე ხელს რომ ჩავიქნევ, უფალი მაშინ საოცარ წყალობას მომივლენს ხოლმე. რასაც ვქმნი, იმას ხომ უფალი მაკეთებინებს... ეტყობა, თქვენი გაზეთისა და ქალბატონი ლილის საშუალებით გადმოვიდა ჩემზე ღვთის მადლი.



აქ მხოლოდ ბუმბულია გამოყენებული...

ზოგიერთს არც გაჭირვებული ადამიანები აინტერესებს და არც ხელმოკლე მოყვასი. ჩემს კორპუსში ცხოვრობდა შოთა კვირაია, ყოველ დღესასწაულზე აუარება ხორაგი მიჰქონდათ მასთან, უფუჭდებოდა და მერე ყრიდა. მეზობლები ვამბობდით, — ნუ ყრის, ჩვენ მაინც მოგვცეს, შინ მშიერი ბავშვები გვყავსო. ადამიანებო, უფალმა არ მოგიშალოთ სიკეთის კეთება.

***მარი ზანდუკელი***

# ქართველი მხატვრები, ქართული მარკები და უსათუოდ განსახორციელებელი იდეები

**გია გუგუშვილი** მსოფლიოში ცნობილი მხატვარია. წელიწადი ისე არ გავა, 3-4 ქვეყანაში არ მიიწვიონ მეუღლესთან, ქეთი მატაბელთან ერთად. დახვეწილი შემოქმედი ბევრ საქმესაც უძღვება. იმასაც შევესწარი, უცხოელებს რომ ესაუბრებოდა ინგლისურად, გერმანულად, იტალიურად, ფრანგულად.

— ერთი ენა, რომლის სწავლაც ძალიან მინდოდა და ჯერჯერობით ვერ ვისწავლე — სვანურია. ერთ ამბავს გიამბობთ: გამოფენა მქონდა მალაგაში, იქ გამაცნეს ვიღაც კაცი, სახელად დონ მიგელი. მითხრა: სპეციალურად ვიყიდე პიანინო, რომ ქართული სიმღერები მესწავლაო. ქართველურ ენებს — ლაზურს და მეგრულსაც ვსწავლობო, ძველთაძველი ბერძნულ-რომაული მითოსი სვანურ სიმღერებში აღმოვაჩინეო... ძალიან მესიამოვნა...

მე და ჩემს მეუღლეს ხშირად გვიხდებოდა უცხოეთში იმაზე საუბარი, როგორია ჩვენი სამშობლო, რატომ ვებრძოდით 9 აპრილს ტანკებს ჯოხებით... 80-იან წლებში საქართველოს არაფერი სჭირდა ჩემი წარსადგენი, მაგრამ ხომ მაინც აქვს მნიშვნელობა, როცა კარგ გამოფენას აწყობ...

— **თქვენ ბევრს აკეთებთ და ყველაფერს მშვენივრად ასწრებთ. პირველ რიგში დიდი ოჯახის მამა ხართ...**

— მე და ქეთი ვზრდით სამ შვილს, გიორგი რეჟისორია, პატარები სკოლაში სწავლობენ... მარიამი ბალეტზე დადის, ლუკას კი, უკვე ვატყობ, მხატვარი იქნება. სხვათა შორის, მე, მარიამსა და ლუკას ერთნაირი ხედვა გვაქვს, ერთნაირად ვხატავთ... შარშან მოსკოვში ვმუშაობდი, დავხატე ორ მეტრამდე ზომის ნახატი... ჩამოვედი და ვხედავ, ლუკასაც ზუსტად იგივე დაუხატავს... ეტყობა, რაღაც საოცარი კონტაქტია, ამიტომ ამას მე არ განვიხილავ, როგორც მხოლოდ შემოქმედებას, არის რაღაც ველი, რომელშიც ექცევა ადამიანი, როცა ქმნის.

— **რას იტყოდით თქვენს საქმიანობაზე ფილატელიაში?**

— არსებობს ქართული მარკის გამოსაცემი კომისია. იმ კომისიის წევრი ვიყავი. ხშირად მიწევდა სხდომების გაცდენა... დამიბარა მერაბ ადეიშვილმა. ხელცარიელი ხომ არ მივიდოდი, სახელდახელოდ იდეა „გამოვაცხვე“, მერე ეს იდეა წარმატებული აღმოჩნდა. თან გადავწყვიტე, მამიდაშვილისათვის სამსახურიც მეთხოვა. მიყურა, მიყურა მერაბ ადეიშვილმა და მკითხა: „საქართველოს მარკის“ დირექტორად არ წახვალო?.. ვერ ვუთხარი უარი — 15 წუთში დავინიშნე დირექტორად. მამიდაშვილი მელოდებოდა კართან. ვუთხარი: შენ ვერაფერი გაგიკეთე, მაგრამ მე კი ვიშოვე სამსახური-მეთქი. საოცრად საინტერესოა მარკების საქმე. მარკა არის სახელმწიფო ატრიბუტიკა. არსებობს 19-კაციანი კომისია, რომელშიც შედიან საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეები, ჯერ უნდა დამტკიცდეს თემა. მერე ეს თემა მიდის დიზაინერთან... მერე ისევ კომისია ნახულობს... მერე იბეჭდება. ერთი პატარა საფოსტო მარკის გამოშვებას რამდენიმე თვე სჭირდება. თან, ეს უნდა ასახავდეს საქართველოს, ქართულ კულტურას.

— **რა ღირს მარკა?**

— მარკა ეს არის საფოსტო გზავნილის ღირებულება, მაგრამ როცა ფილატელისტურ მიდგომას ვიწყებთ, მერე — ნურას უკაცრავად... პინცეტის გარეშე ხელს ვერ ახლებ მარკას. ამავე დროს მინდა გითხრათ, რომ პირველი ქართული (და ამავე დროს, რუსეთის იმპერიის) მარკა („ტიფლისკაია უნიკა“) 1857 წელს დაიბეჭდა. ეს იყო 4-კაპიკიანი მარკა. იგი თბილისიდან კოჯორში დადიოდა (ანუ წერილებს აკრავდნენ). ერთმა შვედმა კოლექციონერმა თურმე 70.000 დოლარი გადაიხადა ამ მარკაში. ჩემი საქმიანობის გამო, ხშირად მიწევს ფილატელისტებთან ურთიერთობა. ძალიან განათლებული ხალხია. ხშირად ვეკითხები რჩევას, როგორ სჯობს გავაკეთო მარკა-მეთქი. ამ ბოლო დროს სკოლებში ლექციებს ვატარებთ, ბავშვებმა გაიგეს, როგორია მარკა, როგორ მუშაობს ფოსტა. გაუჩნდება ხალხს ერთმანეთთან წერილის მიწერის სურვილი. ელექტრონული ფოსტა იმ ენერგიას ვერ მოგცემს, როგორც ხელნაწერი წერილი.

— **დარწმუნებული ვარ, თქვენ კიდევ ბევრი იდეა გექნებათ...**

— მე სულ ვაფრთხილებ ყველას, ვისაც ხატვა სურს, რომ მზად უნდა იყოს დიდი ხარჯებისათვის. არ შეიძლება ეკონომიის გაწევა საღებავის შეძენისას. საქართველოში შესაძლებელია არაჩვეულებრივი საღებავების წარმოება, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ ხდება. შეიძლება წითელი და თეთრი ვერ დავამზადოთ, მაგრამ ყავისფრის და მწვანე საღებავების ბრწყინვალე ნედლეული არსებობს თიხის, მინერალების სახით. ეს საქართველოსთვის აუცილებელია. როცა ვამბობთ, დიდი კულტურის მქონე ქვეყანა ვართო, ეს კარგი ინსტრუმენტის, კარგი საღებავის დამზადებითაც უნდა გამოჩნდეს. დაგროვილი ნიჭი ამას უსათუოდ მოგვთხოვს და მერე მოგვიწევს დროის უკან დაბრუნება... ზოგჯერ ვფიქრობ, ამ ორმა-სამმა ინვესტორმაც რა ქნას-მეთქი, მაგრამ თუკი რაიმე საშუალება გამიჩნდა, პირობას გაძლევთ, უკან არ დავიხევ, რომ საღებავების წარმოებას მოვკიდო ხელი.

***ლელა ჯიყაშვილი***

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:



1. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ათი კილოგრამი ოქრო დუმილის საფასურად?!“ — 224 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ციხიდან „მობილურით“ გატაცებული ადამიანები“ — 202
3. **დაჩი გრძელიშვილი** — „შეგვიძლია ჩვენი სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო გავაუქმოთ!“ — 50

4-5. **ეკა ლომიძე** — „საქართველოს ახალი მეოხნი“ — 29

4-5. **მარინა ბაბუნაშვილი** — „გული არ ბერდება, ანუ კვლავ პირველ სიყვარულზე“ — 29

6-7. **ინგა ჯაყელი** — „ცის გახსნა“ — 22

6-7. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 22

მკითხველის სახელით პრემია გადაეცემა **ზვიად ჩაკვეტაძეს**.

***მკითხველის პრემიის მფლობელი 698-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

# გამოუშვებენ „მუდმივ მძევალს“?!

**თენგიზ ასანიძის საქმის განხილვა სტრასბურგში 19 ნოემბერს დაიწყება**



აჭარაში მყოფი უკანონო პატიმრის, თენგიზ ასანიძის თემა, შესაძლოა, კვლავ წინასაარჩევნო სპეკულაციის საგანი გახდეს. 19 ნოემბერს სტრასბურგში შედგება სასამართლო, რომელიც თენგიზ ასანიძის უკანონო პატიმრობას განიხილავს. წინასწარ გამოგზავნილ დოკუმენტში დასმულია მთელი რიგი კითხვები, რომელზეც საქართველოს ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს. კითხვები მიანიშნებს, რომ სასამართლო ასანიძის სასარგებლოდ გადაწყდება. მაგალითად, სტრასბურგის სასამართლოს აინტერესებს, კონვენციის რომელი მუხლით ისარგებლეს, როცა პრეზიდენტის შეწყალება შევიდა ძალაში, ან რა მუხლით იხელმძღვანელეს მაშინ, როდესაც მსჯავრდებული უზენაესმა სასამართლომ გაამართლა და არ გაათავისუფლეს. რით იმართლებს თავს ესა თუ ის უწყება, როდესაც კანონს არ ასრულებს და ა.შ.

ასლან აბაშიძე ზედმეტად „ჯიუტი“ გამოდგა. თავის დროზე ის პრეზიდენტის შეწყალებაზე და კანონზე მაღლა დადგა. ამიტომ დღეს ოფიციალურ თუ არაოფიციალურ წრეებში თენგიზ ასანიძეს ასლან აბაშიძის „მუდმივ მძევალს“ უწოდებენ. ის წლების განმავლობაში აჭარის უშიშროების კარცერშია გამომწყვდეული. სტრასბურგის სასამართლოს დაინტერესებამ ასანიძეების ოჯახს იმედი გაუჩინა. თუმცა არ არის გამორიცხული, ასლან აბაშიძემ ჩვეულ მეთოდს არც ახლა უღალატოს და ასანიძის გათავისუფლება კვლავაც არ შედგეს. ამის გამო კი საქართველოს სერიოზული პოლიტიკური სანქციები ელის. თუმცა ომბუდსმენი, ნანა დევდარიანი იმედს იტოვებს და მიიჩნევს, რომ საქმე აქამდე არ მივა.

**ნანა დევდარიანი:** დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრასბურგში მოსმენა 19 ნოემბერს არის დანიშნული. გარდა ამისა, იქ არის მთელი რიგი კითხვები, რომელზეც ხელისუფლებამ პასუხი უნდა გასცეს. რაც შეეხება მხარის გამოცხადებას სტრასბურგში, პატიმრის დასწრება არ არის აუცილებელი.

— **თქვენ, როგორც ომბუდსმენის ვარაუდი როგორია — რა მოხდება ამ სასამართლო პროცესზე?**

— იმდენად მარტივი საქმეა, რომ სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს. ფაქტია, რომ ბოლო წლები ის უკანონო პატიმრობაში იმყოფება, რადგან მასზე არსებობს გამამართლებელი განაჩენი.

— **ხომ არ ფიქრობთ, რომ ასანიძის თემა კვლავ წინასაარჩევნო სპეკულაციის საგანი გახდება...**

— ამ საქმესთან დაკავშირებით დიდი ხნის განმავლობაში უშედეგოდ მიმდინარეობს ბრძოლა. პერიოდულად იგი არჩევნებსაც ემთხვევა. შესაძლებელია, ამჯერადაც წინ წამოიწიოს და გამწვავდეს კიდეც.

— **თავად ასლან აბაშიძის პოზიცია როგორი იყო?**

— ის ამბობს, რომ თენგიზ ასანიძე დამნაშავეა და უნდა იყოს საპატიმროში, მაგრამ როგორც არ უნდა გვჯეროდეს თითოეულ ჩვენგანს რაღაც, არავის არ აქვს უფლება, სასამართლოს მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილება.

— **ალბათ სტრასბურგის სასამართლო ასანიძეს გაამართლებს, მაგრამ თუ კვლავ არ გაათავისუფლეს ციხიდან, მაშინ...**

— ევროპის საბჭოში ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ძალიან საინტერესო მექანიზმი არსებობს. ასეთ შემთხვევაში შემოდის უკვე პოლიტიკური სანქციები. კერძოდ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება ყველა წევრი სახელმწიფოსთვის სავალდებულოა. იმედი მაქვს, რომ აქამდე არ მიიყვანენ საქმეს. მთელი პრობლემა რაშია, იცით? როდესაც საქართველო ევროკონვენციას შეუერთდა, იქ არანაირი დათქმა არ გაგვიკეთებია არც აჭარაზე და არც იმ ტერიტორიაზე, სადაც ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება. ამიტომ სუბიექტი და მოპასუხე არის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. ეს ძალიან კარგად იცის ასლან აბაშიძემ და ის საკუთარ თავს არც მოიაზრებს მოპასუხედ. პრაქტიკულად, ავტონომიის უკანონო ქმედებებზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში პასუხს აგებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება.

# შავბნელ საქმეებს ფარდა აეხდება?!

**რა აჩუქა შევარდნაძემ დემირელს გიორგაძის ხელით?**

1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის ირგვლივ ახალი დეტალები იკვეთება. უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ პოლიტიკური ჟანრის წიგნების: — „ედუარდ შევარდნაძე — რისკის მეფე“, „ადუღებული კუპრიდან თავისუფლების ნაპირისკენ“ ავტორს, მაყვალა ბერიანიძეს ოფიციალური წერილი გაუგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ წითელი ცირკულარით ძებნილი იგორ გიორგაძე, 1995 წლის 15 ივლისიდან 30 აგვისტომდე, საქართველოში არ იმყოფებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბრალდებო დასკვნაში მითითებული ეპიზოდი, რომ მან ტერაქტი პანტელეიმონ გიორგაძის ბინაში დაგეგმა თემურ ხაჩიშვილთან, გიგა გელაშვილთან და გელა პაპუაშვილთან ერთად, ყალბია. არადა შეიძლება ითქვას, თავის დროზე, გამოძიებისთვის ეს დეტალი გახდა ამოსავალი წერტილი, რის საფუძველზეც ყოფილ უშიშროების მინისტრს ტერაქტის ორგანიზებაში ბრალი წაუყენეს. რა თქმა უნდა, ტერაქტის დაგეგმვა, ბოლოს და ბოლოს, ტელეფონის მეშვეობითაც შეიძლება, მაგრამ როდესაც მცდარი ფაქტი იურიდიულად ფორმდება, რის საფუძველზეც ადამიანებს აპატიმრებენ, ასეთ პრეცედენტს იურისპრუდენცია არ ცნობს. ფაქტია, ეს ყველაფერი მიდის იქით, რომ იგორ გიორგაძის მიმართ გამოძიება თავიდან დაიწყოს. მარტივი გათვლაა — აქამდე კულუარებში გავრცელებული ხმები, რომ შესაძლოა გიორგაძის რეაბილიტაცია მოხდეს, თანდათან რეალურ ელფერს იძენს. ამას დავუმატოთ ქართულ ენერგეტიკაში ატეხილი ქაოსი და რუსული ინტერესების გააქტიურება... და გამოჩნდება, რომ საქართველო და მისი მმართველი ელიტა შეიძლება ახალი სკანდალების (თუმცა სკანდალები არ გვაკლია) მორევში „ჩაიძიროს“. თუ ეს ასეა, მაშინ არ არის გამორიცხული, პანტელეიმონ გიორგაძის დიდი ხნის წინ ნანახი სიზმარი — იგორ გიორგაძეს საპრეზიდენტო არჩევნების დროს თეთრ ცხენზე ამხედრებულს ვიხილავთო, აუცხადდეს. სხვა საკითხია, რამდენად სჭირდება საქართველოს ძველი „კგბ“-ის მენტალიტეტის ადამიანი. ვესაუბრებით **მაყვალა ბერიანიძეს**.



— **უშიშროების მინისტრმა მართლა გამოგიგზავნათ ოფიციალური არასაიდუმლო დოკუმენტი, სადაც საუბარია იგორ გიორგაძის უდანაშაულობაზე?**

— უშიშროების მინისტრისგან მართლაც მივიღე წერილი, მაგრამ დავაზუსტებ, რომ იქ არ არის აღნიშნული — იგორ გიორგაძე დამნაშავეა თუ არ არა, რადგან ეს სასამართლოს განსჯის საგანია... აქვე გეტყვით, რომ პირველად უშიშროების მინისტრს წერილი მე გავუგზავნე. თქვენ იცით, რომ ბოლო წლებში რამდენიმე წიგნი გამოვეცი. ვთვლი, რომ, როდესაც 29 აგვისტოს ტერაქტი მოხდა, იგორ გიორგაძესა და ედუარდ შევარდნაძეს შორის არ იყო ასეთი დაპირისპირება. კომპრომატები და ეჭვი მას შემდეგ უფრო გამიძლიერდა, როდესაც 29 აგვისტოს ტერაქტზე წიგნის დაწერა გადავწყვიტე და დოკუმენტებში ჩავიხედე. ძალიან ბევრი შეუსაბამობა დამხვდა. განსაკუთრებით, ბევრი უზუსტობა იყო სექტემბრის ამბებში, ანუ როდესაც მოხდა თემურ ხაჩიშვილისა და გიგა გელაშვილის აყვანა 2 სექტემბერს. შემდეგ, 17 სექტემბერს აიყვანეს ნიკა კვეზერელი, 18 სექტემბერს კი იყო „ალფას“ უფროსის, გელა პაპუაშვილის აყვანის მცდელობა, მაგრამ ეს არ მოხდა. საბოლოოდ, შსს-ში 22 სექტემბერს იგი მიიყვანეს უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ავთანდილ იოსელიანმა და ანტიტერორისტული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელმა ელდარ გოგოლაძემ. სწორედ ამ დღეს პაპუაშვილის „დამუშავების“ შემდეგ, შეიქმნა ე.წ. პატაკი (2 სექტემბრით დათარიღებული) ავთანდილ იოსელიანის სახელზე, სადაც აღნიშნული იყო, თითქოს მას (პაპუაშვილს) რაციით დაუკავშირდა გიორგაძე ბაზაზე, რის შემდეგაც გამოცხადდა ფალიაშვილის 31-ში, მინისტრის მამის, პანტელეიმონ გიორგაძის ბინაში. ცოტა ხნის შემდეგ ბინაში მივიდნენ გიგა გელაშვილი და თემურ ხაჩიშვილი და თითქოს მათ ისაუბრეს შეიარაღებული აქციის მოწყობაზე ხელისუფლების წინააღმდეგ. მე ვაზუსტებ — იქ არ წერია, ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგო. პატაკში გიორგაძე ამბობს — დამანებე თავი, ეგ არ არის ჩემი საქმეო. პაპუაშვილი აღნიშნავს, ამის შემდეგ ისინი გავიდნენ მეორე ოთახში და რაზე ისაუბრეს, არ ვიციო. როცა მოხდა ტერაქტი, ვიფიქრე, ხომ არ იყო ის საუბარი დაკავშირებული 29 აგვისტოს ტერაქტთან-მეთქი. რა თქმა უნდა, 2 სექტემბრით დათარიღებულ ამ პატაკიდან ბევრი დასკვნის გამოტანა შეიძლება, თუ იფიქრებ, რომ ეს მართლაც ასე იყო. მაგრამ მივყვეთ ქრონოლოგიას: თუ 2 სექტემბერს „ალფას“ ხელმძღვანელმა ავთანდილ იოსელიანის სახელზე დაწერა პატაკი, სადაც, ყველა ორგანიზატორი თავისი ჩათვლით, გაშიფრა, რატომ არ დააპატიმრეს ისიც 2 სექტემბერს და რატომ გაუშვეს 4 სექტემბერს იგორ გიორგაძე ძალიან მშვიდად საქართველოდან? ისე, ცნობისთვის: 2 სექტემბერს იგორ გიორგაძე იყო ქორწილში. მაშინ რა გამოდის, დანაშაულის დაფარვას ჰქონდა ადგილი ავთანდილ იოსელიანის მხრიდან? რა თქმა უნდა, არა. როდესაც ვნახე ეს პატაკი და საბრალდებო დასკვნა, იქ წერია, 20 ივლისის შემდეგ, დღის მეორე ნახევარში, შეიკრიბნენ პანტელეიმონის ბინაში და დაგეგმეს ტერაქტიო.

საბრალდებო დასკვნაში პირდაპირ წერია, რომ უნდა მოეკლათ ედუარდ შევარდნაძე, რადგან მან ჩააბარა აფხაზეთი, სამაჩაბლო, მოკლე ხანში ჩააბარებს სამცხე-ჯავახეთსო... თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დასკვნის საფუძვლები უნდა გქონდეს, რომ იგი საბრალდებო დასკვნაში ჩაწერო. საოცარია, ამ დროს ეს პატაკში არ წერია. ამიტომ გამოჩნდა მის ნამდვილობაზე ეჭვი და იმაზეც, მართლა დაიწერა თუ არა ეს პატაკი 2 სექტემბერს. წლების შემდეგ ჩემთან საუბარში ავთანდილ იოსელიანმა თავადვე დაადასტურა, რომ პატაკი იყო ყალბი და სპეციალურად შექმნილი 22 სექტემბერს. მას ეყო გამბედაობა, ვაჟკაცობა და თქვა, რომ პატაკზე მისი რეზოლუციაა და რომ იგი შეიქმნა შსს-ში, მაშინდელი მინისტრის, შოთა კვირაიას თხოვნით და თარიღიც მის მიერ იყო მითითებული.

— **რა არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ პატაკს გიორგაძის ბრალეულობასთან?**

— მაშინ, ბაბილაშვილი პრესკონფერენციაზე აცხადებდა, რომ ამ პატაკისა და ჩვენებების საფუძველზე იგორ გიორგაძის მიმართ საქმე აღიძრა. რა თქმა უნდა, როდესაც საქმეს კითხულობ, დაინტერესდები — ვინ მისცა გიორგაძის წინააღმდეგ ჩვენებები. გიგა გელაშვილს 27 სექტემბერს აქვს მიცემული არაფრისმთქმელი ჩვენება. ასეთივე არაფრისმთქმელი ჩვენება აქვს მიცემული კვეზერელსაც. ის კი არა, სასამართლომ საერთოდ მოუხსნა მას ტერაქტის ბრალდება. ხოლო ხაჩიშვილს დეკემბერში აქვს ჩვენება მიცემული, ანუ დრო ბრალდებას არანაირად არ ემთხვევა. გარდა ამისა, სხვადასხვა სამსახურის მუშაკები ამბობდნენ, რომ იმ პერიოდში, იგორ გიორგაძე ივლისის მეორე ნახევრიდან საქართველოში არ იმყოფებოდა. ვიცი, რომ გიორგაძის ადვოკატებმა არაერთგზის მიმართეს უშიშროების სამინისტროს, რომ ეს ფაქტი დაედასტურებინათ ან უარეყოთ. უშიშროების სამინისტრო ამ საკითხზე ოფიციალურად დუმდა, თუმცა პირად საუბრებში ამბობდნენ, ამის თაობაზე ცნობას ვერ გავცემთო.

— **რატომ იკავებდნენ თავს, ამ დოკუმენტის გაცემა გიორგაძის უდანაშაულობას ნიშნავდა?**

— ტერაქტის ეპიზოდში — ნიშნავდა. პრაქტიკულად, ეხსნებოდა ბრალდება ტერაქტის დაგეგმვაში. ოფიციალურად გიორგაძეზე 26 სექტემბერს აღიძრა საქმე და გაიცა პატიმრობის სანქცია. გამოცხადდა ძებნა. ეს იმას ნიშნავს, რომ ურყევი მტკიცებულებები უნდა ყოფილიყო.

— **თქვენ ამბობთ, რომ გიორგაძე 20 ივლისს თბილისში არ იმყოფებოდაო, საქართველოშიც რომ არ ყოფილიყო, ბოლოს და ბოლოს, ტელეფონის საშუალებით უბრძანებდა და მორჩა...**

— შეიძლება. შეიძლება აშშ-დანაც დაგეგმო დანაშაული, მაგრამ აქ იურიდიული ნიუანსებია. საქმეში წერია, რომ ის იყო მამის ბინაში, რომ მან კარი გაუღო „ალფას“ უფროსს, ასევე თემურ ხაჩიშვილს და ა.შ. და ეს ყველაფერი იურიდიულ დონეზეა გაფორმებული.

გაგრძელება იხ. გვ. 11

# გათავხედებული ბოშები უდანაშაულო ქალს წიხლებით შესდგნენ



ვიტალი ცუხიშვილი: „საროჩკა“ ციგნებმა შემომახიეს

შაბათს, ვაგზლის ბაზრობაზე ბოშებსა და მყიდველს შორის ჩხუბი ცემა-ტყეპაში გადაიზარდა. ექვსამდე ბოშა უმოწყალოდ ურტყავდა დარეჯან კორსავას. როგორც ჩანს, წაქცეულმა ქალბატონმა გონება დაკარგა. აღშფოთებულმა ხალხმა ბოშების დახლები გადაწვა. ადგილზე მივიდა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პოლიცია და თემურ მღებრიშვილის სპეც. რაზმი. ბოშებმა გაქცევით უშველეს თავს.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსის, დათო ქაცარავას თქმით, დაახლოებით დღის 12 სთ-ზე დარეჯან კორსავამ ყოფილი „ბავშვთა სამყაროს“ მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრე ბოშებისგან ფეხსაცმელი შეიძინა. მაგრამ არ მოეწონა და უკან დაბრუნება უნდოდა, ამის გამო ბოშებმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, მერე კი ცემა დაუწყეს. დარეჯან კორსავას გამოექომაგა ვიტალი ცუხიშვილი (ისიც ამ მიდამოებში ვაჭრობს), ბოშებმა ახლა მას დაუწყეს ცემა. მალე ჩხუბში ცუხიშვილის საჩხერელი ახლობლები ჩაერივნენ და გამწარებულებმა ბოშებს დახლები გადაუწვეს. საქმე ისე გართულდა, რომ ორმა პოლიციელმა ვერაფერი გააწყო. გამოძახების შემდეგ ადგილზე 40 კაცი მივიდა. თუმცა ჩხუბი უკვე დასრულებული იყო.

„კვირის პალიტრა“ ესაუბრა ვიტალი ცუხიშვილს, რომელიც შემთხვევით შეესწრო ბოშებსა და ქალბატონს შორის მომხდარ ინციდენტს.

**ვიტალი ცუხიშვილი:** ბოშების მოპირდაპირე მხარეს ვიდექი. ჩხუბი ატყდა. მივედით მე და ჩემი ახლობელი, ვხედავთ, ქალს ექვსამდე ბიჭი ურტყამს. „მსხვერპლმა“ თვალებზე ხელი აიფარა, ძირს დავარდა, ბოშებმა ახლა წიხლებით დაუწყეს ცემა. ველარ მოვითმინე, მეც დავუშინე მუშტები იმ „ციგანს“. იქვე პოლიციის თანამშრომელი იდგა, ვუთხარი: მოდი



ჩხუბი ხუთი წუთის წინ დამთავრდა

ბიჭო, ხელი მოჰკიდე ამას-მეთქი, მაგრამ გატრიალდა და გაიქცა! ძალიან გავმწარდით, ცეცხლი მოვუკიდეთ ბოშების დახლებს და დავწვით.

— **ბაზრობის ტერიტორიაზე თქვეს, რომ ამ გოგოს ქმარმა გადაწვა დახლებიო?..**

— ეს გოგო ძმასთან ერთად იყო და ალბათ ის ბიჭი ეგონათ. დახლებს რომ ვწვავდით, ბოშა ქალები ამოგვივარდნენ ქვევიდან — რატომ წვავთო! შემოგვიტიეს და გამწარებულებმა მათაც დავუწყეთ ცემა.

— **მიზეზი არ უკითხავთ, რატომ სცემეს უდანაშაულო ქალი?**

— ფეხსაცმელი რომ აიღო გასასინჯად, თურმე პატარა მოუვიდა და უთქვამს — ერთი ზომით დიდი მომეციო. როგორც გავიგე, ამ გოგოს ფული უკვე ჰქონდა მიცემული. აღარც ფულს უბრუნებდნენ და აღარც უცვლიდნენ... მოკლავდნენ, ჩვენ რომ არ მივსულიყავით. გონდაკარგული სასწრაფო დახმარებამ წაიყვანა. სახანძროც მოვიდა, მაგრამ ხანძარი უკვე ჩამქრალი იყო. მაგათ იქ აღარ გავაჩერებთ. ეგენი ისე არიან გათავხედებულები, ხვალ შეიძლება დედაჩემი გალახონ, ზეგ მამიდაჩემი...

— **სხვა დროსაც ყოფილა ასეთი შემთხვევები?**

— კი. ხშირია ასეთი ინციდენტები. გუშინაც ვიღაც ქალი სცემეს. რამდენიმე ხნის წინაც მოხდა ანალოგიური ფაქტი. „ნაგლები“ არიან. არც კაცს ერიდებიან, არც ქალს. თუ დაჯაბნეს, ურტყამენ, არ ზოგავენ, მაგრამ დღეს მეტისმეტი იყო და ამოგვივიდა ყელში. ამიტომაც გადავუწვით დახლები.

*P.S. დიდუბე-ჩუღურეთის კრიმინალური პოლიციის უფროსმა დათო ქაცარავამ „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას განაცხადა, რომ ვიტალი ცუხიშვილი პოლიციაში სიმართლის გასარკვევად და ახსნა-განმარტებისთვის მიიყვანეს და მას არანაირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება, რადგან აღნიშნულ ინციდენტში მის გარდა ხალხის მასაც (200-მდე ადამიანი) მონაწილეობდა, რაც აფექტით იყო განპირობებული.*

**გვერდი მოამზადა მარინა მამისაშვილმა**

# როგორ დაკარგა საქართველომ რვა ტონაზე მეტი ოქრო და 40 ტონა ვერცხლი...

## რატომ ცვლიან მოსკოვში ბოლნისიდან გაგზავნილ ტყვიას ოქროს ზოდებში?!



**იმასაც მედავებიან, რომ დღგ-ის ბარათებიდან ფული მივითვისე. ამის დასტურად, გარდაბნის ნავთობპროდუქტების დირექტორის, გოჩა ანთაძის ჩვენება მოჰყავთ, რომელიც სხვათა შორის, გუბერნატორ ლევან მამალაძის სიძეა. თითქოს ანთაძესთან კაბინეტში მივსულვარ, თან კონიაკი მიმიტანია და დამითვრია. მერე კი ბეჭედი, პასპორტის მონაცემები, ბლანკები და სხვა საბუთები მომიპარავს. თანაც ერთხელ კი არა — ხუთ-ექვსჯერ...**

## თემის გაგრძელება

*„კვირის პალიტრის“ გასული კვირის ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ „ათი კილოგრამი ოქრო დუმილის საფასურად?!“ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. რედაქციაში უამრავი წერილი მოვიდა — ამომწურავ ინფორმაციას ითხოვენ ჩვენ მიერ წამოჭრილ პრობლემატურ თემაზე. ვითვალისწინებთ მკითხველების დაჟინებულ მოთხოვნას და პირობისამებრ გთავაზობთ თემის გაგრძელებას.*

გვესაუბრება შპს „კვარციტის“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მგალობლიშვილი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეჭვმიტანილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების მითვისებასა და გაფლანგვაში.

**გიორგი მგალობლიშვილი:** „ჩემს წინააღმდეგ საქმე გენერალურ პროკურატურაში შეთითხნეს, მაგრამ რატომ და რა მიზნით, ამას მოგვიანებით გიამბობთ... როდესაც „კვარციტის“ აღმასრულებელი დირექტორი მე ვიყავი და მართვის სადავეები ავსტრალიელებს ჰქონდათ ხელთ, ყველაფერი წესისამებრ, კანონიერად კეთდებოდა. დორე (დორე შენადნობი — ოქროს ზოდი, რომელშიც 2-3% ტყვია, სპილენძი და სხვა მინარევებია. ასეთი ზოდი ბაჯაღლოდ არ ჩაითვლება. ზოდი რომ ხალას ოქროდ იქცეს, საჭიროა მინარევების მოცილება, ე. წ. რაფინირება, რასაც ინგლისში აკეთებენ. — ზ. ჩ.) შენადნობების ზოდები ბოლნისის რაიონიდან თბილისის აეროპორტში მიდიოდა, იქიდან კი თვითმფრინავით, პირდაპირი რეისით ლონდონში, იქაურ ოქროს ბირჟაზე სარეალიზაციოდ. რაც მე და ავსტრალიელები გაგვაძევეს „კვარციტიდან“, მას შემდეგ შენადნობების ზოდებს აგზავნიან ჩარტერული რეისით თბილისი-მოსკოვი-ლონდონი. თვითმფრინავის მოსკოვის აეროპორტში დაჯდომა ბევრს აძლევს ხელს, თუ რატომ — ახლავე აგიხსნით. რუსეთის ფედერაციაში უამრავი საბადოა, სადაც ოქრო უკანონოდ მოიპოვება, ანუ მომპოვებლებს არა აქვთ შესაბამისი ლიცენზია და სერტიფიკატი. ამ გზით მოპოვებული ძვირფასი ლითონი ძალზე იაფი ღირს, იგი არ იბეგრება. მუშახელი რუსეთის უღარიბესი რაიონებიდან ჩაჰყავთ შორეულ აღმოსავლეთში და ჩალის ფასად ამუშავებენ. თუმცა რუსეთის ოქროს მაფიის „ნათლიებს“ საქონლის გასაღება უჭირთ — ერთ-ორ კილოგრამს ან თუნდაც, ათ კილოგრამს შავ ბაზარზე მალულად კი გაყიდიან, მაგრამ ტონობით ოქროს შავ ბაზარზე ვერ გაიტან. ვერც საერთაშორისო ბირჟებზე გამოაჩენ, რადგან ულიცენზიოდ მოპოვებულ ოქროზე წარმოშობის სერტიფიკატს არავინ გასცემს. ამის გარეშე კი ლონდონის ოქროს ბირჟის აუქციონზე საქონელს არავინ დაუშვებს. არც ყალბი ხელშეკრულება შველის საქმეს, რადგან ლონდონის ბირჟის ხელმძღვანელები აუცილებლად დაუკავშირდებიან მოსკოვს და სერტიფიკატის ნამდვილობას გადაამოწმებენ. მაფიამ გამოსავალი მაინც იპოვა — კერძოდ, თითქოს საქართველოში მოიპოვეს ორი ტონა ოქრო და იგი იგზავნება ლონდონში, სინამდვილეში კი ყუთებში ტყვიის ზოდებია ჩაწყობილი. მოსკოვში იმ ტყვიის ზოდებს რუსეთის მაფია ნამდვილი ოქროს ზოდებით შეცვლის და ლონდონის აუქციონზე რუსეთში უკანონოდ მოპოვებული და ქართული სერტიფიკატით „ზურგგამაგრებული“ რუსული ოქრო გადის...“

აქ დროებით ვწყვეტთ გიორგი მგალობლიშვილთან ინტერვიუს და საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურის პროკურორის უფროსი თანაშემწის, ლევან ადეიშვილის კომენტარს შემოგთავაზებთ. სწორედ სატრანსპორტო პროკურატურა იძიებდა თბილისის აეროპორტში მომხდარ ინციდენტს (შეგახსენებთ: შპს „კვარციტი“ ჩარტერული რეისით ოქროს ზოდებს ლონდონის აუქციონზე აგზავნიდა და ხის ყუთიდან შემთხვევით, ოქროს ნაცვლად, ტყვიის ზოდი გადმოვარდა. — ზ. ჩ).

**ლევან ადეიშვილი:** „ეს შემთხვევა 2001 წლის დამლევს მოხდა. ოქროს ზოდების ტრანსპორტირების ასეთი მექანიზმი ჰქონდათ: „კვარციტს“ ხელშეკრულება აქვს დადებული „თბილკრედიტბანკთან“, რომლის დაცვის სამსახურის წარმომადგენლები ჩადიან კაზრეთში და ოქროთი დატვირთულ, საგანგებოდ დალუქულ და ბეჭდებდასმულ ყუთებს იბარებენ. „კვარციტის“ წარმომადგენლის თანდასწრებით მათ ბანკში, სეიფში ინახავენ, რათა მეორე დღეს თვითმფრინავით გაიგზავნოს. ჩვენს შემთხვევაშიც ასე მოხდა. ოთხი ყუთი მიიტანეს აეროპორტში (თითქოს 78 კილოგრამამდე ოქროთი სავსე), მაგრამ თვითმფრინავში ჩატვირთვის დროს მუშებს ერთი ყუთი შემთხვევით დაუზიანდათ. გამსკდარი ყუთიდან ტყვიის ზოდი გადმოვარდა. „კვარციტის“ მენეჯერმა განგაში გამოაცხადა. შემოწმდა სხვა ყუთების შიგთავსი — კიდევ ერთშიც ტყვიის ზოდები აღმოჩნდა. გამოძიების პროცესში მოწვეულმა ექსპერტმა დაადგინა, რომ დალუქული ყუთების მთლიანობა დარღვეული იყო. ისინი „კვარციტიდან“ წამოღების შემდეგ ვიღაცას გაეხსნა. სეიფის გახსნა და ოქროს ზოდების შეცვლა (მანქანის აკუმულატორიდან ამოღებული ტყვიის ნაწილების გადადნობით ჩამოსხმული ზოდებით) მხოლოდ „თბილკრედიტბანკის“ დაცვის უფროსის მოადგილეს შეეძლო, მხოლოდ მას ჰქონდა ბანკის სეიფის გასაღები და იცოდა კოდი. ამიტომ გამოძიებამ ამ პირზე მიიტანა ეჭვი. თუმცა ეჭვმიტანილი დანაშაულს არ აღიარებს და ვერც დაკარგული ოქროს ზოდების პოვნა მოვახერხეთ. მათი საერთო ღირებულება 177 ათასი დოლარია. ამჟამად საქმე რაიონულ სასამართლოშია და მალე ეჭვმიტანილს განაჩენს გამოუტანენ“...

საინტერესოა ეჭვმიტანილის ადვოკატის, **რუსუდან ძორჩილავას** კომენტარი:

— თითქმის ორი წელია, რაც ამ საქმეში ვარ ჩართული და ქართული ოქროსა და ვერცხლის მოპოვების, წარმოებისა და რეალიზაციის საკითხები ზედმიწევნით მაქვს შესწავლილი. ვერ წარმოიდგენთ, რა მასშტაბის აფერები და რა თანხების მითვისება ხდება არა მარტო „კვარციტში“, არამედ „მადნეულშიც“. „თბილკრედიტბანკის“ ინკასაციისა და დაცვის უფროსის მოადგილე, მალხაზ კიზირია, რომელსაც სატრანსპორტო პოლიციამ და პროკურატურამ საქმე შეუთითხნეს, სრულიად უდანაშაულოა. დარწმუნებული ვარ, სასამართლო მას გაამართლებს, მაგრამ მე — როგორც საქართველოს მოქალაქეს — საქართველოს წიაღისეულის დატაცება და ერთეულების მიერ მილიონობით დოლარის მითვისება უფრო მაღელვებს. მალხაზ კიზირია კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან ბრძოლას შეეწირა. იგი ვერც გაბედავდა ოქროს ზოდების ტყვიით შეცვლას. ყველამ კარგად იცის (ეს სასამართლო პროცესზეც დავამტკიცე), რომ ოქრო „თბილკრედიტბანკის“ საცავში კი არა, „კვარციტში“, ხელმძღვანელი პირების მითითებით შეიცვალა. ადრე ავსტრალიელები ფრანკფურტში ჩალიჩობდნენ, მაშინ „ოქრო“ თბილისი-ფრანკფურტი-ლონდონის რეისით მიჰქონდათ. ახლა, ქართველების მმართველობის დროს, ფრანკფურტს მოსკოვი ჩაენაცვლა, მაგრამ აქ საეჭვო კიდევ ერთი მომენტია: რად უნდა თბილისიდან გაგზავნილ ოქროს ლონდონამდე ტრანსპორტირებას 25 დღე? ურმით მიაქვთ თუ თვითმფრინავით?! ალბათ, ამდენი დრო ტყვიის ზოდების ოქროთი შეცვლას სჭირდება. ორი წლის წინანდელი აეროპორტის ინციდენტი კარგად მოფიქრებული ოპერაცია იყო, — აუცილებლად უნდა დაფიქსირებულიყო დანაშაული, რითაც რამდენიმე კურდღლის დაჭერა იყო დაგეგმილი.

— **ვის მიერ და რატომ?**

— „კვარციტის“ ყოფილ ხელმძღვანელობას „თბილკრედიტბანკთან“ (სწორედ იმ დროს მუშაობდა იქ პიტერ შოუ) დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ბანკს უნდა უზრუნველეყო კაზრეთიდან ოქროს ჩამოტანა, შენახვა და საზღვარგარეთ გაგზავნა. ბანკის ერთ-ერთ დამფუძნებელს, პრეზიდენტის ნათესავს, გურამ ახვლედიანს კონფლიქტი მოუვიდა ბანკის სხვა დამფუძნებელთან და თავისი აქტივები ბანკიდან გაიტანა. ამასთან, მან, როგორც „კვარციტის“ ერთ-ერთმა ლობისტმა, გადაწყვიტა „თბილკრედიტბანკის“ თამაშიდან გამოთიშვა. სავარაუდოდ, მომხდარის შესახებ პოლიციას აეროპორტში მყოფმა „კვარციტის“ კომერციულმა მენეჯერმა, გიორგი ყოჩიაშვილმა კი არა, ნიკა ვადაჭკორიამ, გურამ ახვლედიანის სიძემ აცნობა. პოლიციამ საგამოძიებო პროცესი აეროპორტში რატომღაც ხუთი საათით გვიან დაიწყო. სხვათა შორის, სწორედ გიორგი ყოჩიაშვილს აღმოუჩინა გამოძიებამ შინ ყალიბები, რომლებშიც ოქროს შემცველი დორე შენადნობების ზოდები ისხმებოდა. იმავე ყოჩიაშვილმა შეამოწმა ბანკიდან გატანამდე ყველა ყუთი — ლუქების მთლიანობა დარღვეული არ იყო. აეროპორტში დადგმულმა „სპექტაკლმა“ დაინტერესებული მხარე იმით ახეირა, რომ „თბილკრედიტბანკთან“ ხელშეკრულება ვადაზე ადრე გაუქმდა და ბანკმა კომპენსაციაც კი ვერ მოითხოვა. „კვარციტში“ სამსახურიდან დაითხოვეს ის პირები, რომლებიც ახალ ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევდა... ისე, არც გიორგი მგალობლიშვილი და მისი ავსტრალიელები არიან ანგელოზები. ისინიც გვარიანად ძარცვავდნენ საქართველოს... ახლა კი ქართველები ვძარცვავთ ჩვენივე თავს.

— **გაუგებარია, რატომ გაათავისუფლეს გიორგი მგალობლიშვილი?**

— იმიტომ, რომ წილს არ აძლევდა საჭირო ხალხს, უპირველესად კი ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს. მისი „მუშაობით“ უკმაყოფილონი იყვნენ ზურაბ ლობჟანიძეც (იმ დროს „აზოტის“ გენერალური დირექტორი) და სხვებიც... კიზირიას საქმე შეთითხნეს და ვინც ამაში მონაწილეობდა, ყველა გამომძიებელი და პროკურორი დააწინაურეს. ჩემი ვარაუდით, მათი ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი „კვარციტის“ ახალმა ხელმძღვანელობამ კარგა ხანია, რაც „მოაგვარა“. შემიძლია სხვადასხვა ოფიციალური საბუთი წარმოგიდგინოთ, რომლებითაც დასტურდება ქართული წარმოშობის ოქროსა და ვერცხლის უკანონოდ გადინების ფაქტები. ამასთან, „მადნეულიდან“, ოქროსა და ვერცხლის გარდა, უფრო ძვირად ღირებული წიაღისეულიც გაედინება, მაგრამ ამაზე ხმას არავინ იღებს. დღესაც არაფერი შეცვლილა „კვარციტის“ ბუღალტერიაში — ისეთი დომხალია, კაცი ვერაფერს გაიგებს. ასეა, მღვრიე წყალში თევზი იოლად მოჰყვება ბადეს. მეტიც, ზურაბ ლობჟანიძე ცდილობს „მადნეული“ ერთიანად გააკოტროს — ეს რუსული კომპანიის, „გლენკორის“ სასარგებლოდ კეთდება (ქალბატონი რუსუდანის თქმით, მას უახლოეს მომავალში ექნება ხელთ ამის დამამტკიცებელი საბუთები და ჩვენც მასთან ინტერვიუს შემდეგ გავაგრძელებთ. — ზ. ჩ.)...

*ახლა კი ისევ* **გიორგი მგალობლიშვილთან** *ინტერვიუს დავუბრუნდეთ:*

— **როგორც ვიცი, კაზრეთის საბადოში „კვარციტის“ გარდა, ოქროს „მადნეულიც“ მოიპოვებს.**

— დიახ... „მადნეული“ კაზრეთის საბადოზე, ძირითადად, სპილენძს მოიპოვებს. სპილენძი მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შეიცავს ოქროს. დოკუმენტაციის თანახმად, ლონდონის ბირჟაზე ოქრო „მადნეულსაც“ გააქვს გასაყიდად, მაგრამ მათი ძვირფასი ლითონი აუქციონზე რატომღაც მხოლოდ მაშინ იყიდება, როცა ოქროს ბირჟაზე ყველაზე დაბალი ფასებია. ამ მაქინაციით წელიწადში მინიმუმ 900 ათასი დოლარი ვიღაც-ვიღაცების ჯიბეში მიდის. ჩვენ, ავსტრალიელები(?!), როცა „კვარციტს“ ვხელმძღვანელობდით, ლონდონის ბირჟაზე ოქროს სწრაფად ვყიდდით, „მადნეულმა“ კი ბირჟასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ოქრო რატომღაც ხუთი თვის განმავლობაში უნდა გაყიდოს. ამ გზით რამდენიმე წლის განმავლობაში ათ მილიონზე მეტი დოლარი მიითვისეს.

— **რატომ და ვისი დავალებით შეგითითხნეს, როგორც თქვენ ამტკიცებთ, გენერალურ პროკურატურაში საქმე?**

— ყველაფერი გასაგები რომ იყოს, თავიდან დავიწყებ. 1975 წლიდან 1992 წლამდე, ანუ მთელი 17 წლის განმავლობაში, მადნეულის საბადოს მეორადი კვარციტების მადანი „მადნეულის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ინახებოდა, ან როგორც საშენი მასალა, საავტომობილო გზებისათვის გამოიყენებოდა, ანდა სომხეთის ფერადი მეტალურგიის საწარმოებში მიდიოდა. ასე დაიკარგა სამუდამოდ 12 მილიონ ტონამდე კვარციტის მადანი, ანუ 8 ტონაზე მეტი ოქრო და 40 ტონა ვერცხლი. ეს იმდროინდელი ფასებით (ერთი გრამი ოქრო დაახლოებით 16 დოლარი, ერთი გრამი ვერცხლი კი 1,40 დოლარი ღირდა) 180 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. 1992 წლიდან ავსტრალიელი სპეციალისტებისა და ადგილობრივ ენთუზიასტთა ერთი ჯგუფის ჩარევის შემდეგ, შეწყდა წიაღისეულის დატაცება-განიავება. ავსტრალიელებთან ერთად შევიმუშავეთ პროექტი საქართველოში მეორადი კვარციტების გადამუშავებით ოქროს მისაღებად. დავამყარეთ კავშირი უცხოელ ინვესტორებთან. როგორც იქნა, ავაშენეთ ქარხანა და დავიწყეთ მუშაობა, მაგრამ „კვარციტის“ გაკონტროლება და შემდგომ მისი ხელში ჩაგდება მოინდომეს ზოგიერთებმა. ამას თან დაერთო ისიც, რომ ჩვენმა პარტნიორმა, მსოფლიო ქიმიური მრეწველობის ლიდერმა, ინგლისურმა ფირმამ „სარასკენ ქიმიკალმა“ „აზოტის“ პრივატიზება გადაწყვიტა. იხდიდნენ 1 მილიონ დოლარს, ხოლო 260 მილიონს ინვესტიციის სახით დააბანდებდნენ. დაგეგმილი იყო 40 მილიონი დოლარის ჩადება საქართველოს სამთო მრეწველობაშიც. ეს მართლაც მომგებიანი საქმე მავანთა დაინტერესებით ჩაიშალა. კერძოდ, მაშინდელმა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრმა „აზოტის“ გასხვისების ტენდერში გაამარჯვებინა რუსულ კომპანიას „ალსო თრეიდს“, რომელიც სულ ორიოდ თვის დაარსებული იყო. მან „აზოტი“ 10 ათას დოლარად შეიძინა და მხოლოდ 3 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის ჩადებას აპირებდა საწარმოში. სწორედ მე და „კვარციტის“ დამფუძნებელმა ავსტრალიელებმა შევძელით ამ აფერის პრეზიდენტის ყურამდე მიტანა და მან ტენდერის შედეგი გააუქმა. იმ პერიოდში „აზოტის“ ხელმძღვანელი ზურაბ ლობჟანიძე იყო. მან და ზოგიერთმა ჩინოვნიკმა „ალსო თრეიდის“ საქმის გახმაურება და ჩაშლა არ გვაპატიეს. დაიწყეს „კვარციტის“ ხელმძღვანელების წინააღმდეგ ბრძოლა. ავსტრალიელები მაინც უცხოელები იყვნენ და შეთითხნილი კომპრომატებით იოლად ვერ შეაშინებდნენ, მაგრამ მე ხომ ქართველი ვიყავი და საქმეში პროკურატურა ჩართეს — ასე შედგა სისხლის სამართლის საქმე. დამაბრალეს, თითქოს ციანმარილებს ჩემი ძმისა და დედის ფირმის მეშვეობით ვყიდულობდი, ხოლო შირმად კი მსოფლიოში უმდიდრეს ფირმას, „სარასკენ ქიმიკალს“ ვიყენებდი. იმ დროს, როცა გენერალური პროკურორი აცხადებდა ტელევიზიით, პროკურატურას წერილების გასაგზავნად საფოსტო მარკების ფული არ აქვსო, როგორ მოახერხეს ორი გამომძიებლის მსოფლიოში ერთ-ერთ უძვირეს ქალაქ ლონდონში მივლინება, 45 დღით ფეშენებელურ სასტუმროში მათი დაბინავება და საგამოძიებო მოკვლევის ჩატარება. ვინ აფინანსებდა მათ?

— **იქნებ თქვენ გვითხრათ?**

— ის, ვინც დაინტერესებული იყო „კვარციტიდან“ ავსტრალიელებისა და ჩემი გაძევებით — ბატონი ზურაბ ლობჟანიძე. მისთვის უცხო ხილი არ არის უცხოელი ინვესტორების გადაგდებ-გადმოგდება. ამასთან, ლობჟანიძე ქიმიურ მრეწველობაში დილეტანტია — მას მხოლოდ საწარმოების გაკოტრება ეხერხება. ყველამ იცის, რომ მან თავისი მმართველობის პერიოდში საბოლოოდ დაასამარა საქართველოს ქიმიური მრეწველობის წამყვანი საწარმო „აზოტი“ და 72 მილიონი აშშ დოლარი ვალი აჰკიდა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მას შემდეგ, რაც ლობჟანიძე „მადნეულისა“ და „კვარციტის“ დირექტორთა საბჭოს ჩაუდგა სათავეში, საქართველო სასწაულებრივ გადაურჩა ეკოლოგიურ კატასტროფას.

— **თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად...**

— ლობჟანიძემ გაწყვიტა ხელშეკრულება კომპანია „ჯლმ“-თან, რომლის მეშვეობითაც „აზოტში“ კაუსტიკური სოდა შედიოდა. ჩვენ „აზოტისგან“ ვიღებდით ციანმარილებს. ხელშეკრულების გაუქმების გამო გაჩერდა „აზოტიც“, რომელიც მანამდე უწყვეტი ციკლით მუშაობდა. „ჯლმ“-ი შეცვალეს თურქულმა, კორეულმა და სხვა უცხოურმა ფირმებმა, რომლებიც დღეს ერთ ტონა ციანმარილებს „კვარციტს“ 1.400 დოლარად აწვდიან. სწორედ ამას მედავება გენერალური პროკურატურის გამომძიებელი, — ფასი ხელოვნურად იყო გაზრდილიო. დავუშვათ, მე და „ჯლმ“-ი მართლაც ხელოვნურად ვზრდიდით ციანმარილების ფასს, მაგრამ იმავეს არ აკეთებს „კვარციტის“ დღევანდელი ხელმძღვანელობა, როცა იგი დოკუმენტაციაში აფიქსირებს, რომ ციანმარილებს, ტონას 1.400 დოლარად, ცხრა მთას იქით, კერძოდ, კორეაში ყიდულობს? ამასთან, წინასწარ იხდიან ღირებულებას, ყოველგვარი დამატებითი შეღავათისა და განვადების გარეშე. სამხრეთ კორეიდან ნედლეულის ტრანსპორტირებას საქართველომდე 60 დღეზე მეტი სჭირდება. რამდენად მომგებიანია „კვარციტისათვის“ კორეიდან მოწოდებული ნედლეული? პროკურატურას შეუძლია საქმე აღძრას „კვარციტის“ ახლანდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგაც, რომ ისინი 1.400 დოლარად ყიდულობენ ციანმარილებს, თანაც შუამავალი ფირმის მეშვეობით. მაგრამ ვერაფერს გახდებიან, რადგან მსოფლიო ბაზარზე ერთი ტონა ციანმარილების ფასი 1.400 დოლარია. ამ საქმეში მხოლოდ მე აღმოვჩნდი დაბალი ღობე.

— **ლობჟანიძე ვერ მოგერეოდათ, ხელისუფლებაში მხარდამჭერი რომ არ ჰყოლოდა?!**

— ალბათ... ბატონი ზურაბი „კვარციტის“ პარტნიორთა სახელით დღესაც აგზავნის წერილებს პროკურატურაში გამოძიების შეცდომაში შეყვანისა და ჩემი დისკრედიტაციის მიზნით... იმასაც მედავებიან, რომ დღგ-ის ბარათებიდან ფული მივითვისე. ამის დასტურად, გარდაბნის ნავთობპროდუქტების დირექტორის, გოჩა ანთაძის ჩვენება მოჰყავთ, რომელიც სხვათა შორის, გუბერნატორ ლევან მამალაძის სიძეა. თითქოს ანთაძესთან კაბინეტში მივსულვარ, თან კონიაკი მიმიტანია და დამითვრია. მერე კი ბეჭედი, პასპორტის მონაცემები, ბლანკები და სხვა საბუთები მომიპარავს. თანაც ერთხელ კი არა — ხუთ-ექვსჯერ...

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

CMYK

# მონარქისტები კი არა, ნაციონალების „ბოევიკები“ მოგვიცვივდნენ

## არეულ-დარეულობაში ერთმანეთი დაჭრეს...

*პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო სტრესებმა უკვე იჩინა თავი. ცეცხლს თივაში რას დამალავ და პოლიტიკური ვნებები უკვე ქუჩაში იღვრება. პოლიტიკოსები საერთოდ ემოციური ხალხია, ჯანსაღი ოპონირება და არგუმენტირებული სიტყვა-პასუხი „ჩვენი დროის გმირების“ იარაღად ჯერ კიდევ ვერ იქცა და ამიტომაც ხშირად მუშტი წყვეტდა და წყვეტს ბევრ რამეს. ძალა მორევაზეაო და პოლიტიკური ბრძოლის არსენალში ადგილს მეტისმეტად ორიგინალური საბრძოლო იარაღი იმკვიდრებს — ლურსმნისწვერებიანი ქართული დროშები(?!).*

*სანამ ნაცემი ლეიბორისტები იარებს იშუშებენ, მათ ლიდერთან,* ***შალვა ნათელაშვილთან*** *ვისაუბრეთ:*

**— ლეიბორისტებისა და მონარქისტების დაპირისპირებაზე აქამდე არაფერი გვსმენია და ახლა რა მოხდა?**

— მონარქისტები კი არა, ნაციონალური მოძრაობის „ბოევიკები“ მოგვიცვივდნენ, რომელთაც ცხვარიჭამიისა და სხვა სპორტულ ბანაკებში ამზადებენ. ისინი შეიარაღებული იყვნენ ცეცხლსასროლი და ისეთი ცივი იარაღით, შუა საუკუნეების მეომრებსაც რომ განაცვიფრებდა — ჯოხებზე წამოცმული სტრაფირის დაჟანგული ლურსმნებით (ალბათ იფიქრეს, თუ ვინმე ცოცხალი გადარჩა, მერე ინფექცია მაინც მოუღებს ბოლოსო). თავდამსხმელებმა შტურმი პარტიის ოფისზე განახორციელეს. ყოველივე ამას წინ უძღოდა „ნაციონალების“ აქცია ისევ ჩვენი პარტიის ოფისთან. ორი კვირის წინ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია. ვიფიქრეთ, იცელქებენ და დაგვანებებენ თავს-თქო. მაშინ ამერიკელი სტუმრები მყავდა და მათაც ვუთხარი, — ხედავთ, ოპოზიციური პარტია აქციას უმართავს ასევე ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკურ ძალას-მეთქი...



**— კი მაგრამ, რაში უნდა დასჭირვებოდათ „ნაციონალებს“ ასეთი რამის გაკეთება?**

— ნაციონალურმა მოძრაობამ დაფინანსების წყარო დაკარგა. „თელასი“ მათ ჩვენი ტარიფიდან ყოველთვიურად აფინანსებდა. ბუნებრივია, „ეი-ი-ეს“-ის საქართველოდან წასვლა წინასაარჩევნო დიდი დარტყმა იყო.

„თელასმა“ თავისი აქციები რუსულ კომპანიას მიჰყიდა, მაგრამ რუსეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც ყველამ იცის, რომ ჩუბაისი ამერიკელების კაცია. ამას ისიც დაერთო, რომ ამ ზაფხულს სააკაშვილი მოსკოვში საიდუმლოდ შეხვდა პუტინის ადმინისტრაციის მეთაურს, ვოლოშინსა და იგორ გიორგაძეს. ეტყობა, „ნაციონალების“, რუსეთის ადმინისტრაციის, „რაო ეეს როსიის“ და იგორ გიორგაძის ინტერესები ჩვენს წინააღმდეგ ერთმანეთს გადაეჯაჭვა. რაკი მიხვდნენ, არსაიდან არ ვიმართებით, ერთადერთი გზა დარჩათ — პარტიის ხელმძღვანელობის ლიკვიდაცია. ცდილობენ, ეს საქმე სექტემბრამდე მოითავონ, სანამ ქალაქი ხალხისგანაა დაცლილი, და მერე ალბათ პირველები მოვლენ სამძიმარზე და ძალადობასაც სასტიკად დაგმობენ.

სინამდვილეში, „ნაციონალებს“ ჩემთან შემოჭრა სურდათ, თორემ თუ ინჯიასთან ჰქონდათ რაიმე გასარკვევი, პარლამენტში მიაკითხავდნენ. ინჯია მხოლოდ საბაბი იყო. როდესაც შენობაში შემოიჭრნენ და ფანჯრების მინების მსხვრევა დაიწყეს, ამ დროს ოფისში ათიოდე კაცი იყო, აქედან ხუთი ქალი. თუმცა ჩვენები არ დაიბნენ. ყველაზე მამაცურად ჩვენი პარტიის პლეხანოვის ზონის უფროსი, ქურთი ქალბატონი ხანუმა იბრძოდა, — ორი ჯოხი წაართვა მომხდურებს და შეტევაზეც გადავიდა... მძიმე მდგომარეობაში არიან ჩემი დაცვის წევრი და პარტიის იურისტი, პარტიის ათი წევრი ჰოსპიტალიზებულია. კინაღამ დახოცეს ხალხი.

**— მაინც ბუნდოვანია აქციის მიზეზი... რისთვის სჭირდება, როგორც თქვენ ამბობთ, სააკაშვილს ასეთი შეხლა-შემოხლა არჩევნების წინ.**

— ამ ტერორისტულ აქტს ორი მიზანი ჰქონდა — ჩვენი ფიზიკური ლიკვიდაცია და არეულობისა და დესტაბილიზაციის გამოწვევით არჩევნების გადადება. ეტყობა, ეს გეგმა რუსეთის სპეცსამსახურებმა მიაწოდეს სააკაშვილს, რომელთანაც მას ახლო კავშირი აქვს. მისი დედის ძმა, ალასანია, რუსეთის სპეცსამსახურების გენერალია. ის გაეროში რუსეთის წარმომადგენლად მუშაობდა და სწორედ მან წაიყვანა სააკაშვილი ამერიკაში. რაკი შევარდნაძემ, სააკაშვილმა და ჟვანიამ მომავალ პარლამენტში ადგილები ვერ გაიყვეს, ხელისუფლების გადაბარებაზე მოსალაპარაკებლად არჩევნების გადადება გახდა საჭირო. თუკი ჩვენზე თავდასხმის შემდეგ ვილაც მოკვდებოდა, ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა. თბილისში 100 ათასი მხარდამჭერი მყავს, მათგან 20 ათასი ხომ მაინც მიუცვივდებოდა „ნაციონალებს“. ამასობაში „ნაციონალები“ და მათი მხარდამჭერებიც ხომ არ იქნებოდნენ გულხელდაკრეფილები? ქალაქში სისხლის ღვრა დაიწყებოდა და ამას კონსტიტუციის საფუძველზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მოჰყვებოდა. საბოლოოდ კი ყველაფერი არჩევნების გადადებით დასრულდებოდა.

**— ითქვა, ლეიბორისტებმაც გამოიყენეს იარაღიო. ფაქტია, რომ თქვენი მოწინააღმდეგეები დაჭრილები არიან.**

— ვიცოდით, რომ „ნაციონალები“ ჩვენს ოფისთან აპირებდნენ მოსვლას და ჩემს პირად დაცვას (რომლებიც პოლიციის თანამშრომლები არიან) წინასწარ ჩამოვართვი იარაღი. შენობის დაცვაც გავაფრთხილე, იარაღისკენ არ გაგექცეთ თვალი-მეთქი. მათ თვითონვე ვადევნებდი თვალყურს და არა მგონია, ჩვენს დამლაგებელ იულიას გაეხსნას მათთვის ცეცხლი. ისე, რომც გამოეყენებინათ ჩვენებს იარაღი, არავინ გაამტყუნებდა. როდესაც თავს გესხმიან და თავს იცავ, იურიდიულად მართალი ხარ. იარაღი თვითონ მომხვდურებს ჰქონდათ და არეულ-დარეულობაში ერთმანეთი დაჭრეს. რას ვერჩი იმ საცოდავებს... საწყალი დაქირავებული ხალხია, რომელიც ავანტიურაში ჩაათრიეს...

**— ამ აქციაში მონარქისტებს გამორიცხავთ?**

— ფაქტობრივად, ეს პარტია არ არსებობს, მხოლოდ ქაღალდზეა რეგისტრირებული. მონარქისტულ პარტიას ჰყავს ფორმალური თავმჯდომარე, საწყალი, ავადმყოფი მრავალშვილიანი კაცი, რომელსაც თავისი უბედურება ჰყოფნის და მკურნალობა სჭირდება. თემურ ჟორჟოლიანს არაერთხელ დავხმარებივარ და სამაგიეროდ ასე გადამიხადა... ის თუ მონარქისტია, მე არც ბაგრატიონი ვარ, არც ბაგრატუნი, მეფედ კურთხევაში ვეცილებოდე, ჩემთან რას მოდის?! ან კიდევ თუ ფრიდონ ინჯია რიგით მეხუთე წურბელა იყო და მის წინ ზოდელავა, ჩხაიძე, სააკაშვილი და რჩეულიშვილი იყვნენ, ჩვენს ოფისში, მეხუთესთან რატომ მოცვივდნენ, პირველიდან რატომ არ დაიწყეს?! ამიტომ ვამბობ, რომ მონარქისტები აქ არაფერ შუაში არიან. ვერ ნახეთ, ვის დროშებს აფრიალებდა ეს ხალხი?!

**— აქციაზე „ნაციონალების“ დროშების ფრიალის გარდა, კიდევ რით დაამტკიცებთ, რომ თავს სააკაშვილის ხალხი დაგესხათ?**

— ის კაცი, რომელიც ახლა დაჭრილი წევს საავადმყოფოში, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია. საავადმყოფოშიც მათვე წაიყვანეს და ახლა ევედრებიან, ოღონდ არ თქვა, ჩვენი მოძრაობის წევრი რომ ხარ და რაც გინდა, იმას მოგცემთო.

ან კიდევ, რა ჩემი კონკურენტია მონარქისტული პარტია?! მონარქისტების მიმართ სიყვარულის მეტი არაფერი მაქვს. ჩემი კონკურენტები შევარდნაძე და სააკაშვილი არიან, რომელთაც უნდათ „შევარდნაძიზმი“ სამუდამო მოვლენად აქციონ საქართველოში. წავა ძველი შევარდნაძე და მოვა ახალი, უფრო სასტიკი და გაბოროტებული.

**— დაპატიმრებულთა ახლობლები ამბობდნენ, სასამართლო ნათელაშვილმა მოისყიდაო.**

— ჩვენ არც სარჩელი შეგვიტანია სადმე და არც ვინმეს დასჯა მოგვითხოვია. ვიცოდით, სასამართლო მაინც არ იქნებოდა ობიექტური, არ ალიარებდა, ეს ამბავი სააკაშვილის მოწყობილიაო. ბადრი ბიწაძე პროკურატურაში ხომ იმისათვის ზის, რომ სააკაშვილს არაფერი დაუშავდეს.

**— იმას მაინც ვერ იტყვით, სააკაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს დიდი სიამტკბილობა აქვთო.**

— შესაძლებელია ერთმანეთს პოლიტიკურად ვერც იტანდნენ, მაგრამ საერთო ინტერესები აქვთ და ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან.

**— მომხდურები თქვენი მისამართით რას გაიძახოდნენ?**

— ჩემს კაბინეტში მხოლოდ ჭახაჭუხი და ხმალაობის ხმა ისმოდა... საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა, ხულიგნობა უმოტივო ქცევაა და ეს ხალხი კი აქ პოლიტიკურ მოტივთა მთელმა კომპლექსმა მოიყვანა. უბრალოდ, მონარქისტებს ფული გადაუხადეს და დანაშაული საკუთარ თავზე აღებინეს.

**— პირადად მე არცთუ სარწმუნოდ მეჩვენება სააკაშვილისა და იგორ გიორგაძის საიდუმლო შეხვედრის ამბავი.**

— სააკაშვილისაგან განსხვავებით, არასარწმუნო წყაროს მოწოდებულ ინფორმაციას პრესას არ მივაწვდი.

**— მიგაჩნიათ, თუ არა, რომ საქართველოს საგარეო ვექტორი საბოლოოდ ჩრდილოეთისკენ შებრუნდა?**

— ორიენტაციის შეცვლა ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. მსოფლიო გეოპოლიტიკა მკაცრი კანონებით მოქმედებს და ის რასაც გიკარნახებს, ისე მოიქცევი. მსოფლიო ჰეგემონი ამერიკაა და მის ინტერესებს ისევე გავუწევთ ანგარიშს, როგორც მთელი მსოფლიო უწევს. უბრალოდ, ამერიკელებმა შევარდნაძეს უთხრეს, — ვადას აღარ გაგიგრძელებთ, 2005 წლის შემდეგ უნდა წახვიდეო. რუსებმა კი ეს არ თქვეს. მათ 300-წლიანი „მონგოლური დიპლომატია“ აქვთ და გაცილებით ჭკვიანები არიან. გაჩუმდნენ და აგრძნობინეს, — თუ ჭკვიანად იქნები, დაგეხმარებით ვადის გაგრძელებაშიო. შევარდნაძემ ამიტომ შემოიყვანა აქ რუსები.

**ჩვენები არ დაიბნენ. ყველაზე მამაცურად ჩვენი პარტიის პლეხანოვის ზონის უფროსი, ქურთი ქალბატონი ხანუმა იბრძოდა, — ორი ჯოხი წაართვა მომხდურებს და შეტევაზეც გადავიდა...**

**— ბეიკერის მოტყუებას ვერ გაბედავდა შევარდნაძე.**

— შევარდნაძემ ბეიკერი კი არა, მთელი საბჭოთა კავშირი „გადააგდო“... ეს ხომ ჩვეული საქმეა მისთვის... რუსებს „თელასი“ ნაკლებად აინტერესებთ. მათ „ეი-ი-ეს“-ის კუთვნილი „ტრანსენერჯის“ ხელში ჩაგდება უნდოდათ, რომლითაც დენს თურქეთში, იორდანიასა და მთელ ახლო აღმოსავლეთის ბაზარზე გაიტანდნენ. ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი შემოსავლის წყარო გადასცა თავის დროზე ამერიკელებს და ახლა კი — რუსებს.

**— ლეიბორისტები ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობაზე საპატრიარქოს წარმომადგენლის დანიშვნას ითხოვდით. ეს მოთხოვნა ისევ ძალაშია?**

— ეუთოს წარმოდგენილმა კანდიდატმა ფილტრაცია წმინდა სინოდში უნდა გაიაროს, საპატრიარქომ უნდა მისცეს მას რეკომენდაცია. მოსახლეობის 84% საპატრიარქოს ენდობა და ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას არ მოსწონს ეკლესიის როლის გაძლიერება. ამის გამო მისწერეს წერილი პატრიარქს. საქართველოს გამაერთიანებელი ერთადერთი ძალა ეკლესიაა, ამიტომ საპატრიარქოსა და პატრიარქისთვის წერილის მიწერა, ჭკუის სწავლება და დებატებში ჩათრევის მცდელობა უდიდესი მკრეხელობაა.

***იზო რიკაძე***

# „ყველაზე კორუმპირებული ადამიანები შევარდნაძის გარემოცვას წარმოადგენენ“

## „დაუშვებლად მიმაჩნია ქვეყნის სულიერ წინამძღოლთან ღია წერილებით საუბარი“



სუსტთავა ხელისუფლებას საკუთარი ჭკუით ქვეყნის მართვა არც ახლა შეუძლია და არც აქამდე შეეძლო. მიზეზი მარტივია — საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული და უკვე სისხლში გამჯდარი ქვეშევრდომული მენტალიტეტი. იქნებ ახლა მაინც აიღოს ჩვენმა ხელისუფლებამ ხელი ვინმესთვის თვალებში ყურებაზე, თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ თვალებში მოციცინე კაცი პატივისცემას ნაკლებად იმსახურებს.

დიახ, საქართველოში რუსული კაპიტალი მოდის. აქ დემოკრატიასა და სტაბილურობას შორის არ არის არჩევანი გაკეთებული, რადგან შევარდნაძის დემოკრატობა ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, საეჭვო ხდება და მას ვერც სტაბილურობის გარანტად მივიჩნევთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პრეზიდენტი ხშირად საკუთარ გარემოცვასაც ვეღარ აკონტროლებს. არადა, დასავლეთი მისგან სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ითხოვს...

დღეს, როდესაც ყველა მოთამაშე ამერიკაში დადის, შევარდნაძე რუსეთისკენ იცქირება, რატომ? შევარდნაძის ამ საქციელის ახსნა „გაერთიანებული დემოკრატების“ ლიდერს, ერთ დროს პრეზიდენტის ყველაზე საიმედო დასაყრდენს, **ზურაბ ჟვანიას** ვთხოვეთ, რომელიც ისე ემშვიდობება შევარდნაძეს, როგორც იოსებ გრიშაშვილი ძველ თბილისს.

**— გასულ კვირას პრეზიდენტს გამოემშვიდობეთ. ეს სიმბოლური ჟესტი რისი მიმანიშნებელი იყო და რით იყო განპირობებული?**

— როდესაც პრეზიდენტის გვერდით, მის გუნდში ვიყავი, ვხედავდი მის წარმატებებსაც და იმასაც, რომ ბევრ უმნიშვნელოვანეს საკითხში მცდარი შეხედულება ჰქონდა. ბოლოს, ამის გამო წამოვედი კიდეც ხელისუფლებიდან. როდესაც გადადგომის შემდეგ ოპოზიციაში აღმოვჩნდი, ვაკრიტიკებდი პრეზიდენტს, მაგრამ მხარს ვუჭერდი მის იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმაჩნდა, რომ სწორი იყო... მაგრამ წლევანდელი აგვისტოს დასაწყისის მოვლენებმა ყველაფერი ამოატრიალა. დღეს აღარ არსებობს არც ერთი საკითხი, არც ერთი თემა, არც ერთი სფერო, შევარდნაძის მოღვაწეობა დამანგრეველი და დამღუპველი რომ არ იყოს საქართველოსთვის.

აღარ ვილაპარაკებ იმაზე, თუ რა მდგომარეობაა ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში, ენერგეტიკაში — ეს ის საკითხებია, რომლებიც ჩვენი მოსახლეობისთვის თავსატეხად იქცა. აღარაფერს ვიტყვი კორუფციაზე. ისედაც დღესავით ნათელია, რომ ქვეყანა დღითი დღე ეფლობა კორუფციის ჭაობში და რომ ყველაზე კორუმპირებული ადამიანები წარმოადგენენ შევარდნაძის გარემოცვას. 2-3 წლის წინ ამბობდნენ, შევარდნაძემ ქვეყანაში კრიმინალური ვითარება გამოასწორაო. დღეს ამ მხრივაც აღარ მოიძებნება შევარდნაძის სასარგებლო თუნდაც ერთი არგუმენტი. იმიტომ, რომ კრიმინალური სამყარო ძალიან თავაშვებულია.

ჯერ კიდევ ორი თვის წინ შეეძლო ეთქვა შევარდნაძეს, — ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, მაგრამ მე განვსაზღვრე საქართველოს ადგილი მსოფლიოში, იგი დაადგა გზას, რომელიც ჩვენს ქვეყანას დასავლურ სამყაროში დაამკვიდრებსო. დღეს ეს არგუმენტიც კი გაცამტვერებულია. შევარდნაძეს ორი თვის წინ შეეძლო ეთქვა, ნავთობსადენები და გაზსადენები საქართველოს უსაფრთხოების საფუძველიაო, მაგრამ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებმა და ჩვენი ენერგეტიკის რუსებისთვის გადაცემამ, მაგისტრალური მილსადენების გაყვანის თვალსაზრისით, საქართველოს მიმართ ინტერესი გაანელა.

სულ ცოტა ხნის წინ შევარდნაძეს შეეძლო ეთქვა, — ამა თუ იმ ხარვეზის მიუხედავად, საქართველო არის ქვეყანა, რომელიც დემოკრატიის საწყისებს ეფუძნება, სადაც პატივს სცემენ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებსო. მაგრამ მისი ცინიზმი საარჩევნო კოდექსის მიღების პროცესში ნათელყოფს, რომ პრეზიდენტის გარემოცვა და თვითონაც დემოკრატიის ნებისმიერ საფუძველს შეარყევენ, ოღონდ შეინარჩუნონ საკუთარი პოსტები და გაიხანგრძლივონ ძალაუფლება. ამ ორიოდ კვირის განმავლობაში შევარდნაძემ გააცამტვერა ყველაფერი ის, რაც 1992 წლის მარტში საქართველოში დაბრუნების შემდეგ მის მონაპოვრად და მიღწევად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. ყოველივე პოზიტიური მტვრად იქცა და დარჩა გრძელი სია იმ პრობლემებისა, რაც საქართველოს შევარდნაძის მრავალწლიანი „მოღვაწეობის“ შედეგად დარჩება.

**— პრეზიდენტის განწყობის, ორიენტაციის შეცვლის მიზეზი რა გახდა?**

— აქ ორი თემა უნდა განვიხილოთ. პირველი — ხელისუფლება აბსოლუტურად ქმედუუნაროა. მთავრობა ქვეყანას ვერ მართავს. ვერ ხვდებით, რა იგულისხმება ამ სიტყვების მიღმა?! მთავრობა ვერც ერთ სფეროში ვერც ერთ ისეთ გადაწყვეტილებას ვერ იღებს, რომელიც სულ პატარა პრობლემას მაინც მოაგვარებდა. ქართველები შევეჩვიეთ, რომ მთავრობას ჩვენი პრობლემები არ ანაღვლებს. ოდითგანვე, მთავრობის შექმნის მიზანი მოსახლეობაზე ზრუნვა იყო. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ სფეროს, ვერც ერთ საკითხს, რომლის მოგვარებაში ამ ხელისუფლებას პოზიტიური როლი ეთამაშოს. თუ ესა თუ ის მოქალაქე გამოსავალს პოულობს, ის ამას თავისით აკეთებს და არა — მთავრობის დახმარებით. დღევანდელი ხელისუფლება გათიშული, არაკომპეტენტური და ერთიანად კორუმპირებულია. სავსებით შესაძლებელია, „თელასის“ გაყიდვის საკითხში შევარდნაძე აბსოლუტურ იზოლაციაში მოექციათ. ვფიქრობ, მას არასწორ ინფორმაციებს აწვდიდნენ და იმას, რასაც ამერიკელები უშუალოდ მას ეუბნებოდნენ, ვერ მიხვდა, რადგან კომპეტენცია არ ეყო. მეორე მხრივ, შევარდნაძე აღაშფოთა იმან, რომ აშშ-მ, ევროკავშირმა და დასავლეთმა ძალზე თავაზიანად, კორექტულად უთხრეს მას — 2005 წელს საქართველოში ახალი ხელმძღვანელობა უნდა მოვიდესო. იგივე ეწერა ბუშის მიმართვაშიც, რომელიც სავსე იყო შევარდნაძის ქება-დიდებით, მხარდაჭერის დაპირებით, მაგრამ მასში ხაზგასმით ეწერა, — 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდობიანად უნდა ჩატარდეს და ქვეყანაში ახალი ლიდერები უნდა მოვიდნენო. ამან შევარდნაძეს საბოლოოდ დააკარგვინა წონასწორობა. როდესაც ბუშის წერილს ბეიკერის ჩამოსვლაც მოჰყვა, შევარდნაძემ იფიქრა, ამერიკული ორიენტაცია იქით იყოს, მთავარია, ჩემი და ჩემი გარემოცვის ძალაუფლების გახანგრძლივება უზრუნველვყოო. დღეს შევარდნაძემ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ერთადერთი, რაც მის გადაწყვეტილებებს განაპირობებს და საფუძვლად დაედება, ძალაუფლების შენარჩუნებისა და გახანგრძლივებისთვის ბრძოლა იქნება ნებისმიერი, თუნდაც აკრძალული მეთოდებით.

ასე რომ, დასავლეთის ნაცვლად, საქართველოს კურსი შუა აზიისკენ მიდის. ხდება საქართველოს თურქმენიზაცია და არა მისი პრორუსულ ორიენტაციაზე გადასვლა.

***(გაგრძელება იხ. გვ. 11)***

# ძალაუფლება, რომელიც სიცოცხლეზე მეტია

## რუსეთის სპეცსამსახურებში ორდენებსა და მედლებს არიგებენ... საქართველოში ბრწყინვალედ შესრულებული საიდუმლო ოპერაციების გამო

რუსებმა კრასნოდარის მხარეში სასწრაფოდ გადაისროლეს საზღვაო ქვეითთა და ГРУ-ს (მთავარი სადაზვერვო სამმართველოს) სპეცდანიშნულების ცალკეული ბრიგადები, აფხაზეთისკენ გადაინაცვლა საზენიტო-სარაკეტო ბრიგადამ...

ამ გადანაცვლების მიზეზი თურმე საქართველოსგან მომდინარე საფრთხე ყოფილა.

თუმცა მოსკოვი ამ საფრთხეს ქართული არმიისგან კი არა, იმ ქართულ-ამერიკული ურთიერთობებიდან უფრო ელოდა, რომელიც ბოლო დრომდე აქტიურად ვითარდებოდა. მაგრამ საქართველოში ენერგიის გამანაწილებელ სტრუქტურებში რუსული კაპიტალის ოფიციალურად შემოსვლამ შეიძლება უფრო მეტი „გააკეთა“, ვიდრე ამას მთელი რუსული სატანკო ბრიგადა იზამდა.

რა საჭიროა ტანკები და ქვემეხები, თუკი ყველაფერი ფარული პოლიტიკური თამაშებით შეიძლება გაკეთდეს?

როგორც ამბობენ, საქართველოს ხელისუფლებამ და კერძოდ, მისმა პრეზიდენტმა, პოლიტიკური ორიენტაცია კარდინალურად მას შემდეგ შეიცვალა (ან ეს გაათამაშა), რაც ამერიკულმა მხარემ და მისმა „მსტოვარმა“, ჩვენი პრეზიდენტის ძველმა მეგობარმა, ბეიკერმა, მას გული „გაუტეხა“ — მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ახალგაზრდა, პროდასავლურ ძალებს დავუჭერ მხარს და არა ამჟამინდელი ხელისუფლების „გუნდსო“. მის საპასუხო სვლად რუსული ენერგოკომპანიის საქართველოში შემოსვლა იქცა.

ყოველივე ამას მარტო პოლიტიკური კი არა, სამხედრო მნიშვნელობაც ენიჭება, რადგან თავისი ინვესტიციების დაცვის მიზნით, მეზობელ რუსეთს შეეძლება, ნებისმიერ დროს, დამატებით შემოიყვანოს ჩვენს საზღვრებთან თავმოყრილი, თუნდაც ზემოხსენებული საბრძოლო ნაწილები.

ამის საბაბად შეიძლება იქცეს რაიმე დივერსია იმ ობიექტის მიმართ, რომელსაც რუსული ენერგოკომპანიები დაისაკუთრებენ საქართველოში. ამგვარი ტერორისტული აქტი, სავარაუდოდ, ჩეჩენ კამიკაძეებს დაჰბრალდება, ხოლო ობიექტების დაცვას მოსკოვი თავისი სამხედრო ძალებით შეეცდება.

ეს მეთოდი კარგა ხნის აპრობირებულია არა მარტო რუსეთში. თუნდაც აშშ-ის ხელისუფლებას არაერთხელ გაუგზავნია ჯარები იმ ამერიკული ფირმების კომერციული ინტერესების დასაცავად (ან ამ ინტერესების დაცვის მოტივით), რომლებიც მესამე მსოფლიოს ქვეყნებშია. 60-იან წლებში ჩილეში, კომუნისტ ალიენდეს ხელისუფლების ჩამოსაგდებად, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ბანანის ექსპორტიორი ამერიკული ფირმის ინტერესების დამცველის სახელით შევიდა.

საქართველოში კი, ვისაც არ ეზარება, იმ ქვეყნის სპეცსამსახურები ძალიან აქტიურად და თამამად მოქმედებენ. რუსული საგარეო დაზვერვის სამსახურის — СВР-ს თუ გენერალური შტაბის ГРУ-ს თანამშრომლები საქართველოში თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში. ბოლო ინფორმაციით, საიდუმლო ოპერაციის შემდეგ, რომელიც ითვალისწინებდა რუსული მსხვილი ენერგოფირმების საფუძვლიანად დამკვიდრებას საქართველოში, რუსული სპეცსამსახურის თანამშრომლებმა უხვად მიიღოს ჯილდოები, ბევრს კი სამხრეებზე ვარსკვლავებიც დაემატა.

მოსკოვი არც მალავს, რომ ააქტიურებს თავისი სპეცსამსახურების მუშაობას საქართველოს მიმართულებით. ბოლო ასეთი, ნახევრად ოფიციალური ცნობა რუსულ პრესაშიც გავრცელდა. მათი მტკიცებით, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა გასცა საიდუმლო ბრძანება, საქართველოში ГРУ-ს მუშაობის გააქტიურების თაობაზე.

ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სამხედრო დაზვერვა — ГРУ და КГБ-ს პირველი მთავარი სამმართველო ПГУ მუდმივად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებაში. ახლა ცხადია, ГРУ-ს კვალდაკვალ, საქართველოში თავისი საიდუმლო საქმიანობა გააათკეცა ПГУ-ს „შვილობილმა“ СВР-მაც.

ასეთი ნაქები ამერიკული CIA — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ან აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველო საქართველოში მოქმედების ეფექტურობით ჯერჯერობით ვერ გაუტოლდებიან რუს „კოლეგებს“, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ლომის წილი იმ ხალხს უჭირავს, რომელსაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს თავისი მზარდი კარიერის პერიოდში მუდმივი და მჭიდრო კავშირი ჰქონდა КГБ-სთან ან ГРУ-სთან (ან ორივესთან ერთად).

ძალაუფლების გახანგრძლივების მიზნით ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეცვლის მცდელობა და დასავლური კურსიდან ისევ პრორუსულზე დაბრუნება, რა თქმა უნდა, ასევე გაახანგრძლივებს მათ მმართველობას, მაგრამ დაღუპავს საქართველოს.




საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა,
4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
10. ფიზიკა და მათემატიკა, 11. ქიმია და ბიოლოგია,
12. ისტორია და რელიგიის ისტორია, 13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-17 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

# ერაყის ქვიშაში საქართველოში აწყობილი თვითმფრინავები იპოვეს

## ქართული სამშვიდობო კონტინგენტი თიქრიტის მახლობლად დაბანაკდა



ერაყელები დასახმარებლად უკვე ქართველ სამხედროებსაც მიმართავენ

3 აგვისტოს ქართული სამშვიდობო კონტინგენტი ერაყში, დანიშნულების ადგილზე, მშვიდობიანად ჩაფრინდა.

ბაღდადში ჯერჯერობით არ მოქმედებს ფიჭური მობილური კავშირის სისტემა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერაყში ჩასულმა ქართველმა სამხედროებმა კოსმოსური კავშირგაბმულობის საშუალებით მოახერხეს ხმა მოეწვდინათ სამშობლოსთვის.

როგორც ირკვევა, ჩასვლისთანავე ქართველ სამხედრო მედიკოსთა 20-კაციანი ჯგუფი (რომელშიც 13 მანდილოსანია) ბაღდადის ახლოს, ქ. პალადიში, ამერიკული სამხედრო ჰოსპიტლის ტერიტორიაზე განათავსეს, ხოლო იქიდან 4 საათის სავალზე, თიქრიტის მეზობლად, ქ. ბაჯში დაბანაკდა კოჯრის სპეცდანიშნულების ოცეული და მენაღმეთა 15-კაციანი ჯგუფი. ისინი მე-4 ამერიკული დივიზიის ერთ-ერთი ბატალიონის ტერიტორიაზე განთავსდნენ. თავად ამ დივიზიის შტაბი ქ. თიქრიტში, სადამ ჰუსეინის სამშობლოშია, სადაც რამდენიმე დღეში მუშაობას შეუდგება ქართული სამშვიდობო კონტინგენტის მეთაური — მთავარი მეკავშირე ოფიცერი, ვიცე-პოლკოვნიკი ბესარიონ კაზალიკაშვილი. მას დაევალება კოორდინირება გაუწიოს ქართველი სამხედროების მოქმედებას ერაყში. ჩვენი სამხედროებისთვის ერთადერთი პრობლემა პაპანაქება სიცხეა, ტემპერატურა +60°C-ს აღწევს.

საინტერესოა, რომ სწორედ ქართველი სამხედროების ერაყში ჩაფრენას დაემთხვა კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ასევე კავშირი აქვს საქართველოსთან.

ამერიკელმა სამხედრო მზვერავებმა ერაყის დასავლეთით, „თაკადუმის“ სამხედრო აეროდრომის მახლობლად, ქვიშაში ჩამარხული რამდენიმე ათეული საბრძოლო თვითმფრინავი აღმოაჩინეს. მათ შორისაა თავის დროზე თბილისის საავიაციო ქარხანაში დამზადებული Су-25 ტიპის მოიერიშეებიც. სულ 1986-87 წლებში თბილისიდან ერაყში 66 ამგვარი თვითმფრინავი ჩაიტანეს.

მათ უმეტესობას, ამერიკელთა ელვისებური შეტევის წინ, ერაყელებმა ქვიშა დააყარეს, რათა ამერიკელ პილოტებს ჰაერიდან არ შეემჩნიათ და არ დაებომბათ. თუმცა ქართული მოიერიშეები ისე დამარხეს ქვიშაში, რომ ძრავები და ფიუზელაჟი არ შეუფუთავთ, ამიტომ საეჭვოა, ეს თვითმფრინავები საფრენად გამოდგნენ, მით უმეტეს, რომ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უკვე მათი ძარცვა დაიწყეს.

# 9 სექტემბერს ატომურ ბომბებს გამოცდიან?!

## ერთი თვის თავზე კიმ ჩენ ირი ატომური ბომბის გამოცდას აპირებს ჩრდილო კორეაში





ირანში ჩატანილი ჩრდილოკორეული „ტეპჰოდონ-2“ ევროპასაც მისწვდება

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი „გართულია“ შიდაპოლიტიკური ბატალიებით, მსოფლიოში კი ახალი გრანდიოზული პრობლემა მწიფდება — ერთ თვეში, 9 სექტემბერს, ჩრდილო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი კიმ ჩენ ირი სახელმწიფოს შექმნის მორიგ წლისთავთან დაკავშირებით პირველი კორეული ატომური ბომბის გამოცდას აპირებს.

დღემდე აშშ-ის, ჩინეთის, რუსეთის, იაპონიის, სამხრეთ კორეის თუ სხვა დაინტერესებული ქვეყნის დაზვერვის სამსახურები ცდილობენ გაარკვიონ — ნამდვილად აქვს თუ არა ატომური ბომბი ჩრდილო კორეას, თუ ცრუობს?

ეს ყველაფერი ერთ თვეში გაირკვევა, თუმცა ფხენიანს ატომური იარაღის შესაქმნელად მართლაც ყველა პირობა აქვს. სხვა თუ არაფერი, მათ ათ ატომურ ობიექტში ყოველწლიურად 190 კგ პლუტონიუმის გამომუშავება შეიძლება; ეს კი საკმარისია 50-მდე ატომური ბომბის დასამზადებლად.

როგორი მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ჩრდილო კორეის ატომურ ამბიციებზე ჯერ კიდევ 1990 წელს ალაპარაკდა საბჭოთა КГБ-ს შეფი ვლადიმირ კრუჩკოვი — ფხენიანს შეიძლება ხუთამდე ატომური ბომბი ჰქონდესო!

ოქტომბერში დაგეგმილია ჩრდილოკორეელი სპეციალისტების ირანში სტუმრობა. კორეელი და ირანელი სამხედრო სპეციალისტების თანამშრომლობაზე მანამდეც მოიპოვებოდა ინფორმაცია. სხვა თუ არაფერი, ირანელებმა თავიანთი ბალისტიკური რაკეტა „შაჰაბ-3“, სწორედ ჩრდილოკორეული „ნოდონ-1“-ის ბაზაზე შექმნეს.

ორ-სამ თვეში ფხენიანი აპირებს თეირანს მიჰყიდოს ორი ახალი ბალისტიკური რაკეტა „ტეპჰოდონ-2“. იაპონური პრესის ცნობით, არ არის გამორიცხული, რომ ეს რაკეტები ატომური ქობინებითაც აღჭურვონ.

„ნოდონ-1“-ისგან განსხვავებით, რომელიც საბჭოთა „სკადის“ გაუმჯობესებული ვარიანტია, ირანიდან გაშვებული „ტეპჰოდონ-2“-ის მოქმედების რადიუსში, ევროპის დიდი ნაწილიც ხვდება.

დღემდე „ბირთვულ კლუბში“ აშშ-ის, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის გარდა, ოფიციალურად არავინ გაწევრებულა. „არაოფიციალურად“ კი ამ კლუბში შედიან ისრაელი, ინდოეთი და პაკისტანი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ თავისი ატომური იარაღი დამალა), თუმცა ამ ქვეყნების მთავრობები ოფიციალურად არც აღიარებდნენ ბირთვული იარაღის ქონას.

ჩრდილო კორეის და მით უმეტეს, ირანის მოხვედრა „ბირთვულ კლუბში“, ისე როგორც მათ მიერ შორს მოქმედი ბალისტიკური რაკეტების შექმნა, მსოფლიო რეალობას კარდინალურად შეცვლის და მაშინ აღარც ჩვენთვის აღმოჩნდება ყოველივე ეს უცხო და შორეული...

# ტრაგედია აფხაზეთის ცაში, რომელიც გინესის წიგნში შევიდა



გუდაუთის ბომბორის სამხედრო აეროდრომზე მდგარი ეს Ми-8МТ ტიპის რუსული შვეულმფრენი მალე გინესის წიგნში შევა. ფოტო ავტორისა. 1992 წლის ნოემბერი.

გასულ კვირას ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ძალების მორიგი შვეულმფრენი ჩამოაგდეს. ჩეჩნეთის მეორე ომში დღემდე რუსეთმა 40-ზე მეტი შვეულმფრენი დაკარგა. რუსული შვეულმფრენების უბედურებას მას შემდეგ დაედო სათავე, რაც კრემლმა დაიწყო თავისი სამხედრო მფრინავების აქტიურად გაშვება კავკასიაში, მის მიერვე გაჩაღებულ შეიარაღებულ კონფლიქტებში.

1992 წლის 14 დეკემბერი გინესის წიგნში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენა; მანამდე მსგავსი მოვლენა მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მომხდარა — ერთი შვეულმფრენის კატასტროფას არასოდეს მოჰყოლია ერთდროულად 61 ადამიანის დაღუპვა.

14 დეკემბერს, ხალხით სავსე რუსული სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი Ми-8МТ აფხაზეთის სვანეთის თავზე გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით (სავარაუდოდ, Стрела-2М-ით) ჩამოაგდეს.

რუსული ჟურნალის Солдат удачи-ს ბოლო ნომერში, სტატიაში Небо в огне დაიბეჭდა რუსი პილოტის მოგონება ამ ტრაგიკულ ფაქტთან დაკავშირებით. როგორც პილოტი იხსენებს, 14 დეკემბერს, ორი შვეულმფრენი გუდაუთიდან ხეობების გავლით ტყვარჩელში ჩაფრინდა აფხაზი ლტოლვილების გამოსაყვანად. უკან წამოსულ ერთ შვეულმფრენს აფხაზეთის სვანეთის თავზე (სოფ. ლათის მიდამოებში) საზენიტო რაკეტა მოხვდა, ცეცხლი წაეკიდა და მიწას დაენარცხა. დაიღუპა 61 ადამიანი, აქედან ეკიპაჟის სამი წევრი.

ეს დიდი ტრაგედია გახლდათ, მაგრამ რამდენად მართებულია ამ უბედურების მარტო საზენიტო რაკეტის გამშვებებისთვის დაბრალება? შვეულმფრენი ავტობუსი არ არის და არ ჩანს, მასში ვინ ზის. თანაც ორივე რუსული შვეულმფრენი კამუფლირებული გახლდათ და ზედ ტაქტიკური ნომრები ეწერა. ასევე, გვერდებზე ჩამოკიდებული ჰქონდათ უმართავი რაკეტების გამშვები უნივერსალური სარაკეტო ბლოკებისა და საავიაციო ბომბების დასამაგრებელი სპეციალური პილონები.

ამიტომაც ეს რუსული შვეულმფრენები საზენიტო რაკეტის გამშვებებმა შეიძლება სრულიად საფუძვლიანად მიიჩნიეს ბლოკირებული ტყვარჩელის იარაღით მომმარაგებლად, რაც მართლაც სისტემატურად ხდებოდა.

საოცარი დამთხვევაა, მაგრამ ამ სტატიის ავტორმა 14 დეკემბრის ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე გუდაუთაში, ბომბორის სამხედრო აეროდრომზე ყოფნისას (მაშინ ჩრდილოკავკასიელი ტყვეები სოხუმიდან ჩავიყვანეთ და ადგილობრივ ქართველებზე ვცვლიდით) ფოტოფირზე დააფიქსირა სწორედ ის რუსული Ми-8МТ ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი, რომელიც მოგვიანებით კოდორის ხეობის თავზე ერთ-ერთი სვანის „სტრელამ" იმსხვერპლა. სხვათა შორის, ამ სურათზე მკაფიოდ ჩანს შვეულმფრენის პილონებზე ჩამოკიდებული უმართავი საავიაციო რაკეტების გასაშვები ბლოკები.

ცუდია, რომ ომს მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი მოჰყვება, მაგრამ მაშინ, რა უნდა თქვას ქართულმა მხარემ, რომელსაც არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს უფეთქებდნენ სეპარატისტები, მათი დამხმარე ჩრდილოკავკასიელი დაქირავებულები და თავად ეს რუსი სამხედრო პილოტები, რომლებიც დღეს კოდორის თავზე

## 11 წლის წინ აფხაზეთის სვანეთში ჩამოგდებული რუსული შვეულმფრენი ხანკალასთან ჩამოგდებულმა შეცვალა

ჩამოგდებულ კოლეგებს დასტირიან. 1992 წლის 11 ოქტომბერს, არჩევნების დღეს, სოხუმის სამოქალაქო აეროპორტში, ბაბუშერაში, ზღვიდან გადასხმულმა მოწინააღმდეგის სადივერსიო ჯგუფმა ყუმბარსატყორცნის რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ჭურვის პირდაპირი მორტყმით გაგლიჯა დაშვებაზე წასული სამოქალაქო Ми-8 შვეულმფრენი, რასაც უდანაშაულო მანდილოსანი შეეწირა, რამდენიმე კაცი კი დაიჭრა. ან როგორ უნდა შეფასდეს 1993 წლის სექტემბრის ბოლოს იმავე ბაბუშერაში ჯერ ერთი სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდება, ხოლო მეორის — აეროდრომის საფარზე აფეთქება?!

ომში ათასნაირი უბედურება ხდება, რომელთა გამართლება ძალზე ძნელია, მაგრამ აფხაზეთის ომში არანაკლები (სიმართლე რომ ითქვას, ბევრად მეტი) საშინელება ჩაიდინეს აფხაზებმა და მათმა მხარდამჭერებმა მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის მიმართ.



რაკეტამოხვედრილი და ცეცხლწაკიდებული შვეულმფრენი მიწას ენარცხება

P.S. 1992 წლის 14 დეკემბრის აფხაზეთის ტრაგედია გინესის წიგნში შარშან შეიცვალა — ხანკალასთან ჩეჩენმა მეზენიტემ Игла-თი ჩამოაგდო რუსული მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი Ми-26, რასაც 120 კაცზე მეტი შეეწირა.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### ავღანეთს NATO „მიხედავს"

ავღანეთში სამშვიდობო პროცესის განხორციელებას მალე სათავეში NATO ჩაუდგება. ფორმალურად აქ სამშვიდობო მისიის მანდატი არ შეიცვლება და იგი კვლავ გაეროს ეგიდით წარიმართება, თუმცა ამ, არც ისე „მშვიდ" ქვეყანაში შეყვანილი 4,5 ათასი სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო პირი ამიერიდან NATO-ელ გენერლებს დაემორჩილება.

### რუსეთი ძველ იარაღს დაუნანებლად იშორებს, ახალს კი ვერ ყიდულობს

მძიმე ფინანსურ გასაჭირში ჩავარდნილი რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ბიუჯეტის შესავსებად უკვე აღარ ერიდება ძველი იარაღის ეშელონობით გაყიდვას. მას იმედი აქვს, რომ წელს ამ გზით 5,8 მლრდ რუსულ რუბლს მიიღებს, ხოლო გაისისთვის 6,3 მლრდ-ს იშოვის.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო მსურველებს უმთავრესად ნახმარ ჯავშანტექნიკას, საარტილერიო დანადგარებს, საჰაერო თავდაცვის სისტემებსა და ვადაგასულ ტყვია-წამალს სთავაზობს. ცხადია, ამგვარი საბრძოლო ტექნიკისა და საჭურვლის მუშტარი მხოლოდ ძალიან ჩამორჩენილ ქვეყნებში მოიძებნება, თუნდაც აფრიკის მეომარ სახელმწიფოთა შორის.

თუმცა შეიძლება რუს გენერლებს არც დასჭირდეთ ასე შორს წასვლა, რადგან მათი კლიენტები უფრო ახლოსაც მოიძებნებიან — მთიან ყარაბაღში, ცხინვალის რეგიონსა და, რა თქმა უნდა, აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებაში.

10-12 წლის წინ მოსკოვი უამრავ იარაღს ჩუქნიდა სეპარატისტულ დაჯგუფებებს, რათა მათ ყველანაირად ხელი შეეშალათ სუვერენიტეტგამოცხადებული პოსტსაბჭოური რესპუბლიკების განვითარებისათვის.

დღეს ასე არ არის. რუსი გენერლები ყველაფერს ყიდიან; თანაც საბჭოთა სამხედრო საწყობი მათთვის ნამდვილი ოქროს საბადო აღმოჩნდა.

მართალია, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ძველ იარაღს იშორებს, მაგრამ ახლის ყიდვა ძალიან უჭირს. მაგალითად, რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის ბოლო სამი წლის განმავლობაში მხოლოდ 280 ერთეული ახალი საბრძოლო ტექნიკაა შეძენილი, რაც ზღვაში წვეთია ამ ქვეყნის უზარმაზარი არმიის მოთხოვნილებასთან შედარებით; მით უფრო, რომ ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალურ ძალებს კვირაში 2-3 ჯავშანტექნიკას უფეთქებენ და თვეში ერთ შვეულმფრენს უგდებენ.

### რად უნდათ ერაყელებს პოლონური „კალაშნიკოვები"?

ამერიკელები ხშირად უცნაურად იქცევიან. ისინი სერიოზულად განიხილავენ ახალი ერაყული ეროვნული არმიის ჩამოყალიბებისა და მისი „კალაშნიკოვებით" შეიარაღების საკითხს. ეს, ერთი შეხედვით, სულაც არ არის საკვირველი, რადგან ერაყს ერთიც სჭირდება და მეორეც. ასევე ლოგიკურია ისიც, რომ ერაყელ ჯარისკაცს ხელში „მშობლიური" „კალაშნიკოვი" ეჭიროს. ეს იარაღი ხომ თითოეული ერაყელის ოჯახში ინახება და არა ამერიკული M16. მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ამერიკის ადმინისტრაცია ერაყელებისთვის 43 ათასი „კალაშნიკოვის" შესყიდვას პოლონეთში აპირებს.

გასაგებია, რომ პოლონელებს ძალიან უნდათ, თავიდან მოიშორონ „კალაშნიკოვები", მით უმეტეს, ნახევარსაუკუნოვანი AK-47C ტიპისა, მაგრამ რად უნდათ ერაყელებს პოლონური ავტომატები, როდესაც მათი ქვეყანა ისედაც მიაქვს „კალაშნიკოვებს". დღეს ერაყის იარაღის შავ ბაზარზე ყველა სახის „კალაშნიკოვს" იყიდის კაცი, იგი მეზობელ ქვეყნებში აქედან გააქვთ.

### პუტინმა СУ-ები მალაიზიელებს მიჰყიდა, С-300-ები კი ლუკაშენკოსთვის ენანება

ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრ ლუკაშენკო მეორე წელია ამაოდ ელოდება ვლადიმირ პუტინის შეპირებულ С-300 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს.

არადა, პუტინი თანამედროვე ტექნიკას გულუხვად ყიდის შორეულ მალაიზიაში. გასულ კვირას, ამ ქვეყანაში ვიზიტის დროს, რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა მისთვის 18 ცალი თანამედროვე Су-30МКМ ტიპის მრავალფუნქციონირებადი გამანადგურებლის მიყიდვას. ამ მნიშვნელოვანი გარიგების საერთო ღირებულება 900 მლნ დოლარზე მეტია.

ამ ფაქტმა კიდევ უფრო გააღიზიანა პრეზიდენტი ლუკაშენკო, რომელსაც განზრახული აქვს, რუსეთისგან შეძენილი С-300-ების დასავლეთ საზღვრებთან განლაგება, რათა ხელი შეუშალოს NATO-ს აღმოსავლეთისკენ გაფართოებას.

შეიძლება სწორედ ამის გამოცდაა, რომ ამერიკელი კოლეგის — ჯორჯ ბუშის არაოფიციალური თხოვნის საფუძველზე ვლადიმირ პუტინი არ აძლევს С-300-ებს არაპროგნოზირებად ლუკაშენკოს.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

## არსენალი

# „ბე-ტე-ერი" ამერიკულად

### პენტაგონი უპირატესობას ბორბლებს ანიჭებს




რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ამერიკელი გენერლები უახლოეს ხანში თავიანთი ნაქები ტანკის, M1A2 „აბრამსის" შეცვლას აპირებენ.

მართალია, „აბრამსის" ჭურვი დღეს მსოფლიოში არსებული ყველა ტანკის ჯავშანს გლეჯს, ხოლო თავად მისი აფეთქება ძალზე ძნელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, პენტაგონი მაინც უკმაყოფილოა.

ამერიკელი სამხედროების საფიქრალი ის არის, რომ „აბრამსი" მეტისმეტად მძიმე — 62,5 ტონაა, რაც აძნელებს „აბრამსების" სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით ოპერატიულად გადასროლას შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში.

ამიტომაც პენტაგონში სერიოზულად განიხილავენ ამ საუკუნის შუა ხანებისთვის მთელი მძიმე ტექნიკის წონის „დაკლებას", რაც, უმთავრესად, საბრძოლო მანქანების მუხლუხების ბორბლებით შეცვლაში გამოიხატება. რა თქმა უნდა, ბორბლებიანი ტანკისა თუ საბრძოლო მანქანის ჯავშნის სისქე და, შესაბამისად, მდგრადობაც მოწინააღმდეგის ჭურვების მიმართ, „აბრამსს" ვერც შეედრება, მაგრამ სამაგიეროდ, ბევრად გაიზრდება მათი მობილურობა, რაც გადამწყვეტია პენტაგონისთვის, რომელიც დღეს უკვე „მსოფლიო პოლიციელის" როლში გამოდის.

ერთ-ერთი ბოლო ამერიკული „ქმნილება" სულ ახლახან მიიღეს შეიარაღებაში და იგი სწორედ ახალ კონცეფციას პასუხობს — არის ბორბლებიანი, შედარებით მსუბუქი და შესაბამისად, ავიატრანსპორტირებადი.

საბრძოლო ჯავშნიანმა მანქანამ LAV-III სამი წლის წინ გაიმარჯვა საერთაშორისო კონკურსში, რომელშიც პენტაგონი ტაქტიკური საბრძოლო ჯგუფებისათვის საბრძოლო საშუალებას ეძებდა.

LAV-III ერთობლივი ამერიკულ-კანადური ნაწარმია და იგი ცნობილი LAV-25-ის განვითარებულ მოდელს წარმოადგენს. დაგეგმილია სულ 2.100 ამგვარი საბრძოლო მანქანის დამზადება.

რადგან LAV-III აუცილებლად ავიატრანსპორტირებადი უნდა ყოფილიყო, მისი მაქსიმალური წონა 16 ტონამდე განისაზღვრა. მისი წაღება არ გაუჭირდება ამერიკულ საშუალო სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ C-130 „ჰერკულესს"; მას მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი CH-53E-ც გაჭირვებით, მაგრამ მაინც წაიღებს.

LAV-III-ზე 350 ცხ.ძ.-ის სიმძლავრის „კატერპილერის" დიზელის ძრავაა დამონტაჟებული, რაც მას მოასფალტებულ გზაზე მაქსიმალური 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარების შესაძლებლობას აძლევს, საწვავი კი 500 კმ-ზე ჰყოფნის.

ახალი ამერიკული საბრძოლო მანქანის ჯავშანი იცავს ეკიპაჟსა და დესანტს ჭურვების ნამსხვრევებისა და ტყვიებისგან, მათ შორის მსხვილკალიბრიანისგანაც (14,5 მმ). ამას კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მსხვილკალიბრიანი ჯავშანგამტანი ტყვიებისგან ვერ იცავს დესანტს ვერც რუსული ჯავშანტრანსპორტიორ БТР-80-ის, ვერც ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2-ის ჯავშანი, რაც გამოჩნდა ჯერ ავღანეთში, ხოლო შემდგომ ჩეჩნეთშიც.

ტყვიებისგან დამცველ ჯავშანს კი ყველაფერთან ერთად დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს რკინის „ყუთში" ჩაკეტილი მედესანტეებისთვის.

LAV-III აღჭურვილია რამდენიმე სახეობის იარაღით, მათ შორის 105 მმ კალიბრის ქვემეხით, ან 12,7 მმ კალიბრის ტყვიამფრქვევით, ან 40 მმ კალიბრის ავტომატური ყუმბარსატყორცნით. გათვალისწინებულია აგრეთვე მასზე „ჯაველინის" ტიპის თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსის დამონტაჟებაც.

ახალი ამერიკული საბრძოლო ჯავშნიანი მანქანის, რომელიც გარეგნულად რუსულ БТР-ს წააგავს, ერთ-ერთი დიდი ნაკლი ისაა, რომ 16 ტონას იწონის და ამის გამო ცურვა არ შეუძლია, მასზე 4 ტ-ით მსუბუქი რუსული ჯავშანტრანსპორტიორები წყალში თავს თევზივით გრძნობენ, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი ჯავშნით ნაკლებად იცავენ მედესანტეთა უსაფრთხოებას.

# შემზარავი ამბავი ხანძრის გამო ვერავინ შეიტყო...



## ხანძარი სოფელში

ნაშუაღამევს ცეცხლი ჯერ ერთ ეზოში ავარდა, მალე მეორე და მესამეს გადაედო და გამთენიისას მთელი უბანი მოიცვა. ჯერჯერობით, მხოლოდ თივის ზვინები იწვოდა, მაგრამ ყოველ წამს მოსალოდნელი იყო ალის შენობა-ნაგებობებზე გადასვლაც. სოფელი პანიკამ მოიცვა. სახანძროს იმედი არ ჰქონდათ, ტელეფონი არ მუშაობდა და ასეც რომ არ ყოფილიყო, იცოდნენ, სახანძროს მანქანას უბენზინობის გამო დიდი ხანია ველარ ამუშავებდა მისი მძღოლი გრიშა ბაიაძე (გვარ-სახელები ყველგან შეცვლილია). მიუხედავად ამისა, ყოველ მესამე დღეს მაინც მიდიოდა სამსახურში. რატომ? რისთვის?..

ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა და სადაცაა მებონიების საბძელს მისწვდებოდა. საქონელი გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას და შემზარავად ბღაოდა. დამფრთხალი ხალხი ცარიელ ვედროებს დაარბენინებდა და შეთქმულივით ერთსა და იმავეს გაიძახოდა: წყალი, წყალიო. მაგრამ ვიღაცას უბანში შემომავალი წყლის მილი გადაეჭრა და ახლა მისი აღდგენის დრო ვისღა ჰქონდა. ამ განამაწიაში რომ იყვნენ, ვიღაცამ იყვირა — ჩემს ეზოში სამშენებლო ქვიშა რომ ყრია, ის წამოიღეთ ვედროებით. ქვიშა წყალზე უკეთ აქრობს ცეცხლსო და ხალხიც იმ ეზოს მიაწყდა. ქვიშა მართლაც კარგი საშუალება გამოდგა, მაგრამ როცა ცეცხლმა მებონიების საბძლის სახურავს უწია, ფარ-ხმალი დაყარეს, ამ სიმაღლეზე ქვიშის მიყრა წარმოუდგენელი იყო. ცეცხლი ერთი სახურავიდან მეორეზე ელვის უსწრაფესად გადავიდა, მეორიდან მესამეზე და იმ დღეს რვა სახლი დაიწვა სოფელში. მთელი უბანი დარჩა ღია ცისქვეშ. თითო-ოროლამ თუ მოასწრო რაღაცის სახლიდან გამოტანა და პირუტყვის გადარჩენა. საკუთარი თვალით იხილეს, თუ როგორ ჩაიფერფლა მათი ნაშრომ-ნაამაგარი. ცას სწვდებოდა ქალების მოთქმა, კრიჭა შეკროდათ კაცებს... გადაჭრილი წყლის მილი რომ არა, ეჭვსაც ვერავინ აიღებდა. ხანძარი ადრეც მომხდარა, ხან ბავშვები გააჩენდნენ თამაშისას, ხან — ელექტრობის მოკლე ჩართვის მიზეზით. მაგრამ ახლა სადღა იყო ბავშვების სათამაშო ასანთი ან ელექტრობა. მესამე წელს ითვლიდნენ აქაურები მას შემდეგ, რაც უკანასკნელად განათდა სოფელი. „არა, აქ რაღაც სხვა ამბავია! ვიღაცამ გაგვამწარა," — დაასკვნეს კაცებმა. თავსატეხი ის იყო, ვინ უნდა ყოფილიყო ეს ვიღაცა. მეზობლები ვერავის იმეტებდნენ საიმისოდ, რომ აშკარად ხელი დაედოთ. არადა, ფაქტი იყო, რაკი წყლის მილი გადაჭრეს, უბნის გადაწვა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამის ჩამდენი კი ამუბნელი არ უნდა ყოფილიყო. ამ აღმოჩენამ ცოტა დაამშვიდა ხალხი, უფრო თამამად შეხედეს ერთმანეთს თვალებში და თითქოს ნაღველიც შეუმსუბუქდათ. თავის სახლს რომელი გიჟი გადაწვავდა. ვიღაცა გარეულმა გაგვწირაო და ისევ ერთმანეთი ანუგეშეს.

## უცოდველი სისხლი

იმ ღამით კიდევ უფრო შემზარავი ამბავი მოხდა დასახლების მეორე მხარეს. ვიდრე მთელი სოფელი ცეცხლს ებრძოდა, მათ სახლებში ორი, ოცდასამი-ოცდახუთი წლის ბიჭი დასუნსულებდა და ფულსა და ძვირფასეულობას ეძებდა. აშკარად ეტყობოდათ, რომ საამისო გამოცდილება აკლდათ, ამიტომაც ვერაფერს მიაგნეს. ფული სოფლელებს მართლა არ ჰქონდათ, ხოლო ნივთების ავ-კარგისა მძარცველებს არაფერი გაეგებოდათ.

— წამო, კიმა, ალანიები შინ იქნებიან. შეძლებული ოჯახია, მათი შვილი მალე რუსეთში პროკურორი იქნება, ფულიც ექნებათ და ოქროც. მაგათ დავადგეთ, თორემ ასე ვერაფერს ვიპოვით, საცაა თავზე დაგვათენდება...

მოხუც ცოლ-ქმარს ორი, სახეზე ნიღაბაფარებული და დანაშემართული კაცი დაადგა თავს.

— ვიდრე თქვენი სახლიც ცეცხლში არ გახვეულა, ფული და ძვირფასეულობა გადმოალაგეთ სწრაფად, თორემ... — ისე შეულრინა ერთმა, შიშისაგან ლამის სული გასძვრა საცოდავ მოხუცს.

— ვინ მოგვცა, შვილო, ფული?! აგერ, სამოცი ლარი მაქვს გამოკრული სარტყელში, რომ მოვკვდე, კუბოს მაინც შემიჭედავენ და ერთი თოთხმეტი ცალი კვერცხი თუ იქნება საბუდარში, თორემ მეტი არა გვაქვს რა. ბიჭი ჯერ სტუდენტია, იქით სჭირდება დახმარება.

— რასაა რომ ამბობ, ქალო,

> არავის არაფერი დაუნახავს, არავის არაფერი გაუგონია. მთელი სოფელი ხანძრის ჩასაქრობად იყო გახიზნული. დილით საზარელი ამბავი შეიტყვეს...

რა შუაშია ბიჭი. ეს ხალხი ჩვენთან მოვიდა და ჩვენვე უნდა მივხედოთ, — თავისთვის ჩაიბუზღუნა კაცმა და უსიტყვოდ წაუძღვა მომხდურებს ქათმის საბუდრისკენ, რომელიც საქონლის სადგომში კედელზე იყო მიკიდებული.

— საბუდარში ფულის გადამალვაც იციან აქაურებმა. თივა ამოყარე და ისე მოჩხრიკე. აბა, ამათი კვერცხები ვის რად უნდა, — წასჩურჩულა ერთმა იმას, კიმას რომ ეძახდა და მოხუცს მიუბრუნდა, — აბა, ბებერო, წუწუნს მორჩი, ფული და ოქროულობა გადმოყარე, თორემ ამ ნეხვში ჩაგახრჩობ!

— რაც არა მაქვს, რა გადმოვალაგო. ჩემი თუ არ გჯერათ, აგერ სახლი და აგერ — თქვენ...

— ხედავ, ეს დამპალი რა დიდ გულზეა? საიმედოდ აქვს გადამალული სიმდიდრე, იცის, ვერ მივაგნებთ და დაგვცინის, მოდით და თქვენ იპოვეთო. ჩვენ კი არა, შენ იპოვი და თანაც ახლავე, გესმის, შენი... — და ისეთი სილა სტკიცა, საბრალო მოხუცი მოცელილივით გაიშხლართა.

— რა ქენი, რომან, მოკალი? ჩვენ ასე არ გავრიგებულვართ. ახლა რას აპირებ?

— რას და აქვე ჩავახრჩობ, გონს რომ არ მოვიდეს და მოწმედაც არ გამოდგეს, მერე კი დედაბერს მივადგები... — რომანმა მოხუცს პერანგის საყელოში ზიზღით ჩაჰკიდა ხელი, მომეხმარეო, ანიშნა კიმას და საბრალო თავდაღმა ჩაამხეს ნეხვში. ერთხანს უყურეს, როგორ გაიბრძოლა ღონემიხდილმა კაცმა და მალევე მიყუჩდა. მერე ელექტროფარანი გამორთეს და სახლში დაბრუნდნენ, სადაც ხატის წინ დამხობილ დედაბერს წაადგნენ თავს.

— შენმა კაცმა შემოგითვალა, ყველაფერი მიეცი, თორემ ცოცხლებს არ დაგვტოვებენო. სწრაფად, თორემ გაგიპე თავი ორად!

რას მისცემდა ქალი, რაც არ გააჩნდა. სასტიკად აწამეს ისიც.

— ღირდა კი სამოცი ლარისთვის ორი კაცის მოკვლა? — ისე იკითხა კიმამ, ჩანდა, ნანობდა ჩადენილს, მაგრამ როცა რომანმა სახლის ჩხრეკა დაიწყო, მანაც გამოიღო ხელი. იმედი ჰქონდათ, დიდი ნადავლით წავალთო და ახლა სამოცი ლარის ანაბარაღა რჩებოდნენ. გიჟებივით ეცნენ კარადებსა და ლოგინებს, მაგრამ მალევე გაუცრუვდათ იმედი. ხელს რაც მოჰყვათ, ყველაფერი განურჩევლად ჩაყარეს მოზრდილ ტომრებში და იქვე, ეზოში მიბმულ სახედარს აჰკიდეს. სახედარმა თითქოს რაღაც იგრძნოო, თავი მოიკლა და ფეხი არ გადაადგა წინ. უცებ მეზობელი ეზოდან უბელო ცხენის ფრუტუნი შემოესმათ, ვირის მოსართავები მასზე გადაიტანეს და ტვირთი აჰკიდეს. თვითონაც ზედ გადაასხდნენ და ალიონზე მთაზე შეფენილ ტყეს შეაფარეს თავი. არავის არაფერი დაუნახავს, არავის არაფერი გაუგონია. მთელი სოფელი ხანძრის ჩასაქრობად იყო გახიზნული. დილით საზარელი ამბავი შეიტყვეს: ალანიები დაუხოცავთ წუხელო. მათ ეზოში დარცხვენილივით იდგა ვირი, ამ შემზარავი ამბის ერთადერთი მოწმე.

ორი დღის შემდეგ იმ ღამეს დაკარგული ცხენი იპოვეს სოფლის განაპირას. უეჭველია, რაღაც აკავშირებდა მოხუცების დახოცვასა

> ერთ ღამეს კანალიზაციის მილს გადაეყარა. იცოდა, აუტანელ სიმყრალესთან ერთად, მას ჟანგბადიც მოჰყვებოდა და ერთ ადგილას მილი ჩაამსხვრია. საშინელმა სუნმა და ვირთხებმა აავსეს იქაურობა. სამაგიეროდ, სანთელი ენთო და რომანიც უფრო „ნაყოფიერად" თხრიდა მიწას. კიდევ ერთი-ორი დღეც და მისი ვარაუდით, სამშვიდობოს გავიდოდა.

და ცხენის ორი დღით გაუჩინარებას... რომან მებონიამ და კიმა კალანდაძემ იმ დღესვე დატოვეს საქართველო და სტავროპოლის მხარეში გადაიხვეწნენ. სოფელში ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ერთსაც და მეორესაც გამოუსწორებელ ხულიგნებად იცნობდნენ, მაგრამ ამდენს თუ გაბედავდნენ, არავის ეგონა. უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ხანძარიც იმათ გააჩინეს და საბრალო მოხუცებიც იმათ დახოცეს. თუმცა ამის დასამტკიცებლად უპირველესად მათი დაკავება იყო საჭირო.

## რუსეთში

— ქართველებს უნდა ვერიდოთ, ჩამშვებები არიან, — გააფრთხილა რომანმა მეგობარი, მაგრამ პირველსავე სოფელში იმდენი ქართველი დაუხვდათ, საქართველოში, ნებისმიერი სოფლის ბირჟაზეც რომ ვერ ნახავდნენ. რომანი ენაზე მომდგარი პირველივე გვარით წარუდგა თავისიანებს. სამეგრელოში უპატრონოდ გაზრდილი კაკაურიძე ვარო და კიმაც ასეთივე გამოგონილი გვარით გააცნო. საღორეებსა და საქათმეებს უშენებდნენ გაჭირვებული ქართველები იქაურებს, საქონლის სადგომებში ეძინათ და ისეთი ნაყარნუყარით იკვებებოდნენ, რომანმა ვერ გაუძლო და მალევე გაეცალა იქაურობას. მერე სადღაც, ერთ სოფელში, ერთი უსახური, ვაჭარი, სამშვილიანი ქალი გაიცნო და მას შეაფარა თავი. ერთ ღამეს სულმა წასძლია და თავისი საყვარლის ლამაზი ბიძაშვილის სახლში შეძვრა. იცოდა, გოგოს მშობლები შინ არ იქნებოდნენ და ამით ისარგებლა. საღამოს, ბავშვებმა რომ დაიძინეს, საყვარელი არყით გამოათრო და ლიდიას დაადგა თავს. ქალს თავთან, სკამზე პატარა ხელჩანთა იდო, რომლიდანაც მაცდურად ამოეყო თავი რუსულ ასრუბლიანს. რომანმა ჩანთიდან ჯერ რუსული ფული ამოკრიფა, მერე შიდაჯიბეში გადამალულ დოლარებსაც მიაგნო. ბევრი არა, მაგრამ ესეც ხეირი იყო. მეორე ჯიბეში პატარა ოქროს ჯვარი იპოვა ოქროსავე ძეწკვით. ისე გაერთო, ქალი სულ გადაავიწყდა. ამასობაში, ლიდიას გაეღვიძა და სულაც არ გაოცებულა, რომანი რომ დაინახა. პირიქით, სიამოვნებისაგან გაიბადრა, მაგრამ როცა დარწმუნდა, ვაჟს ის კი არა, მისი ჩანთა აინტერესებდა, ისეთი ხმით იკივლა, რომანმა ძლივს მოასწრო ფანჯრიდან გადახტომა. გამთენიისას მატარებელი რუსეთის სიღრმისკენ მიაქანებდა ფულსა და ოქროზე დახარბებულ მიჯნურს. მისი კვალი კიდევ ერთხელ დაიკარგა.

2000 წლის აპრილში ორიოლის მილიციამ დააკავა ერთი მაწანაწალა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელმაც ეზოში გამოდგმული ალუმინის ქვაბი მოჰპარა დიასახლისს. როცა მილიციაში მიიყვანეს, ბოდიში იხადა: — ღმერთო კი მომკალი, ეს როგორ მომივიდა, ასეთი სიმპათიური ქალბატონი როგორ გავანაწყენეო. საბუთები რომ მოსთხოვეს, თავი მოისაწყლა — ახლა კი სასმელს აღარ ვეკარები, მაგრამ ადრე ვლოთობდი და ყველაფერი დავკარგე. ისე, აზერბაიჯანელი რუსი ვარ, ამ ხუთი წლის წინ აქეთ გამომიწია გულმაო. ჯერ არ დაუჯერეს, მაგრამ როცა გაპარსეს და კარგად დააკვირდნენ, მის აპრეხილ ცხვირსა და ჭროღა თვალებს, აღარ გაუწვალებიათ — იქვე, მის მიერვე შეთხზული რუსული გვარით გაასამართლეს. გულახდილი აღიარებისათვის ამნისტია შეუფარდეს და რაკი ნაქურდალი დიდ ფასეულობას არ წარმოადგენდა, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით ხელში. ასე გახდა მკვლელობისთვის ძებნილი, დედით რუსი რომან მებონია ვალენტინ სიომინი — როგორც იტყვიან, შარი ხეირად ექცა. ახლა მას წარსულისა ნაკლებად ეშინოდა, უკვე მომავალზე დაიწყო ფიქრი. თუმცა, მომავალიც ისეთივე ბნელი და ბინძური ჩანდა, როგორიც წარსული და მართლაც — ახალი ქურდობისათვის მას მალე შვიდი წელი მიუსაჯეს. თითქოს საწუწუნო არც ამ შემთხვევაში უნდა ჰქონოდა, რაკი ორი კაცის მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობა ელოდა, მაგრამ დაიჯერა, რომ მართლა ვალენტინ სიომინია და ზუსტად ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც ამ სახელისა და გვარის პატრონს შეეფერებოდა.

## განკითხვის ჟამი

კიმი კალანდაძე კარგა ხნის დაჭერილი იყო, მაგრამ ალანიების მკვლელობას ბრალად მანამდე ვერ წაუყენებდნენ, ვიდრე რომან მებონიასაც არ იპოვიდნენ. და ეს კიდევ შვიდი წლით გადაიდებოდა, მებონიას თვითონ რომ არ გამოეთხარა ის სარდაფი, სადაც სამუდამო პატიმრობამისჯილები ისხდნენ. შვიდ წელიწადს ციხეში რა გამაჩერებს, აქედან გავიქცევი, შემდეგ კიდევ რაღაც წვრილმანს მოვიპარავ, მოსამართლეს თავს შევაცოდებ და ახალ სახელსა და გვარს გავინაღდებო, — იფიქრა და გვირაბის ჭრას შეუდგა. სამი თვე თხრიდა, სამი თვე არ უძინია. ღამით ყველა რომ დაიძინებდა, მიწა უბით გამოჰქონდა და კოლონიის ეზოში ფანტავდა „წყნარი, უკონფლიქტო კაცი, რომელიც არასდროს არღვევს რეჟიმს", — ასე ახასიათებდა მებონია-სიომინს კოლონიის ადმინისტრაცია. ჰოდა, იმჯერადაც ისე წყნარად მუშაობდა, რომ კარგა ხანს ვერაფერი გაუგეს. მერე კი ერთმა ოპერმუშაკმა შენიშნა მისი ღამეული თავგამოდება, მაგრამ ხელი არ შეუშალა „გვირაბგამყვანს". რომანი კი თავგამოდებით მუშაობდა. რაც უფრო სიღრმეში მიიწევდა, მით მეტად უჭირდა სუნთქვა. სანთელიც აღარ ინთებოდა უჟანგბადობის გამო. ერთ ღამეს კანალიზაციის მილს გადაეყარა. იცოდა, აუტანელ სიმყრალესთან ერთად, მას ჟანგბადიც მოჰყვებოდა და ერთ ადგილას მილი ჩაამსხვრია. საშინელმა სუნმა და ვირთხებმა აავსეს იქაურობა. სამაგიეროდ, სანთელი ენთო და რომანიც უფრო „ნაყოფიერად" თხრიდა მიწას. კიდევ ერთი-ორი დღეც და მისი ვარაუდით, სამშვიდობოს გავიდოდა.

— მაშ, გვირაბგამყვანით ამაღამ გააღწევს გარეთ. კეთილი და პატიოსანი, შეატყობინეთ რაიონის პროკურორს. რა გვარია? მიჭირს ქართული გვარების დამახსოვრება. არა უშავს, კარგად რომ გავიცნობ, მერე აღარ დამავიწყდება. სთხოვეთ, იქნებ დაესწროს ოპერაციას. სხვებიც მოამზადეთ... — ბრძანა კოლონიის უფროსმა და წამოდგა.

## ხაფანგი

იმ საღამოს დანარჩენების დაძინებას დაელოდა რომანი. მერე წვერი გაიპარსა, — გარეთ გასულს სხვა იერი უნდა ჰქონოდა. სხვა რამეებზე არც უფიქრია, მხოლოდ საპნის ნაჭერი ჩაიდო ჯიბეში. ნაშუაღამევს გვირაბში ნაძრომიალებ პერანგსა და შარვალს გავრეცხავ სადმეო და გვირაბში დურთა თავი... მიწის ზემოთ რომ ამოვიდა, ის იყო, ტანსაცმლის ფერთხვას შეუდგა, რომ უეცრად ირგვლივ ყველაფერი განათდა. მერე სინათლის წრეს ერთი, ქართული იერის ახოვანი ვაჟკაცი გამოეყო. რომანთან მივიდა, დააკვირდა და წამით შეცბა. მერე უკან მდგომთ მოუბრუნდა და ვითომ საყვედურნარევი კილოთი უთხრა:

— აკი ტრაბახობდით, ოპერაციას უნაკლოდ ჩავატარებთო, მაინც შეგეშალათ. ვალენტინ სიომინის ნაცვლად, თქვენ რომან მებონია დააკავეთ... — მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი დასძინა, — ჩემი მშობლების მკვლელი.!..

ეს პროკურორი ალანია გახლდათ.

***ვაჟა გავაშელი***



რუბრიკა „ვერსიის" რჩეული პუბლიკაციების კრებული კარგი საჩუქარია დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის!

ფასი 2.5 ლარი

# „ყველაზე კორუმპირებული ადამიანები შევარდნაძის გარემოცვას წარმოადგენენ“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

**— ამას წინათ, პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე ბურჯანაძე დატუქსა, — შენგან განსხვავებით, ზურაბ ჟვანია ახერხებდა პარლამენტში ვითარების მოწესრიგებასო.**

— პრეზიდენტმა კი თქვა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით თვითონაც არ მირეკავდა. ბევრ საკითხს დამოუკიდებლად ვწყვეტდი, მაგრამ არც პრეზიდენტს უყოყმანია, — ჟვანიას დავურეკო თუ არა, ვთხოვო თუ არა კონკრეტული საკითხის გადაწყვეტაო. არ ვიცი, რატომ მახსენა პრეზიდენტმა მაშინ, მაგრამ ჩემთვის ერთი რამ ცხადია, შევარდნაძისთვის, ჯორბენაძისა და ხელისუფლებისთვის ჟვანია არის უპირველესი მტერი. მთავარი, რისთვისაც ისინი იბრძვიან, არის ის, რომ არ დაუშვან ჟვანიას გამარჯვება საპარლამენტო არჩევნებში და ამისთვის სხვადასხვა ოპოზიციურ ძალასაც გაურიგდებიან.

**— ზოგიერთი პოლიტიკოსი ჩუბაისს უფრო ამერიკულად მოაზროვნე პიროვნებად მიიჩნევს.**

— ჩუბაისს მართლაც კარგი თვალით უყურებენ დასავლეთში, მაგრამ ის მაინც რუსი პოლიტიკოსია, რომელსაც პუტინთან ერთად სურს პოლიტიკური ქულების მოპოვება. მაგრამ შესაძლოა, ჩუბაისი პუტინის ერთი ხელის მოწერით გაათავისუფლონ თანამდებობიდან და საქართველოს ენერგეტიკის შეფად რუსეთის რომელიმე სპეცსამსახურის წარმომადგენელი მოგვევლინოს. მით უმეტეს, ბოლო დროს პუტინი ხშირად ეფბი-აისა და კგბ-ს გენერლებს ნიშნავს ამა თუ იმ თანამდებობებზე.

**— ბოლო დროს ქართველი საზოგადოების ყურადღება რამდენიმე ღია წერილმა მიიპყრო. ორივეს ავტორები ინტელიგენციის სხვადასხვა ბანაკის წარმომადგენლები არიან. როგორ შეაფასებთ პატრიარქისა და რიჩარდ მაილსისადმი გაგზავნილ წერილებს?**

— ინტელიგენციის წერილი რიჩარდ მაილსისადმი კანცელარიაში, შევარდნაძის დავალებით დაიწერა. მართალია, მას ხელს აწერს საქართველოს კულტურის დარგის ზოგიერთი მუშაკი, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო ინტელიგენციის შეხედულებებთან. ინტელიგენცია ხელისუფლებისა და რომელიმე პოლიტიკური ძალის დაკვეთებს არასოდეს შეასრულებს.

რაც შეეხება წერილს პატრიარქისადმი, იგი სრულიად სხვა მოვლენაა. დაუშვებლად მიმაჩნია ქვეყნის სულიერ წინამძღოლთან ღია წერილებით საუბარი. მით უფრო, როცა ლაპარაკია კათოლიკოს-პატრიარქ ილია -ზე, გამორჩეულ პიროვნებაზე, ამ ურთულეს პერიოდში ერის წინამძღოლზე. ბედნიერი ვარ, რომ მასთან მრავალწლიანი და ახლო ურთიერთობა მაქვს. მახსოვს, რა რთული იყო უკანასკნელი 15 წელი მისთვის, როდესაც მისი რეზიდენცია ეგზალტირებული ქალების ალყაში იყო. მახსოვს, როგორ დარბოდნენ ზოგიერთ ქალაქში პატრიარქის ამოტრიალებული ფოტოებით, მახსოვს, რა გამალებით ცდილობდნენ რუსეთის სპეცსამსახურები ქართულ ეკლესიაში განხეთქილება შემოეტანათ. ყველა ამ ვითარებაში პატრიარქმა ზუსტი და სწორი გადაწყვეტილებები მიიღო და ეკლესიის მთლიანობა შეგვინარჩუნა... ბედნიერები უნდა ვიყოთ, რომ ასეთი პატრიარქი გვყავს. რაც შეეხება იმ წერილში აღძრულ თემებს, ისინი 2 თვის წინ საქართველოს პრეზიდენტმა წამოწია წინა პლანზე მთავრობის სხდომაზე. შევარდნაძე ეკლესიაზე უკმაყოფილო და დამრიგებლური ტონით ლაპარაკობდა. მან თქვა — დამნაშავეები ინიშნებიან ეკლესიაში ხელმძღვანელ პოსტებზეო. მაშინ რატომ არ ამოიღეს ხმა შევარდნაძის ინტელიგენტებმა? თუ რომელიმე წერილზე ვახუშტი კოტეტიშვილის ხელმოწერა უფრო საგანგაშოა, ვიდრე პრეზიდენტის ლაპარაკი მთავრობის სხდომაზე?! როდესაც პრეზიდენტმა ასეთი შემაშფოთებელი განცხადებები გააკეთა, მაშინ თავი შევიკავე პასუხის გაცემისაგან, რადგან არ მინდოდა, პრეზიდენტს, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ეკლესია გამხდარიყო პოლიტიკური დებატების საგანი. ამ თემაზე არასოდეს მისაუბრია ჟურნალისტებთან, მაგრამ დღეს იძულებული ვარ, რადგან ჩვენი ოპონენტები ცდილობენ, ხელი აფათურონ ყველა ქართველისთვის სათუთ სფეროში, რომელსაც დედაეკლესია ჰქვია.

**— მაგრამ თქვენი თანაგუნდელი ელდარ შენგელაია ხელს აწერს პატრიარქისადმი მიწერილ წერილს. ესაუბრეთ ბატონ ელდარს ამის შესახებ?**

— ხელმომწერთა შორის რომ ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანი არის, ეს ძალზე უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს. ვისაუბრე ბატონ ელდარსა და სხვებთანაც, მითხრეს, ხელმოწერა უცნაურ ვითარებაში მოხდა, ვიღაც მოვიდა და ხელის მოწერა გვთხოვაო. ვერავის ვაიძულებ და ვერც ვუბიძგებ ასე თუ ისე მოიქცეს, მაგრამ ფაქტია, ამ ხელმოწერებმა ძალზე უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო, რადგან ამ ფაქტს ჩვენი ოპონენტები ძალზე უნამუსოდ იყენებენ.

***იზო რიკაძე***

# საქართველომ სამუდამოდ დაკარგა რვა ტონაზე მეტი ოქრო და 40 ტონა ვერცხლი

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება ბოლნისის რაიონს.**

— 2000 წლიდან დღემდე კვლავ გრძელდება საბადოს ვანდალური დამუშავება. ამუშავებენ მხოლოდ იოლად გამდიდრებად მადნებს, ისიც ეკოლოგიური პარამეტრების დაცვის გარეშე. ყოველწლიურად მდინარე მაშავერაში ათასი ტონა სპილენძის იონი ხვდება. შემდეგ მდინარით ბოლნისის რაიონის სავარგულები ირწყვება. იქ მოწეულ კარტოფილს კი მთელი საქართველო მოიხმარს. ეს გენოციდის ტოლფასია. ჯერ კიდევ 1998 წელს ჩვენმა კომპანიამ და ერთ-ერთმა უცხოურმა ფირმამ „კომერციალ მაინინგმა“ შევთავაზეთ ხელისუფლებას ამ პრობლემის მოგვარება საკუთარი სახსრებითა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ლობჟანიძემ „კომერციალ მაინინგის“ ხელმძღვანელობას, ვითომდა შესაბამისი უფლებების მისანიჭებლად, დიდი თანხა დასტყუა და საკუთარი ფირმის მეშვეობით იმავეს გაკეთება სცადა. თუმცა ვერ შეძლო, სამაგიეროდ, „კომერციალ მაინინგი“ გააძევა და მისი ფული დღემდე მითვისებული აქვს. საბადოს მტაცებლური ექსპლუატაციის გამო მისი საპროექტო ვადა 22 წლიდან 3 წლამდე შემცირდა. მერე „მადნეული“ გაჩერდება, ოღონდ მანამდე „კვარციტიდან“ მიღებული მოგებით „მადნეულის“ ზარალი დაიფარება (ორივე საწარმოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ლობჟანიძეა. — ზ. ჩ.). შეიძლება, გაისად კვარციტული მადნების მარაგი ამოიწუროს და კარიერში დარჩენილი 200 ტონა სპილენძი და 20 ტონამდე ოქრო უახლოეს მომავალში რენტაბელურ დამუშავებას აღარ დაექვემდებაროს. ყოველივე ეს სახელმწიფოს ერთ მილიარდ აშშ დოლარს აზარალებს...

**ასე დაიკარგა სამუდამოდ 12 მილიონ ტონამდე კვარციტის მადანი, ანუ 8 ტონაზე მეტი ოქრო და 40 ტონა ვერცხლი. ეს იმდროინდელი ფასებით (ერთი გრამი ოქრო დაახლოებით 16 დოლარი, ერთი გრამი ვერცხლი კი 1,40 დოლარი ღირდა) 180 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა.**

ჩვენ დავუკავშირდით „მადნეულისა“ და „კვარციტის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მდივანს, **ნანული კინწურაშვილს** და ბატონ ზურაბ ლობჟანიძესთან შეხვედრის ორგანიზება ვთხოვეთ. „ბატონ ზურაბს თქვენთან შეხვედრის სურვილი არ გამოუთქვამს. როდესაც მოისურვებს, დაგიკავშირდებით, მანამდე კი შეგიძლიათ ჩვენი იურიდიული სამსახურის უფროსს გაესაუბროთ“, — დაგვაკვალიანა ქალბატონმა.

ჩვენ „კვარციტის“ ტექნიკურ დირექტორთან, **გიზო ტაბატაძესთან** მოვახერხეთ შეხვედრა, რომელმაც მხოლოდ ეს გვითხრა: „ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2000 წლის განჩინებით გაუქმებულია შპს „კვარციტის“ 50%-ის მფლობელი ფირმა „ბოლნისი მაინინგ ოპერეიშენზ“-ის რეგისტრაცია, მაგრამ განჩინება ძალაში შესული არ არის და საქმე თბილისის საოლქო სასამართლოში იხილება. საქართველოს მხრიდან შპს „კვარციტში“ მეორე 50%-ის მფლობელი — „მადნეული“ აგრძელებს პარტნიორულ ურთიერთობას „ბოლნისი მაინინგ ოპერეიშენზ“-თან ქართული მხარის მიერ გაცემული მინდობილობით“. ბატონმა გიზო ტაბატაძემ ვერაფრით აგვიხსნა, თუ რატომ შემოაქვს ციანმარილები საწარმოს კორეიდან, როდესაც სულ რაღაც 100 კილომეტრში, სუმგაითის ქიმიურ კომბინატში, იგივე ნედლეული გაცილებით იაფი ღირს. მიუხედავად მცდელობისა, კიდევ ბევრი კითხვა დაგვრჩა უპასუხოდ. ვეცდებით ყველა კითხვას უახლოეს ნომრებში ამომწურავად ვუპასუხოთ, რაშიც ადვოკატი რუსუდან ქორჩილავა და „კვარციტის“ ერთ-ერთი ავსტრალიელი თანამშრომელი შეგვპირდნენ დახმარებას. საინტერესოა, რა გადის საქართველოდან ისეთი, რომელიც, როგორც ამბობენ, ოქროზე ძვირი ღირს.

*P.S. თუმცა ერთი რამ ახლაც ნათელია. ქართული ოქროს მოპოვება-რეალიზაციაში უამრავი ჩრდილოვანი მხარეა. ქართველი ერის კუთვნილი განძით ხან გადამთიელები ითბობენ ხელს, ხან კი სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებულ-დანათესავებული ჩვენებურები. სადამდე უნდა ძარცვოს ჩვენი სამშობლო გარეულმა და შინაურმა, როდემდე უნდა ნიავდებოდეს ქართული ოქრო და ვერცხლი?! ნეტავ, თუ ფიქრობენ ამაზე ისინი, რომლებიც „ზემოთ“ სხედან ან ისინი რომლებიც ხალხმა აირჩია?!*

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# შავბნელ საქმეებს ფარდა აეხდება?!



(დასაწყისი იხ. გვ. 5)

არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ ამ პიროვნებას ვიცავ, მაგრამ აქ ლაპარაკია იმაზე, შეუძლია თუ არა ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერი დანაშაული დამაბრალოს... სწორედ ამ ტაბუდადებულ თემაზე მივწერე წერილი ხაბურძანიას, მივწერე, რომ მზად მაქვს გამოსაცემად „1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი“. ეს ძალზე მნიშვნელოვანი თემაა და არ შეიძლება ვარაუდების დონეზე წერა, მქონდა უამრავი კითხვა — მათ შორის ესეც. ხაბურძანია პირველი ადამიანია, რომელმაც ოფიციალურად დამიდასტურა, რომ იგორ გიორგაძე ივლისის მეორე ნახევრიდან 1995 წელს საქართველოში არ იმყოფებოდა. დადასტურებულია ისიც, რომ იგი საქართველოში 30 აგვისტოს ჩამოფრინდა.

იცით, რა არის კიდევ საინტერესო? 1995 წლის 29 აგვისტოა. უშიშროების მინისტრი საქართველოში არ იმყოფება, ასევე არ იყო საქართველოში ავთანდილ იოსელიანი, ანუ ზუსტად რომ ვთქვათ, იმ მომენტში ჰაერში იყო, თვითმფრინავში იჯდა. ბუნებრივად გამიჩნდა კითხვა: თუ არც ერთი მათგანი საქართველოში არ იმყოფებოდა, მაშინ ვინ იყო იმ დღეს უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, ანუ ვის შეეძლო იმჟამად განკარგულების გაცემა? თუმცა ამ კითხვაზე პასუხი ვერ მივიღე. გაირკვა ისიც, რომ 15 ივლისს იგორ გიორგაძე უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსნებთან ერთად საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან შეთანხმებით იმყოფებოდა თურქეთში. ჩემი ინფორმაციით, 15 ივლისს ისინი თბილისიდან 3 მანქანით გაემგზავრნენ.

**— ვინ არიან ეს მაღალჩინოსნები?**

— ისინი დღესაც თავიანთ თანამდებობებზე მუშაობენ. ამ ეტაპზე არ მსურს მათი დასახელება, მაგრამ გეტყვით, რომ მათი თქმით, ერთი კვირა იყვნენ თურქეთში. გარდა ამისა, ისიც მითხრეს, ედუარდ შევარდნაძემ რა საჩუქარი გაატანა იგორ გიორგაძეს თურქეთში ქვეყნის პრეზიდენტთან, სულეიმან დემირელთან.

**— რა გაატანა?**

— ...ჭადრაკი. სიმბოლურიც არის. მთელი ცხოვრება მართლა ჭადრაკის თამაშია, არა?!

**— თქვენ აცხადებთ, რომ წერთ წიგნს და სიმართლის გარკვევა გსურთ. მაგრამ მაინტერესებს, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ხაბურძანიას წერილიდან. გავიხსენოთ, რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტის განცხადება იმის თაობაზე, რომ თუ გიორგაძე დამნაშავე არ არის, ჩამოვიდეს საქართველოში და სამართალდამცავებს პასუხი გასცესო. იგორ გიორგაძის გამართლებას უნდა ველოდეთ?**

— პრეზიდენტის სიტყვები კანონის ჩარჩოებშია მოქცეული. თუ გიორგაძე ჩამოვა, ის როგორც ძებნილი, უნდა მაშინვე დააპატიმრონ. მაშინ გამოძიება ჩიხშია. რომც უნდოდეს, ვერ ჩამოვა. რომ არ დაიჭირონ, მაშინ უნდა ვთქვათ, სწორად იყო თუ არა მასზე დაპატიმრების სანქცია გაცემული და სწორად არის თუ არა მასზე ძებნა გამოცხადებული (რასაც ბევრი მაღალჩინოსნის კარიერა შეიძლება შეეწიროს). თუ სასამართლო მასზე ძებნისა და დაპატიმრების სანქციას გააუქმებს, მაშინ არის შანსი, რომ გამოძიებას მისცეს ჩვენება. არ არის გამორიცხული, ისეთი ჩვენება მისცეს, რომ მთელი გამოძიებული საქმე თავდაყირა დააყენოს.

**— მოდით, პირდაპირ გკითხავთ, თუ იგორ გიორგაძე არ იყო დამგეგმავი, მაშინ ვინ მოაწყო ტერაქტი?**

— ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი იკითხავს: თუ ტერაქტის შესახებ მოლაპარაკებას გიორგაძე არ დასწრებია (როგორც ამას უშიშროება გვიდასტურებს), მაშ ვის დასჭირდა მისი იქ ყოფნა დაედასტურებინა?! ვიღაცას ხომ დასჭირდა?! აქვე ჩნდება კითხვები: ვისი დავალებით და რატომ შეითითხნა 2 სექტემბრის პატაკი, ვინ არის ტექსტის ავტორი?! მოდით, ახლა ასე დავსვათ კითხვა. როგორც გახსოვთ, ნიკა კვეზერელის დაპატიმრებაზე ტერაქტში მონაწილეობის მიზეზით სანქცია ბაბილაშვილმა გასცა. უზენაესმა სასამართლომ კი კვეზერელი გაამართლა... დღეს ორივე დეპუტატია. ერთი საგარეჯოდან, მეორე — გურჯაანიდან. რა ხდება სინამდვილეში, რომელია მართალი? კიდევ ვიმეორებ, თუ ვართ სამართლებრივი ქვეყანა, მართლა გავარკვიოთ სიმართლე, რომელიც, ვფიქრობ, ბევრ შავბნელ საქმეს ახდის ფარდას.

***მარინა მამისაშვილი***



# „მთვარე დავტოვე სახლის დარაჯად“...

*„ვინც ილხენს ახლა
უფრო ცოდოა,
ვიდრე ის შევრი,
ახლა ვინც ტირის...
ამგვარში,
დღეს რომ
საქართველოა,
არც სიცოცხლე ღირს
და არც სიკვდილი“.*

***მუხრან მაჭავარიანი***

*„შეკრიბეთ თითო შაური, / მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო“,* — შესთხოვდა თავის ქვეყანას, ძმასა და მეზობელს საქართველოდან გატაცებული, გაყიდული თუ გაჩუქებული ქართველი ქალი. ეს იყო წინათ, გადამთიელთა ძალმომრეობისას. დღეს თავისი ნებით, საკუთარი სურვილით გადაკარგულები იმავეს მოთქვამენ. მათ გულებში სულ ზამთარია, წვიმა და თქეში. მაინც სხვაგან გაქცევა ამჯობინეს ოჯახების სარჩენად, შვილების დასაკვალიანებლად, მიცვალებულთა პატივსაგებად... დრო ელვის უსწრაფესად მიაქანებს საუკუნეებს. ჩვენი ქვეყნის ისტორიას დასაბამიდან მაინც არ შემოუნახავს ქალთა ისეთი რიცხვმრავლად მოწყვეტა მშობლიური კერიდან, როგორც ბოლო ათწლეულში. ამ თავზარდამცემ რეალობას მძიმე და ბნელი ფარდა აფარია. ვის ჯიშსა და ჯილაგს ურწევს აკვანს ქართველი დედა, რატომ აკლიათ მათი ალერსი შვილებს, რატომ ენატრებათ საკუთარ ეზო-ყურეში ფუსფუსი ან უბრალოდ ქალად ყოფნის სიამოვნება, თავიც რომ იმტვრიო, ისე ვერ ახსნი, როგორც თითოეული მათგანი:
— ჩვენი ცოდვა იმათ კისერზე იყოს, ვინც ამ დღეში ჩაგვყარა, გუდა-ნაბადი აგვაკვრევინა და ამ სიშორეზე გადმოგვხვეწაო, — წერენ გულამოსკვნით.

## „ვაი, საბრალო, ჩვენს საქართველოს!“

თუ გინდა ფუძე მოშალო, ოჯახი უშვილძიროდ უნდა გადააგო, თუ გინდა კერა გააციო — დედის სითბო უნდა მოაკლო, თუ გინდა სახლი დააქციო — დედაბოძი უნდა გამოაცალო, თუ გინდა ქვეყანა ამოწყვიტო, ქალის სახსენებელი უნდა გამოლიო, რამეთუ იგია სიცოცხლის საწყისი, ერის აკვნის დამრწევი, ჭირისუფალი. ქართველმა ქალებმა კი სად არ დაიბუდეს, დედამიწის რომელი კუთხეც გნებავთ, სავსეა ჩვენებური ჯიშიანი დედაკაცებით, გოგონებითა და ვაჟებით. მოდგებიან მერე სტატისტიკოსები და შინ დარჩენილებს გაგვიხეთქავენ გულებს: ვცოტავდებითო, გავნახევრდითო... ღმერთო, ნუ წამოაცდენინებ — გავთავდითო! სანამ იმ დაცოტავებულს, იმ განახევრებულსაც კიდევ დააკლდება ვინმე, ერმაც და ბერმაც ერთობლივი ძალისხმევით უკან უნდა დავაბრუნოთ გაქცეულები — ნათელი გზით, იმედით, მოფერებით. დავაბრუნოთ და მივცეთ არსებობის საშუალება, თორემ დაგვექცა თავზე ქვეყანა. გახსოვთ, როდის გვიკიჟინებდა არჩილ მეფე: „თუ ამოწყდა გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდესო?!“ თუ ასე მისხალ-მისხალ დავცოტავდით, თუ დედამ შვილი აღარ გააჩინა, თუ ჩვენი ტანკენარი გოგონები ევროპაში დათხოვდნენ, ხომ მთლად დავცარიელდით გუდაფშუტასავით. ან რაღა საქართველო გვექნება — უხალხოდ, უადამიანებოდ, ცარიელი ხელისუფლების ამარა... სხვა ქვეყნები დედამიწის დასალიერში ეძებენ სამშობლოდან გაქცეულ-გადახვეწილებს, იმათ მისხის მისხს უკან აბრუნებენ, მრავლდებიან, ღონიერდებიან... არადა ქართველს, სადაც არ უნდა ყოფილიყო, სხვაზე ნაკლებ არ ეძალებოდა ნოსტალგია. ვისაც შინ დაბრუნების იმედი ჰქონდა გადაწურული, თან ერთი მუჭა ქართული მიწა მიჰქონდა გულზე დასაყრელად. და რომ დღესაც ასეა, საბერძნეთში, კერძოდ, ათენში, არალეგალურად მცხოვრებ ქართველ ქალთა წერილებიდანაც შევიტყობთ.



ჩაქრა კერიაში ცეცხლი და გაიშვიათდა ჩვილი აკვანში

ამგვარ წერილებს ისინი მარტო ოჯახებში არ აგზავნიან. საბედნიეროდ, სულის შესაკრებელი იქვე გამოსჩენიათ, თავი მოუყრიათ ერთი პატარა გაზეთის გარშემო, მის ფურცლებს ანდობენ თავიანთ განცდებს, ტკივილს, სიხარულს. ამ გაზეთს „ნოსტალგია“ ჰქვია. მისი რედაქტორი, ჟურნალისტი ანა ყურშავიშვილი მარტოხელა მოხუცს უვლის. ეტყობა, პროფესიული ჟინი მოეძალა და ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემა დაიწყო. რაკილა იქ ჩვენი ხალხი არავის აინტერესებს, „ნოსტალგია“ თავად აკეთებს ეროვნულ საქმეს. კრებს ასობით ნაცნობ და უცნობ ქართველს, ერთად ყოფნის სიამოვნებას განაცდევინებს, მშობლიურ ენაზე ამეტყველებს. ისინიც მოდიან „გრაფიოებში“ (ფირმებში). ერთმანეთის ნახვით გულს იჯერებენ და ისევ უბრუნდებიან მომქანცველ სამუშაოს. მერე ერთი სული აქვთ, კვირა დღეს ისევ „პატარა საქართველოს“ სამყაროში ჩაიძირონ. წერენ თავიანთ ბედზე, სიყვარულზე, მონატრებაზე. რესპონდენტთა ნააზრევი ელადის ცის ქვეშ — კიბეებზე, „გრაფიოებში“ იშიფრება. გვიან ღამით კი, როცა ანას „ბებიაც“ ჩაიძინებს, თავის ოთახში ჩაკეტილი რედაქტორი განთიადამდე ჩაჰკირკიტებს თანამემამულეთა სევდიან სტრიქონებს, ამზადებს დასაბეჭდად. იქ მცხოვრები ყველა ქართველი „ნოსტალგიის“ კორესპონდენტია. ზოგი საბოლოოდ დამკვიდრებულა ელადის მიწაზე, ოჯახი შეუქმნია და ბერძნულ გვარს ატარებს, მაგრამ არ ივიწყებს, რომ მისი სამშობლო საქართველოა. ჩვენს ქალებს „გრაფიოებიდან“ ყველაზე მეტად „ნიკე“ და მისი თბილისელი დიასახლისი ელმირა ტრიანდაფილოდი მოსწონთ. ამ ფირმას ფართო კონტაქტები აქვს ბათუმთან, ფოთთან, რუსთავთან, მარნეულთან, წალკასთან, დუშეთთან, თბილისთან, ქუთაისთან. მეპატრონეც ქართველი ბერძენია — ქუთათური ვაჟა კელესიდი. ვის არ შეხვდებით თურმე აქ: ტყიბულელ მარინა ბეგაძეს, თბილისელ ნაზი კალანდაძეს, სოხუმელ მარინა დანელიას, თიანელ ლეილა ჯაბანიშვილს, ონელ ნელი მაისურაძეს, ქუთაისელ ნანა გოჩელაშვილს... მოდიან, ფუთავენ თავიანთ გზავნილებს... და მოქრის ავტობუსი ათენის გულიდან საქართველოსკენ, მოაქვს ჩასაცმელ-დასახური, ფული, იმედი საბერძნეთში მცხოვრები ემიგრანტებისაგან. ისინი კი თურმე 200 ათასნი არიან!!!



საბერძნეთში მცხოვრებ ქართველთა გაზეთის სააღდგომო ნომერი

შაჰ-აბასისაგან გარეკილ ქართველთა ყოფაზე მოვთქვამდით და, თურმე არც საბერძნეთში „დიდი ჩალიჩით“ წასულთა გზა ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. ეგ არის, ბოლომდე არ დაუკარგავთ იუმორის გრძნობა. როგორც თვითონ წერენ: *„ათენში ჩასვლას წინ უძღვის უძილო ღამეები, ღელვა, ფულის შოვნისა და სანდო კაცი პოვნის ფაციფუცი. მერე არჩევანის გაკეთება იმ უამრავი ვარიანტიდან, რომელიც აქ ჩამოსასვლელად გამოიგონა გამჭრიახი გონების ქართველმა. ფეხით, ავტობუსით, ნავით, გემით, თვითმფრინავით, „ავტოტურით“ — გერმანიიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან. შეიძლება ვინმე ცხენითაც კი მოდის ან გვირაბს თხრის უმოკლეს გზად, რას გაიგებ... თუმცა ცხენით წამოსვლა ჯერ გასაიდუმლოებულია, გვირაბებსაც ტაბუ ადევს. ფეხით კი იცოცხლე — ეს უმოკლესი და უიაფესი გზაა, თანაც რომანტიკული: საქართველოდან თურქეთის გავლით, ბულგარეთი, მერე საზღვართან რაღაც ორი საათი უღრან ტყესა და კლდე-ღრეებზე, ან უმშვენიერეს არყის ხეთა ჩრდილებში... რა თქმა უნდა, ეს იმ ბედნიერ შემთხვევაში, როცა „სალათას ძილი“ გამეფდება საზღვარზე, მაგრამ თუ ღმერთი გაუწყრათ და ფხიზლად არიან, ორი საათი კი არა, შეიძლება 9 დღე იდგე და ელოდო, როდის ჩაძილქუშდებიან მესაზღვრეები, რომ ფეხაკრეფით „შეიჭრა“ აღთქმულ ქვეყანაში“, ან ნავით „გააპო“ იგი. რაკი თავი ქუდში გაქვს, აიღე ლექსიკონი და იარე „გრაფიოებში“ სამუშაოს საძებნელად. თუ მიაგნებ და დაბინავდები, მერე სასაცილოა ფათერაკებიც“...*

თავად „ნოსტალგიის“ რედაქტორი, ქალბატონი ანა ერთხელ უკვე „უყურყუტებიათ“ ათენის ციხეში საზღვრის უკანონო დარღვევისთვის. მერე „ჩაუბრძანებიათ“ თვითმფრინავში და დაუბრუნებიათ უკან. მაინც არ დაიშალა, ჩავიდა, სამუშაოც იშოვა, გაზეთის საშუალებით ქართველები შემოიკრიბა, ერთ მუშტად შეკრა და მშობლიური გარემო შეუქმნა. მაინც ტკვილით წერს:
— საბერძნეთი ჩემს ბავშვურ ცნობიერებაში ნახევარსფეროების რუკითა და გლობუსით დამკვიდრდაო. *„იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, სწორედ ამ ქვეყანაში თუ მომიწევდა ცხოვრება, თანაც გაწვდილი ხელით, ისე, როგორც არა მჯეროდა დედამიწის სიმრგვალე. ახლა დედამიწის სიმრგვალეც დავიჯერე და ბედის ბორბლის ტრიალიც. ამ ტრიალში კიდევ კარგი, უძველესი კულტურის, მითებისა და ლეგენდების და რაც მთავარია, ძირძველ ქრისტიანულ ქვეყანაში მოვხვდი და არა სადმე ჯუნგლებში, კაციჭამიებს შორის“.*

„ნოსტალგია“ დიდ ადგილს უთმობს კურიოზებსა და იუმორს. დარდს უქარვებს, ყოფას უმსუბუქებს თანამემამულეებს. აი, რას წერს ზესტაფონელი იზო კვერეხაძე: *„ახალი ჩამოსული ვარ აქანე და დევიწყე საცხა ბებიასთან მუშაობა. ენა არ ვიცოდი. როცა რამეს მეტყოდნენ, ესე ვიდექი, ჩასველებულ ბაღანასავით. ერთხელ ბებია მეუბნება: „სტაფილია“ მომიტანეო. გევიხარე ძალზე, ნაცნობი სიტყვა რომ გევიგონე. ამოვარჩიე და მივართვი ყველაზე დიდი სტაფილო. მიყვირა და ისეთი მრეკა თავში, რამის გედევიქეცი ქალი. სტაფილიაა თუ რაცხა ჯანდაბა, თურმე ყურძენს რქმევია“.*

გულს მალამოდ ედება ქართული თავშესაქცევი ამბები. ამონარიდი გაზეთიდან:

*„თიანეთში ცხოვრობდა ერთი ალალმართალი, მოქეიფე, იუმორით სავსე კაცი მიშა ბუწანკალური — „წიწწკლი მიშა“. ერთხელ არყის გამოსახდელი ქვაბის სათხოვნელად მივიდა მეზობელთან. მეზობელს დაეზარა ორმოცვედროიანი ქვაბის გამოთრევა სარდაფიდან — გათხოვებდი, წიწწკლი, ძმაო, მაგრამ ყურები არა აქვო.*

*— შე კაი კაცო, რას მებოდიშები, მიდი, გამაიტანე, ყურები რად უნდა, განა სიმღერა უნდა ვასწავლოო“.*

მოკლედ, იცინიან, გულს აყოლებენ, ურთიერთობის ამ ერთადერთი ფუფუნებით. გაზეთში ბავშვების უამრავ ფოტოს შეხვდებით რუბრიკებით: „ისე შორსა ხართ, ვარსკვლავებო, ჩემგან მანძილით“, „მზის სხივი საქართველოდან“ და ა.შ. სულიერი საზრდო რომ არ მოაკლდეთ, „ნოსტალგია“ ხშირად აქვეყნებს გიორგი ლეონიძის, რევაზ ინანიშვილის, გოდერძი ჩოხელის პატარ-პატარა მოთხრობებს, თითოეული სტრიქონი მალამოდ ედება წლობით გადახვეწილ ქალებს, რომელთათვის უცხოეთში ცხოვრება მათი შვილების მომავალს ნიშნავს. უფრო მეტი პოეზიაა — მოცალეობისას ფიქრს სტრიქონებად ქარგავენ. ქალბატონი იზოლდა ბერიანიძე-კაციაშვილი კასპიდანაა, პროფესიით ფილოლოგი. 32 წელიწადი ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ღრმა, ღვთიური თვალები აქვს თურმე, გული კი დარდით სავსე. ძმის უეცარმა სიკვდილმა თავზარი დასცა უცხო მხარეში... წერს თავის ვარამს მამულთან განშორების გამო, სამშობლოზე, მამაზე, დაკარგულ ბილიკებზე, მოლოდინზე — როდის გათავდება სხვაგან ყოფნის დრო! იზოლდას არც თელაველი ეთერ იჭირაული უდებს ტოლს. ალვანში გაზრდილს თეთრი გვირილებით მოჩითული თუშეთის მთები ენატრება:

*„დავემშვიდობე ობოლ სასთუმალს,
გამოვიხურე მძიმედ დარაბა,
ღმერთს შევავედრე ჩემი ფუძე და
მთვარე დავტოვე სახლის დარაჯად...
შორეთში დარჩა ის ყველაფერი,
რაც ვთქვი, ისიც და რაც არ მითქვია,
აქ ედემია, იქ ჯოჯოხეთი,
მაგრამ ელადა მაინც სხვისია.
ჩემი აქ ყოფნა სულ ავდარია,
სულ ზამთარია, წვიმა და თქეში,
ოლიმპოს ღმერთებს შევთხოვ ვედრებით,
კვლავ დამაბრუნონ ჩემს ჯოჯოხეთში“.*

დაბრუნდით, ქალებო, თქვენ თვითონ დაბრუნდით, თორემ ვერც ოლიმპოს ღმერთები დაგაბრუნებენ და ვერც ჩვენი არეული მთავრობა. ხომ გაგიგონიათ, დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვერ მოერევაო. იქნებ ერთად ყოფნით მოვერიოთ ტიალ წუთისოფელს. ორასი ათასი ქართველი ხუმრობა არ გახლავთ. დაბრუნდით, თქვენი ჭირიმე. თორემ გაფრინდა ცხოვრება, ჩაქრა კერიაში ცეცხლი და გაიშვიათდა ჩვილი აკვანში, დაილია ისედაც ნაჭერნაჭერ დაფლეთილი სამშობლოს სხეული. აქ ვილვაწოთ, ერთად ვიტიროთ და მტრის ჯინაზე ვიცინოთ კიდეც.

***ეთერ თარიმანი***



## რას გვეტყვი, მამაო?

**— ოჯახის წევრმა დაუკითხავად აიღო ფულის ნაწილი, რომელიც განკუთვნილი იყო საეკლესიო ნივთის შესაძენად, მაგრამ მან ეს არ იცოდა. ფულის დაბრუნება არ შეუძლია, რადგან უმუშევარია, ვერც აღსარებას ამბობს, რადგან არც ეკლესიურად ცხოვრობს. მაინტერესებს, ეთვლება თუ არა ეს მას ცოდვად და შემიძლია თუ არა ეს თანხა მის მაგივრად გავიღო?**

— მნიშვნელობა არ აქვს დაუკითხავად ვის ქონებას იღებს ადამიანი, ეკლესიისას თუ კერძო პირისას, — ასეთი ქმედებისას იგი ცოდვაში ვარდება. ღვთისთვის ცოდვას მხოლოდ ერთი გარემოება ამსუბუქებს — როცა ადამიანმა არ იცის, რას სჩადის. მაგრამ ეს არ ამსუბუქებს ცოდვის სიმძიმეს თვით ადამიანში. ამიტომ არის საჭირო ადამიანმა თავისი საქციელი შეინანოს, თქვას აღსარება. მონანიებამდე ძალდატანებით ვერავის მიიყვანთ. თქვენი ახლობელი თვითონვე უნდა მივიდეს ამ გადაწყვეტილებამდე. თუ ამას ვერ შეძლებს, მიანდეთ იგი უფლის გულმოწყალებას და ილოცეთ მისთვის, რათა მისმა სინდისმა გაიღვიძოს. თქვენ კი, თუ გაქვთ შესაძლებლობა, შეგიძლიათ თანხა მის მაგივრად გაიღოთ.

**— გთხოვთ გვიპასუხოთ, აქვს თუ არა რაიმე მისტიკური დატვირთვა იმას, რომ ხატების კუთხეში წმინდა მარიამის ხატის ქვეშ მხოლოდ წმინდა დედების ხატები მოვათავსოთ, ხოლო მაცხოვრის ხატის ქვეშ — წმინდა მამებისა.**

— ყოველ ღირს მამასა და დედას მართლმადიდებლები თაყვანს ერთნაირი მოკრძალებით ვცემთ. წმინდანები ადამიანურ კლასიფიკაციაზე მაღლა დგანან და დედებად და მამებად დაყოფას არ ექვემდებარებიან. ხატების განლაგებაზე მხოლოდ საეკლესიო იერარქიული წესი მოქმედებს — წმინდა სამების ხატი, როგორც ჩვენი რწმენის უმთავრესი საყრდენი, ყველაზე მაღლა იკავებს ადგილს. შემდეგ მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები იკიდება, დანარჩენი ხატები მათ ირგვლივ ან ქვემოთ განლაგდებიან. საღვთისმეტყველო ლოცვებიც შესაბამისი იერარქიით აღესრულება.

**— ვარ ვეგეტარიანელი. მითხრეს, ვეგეტარიანელები ცუდი ქრისტიანები არიან, მარხვის შემდეგ ხორცს არ ჭამენო. რამდენად შეესაბამება ეს აზრი ჭეშმარიტებას.**

— ეს აზრი ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ხორცის ხმევით ან მასზე უარის თქმით, არ ფასდება ქრისტიანობა. არსებობენ ისეთი მონასტრები, სადაც ბერები ხორცს არასოდეს იხმევენ, მაგრამ განა მათზე შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი კარგი ქრისტიანები არ არიან? სხვა საქმეა თუ ხორცზე უარს რაიმე რიტუალის ან მცდარი ქრისტიანული ხედვის გამო ამბობთ — საკითხისადმი ასე მიდგომა მართლმადიდებლის საეკლესიო ცხოვრების წესს არ შეესაბამება; მაგრამ თუკი ორგანიზმი ფიზიოლოგიურად ვერ ეგუება ხორციელ საკვებს, იხმიეთ მცენარეული, ეს თქვენს ქრისტიანულ მრწამსს არაფერს ავნებს.

**— თუ ეკლესიის საკურთხეველში ქალი შემთხვევით შევიდა, ტაძარს მადლი ხომ არ აკლდება? რასთანაა დაკავშირებული ქალის საკურთხეველში შესვლის აკრძალვა?**

— საკურთხეველში ქალის შესვლის აკრძალვის მიზეზის თაობაზე რამდენიმე საეკლესიო განმარტება არსებობს. მათგან უმთავრესი ძველი აღთქმიდან მოდის და ევას ცოდვას უკავშირდება: საკურთხეველი სიმბოლურად ასახიერებს სამოთხეს, რომლის დაკარგვა დედაკაცის მიზეზით მოხდა. მას შემდეგ ეკრძალება ქალს საკურთხეველში შესვლა. ასეთი შემთხვევის დროს, იკითხება ტაძრის განწმენდის ლოცვა და ეკლესიას მადლი არ აკლდება. დიდ საკათედრო ტაძრებში ეს ლოცვა ყოველდღე აღესრულება. საერთოდ, ქრისტიანობას ყოველთვის, საუკუნეების მანძილზე ბევრი მტერი ჰყავდა და ტაძრებიც ხშირად შეურაცხუყვიათ ურჯულოებს, მაგრამ უფლის ძალა და მადლი მათგან ვერ იდევნებოდა. არა მარტო ტაძარი, მისი ნანგრევებიც წმინდა ადგილად ითვლება.

**— სხვადასხვა დროს 3 ჯვარი ვიპოვე. ერთ-ერთი ვაკურთხებინე და ვატარებ. რა ვუყო დანარჩენ ორს?**

— სასურველია, ეს ორი ჯვარი გასცეთ (ეს თქვენს ნებაზეა დამოკიდებული). ჯვრები თქვენი საკუთრებაა და თუ მათზე მართლმადიდებლური ჯვარცმის სიმბოლოებია ასახული, შეგიძლიათ შინაც იქონიოთ. თუკი რომელიმე კათოლიკური ჯვარცმითაა შესრულებული, ჩააბარეთ ეკლესიაში ან გადაადნეთ. ჯვრის გადადნობას ეკლესია არ კრძალავს, მაგრამ გადამდნარი ლითონი არ შეიძლება საყოფაცხოვრებო ნივთისთვის გამოიყენოთ. მისგან კვლავ ჯვარი ან სხვა საეკლესიო ნივთი უნდა გაკეთდეს.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „სიკვდილის ველი“ ჯვრის მონასტერთან...

## „ვის გაუგია დანაღმულ ველზე ხვნა-თესვა?“

**ე**სლა გვაკლდა, ჩვენმა მოზარდებმა ნაღმებით და სხვა ფეთქებადსაშიში ნივთებით დაიწყონ თამაში. არადა, მცხეთის რაიონში, ზაჰესის პირველ დასახლებაში ბავშვებს თითქმის ყოველდღე უწევთ სიკვდილთან პირისპირ შეხვედრა, რომელიც საბედნიეროდ, ჯერჯერობით, უმსხვერპლოდ მთავრდება. თუმცა უბედურება ყოველ წუთს შეიძლება დატრიალდეს. ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ, სადაც წინათ სსრკ-ის ჯარების ერთ-ერთი სამხედრო ქვედანაყოფი იყო დისლოცირებული, ახლა მხოლოდ მათი „ნასახლარია“. ადგილობრივი მოსახლეობა იმ ადგილს „ეშმაკის სამყოფელს“ უწოდებს. მთელი ეს ტერიტორია თხუთმეტიოდე წლის წინ დაუნაღმავთ მის ძველ მეპატრონეებს. ახალს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კი, როგორც ჩანს, თავი არ შეუწუხებია მის გასაუვნებლად. ამ საჭირბოროტო საკითხზე ყოფილი „ალფას“, შემ-



**იცით ეს რას ნიშნავს? ნებსით თუ უნებლიეთ, უცხოური ფირმა საქართველოს ტერიტორიაზე დივერსიას ეწევა. პროფესიონალ ნაღმოსნებს უმზადებს სეპარატისტებს, რომლებიც განმეორებით ომის ან სხვა შემთხვევაში, თავბედს გვაწყევლინებენ. თუ დანაღმვა არ იცი, ვერ განაღმავ.**

დეგ კი უშიშროების სამინისტროს ოპერატიული უზრუნველყოფის განსაკუთრებული ქვედანაყოფის ყოფილ უფროსს და განაღმვის სპეციალისტს **ზურაბ მეტრეველს** დავუკავშირდით:

— წინათ, ამ ტერიტორიაზე სამხედრო ქვედანაყოფიც იყო და სამხედრო ბაზაც. როცა ეროვნული მოძრაობა დაიწყო, რუსებმა პანიკა ატეხეს, ვითომ თავს ესხმოდათ ვინმე. დისლოკაციის ადგილი და ბაზაც ირგვლივ მთლიანად დანაღმეს. საერთოდ, როცა დანაღმვა ხდება, დგება განაღმვის გეგმაც. იგი რუსებს ქართული მხარისთვის უნდა გადაეცათ. მაგრამ დღეს იმ გეგმას კი არა, ტერიტორიების მიღება-ჩაბარების ოქმსაც ვერსად ნახავთ. არადა, რუსების „ნასახლარი“ ისეა დანაღმული, სანტიმეტრებში სჭირდება შესწავლა, რასაც შესაძლოა მსხვერპლი მოჰყვეს.



— **თავის დროზე, როცა ტერიტორიები დაიბრუნა ქართულმა მხარემ, არ იზრუნა ამ ველის განაღმვაზე?**

— დაიწყეს და უცებ მიანებეს თავი. ახლა განაღმვის პროგრამა შევადგინეთ და გადავწყვიტეთ, ხელისუფლებისთვის მიგვემართა. თავდაცვის სამინისტროში წარბი შეიკრეს — ვინ გითხრათ რომ ეს ჩვენი საქმეაო. ეგ ტერიტორიები კარგა ხნის წინ მიწათმოქმედებისთვის გადაეცა კერძო ორგანიზაციას — „მებაღეობა-92“. ხელისუფლებაში სხვასაც ნურავის შეაწუხებთ, მაგის გასანაღმი ფული არავის აქვსო.

— **ეს რა პასუხია?**

— პასუხი კი არა, უპასუხისმგებლობაა. არ ვიცი, რას ფიქრობენ საერთოდ. ხალხი „ეშმაკის სამყოფელს“ ეძახის „სიკვდილის ველს“. მოზრდილები ახლოს არ ეკარებიან, მაგრამ ბავშვებს ვერ აკავებენ. ერთი-ორჯერ ბავშვებს თავიანთი თვალით უნახავთ საძოვარზე აფეთქებული პირუტყვი და იმის მერე ცნობისმოყვარედ დაძრწიან უბედურების ზონაში. მუშაობის დროს ერთი მათგანი მოვიდა და გვკითხა, რას ეძებთო, რომ ვაჩვენეთ ნაღმი, გაეცინა. მაგნაირს რამდენსაც გნებავთ, იმდენს მოგიტანთო. მალე ხელში ახუტებული მოგვიტანა ხუთი ნაღმი. თავზარი დაგვეცა განცდისაგან — ბავშვები ყოველდღე ბეწვის ხიდზე დადიან. ამ დროს თავდაცვის სამინისტრო გვიმტკიცებს: — ეგ ტერიტორია სახნავ-სათესად არის გამოსადეგიო(?!). ნაღმებში ხვნა-თესვა სად გსმენიათ?

— **ნახეთ მხვნელ-მთესველები? „მებაღეობა-92“ არ მოიძიეთ?**

— მის ასავალ-დასავალსაც ვერ მივაგენით. მცხეთის გამგეობაში ან მართლა არ აქვთ საბუთები, ან კიდევ გვიმალავენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ არაფერი იცის ტერიტორიის ახალ მეპატრონეზე. ასეთი მიწა ვის რად უნდა, ცოდვიანიაო, — ხელი ჩაიქნიეს იქაურებმა. ისიც გაიხსენეს, როგორ დაიღუპა განაღმვის დროს ერთი ქართველი სამხედრო პირი. ერთი კი სამუდამოდ დასახიჩრდა.

— **ბატონო ზურაბ, არსებობს გამოსავალი?**

— დანაღმული ველი მთლიანად მიწით, ეკალ-ბარდებითა და ხეებით არის დაფარული, სამუშაო მართლაც ურთულესია, მაგრამ მზად ვართ უმცირესი დაფინანსებითაც განვახორციელოთ განაღმვის პროგრამა. ტექნიკურ აღჭურვილობას, საწვავს და ტრანსპორტს თუ მოგვცემენ, საქმეს ეშველება. თავდაცვის სამინისტროსა და სხვა ქართული ორგანიზაციებისგან თავის გამოდების იმედი არ გვაქვს, გადავწყვიტეთ ისევ უცხოელებს მივმართოთ. ევროკავშირს აქვს სპეციალური პროგრამები ჰუმანიტარული განაღმვებისათვის. ამ საქმეს აფინანსებს აგრეთვე „პრინცესა დაიანას ფონდი“. ამ ორგანიზაციის ხელშეწყობით ინგლისური ფირმა „ჰელიოტრაქტი“ აფხაზეთში მუშაობს განაღმვაზე. საქმეში ჩართული ჰყავთ აფხაზები, განაღმვას ასწავლიან. იცით ეს რას ნიშნავს? ნებსით თუ უნებლიეთ, უცხოური ფირმა საქართველოს ტერიტორიაზე დივერსიას ეწევა. პროფესიონალ ნაღმოსნებს უმზადებს სეპარატისტებს, რომლებიც განმეორებით ომის ან სხვა შემთხვევაში, თავბედს გვაწყევლინებენ. თუ დანაღმვა არ იცი, ვერ განაღმავ. „ჰელიოტრაქტს“ სათავო ოფისი თბილისში აქვს. საქართველოს მთავრობის გარეშე ისინი აფხაზეთში ვერ შევიდოდნენ. თუ მათ ამის ოფიციალური ნება აქვთ, მიკვირს, რა ხდება და დასკვნებსაც ველარ ვაკეთებ. დალოცვილო, როცა ყურის ძირში ამხელა დანაღმული ველია, რა დროს აფხაზეთზე „ზრუნვაა“?!

**„სიკვდილის ველს“ მოზრდილები ახლოს არ ეკარებიან, მაგრამ ბავშვებს ვერ აკავებენ. ერთი-ორჯერ ბავშვებს მათი თვალით უნახავთ საძოვარზე აფეთქებული პირუტყვი და იმის მერე ცნობისმოყვარედ დაძრწიან უბედურების ზონაში.**

— **ბევრი გასანაღმი ველია საქართველოში?**

— სამწუხაროდ, უამრავი. განსაკუთრებით საშიშია გარდაბნის რაიონში არსებული „რუსების ნასახლარი“, სადაც გასაიდუმლოებული ნაწილი იდგა ინდექსით — „555“, ეს იყო სარაკეტო კომპლექსი. მისი შახტები დღემდე გამოუკვლეველია, არავინ იცის, რა იმალება იქ. ზემოთ გდია ორი ხუთასკილოიანი საჰაერო ბომბი, რომელთა გადასახერხად მისულ მეჯართეებს სულზე მივუსწარით. ახლა ეს ბომბები კრისტალიზაციას განიცდიან და ერთ დღეს თავისით მაინც აფეთქდებიან. სხვათა შორის, მე როგორც უშიშროების ყოფილ თანამშრომელს, მცხეთის „სიკვდილის ველის“ შესახებაც მაქვს ინფორმაცია, რომ რუსებმა ბაზა ვადაგასული ჭურვების სასაფლაოდ აქციეს. ეს დაუშვებელია. ისინი კონკრეტულ ადგილზე უნდა გაეტანათ და მომხდარიყო მათი გაუვნებლება. ახლა აქტუალური პრობლემების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. არადა იმდენი საქმეა უპატრონოდ მიგდებული, რომ თავში ხელს წაიშენთ. მე ახლა სწორედ მაგ მდგომარეობაში ვარ. ჩემს კოლეგებთან ერთად სხვა გზა არ დამრჩენია, რომელიმე მყვირალა დეპუტატი უნდა მოვნახოთ, განგაშის ზარები ჩამოვკრათ, რომ ვინმემ მოგვაქციოს ყურადღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ღვთის იმედად ყოფნა აღარ იქნება საკმარისი.

***ეკა ლომიძე***



# ქართველებს რევოლუციური გარდაქმნები რევოლუციის გარეშე უნდათ



*საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ამ ბოლო დროს თავის სამშობლოში ყველაზე პოპულარული და გავლენიანი პოლიტიკოსი გახდა. პარლამენტის კულუარებში ამბობენ, ალბათ ბურჯანაძე პრეზიდენტის პოსტზე იყრის კენჭსო.*

**— თქვენ ვისთან ერთად წახვალთ არჩევნებზე?**

— არჩევნებში მე უდავოდ მივიღებ მონაწილეობას. ალბათ მაჟორიტარად ვიყრი კენჭს ჩემს მშობლიურ ქუთაისში. პოლიტიკურ ალიანსზე ვფიქრობ, მაგრამ მმართველ ბლოკთან ერთად ნამდვილად არ ვიქნები. პოლიტიკოსები უნდა გაერთიანდნენ ისეთი უბედურების წინააღმდეგ, როგორიც დაუსჯელობის სინდრომია. საქართველოში რევოლუციური გარდაქმნები უნდა მოხდეს, ოღონდ რევოლუციის გარეშე. ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ არაპოპულარული ნაბიჯები უნდა გადადგას ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად. ამისთვის კი საჭიროა ხალხის მხარდაჭერა.

**— თქვენ საქართველოს მომავალ პრეზიდენტად გსახავენ.**

— ამაზე ლაპარაკი ადრეა. ახლა მთავარია, ყველამ თავისი საქმე ბოლომდე მიიყვანოს. მე ჯერ პარლამენტის თავმჯდომარეობის ვადა უნდა დავასრულო ღირსეულად და კანონიერ არჩევნებს მივაღწიო, ხალხს ვაჩვენო, რომ ყველა ღონეს ვხმარობთ სიტუაციის გასაუმჯობესებლად. პრეზიდენტობა რომ გადაწყვიტო, კარგად უნდა გესმოდეს ის პასუხისმგებლობა, რასაც კისრულობ. ამისთვის კი დრო და გამოცდილებაა საჭირო.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ შევარდნაძე მესამედ იყრის კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებზე?**

— ეს გამორიცხულია. ჯერ ერთი, კონსტიტუციით — პრეზიდენტის უფლებამოსილება ორი ვადით არის განსაზღვრული. 2005 წელს შევარდნაძის პრეზიდენტობის მეორე ვადა იწურება; და მეორე — თავად პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა, რომ არაფერს შეცვლის კონსტიტუციაში.

**— დამკვირვებელთა ვარაუდით, „თეთრმა მელამ“ ასეთი ავანტიურა ჩაიფიქრა: საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე აფხაზეთზე გაილაშქრებს, გარკვეულ წარმატებას მიაღწევს და ხალხიც, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, დაჩოქილი შეევედრება: არ წახვიდეთ, ბატონო ედუარდო!**

— თუ პრეზიდენტმა შევარდნაძემ აფხაზეთის საკითხში რაღაც წინ წაწევა მოახერხა, საქართველოს მთელი მოსახლეობა მიესალმება ამას და შესაბამისად შეაფასებს. მაგრამ საქართველო მტკიცედ ადგას დემოკრატიული აღმშენებლობის გზას, არავის მისცემს კონსტიტუციის დარღვევის და საქართველოს სამუდამოდ მართვის უფლებას.

***ნეზავისიმაია გაზეტა №160 ამონარიდი ინტერვიუდან***

# სინოდის სენსაციური გადაწყვეტილება



31 ივლისს საროვში აღინიშნა სერაფიმ საროველის წმინდანად შერაცხვის 100 წლისთავი. ჩატარდა წმინდა სინოდის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II. სინოდმა, აფხაზეთთან დაკავშირებით, სენსაციური დადგენილება გამოიტანა. რუსეთის საპატრიარქო და წმინდა სინოდი, მიუხედავად აუღიარებელი რესპუბლიკის სასულიერო და საერო პირთა არაერთგზის თხოვნისა — მიეღოთ რუსეთის საპატრიარქოს წიაღში, აფხაზეთს საქართველოს საპატრიარქოს კანონიკურ ნაწილად მიიჩნევენ. დადგენილებაში ნათქვამია: ისევე, როგორც აფხაზურ-ქართულ კონფლიქტამდე, მიწა, სადაც ჩვენი წელთაღრიცხვით 53 წელს იქადაგა ქრისტიანობა მოციქულმა სვიმონ კანანელმა, დღესაც საქართველოს ეკლესიის კუთვნილებაა. სინოდმა დაგმო საეკლესიო სეპარატიზმი და რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მოსურნე აფხაზეთი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკური ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად სცნო.

***იტოგი №31***

# „ასეთ მართლმსაჯულებას რა ვუთხარი...“

## მიხეილ მირილაშვილი ციხეში ჩასვეს



კონცერნ „პეტრომირის“ და კორპორაცია „კონტის“ მფლობელი, ებრაელთა კონგრესის რუსეთის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილი 2001 წელს დააპატიმრეს როსტომ დვალისა და კობა კაკუშაძის გატაცებისა და შემდგომ მათი მკვლელობის ბრალდებით. საქმე სამხედრო სასამართლოში განიხილებოდა, რადგან ერთ-ერთი ბრალდებული, მარკ სიდლერი, საკადრო სამხედრო მოსამსახურე იყო.

სასამართლოზე მიხეილ მირილაშვილის მხარდასაჭერად უამრავი ხალხი მოვიდა, უმეტესად ებრაელები. კულტურის მუშაკთა და პოლიტიკოსთაგან არავინ ჩანდა. დღის სამ საათზე, მოსამართლე ფიოდორ პოპოვიჩმა განაჩენის კითხვა დაიწყო. დარბაზი სულგანაბული უსმენდა. სასამართლომ მიხეილ მირილაშვილი დამნაშავედ სცნო როსტომ დვალისა და კობა კაკუშაძის გატაცების ორგანიზებაში და მიუსაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სასჯელის მოხდით. მისი ბრალეულობა, როსტომ დვალისა და კობა კაკუშაძის მკვლელობაზე, ვერ დამტკიცდა. სასამართლომ საქმის ეს ნაწილი დამატებითი ძიებისთვის პროკურატურაში დააბრუნა.

***ვლასტი №30***

# ჩუბაისი: — მერე მადლობასაც გვეტყვიან...

„რაო ეეს“-ის მიერ თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელის, „თელასის“ შეძენამ დიდი პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია. საქართველოში ოპოზიცია და მოსახლეობა ბობოქრობენ — კვლავ „მოსკოვის ხელი“ გამოჩნდაო.

ამავე საკითხის გასარკვევად, ანატოლი ჩუბაისის ჩასვლის დღეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დაუპატიჟებლად გამოცხადდა მთავრობის სხდომაზე. პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ჯერ მოთმინებით უსმენდა მას, მაგრამ მერე საკმაოდ მკაცრად მოითხოვა — ნურავინ ჩაერევა სააღმსრულებლო ხელისუფლების კომპეტენციაშიო. ქ-ნმა ბურჯანაძემ დემონსტრაციულად დატოვა სხდომა. პროდასავლურად განწყობილი ისტებლიშმენტი ვერ ეგუება მარცხს, რომელიც საქართველოში „რაო ეეს“-ისა და „გაზპრომის“ შემოსვლით გამოიხატება.

თბილისის აეროპორტში ანატოლი ჩუბაისს ახალგაზრდული მოძრაობა „კმარას“ რამდენიმე ათეული აქტივისტი ელოდა, რომლებიც ეცადნენ, გზა გადაეღობათ ანატოლი ჩუბაისის კორტეჟისთვის. „რაო ეეს“-ის ხელმძღვანელი აეროპორტიდან სათადარიგო გასასვლელით გაიყვანეს. პიკეტი ელოდა ჩუბაისს სახელმწიფო კანცელარიასთანაც, სადაც მასსა და შევარდნაძეს შორის მოლაპარაკება გაიმართა.

მოლაპარაკებების შედეგად დამტკიცდა, რომ „რაო ეეს“-მა „ეი-ი-ეს“-ისგან მთლიანად გამოისყიდა ნიდერლანდებში რეგისტრირებული ჰოლდინგი AES Silk Road-ი, რომელიც დსთ-ის რამდენიმე ქვეყანაში ენერგოობიექტების მფლობელი იყო. „ჩვენ ისინი გადავსანსლეთ“, — ასე შეაფასეს გარიგება „რაო ეესში“, — იგულისხმებოდა არა საქართველო, არამედ აშშ. საქმე ის არის, რომ რუსული „რაო“ დიდი ხანია ეჯიბრება ამერიკულ „ეი-ი-ეს“-ს ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე ენერგოაქტივების შესყიდვაში. დიდი იმედი აქვს, რომ დაისაკუთრებს ამჟამად ამერიკის ხელში მყოფ უკრაინის, ყაზახეთისა და დსთ-ის სხვა ქვეყნების ენერგოსიმძლავრეებს.

ანატოლი ჩუბაისი დარწმუნებულია, რომ გაისად, ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნების შემდეგ, აქციონერები მადლობას ეტყვიან.

***კომერსანტი №139***

# გაერო აფხაზეთს ძალით მშვიდობის დამყარებას არ აიძულებს

16 ივლისს საქართველოს პარლამენტმა გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართა თხოვნით — აფხაზეთის მიმართ ამოქმედებულიყო ამ ორგანიზაციის წესდების მე-7 პუნქტი — „მშვიდობის ძალით დამყარება“; მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, გაეროს უშიშროების საბჭოს თათბირის რეზოლუცია შემოიფარგლა მხოლოდ ორივე მხარისადმი მიმართვით — თავი დაანებონ „საბრძოლო რიტორიკას“ და კონფლიქტის დარეგულირების ძალისმიერი ვარიანტებით მოწოდებას. რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ თბილისსა და სოხუმს შორის დავა უნდა გადაწყდეს ე.წ. ბოდენის გეგმით (ამ გეგმით აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილადაა აღიარებული და მისი სტატუსი უნდა განისაზღვროს მოლაპარაკებების პროცესში), მაგრამ ეს დოკუმენტი, როგორც ცნობილია, აფხაზეთს ხელს არ აძლევს.

ფაქტობრივად, გაერომ დამკვირვებლის როლი ამჯობინა საქართველოს საქმეებში ჩარევას. ამიტომ, როგორც ჩანს, ამ საკითხის გადასაჭრელად თბილისს რუსეთთან მოთათბირება მოუწევს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ამ ბოლო დროს მეტისმეტად მოუხშირა მოსკოვში სიარულს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ.

***იზვესტია №140***




საჩუქარი მკითხველისთვის!

ბუთქუნას ყველა სერიას ნამცხვარი „ზღაპრული“ მოყვება

ამიერიდან ბუთქუნას წიგნებს მოჰყვება კუპონი, რომლითაც შეგიძლიათ მიიღოთ „თოლიას“ უგემრიელესი, მომგებიანი ნამცხვრის „ზღაპრულის“ ერთი შეკვრა

კუპონები განაღდდება ყველა სავაჭრო ობიექტში, სადაც იყიდება „თოლიას“ ნაწარმი





ახლა უკვე ყველა წიგნში კომიქსებია!



ბავშვებო! IX წიგნში შეიტყობთ, თუ რატომ ვერ შეძლო ცნობილმა ჯადოქარმა უეცრად დაპატარავებული დანდალოს გაზრდა და როგორ მოახერხეს ეს ბუთქუნამ და მისმა მეგობრებმა



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძნობენ

**პატარა დათუნა** ურეკში ისვენებდა. ერთხელ მამასთან ერთად სანაპიროზე იდგა და შავ ზღვას გაჰყურებდა.

— მამიკო, ეს ზღვა ლურჯი როა, შავი რატომ ჰქვია?

— იქნებ უფრო საინტერესო მკითხო, — უპასუხა გაღიზიანებულმა მამამ.

— კარგი, მითხარი მკვდარი ზღვა რითი მოკვდა?

***

**პატარა რუსუდან მიქავა** დიდი გურმანი ვინმეა — ეტყობა კიდეც, ისეთი პუტკუნაა, რომ იტყვიან, კანში არ ეტევა. ერთხელ ბებო გააბრაზა, ბებო სავარძელში ჩაჯდა, თვალები მილულა და მისი აზრით, რუსუდანი შეაშინა:

— მოვკვდები მე ახლა...

რუსუდანი ხან აქედან მიადგა ბებოს, ხან — იქიდან, მერე თვალები ცრემლებით აევსო და შეეხვეწა:

— ბებო, ჯერ მაჭამე და მერე მოკვდი, რაა?!

***

**3 წლის კახი კახიანს** პატარა ძმა სოსო შეეძინა. ბიჭუნას მეზობელმა ჰკითხა — კახი, შენი ძმა რა გვარია? კახიმ სწრაფად უპასუხა: — მე კახი კახიანი ვარ, და ჩემი ძმა სოსო სოსიანიაო...

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „თეთრია და რბილი, ბუმბულა და თბილი“.




## იპოვე 10 განსხვავება



## I ანა, გამოიცანი

**1) რომელია იოსებ მამულაიშვილის ფსევდონიმი?**
ა) გრიშაშვილი; ბ) გრანელი; გ) უიარაღო; დ) ქიაჩელი.

**2) ვინ დასტამბა საქართველოში პირველი ქართული წიგნი?**
ა) ვახტანგ V-მ; ბ) ვახტანგ V-მ; გ) არჩილმა; დ) თეიმურაზ -მ.

**3) რომელი ქალაქი მდებარეობს მდინარე რიონის ნაპირზე?**
ა) ტყიბული; ბ) ქუთაისი; გ) ზუგდიდი; დ) თელავი.

**4) ვის ეკუთვნის სურათი „იმერეთი — დედაჩემი“?**
ა) დავით კაკაბაძეს; ბ) ქეთევან მაღალაშვილს; გ) მოსე თოიძეს; დ) ფიროსმანს.

**5) რომელი ზღვა გადალახეს ებრაელებმა მოსეს წინამძღოლობით?**
ა) შავი; ბ) თეთრი; გ) წითელი; დ) ყვითელი.

**6) რომელია ბრაზილიის დედაქალაქი.**
ა) რიო-დე-ჟანეირო; ბ) ბრაზილია; გ) მონტევიდეო; დ) სანტიაგო.




**II** ზემოთ მოცემული მოცხარის კუნწულები დაამატე თეფშებზე ისე, რომ თითოეულზე 20-20 მარცვალი აღმოჩნდეს




**III** გამორიცხე ზედმეტი საგანი

## ენის გასატეხი

- რას მიცინი, რას მიკრიჭი, რას მიცინ-მიკრიჭ-მეკრიმანჭულები?
- აზინა აზიზინასა, ყაჭინი ყაჭიჭინასა.
- ალახია მალახია, თავს ახურავს ბალახია.

## ანდაზები

- სიმართლის ნერგი სიპ ქვაზედაც გაიხარებსო.
- სიმდიდრის ფასს მაშინ შეიტყობენ, როცა შეიძენენ, მეგობრისას კი — როცა დაჰკარგავენო.

## IV რებუსი






## ზღაპარი

# ხუთი მეგობარი

ცხოვრობდა ქვეყნად ოთხი ძმა და მათი მსახური. თუმცა, ამ მეხუთეს ნამდვილი მსახური არც ეთქმოდა: ყველაზე გამოცდილი და ღონიერი, ოთხი ძმის მრჩეველი და წინამძღოლი უფრო იყო. სახელად მას ჯირკუტანა ერქვა იმიტომ, რომ დაბალი ტანის, ჩაფსკვნილი და ღონიერი ბრძანდებოდა. პირველ ძმას სახელად ჩხუბისთავი ერქვა და ამართლებდა კიდევაც თავის სახელს. მეორე ძმას, ყველაზე მაღალს, აყლაყუდას ეძახდნენ; მესამეს თადარიგიანობისა და წინდახედულობისათვის ხაზინადარი შეარქვეს, ხოლო მეოთხეს, — ყველაზე უმცროსსა და ტანმორჩილს, — კურკანტელა.

დადიოდა ქვეყნად ეს ხუთი მეგობარი და დიდ გმირობებს სჩადიოდა მანამ, სანამ ერთ ოქროს ქალაქს არ მიადგნენ, რომელსაც ბოროტი და ხალხის მტანჯველი ძლევამოსილი მეფე განაგებდა.

— ეგრე ნამცეც-ნამცეც სახელის მოხვეჭას რა აზრი აქვს? მოდით, დავიპყროთ ჩვენთვის მთელი სამეფო. ხალხსაც მოვიმადლიერებთ და ჩვენი სახელებიც სამუდამოდ დარჩებაო, — თქვა ერთ დღეს ჯირკუტანამ.

ძმები დაეთანხმნენ და ყველანი ოქროს ქალაქის კარიბჭისკენ დაიძრნენ. მიუახლოვდნენ თუ არა ქალაქის კარს, ჩხუბისთავმა გამოიწვია მეფის ჯარი საბრძოლველად და უდიდესი ბრძოლა გაჩაღდა, ამ ბრძოლაში თავი აყლაყუდამ გამოიჩინა. ბოლოს და ბოლოს, მეფე კუდამოძუებული გააქციეს და ქალაქი დამპყრობლებს დანებდა.

მეგობრებს შორის ახლა ასეთი დავა ატყდა: ვინ უნდა ავიდეს სამეფო ტახტზეო. ძმებმა ერთხმად დაადგინეს, ტახტზე ჯირკუტანა უნდა ავიდეს, როგორც ჩვენი მეთაურიო. მაგრამ ჯირკუტანამ უარი განაცხადა და თავის ნაცვლად ჩხუბისთავი დაასახელა: ბრძოლა ჩხუბისთავმა დაიწყოო. ჩხუბისთავი არ დათანხმდა, მეფედ აყლაყუდა უნდა იყოს, ბრძოლაში თავი ყველაზე მეტად მან გამოიჩინაო; აყლაყუდა კი ამტკიცებდა, ქალაქი ხაზინადარმა უნდა მართოს, რადგან ქალაქში ყველანაირი სიკეთე ბლომად არისო; ხაზინადარმა კი თავის მხრივ, მეფობა კურკანტელას გადაულოცა, ყველაზე პატარა და სუსტია, თავისთვის სამთავროს შოვნას ვერასოდეს შეძლებსო. კურკანტელამ მაშინვე იუარა: ისეთი პატარა და სუსტი ვარ, მეფობა სად შემიძლიაო. ასე იდავეს მეგობრებმა რამდენიმე საათი და ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტეს, ქალაქი ყველამ ვმართოთო.

ახლა, ჩემო პატარა მკითხველო, შეხედე ამ შენს ხელს, ეს ხუთი მეგობარი ხომ მუდამ მზად არის შენი სამსახურისათვის. აი, ეს შენი ცერა თითი, ჩვენი ნაცნობი ჯირკუტანაა იმიტომ, რომ მსუქანი და ღონიერია. საჩვენებელი თითი, რა თქმა უნდა, ჩხუბისთავია. როცა ადამიანები ერთმანეთში ჩხუბობენ, ყოველთვის ამ თითით აჩვენებენ. აყლაყუდა — შუათითია, ისაა ყველაზე მაღალი. არათითი ხაზინადარია, როცა გაიზრდები და ბეჭედს შეიძენ, აუცილებლივ არათითით ატარებ. შენი ნეკი კი, ეს პატარა და სუსტი თითი — კურკანტელაა.

აი ხომ ხედავ, ჩემო პატარავ, შენცა გყავს ხუთი ერთგული მეგობარი, რომლებიც მუდამ მზად არიან, გასიამოვნონ. დიდი რომ გახდები, ისინი შენთვის ოქროს ქალაქს უსათუოდ დაიპყრობენ და ოქროს ტახტზეც დაგსვამენ.

## ძმური სამსახური

გამიწიე მურია,
ძმური სამსახურია,
ჩემს მაგივრად შეჭამე
კარაქი და პურია,
და თუ ხვალაც შენ შეჭამ
ჩემს მაწონს და ქადასო,
მთელი დღე რომ გაწვალებს,
მე დაგიჭერ კატასო.

***ნოდარ დუმბაძე***







პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# უნდა იცხოვრო ისე, როგორც ცხოვრობდა ქალბატონი სესილია


კადრი ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

„ჩემი შვილიშვილი დოხტური უნდა გამევიდეს...“ ეს ერთი ფრაზაც საკმარისია, რომ გონებაში ელვის სისწრაფით გაირბინოს კადრებმა ცნობილი ფილმიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მერე მთელი კვირა თუ არა, ერთი-ორი დღე სამყარო ისეთი ლამაზი გეჩვენოს, როგორც იქ არის — გურიაში, ჩიგოგიძეებთან, ვაშალომიძეებთან და შევარდნაძეებთან. ამ ფილმთან ერთად დავამთავრე სკოლა, ჩავაბარე უმაღლეს სასწავლებელში და მაინც ასეთი ხანგრძლივი „ურთიერთობის“ მიუხედავად, დღესაც ეკრანთან გატრუნული ისე ვუყურებ ხოლმე, თითქოს პირველად ვხედავდე ზურიკელას, ბებიას, ილიკოს, ილარიონს, მერის და საბრალო მურადას, რომელიც ვაიმონადირის ტყვიას შეეწირა. ახლაც ამ წერილს რომ ვწერ, დედას გეფიცებით, ყელში სევდის ბურთი მაქვს გაჩხერილი და თვალებს ცრემლები მიჭრელებს. ასე მგონია, მთელი ადამიანური სიყვარული, სითბო და სამყაროსხელა მზე ჩაატია ნოდარ დუმბაძემ თავის გენიალურ ნაწარმოებში. მერე თენგიზ აბულაძემ არ „დაგვინდო“ და სულ „გადაგვრია“. ახლა არ მკითხოთ, ქვეყანა იქცევა და რა ჯანდაბა გრევსო. ალბათ იმან, რამაც „კვირის პალიტრის“ მკითხველებიც გადარია და გამოკითხვა-რეიტინგში, კითხვას — რომელმა არაპროფესიონალმა შექმნა ყველაზე შთამბეჭდავი კინოგმირი — უმრავლესობამ საყვარელი ფილმის ერთ-ერთი საყვარელი პერსონაჟის... სულძაღლიანი ზურიკელას შემსრულებელი — **სერგო ორჯონიკიძე** დაასახელა. მე ახლა მისი სტუმარი ვარ, სრულიად თმაგათეთრებული ფონენდოსკოპიანი და თეთრხალათიანი ზურიკელას დანახვაზე შევცბი, მასპინძელი მიმიხვდა დაბნევის მიზეზს და როგორც ფილმში, სწორედ ისე გამიღიმა.

— მეგობარმა მთხოვა, გამოიარე ჩემთან, ძალიან მინდა ჩემს შვილებს გავაცნო ზურიკელაო. კარი ბავშვმა გამიღო, რომელმაც იცოდა, ვინც უნდა სტუმრებოდა. მაგრამ ჩემს დანახვაზე ღიმილი გაუქრა და მამამისს გასძახა — ზურიკელა კი არა, ილიკო მოვიდა. ასე რომ, თქვენი რეაქციაც არ არის გასაკვირი. რას ვიზამ, უკვე ოლღა ბებიას ტოლი ვარ ასაკით და ორი შვილიშვილიც მყავს. რაც შეეხება ჩემს გამარჯვებას „კვირის პალიტრის“ რეიტინგში, რა თქმა უნდა, სასიამოვნო ფაქტორია, მაგრამ პირადად მე პირველ ადგილს თემიკო ჩირგაძეს და გულჩინა დადიანს დავუთმობდი. მათ ხომ ბრწყინვალედ განასახიერეს თავიანთი როლები. ჩემი გმირის გამარჯვება კი მისი შემქმნელების — ნოდარ დუმბაძისა და თენგიზ აბულაძის დამსახურებაა. თორემ მე ნამდვილად არა მაქვს იმხელა ნიჭი, რეიტინგში ჩამოთვლილ მსახიობებს კონკურენცია გავუწიო.

**— ბატონო სერგო, დღეს პოპულარობა რაღაც მარტივ, იოლად მისაღწევ ცნებად იქცა, თქვენს დროსაც ასე იყო?**

— დღევანდელ სიტუაციას, უკაცრავად, მაგრამ თქვენ, ჟურნალისტებიც უწყობთ ხელს. წინათ კი პოპულარული მართლა ღირსეული ადამიანი ხდებოდა. ადრე ჟურნალ-გაზეთებში ვინმეს შესახებ რაიმეს გამოქვეყნება დიდ რამეს ნიშნავდა და სტატიებიც მხოლოდ მართლაც განსაკუთრებული პიროვნებების შესახებ იბეჭდებოდა. ახლა კი, თუ ვინმეს ერთმა ჟურნალისტმა „ჩანგალი“ გამოსდო, სხვა კოლეგებიც აჰყვებიან და მათი „რჩეული“ უცებ ხდება პოპულარული. მე პირადად, როცა ჟურნალისტები ინტერვიუსთვის მიკავშირდებიან, მეუხერხულება.

**— როგორც მახსოვს, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ ტიტრებში სერგო ორჯონიკიძის ნაცვლად ზურიკო ორჯონიკიძე წერია. რა იყო ეს, უნებლიე შეცდომა? ან მაინცდამაინც სერგო რად დაგარქვეს მშობლებმა?**

— ცნობილ რევოლუციონერ სერგო ორჯონიკიძესთან ნათესაური კავშირი გვქონდა და სწორედ მის პატივსაცემად დამარქვეს ეს სახელი. მამაჩემი ადრე დაობლდა და სერგოს ძმის — პაპულიას ოჯახში იზრდებოდა. მამამ გამზრდელს ამაგი დაუფასა და დამარქვა სერგო. რევოლუციური ჩემში არაფერი არ არის და არც პოლიტიკური ამბიციები მაქვს. თუმცა, ილიკოსთვის რომ დამეჯერებინა და იურიდიული დამემთავრებინა, სამედიცინოს ნაცვლად, მაშინ შესაძლოა სხვა მხარეს ამელო გეზი. რაც შეეხება ზურიკელა ორჯონიკიძეს, იგი განგებ დაწერა ტიტრებში თენგიზ აბულაძემ. მეუბნებოდა — ამ ფილმის შემდეგ ყველა ზურიკელას დაგიძახებსო. თუმცა, მაინც ყველა სერგოს მეძახდა და მეძახის.

**— როგორ იგონებთ ხოლმე ფილმის გადაღების პროცესს, იმ დროს?**

— სიამოვნებით. 14 წლის ვიყავი, როცა გადაღებები დავიწყეთ. ორი წელი გაგრძელდა. საოცარი ხალხის გარემოცვაში ვიყავი და ბუნებრივია, მათი გავლენაც დიდი იყო. 14 წლის ბიჭი ღრუბელივით ვისრუტავდი ყველაფერს, დაწყებული ნოდარ დუმბაძიდან და თენგიზ აბულაძიდან, დასრულებული შემოქმედებითი ჯგუფის თითოეული წევრით.

**— ურთიერთობებს მერე აგრძელებდით ამ ხალხთან?**

— რა თქმა უნდა. მათთან დაშორება შეუძლებელი იყო. კარგად მოგეხსენებათ, მერი სამუდამოდ ჩემი გახდა, მანანა აბაზაძე ჩემი მეუღლეა. რაც ნოდარ დუმბაძისა და თენგიზ აბულაძის დიდი დამსახურებაა. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ ჩვენს დაახლოებას. ფილმის გადაღება რომ დამთავრდა, თენგიზ აბულაძემ ორივე მოსკოვში წაგვიყვანა საერთაშორისო კინოფესტივალზე, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ კონკურსგარეშე იყო წარდგენილი. მაშინ პირველად სსრკ-ში კაპიტალისტური ქვეყნის რეჟისორის ფედერიკო ფელინის ფილმს მისცეს გრან-პრი. ფელინის უშუალო მასპინძელი თენგიზი იყო. იგი ცდილობდა ყველგან წარვედგინეთ, როგორც მისი გმირები და ამასობაში სულ ერთად ყოფნა დიდ სიყვარულში გადაგვეზარდა.


სერგო ორჯონიკიძე

**— ახლა მთელი ქვეყანა თქვენ ხართ?**

— არა, მთელი ქვეყანა ვერა, ზურიკელას პირობის თანახმად 11 არა, მაგრამ მყავს ორი ქალიშვილი და შვილიშვილები, ორი პატარა ვაჟკაცი. ერთი ქალიშვილი თინა იტალიაში მოღვაწეობს მეუღლესთან ერთად. მეორე კი თქვენი კოლეგა — ნინო ორჯონიკიძე, „ინტერნიუსის“ პროდიუსერია. თინა მოდელიერ-დიზაინერია, იტალიაში მასი მორემიკის ფირმაში მოღვაწეობს, სიძე ვაჟა მიქაბერიძე მირზაანში დადგმული ფიროსმანის ძეგლის ავტორია. ძეგლი იტალიაში ჩამოასხა და ჩამოიტანა.

**— გული ხომ არ გწყდებათ, მსახიობობაზე უარი რომ თქვით?**

— არა. ჩემი „მსახიობობა“ თენგიზ აბულაძის დამსახურება იყო. მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ სხვა ფილმშიც გადამიღეს („ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“), კიდევ სხვა ფილმებიდანაც იყო შემოთავაზებები, მაინც ვერ გადამიბირეს და ამიტომაც ვზივარ თქვენ წინ ექიმის ხალათით.

**— დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვის გამო მგონი ექიმები რაღაცით მსახიობური თვისებების მატარებლებიც არიან. არ გიწევთ ხოლმე თამაში, რომ პაციენტს იმედი ჩაუნერგოთ?**

— მართალს ამბობთ. მარტო კლინიკურ-დიაგნოსტიკური მონაცემებით პაციენტს ვერ განკურნავ, მის სულში უნდა ჩაიხედო. ეს მართლა არ არის იოლი საქმე. პაციენტი გულწრფელ ექიმს ითხოვს, გულწრფელობა კი იოლი არ არის ხშირად.

ეგზიუპერი ამბობდა: — დადგება დრო, როცა მედიცინა ძალიან განვითარდება და ბევრი პრობლემაც მოიხსნება, მაგრამ მე მაინც მირჩევნია მოვიდეს ჩემთან კეთილი ექიმი თბილი ღიმილით და თვალებიდან გულში ჩამხედოსო.

**— ბატონო სერგო, თქვენ სულ ადამიანის გულთან გაქვთ საქმე. ალბათ ძალიან კარგად უნდა იცნობდეთ ამ საოცარ მექანიზმს.**

— ყოველწლიურად უამრავ სიახლეს ვგებულობთ ამ საინტერესო მექანიზმის შესახებ, მაგრამ როგორც ნოდარ დუმბაძე ამბობს, მეც მგონია, რომ ადამიანის სული უფრო მძიმე და რთულია, ვიდრე გული. შეიძლება სულის მატარებელი სულაც მხოლოდ გული იყოს.

**— ნოდარ დუმბაძესთან, როგორც ექიმს, გქონდათ ურთიერთობა?**

— მქონდა. დღევანდელი მიღწევები რომ ყოფილიყო მაშინ მედიცინაში, ნოდარს სიცოცხლეს გავუხანგრძლივებდით. სესილიასთან უფრო აქტიურად მომიწია ექიმობა. თენგიზმა მასთან გამოსათხოვარ წერილში დაწერა კიდეც, — შენმა შვილიშვილმაც ველარ გიშველაო... „ლეჩკომბინატში“ იწვა, მიოკარდის ინფარქტი ჰქონდა. გამოვაკეთეთ, „ცისფერ მთებშიც“ ითამაშა იმის შემდეგ, მაგრამ მერე განმეორებითი შეტევა განუვითარდა, კუჭიდან სისხლის დენაც დაეწყო. ოპერაცია სასწრაფოდ უნდა გაგვეკეთებინა. ხელში ავიტაცე და მეოთხე სართულზე ისე ავიყვანე, მაგრამ... მისი ნამდვილი შვილიშვილები იტყვიან ხოლმე: ერთი ბებია გვყავს, ერთი ადამიანის შვილიშვილები ვართო. უნდა იცხოვრო ისე, როგორც ცხოვრობდა ქალბატონი სესილია. სიყალბეს ვერ იტანდა, უკომპრომისო იყო. ძალიან თავმდაბალი.

**— როცა ვაკეში „მზიური“ შექმნეს, როცა სიცოცხლეშივე დადგეს თქვენი ძეგლი, რა განწყობა დაგეუფლათ?**

— მახსოვს, პროექტი რომ მზადდებოდა, ნოდარის მეუღლემ, ქალბატონმა ნანულიმ მიმიყვანა მერაბ ბერძენიშვილთან. ბატონმა მერაბმა რომ მნახა, გადაწყვიტა, კინოგმირების სახის მიხედვით შეექმნა პროექტი. ასე რომ, ეს არის ნოდარ დუმბაძისა და თენგიზ აბულაძის ძეგლი და არა ჩემი.

**— შვილიშვილებმა იციან, რომ ზურიკელა მათი ბაბუაა?**

— ერთი 5 წლისაა, მეორე — 3-ის. უფროსმა ნახა ფილმი და ძალიან მოსწონს, განსაკუთრებით მოხიბლულია იმ სცენით, ბებია რომ მისდევს და ლანძღავს ზურიკელას. ხშირად იმეორებს ხოლმე ამას.

**— ახლა რომ შემოგთავაზონ ფილმში გადაღება, დათანხმდებით?**

— რა გითხრათ, ის სითამამე, რაც ახალგაზრდობაში მქონდა, აღარა მაქვს. ალბათ ველარ გავბედავ თანხმობას.

*ეკა ლომიძე*

# გაბრაზებულმა ზურა მანაგაძემ ბუკას თაყვანისმცემლის მობილური მტკვარში მოისროლა


ზურა და ნენო

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ ყველა თაობისთვის საყვარელი კომპოზიტორი და შემსრულებელი ზურა მანაგაძე ისანი-სამგორის რაიონის მთავარი არქიტექტორია. სულ პერიფერიებში მიწევს მუშაობა, ქალაქის ცენტრში ვერ მოვხვდიო, — „დაიჩივლა“ ბატონმა ზურამ. მისი მეღვინე მეუღლე ნენო მურვანიძე კი, რომელიც ღვინოს საერთოდ ვერ იტანს, დიასახლისია. ბატონ ზურას პირველი ქორწინებიდან 29 წლის თამუნა მანაგაძე ჰყავს და უკვე ბაბუაც არის, ხოლო ქალბატონ ნენოსთან ჰყავს 24 წლის დათუნა და 17 წლის ბუკა, რომელმაც წელს საშუალო სკოლა დაამთავრა და თეატრალურ ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მანაგაძეების ოჯახს კიდევ ერთი „წევრი“, ძაღლი დადუ ჰყავს, რომელიც მთელი ინტერვიუს განმავლობაში ბატონი ზურას კალთაში იყო მოკალათებული.

**— გვიამბეთ თქვენი გაცნობისა და დაქორწინების შესახებ.**

**ნენო:** — ერთმანეთი სრულიად შემთხვევით გავიცანით ჩვენი საერთო მხატვარი მეგობრის სახელოსნოში. თავიდან ზურას რატომღაც რუსი ვეგონე. ამას რომ მივხვდი, გულში დავიქადნე: — ნახე, რას გიზამ-მეთქი. ათი დღის განმავლობაში ერთმანეთს რუსულად ვესაუბრებოდით. ბოლოს მითხრა, წელს სოჩაში გნახე, კაფეში რიგში იდექიო. გადავირიე. იმ წელს სოჩაში არ ვყოფილვარ და მივხვდი, რომ ამით ჩემი „შებმა“ სურდა, ამიტომაც ქართულად ვუთხარი, აღარ გააგრძელო საუბარი-მეთქი. უცებ მანქანა გააჩერა და გაოცებულმა შემომხედა. გაუკვირდა, რომ ქართულს ასე კარგად „ვფლობდი“. შემდეგ ოთხი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს.

ჩვენი ქორწილი ორიგინალური იმით იყო, რომ ზურას ჯინსის შარვალი და პერანგი ეცვა, ხოლო მე — თეთრი სარაფანი. ჩვენსავე მანქანაში წინ ჩვენ ვისხედით, უკან — მეჯვარეები.

**ზურა:** — ხელის მოწერამდე რამდენიმე თვით ადრე ჯვარი დავიწერეთ. საქორწინო სუფრაზე ხან ერთ მეგობარს ვთხოვე ეთამადა, ხან — მეორეს... ყველამ რაღაც მოიმიზეზა. ხვეწნას ვერ ვიტან. ავდექი და მეჯვარე თამადად დავნიშნე. მე მისი მოადგილე ვიყავი. მეორე დღეს გაგრაში წავედით.

**— ქალბატონო ნენო, ბატონმა ზურამ სიყვარული როგორ აგიხსნათ?**

**ნენო:** — ჩემთვის არასოდეს უთქვამს, მიყვარხარო, თუმცა გაცნობის პირველივე დღიდან ორივემ ვიცოდით, რომ ჩვენ ერთად ვიქნებოდით. ჩვენი გაცნობიდან ოთხი წელი რომ გავიდა, მითხრა, ამ დღეებში მამაჩემთან ერთად თქვენთან ამოსვლას ვაპირებო, მაშინ მივხვდი, რომ ჩვენი ურთიერთობა ოფიციალურად გადაწყდა.

**ზურა:** — სამსახურში ყოფნის დროს ნენო რომ მომენატრებოდა, წამოვიდოდი და ქუჩაში აუცილებლად ვხვდებოდი, შემთხვევით ხომ არაფერი ხდება. ნახვა მინდოდა და ვნახულობდი კიდეც.

**— ბატონო ზურა, სიმღერა თუ მიგიძღვნიათ მეუღლისთვის?**

**ზურა:** — რა თქმა უნდა. ერთმანეთი ნოემბრის თვეში გავიცანით, ამიტომ მივუძღვენი „გიორგობის თვეო“, მოგვიანებით კი „ზღვა შენი თვალების ფერია“. ხომ ხედავ, ზღვისფერი თვალები აქვს.

**ნენო:** — ამ სიმღერების შემდეგ რა ფასი ექნებოდა ჩემთვის სიყვარულის ახსნას?

**— თქვენი დაქორწინების შემდეგ რა შეიცვალა თქვენს ურთიერთობაში?**

**ნენო:** — ლამაზი ოჯახი შევქმენით, ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ და არაჩვეულებრივი შვილები გავზარდეთ. ჩვენი ურთიერთობა და გრძნობა აბსოლუტურად არ შეცვლილა, პირიქით, გაღრმავდა.

**— როგორი იყო ბუკა ბავშვობაში?**

**ნენო:** ძალიან მშვიდი, თბილი და მოლიმარი. იშვიათად ტიროდა. ვაწვალებდით ხოლმე, რომ მისი ტირილის ხმა გაგვეგო. ლაპარაკი ჯერ არ იცოდა, რომ უკვე ღიღინებდა და ცეკვავდა. მოუსვენარი იყო, მაგრამ ცელქი არასოდეს ყოფილა.

**— პირველად როდის აღმოაჩინეთ, რომ სიმღერა შეეძლო და რა რეაქცია გქონდათ?**

**ზურა:** — ჩვენ მისი მომღერლობა მიზნად არასოდეს გვქონია. ერთი წლის წინ, თავად გამოთქვა სცენაზე გასვლისა და სიმღერის სურვილი.

**ნენო:** — თავიდან გაგვიკვირდა კიდეც ბუკას სურვილი, რადგან მანამდე ხმას არ იღებდა.

**ბუკა:** — ჩემს ოთახში ვიკეტებოდი და ჩუმად ვმღეროდი.

**ზურა:** — ერთხელ მთხოვა, მიკროფონი მიყიდეო. ვუყიდე პატარა მიკროფონი. მას შემდეგ სარკის წინ მღეროდა. ასე ნელ-ნელა შემოგვაპარა თავისი ოცნება.

**— ბუკა, როგორი მამაა ბატონი ზურა?**

**ბუკა:** — ყველასაგან გამორჩეული და განსხვავებული. სახლში დაღლილი ბრუნდება, მაგრამ მაინც მესაუბრება და შენიშვნებს არ მაძლევს.

**ზურა:** — არ მიყვარს შენიშვნების მიცემა. ადამიანმა თვითონ თუ ვერ იგრძნო თავისი არასწორი ნაბიჯი, მისთვის შენიშვნის მიცემას აზრი არა აქვს. სამივე შვილი ჩემი გამოხედვით გრძნობს, რა არ მსიამოვნებს და იმას აღარ იმეორებენ.

**— ქალბატონი ნენოს უარყოფითი და დადებითი თვისებების გამომზეურება თუ შეგიძლიათ?**

**ზურა:** — ნენო გურულია და მგონი ამით ბევრი რამეა ნათქვამი. ჩვენ შორის განსხვავება ის არის, რომ ნენო დინამიტივით ფეთქებადია, მე წყნარი ვარ. ხანდახან მეტისმეტად პირდაპირია. ამაზე მეტი „ნაკლი“ რომ ჰქონდეს, სახლში არ გავაჩერებდი... ჩემს ხელში გაიზარდა და ჩემგან ბევრი რამე ისწავლა. დადებითი ის აქვს, რომ ჩემი მეგობრები უყვარს.

**ნენო:** — ამას წინათ ჩვენი მეგობარი იყო მოსული. ზურას მობილური ტელეფონი დაინახა და გაუკვირდა, ზურა მანაგაძეს ასეთი ტელეფონი უნდა ჰქონდესო? მართლაც აგურივით ტელეფონი აქვს და იცით რატომ? რამდენჯერაც გაბრაზდება, იმდენჯერ ამ მობილურს ისვრის. ჩვენთან ურთიერთობაში მობილურის სროლა ჯერ არ დასჭირვებია (იცინიან).

(გაგრძელება იხ. გვ.20)



# „ვიგონებ საქმეებს და ვეჩვევი უშენობას“...

## მურმანი

...მურმან ლებანიძე — სახელს ახსენებ თუ გვარს, კითხვა არავის გაუჩნდება, ეს რომელი ლებანიძე, ან რომელი მურმანიაო, რადგან ქართულ სიტყვასთან მორკინალი და გამარჯვებული, ცხოვრებისეული პროზის პოეზიად გარდამქმნელი და მართლა „სხვა ქართულით მოკრიმანჭულე“ გახლდათ. ამიტომ უსმენდა მის ყოველ სიტყვას მთელი საქართველო, ამიტომ კითხულობდა მის ლექსებს გულისყურით და გაფაციცებით, ამიტომაც გაუჭირდა მისი შელევა.

ერთი წლის წინათ, 2002 წლის 17 აგვისტოს გარდაიცვალა მურმან ლებანიძე — ქართული პოეზიის მსახური, რუსული კლასიკური პოეზიის, იაპონური ლექსისა და ძველეგვიპტური ლირიკის მთარგმნელი, ბედს შეურიგებელი, ბოლოს რომ ფიქრიას სიკვდილმა მოინელა და გადაიყოლა, იმ ფიქრიასი, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარდა.

ეტყობა, მართლა სხვანაირად ცხოვრობენ და კვდებიან ნამდვილი პოეტები. მურმან ლებანიძემ, რაკი თავისი უკანასკნელი მოვალეობაც აღსრულებულად ჩათვალა — პოეტი შვილის შესახებაც ამცნო ქვეყანას... მშვიდად გამოეთხოვა „ამაო ფუსფუსს, ფუჭ ლაყბობას, ყალბ ხმაურობას“ და მარადისობას შეუერთდა... ჩვენ უამრავი ლექსი და სიმღერა დაგვიტოვა, თვითონ კი „იმ ძვირფას მკვდრებთან“ შესახვედრად გაემგზავრა, ერის კულტურა და დიდება, ერის სახელი, სიბრძნე და გონიერება რომ ჰქვიათ.

*„ოჰ, პოეზიავ — მარად, / ცის კიბეებით მსვლელო! / ვისთვის წკრიალო ქნარად, / ვისთვის — კრწანისის ველო!“* — წერდა ბატონი მურმანი და ვერავინ გიპასუხებთ, თავის თავს რომელ მხარეს უფრო აკუთვნებდა, — ვისთვისაც კრწანისის ველი იყო პოეზია თუ ქნარის წკრიალი. ერთი კი ცხადია, იგი ბოლომდე დაიხარჯა, ყალბი სიტყვა არასოდეს უთქვამს, ამიტომაც ეკუთვნოდა იმ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს, ვისაც არც სიცოცხლეში მოჰკლებია სახელი და აღიარება და არც გარდაცვალების შემდგომ. ამიტომ გაიყოლა უამრავი თბილი სიტყვა და ცრემლი. ამიტომ იყო ასე უსაშველო წუხილი...

სიცოცხლე კი გრძელდება. კვლავ შემოდის ჩვენ ცნობიერებაში ამღერებელი, თუმცა დიდი გულისტკივილით ნათქვამი მისი „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, კვლავ შეგვახსენებს თავს უფლისციხესთან დაღვრილი სისხლი და მტკიცედ ნათქვამი: „არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი, არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია“. უიმისოდ, მაგრამ კვლავ ბევრჯერ შემობრძანდება ჩვენში მოჩითული გაზაფხული, და სიყვარულის მარადიულობაშიც დაგვარწმუნებს მისეული, კრძალვითა და მოწიწებით წარმოთქმული „გაზაფხული შემოსულა, ლენ“...

## მურმანი და ფიქრია

დიახ, ასეა, ერთი წელიწადია აღარ არის მურმან ლებანიძე. ერთი წელიწადია მოისვენა შვილის, თურმე მართლა კარგი პოეტის სიკვდილით შეწუხებულმა, „ვარდისფერ ღრუბლებიდან“ გამოხმობილს რომ აკითხვინა „რაფრად დიანო მოწამლული შენი დღეები“, ხოლო თავისი სუ-



ლის ტკივილი ასე დაახასიათებინა — *„მწვავდა მანდ, მამაჩემო, / სიმღერა ცხრაპირული, / მწვავდა მანდ, ათასობით / ვნება და სახმილი, / აქ მარადისობაა — / წყნარი და სტაბილური!“* შემდეგ, იქვე თავისი საიდუმლოც „გაამხელინა“ მამისთვის: *„მარცხენა უჯრაშია / მანდ ჩემი ქონება, / არ მითხრა, არ მკადრო, / პოეტი არა ხარო! / შენ სხვისი ლექსების / გჩვევია სწორება, / გახსოვდეს, ჩემს ლექსებს /თითი არ დააკარო!“*

— მოუსწრებლის მოსწრება მინდოდაო, სულ სხვა კონტექსტში ბრძანა ბატონმა მურმანმა, მაგრამ რა ზუსტად ასახავს ეს სიტყვები მამის მიერ აღმოჩენილი მშვენიერი პოეტი ქალის, უდროოდ დაღუპული ფიქრია ლებანიძის ლირიკის მკითხველამდე მიტანის სურვილს. უკვე მძიმე ავადმყოფი, საშინლად ჩქარობდა თურმე, მოესწრო ქვეყნისთვის ეხარებინა ახალი პოეტის დაბადება. მამამ ხომ სრულიად შემთხვევით, საწერი მაგიდის უჯრებსა და ფიქრიას მეგობრებში ფურცელ-ფურცელ გაბნეულ სტრიქონებში აღმოაჩინა პოეტი და ეს იყო არა შვილის, არამედ ერთი პოეტისგან მეორის პოვნის უმშვენიერესი მომენტი და ვინც ფიქრიას პოეზიას გაეცნობა, მისი სულის იდუმალებას ჩასწვდება, მის ფიქრებს გაითავისებს, ამაში უსათუოდ დარწმუნდება.

...ფიქრივით ლამაზი გოგო იყო ფიქრია, — ითქვა მის შემოქმედებით საღამოზე.

...სულ მუდამ ფიქრებში წასული ფიქრია მიდგას თვალწინო, — ესეც თქვა მისმა ერთ-ერთმა უახლოესმა მეგობარმა.

ნეტავ, რას ფიქრობდა ამდენს სიცოცხლეში მამის მუზად, სიკვდილის შემდეგ კი მისივე გაუნელებელ დარდად ქცეული ფიქრია, რომლის პოეზიაც არის მუსიკა — უნაზესი, იმავდროულად კი ღრმა და ტკივილიანი? ფიქრიას არც იმის ხმამაღლა გაცხადებისა შეშინებია: *„ბოროტების და სიკეთის მიღმა დავიდებ ბინას, ცისპირა მთებში, დაუსახლებელ ნაპირებზე დავესახლები“* და არც იმისა, უცნაურ წინასწარმეტყველებად რომ ექცა: *„წელთაღრიცხვა ამერია, / თოვს, ფანჯრებზე ჭირხლია, / საუკუნის დასასრული — / გკოცნით, თქვენი ფიქრია“.*

...რა არის სიკვდილი იმასთან შედარებით, რასაც ფიქრია ლებანიძის პოეტად დაბადება ჰქვია, მის გარდაცვალებას რომ მოჰყვა თან და, რომ არა ეს სამწუხარო რეალობა, ეგებ სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩენილიყო მისი პოეტობა... ქართველების სათაყვანო პოეტის, „ქართული პოეზიის რაინდის“ ქალიშვილს, ეგებ ვერასოდეს ეთქვა ხმამაღლა, მეც ვწერ ლექსებსო... ჰოდა, გამწარებულ მამას ფურცლებად მიმოფანტული მისი ლექსების მოძიება და პატარა, მოკრძალებულ კრებულად ქცევა არგუნა ღმერთმა: „დამეთანხმებიან, ალბათ, რომ ჩემზე უკეთესად ვერავინ უპატრონებდა ფიქრიას ნაწერებს. ოციდან ოცდახუთი წლის ასაკში მის მიერ დაწერილი ეს ლექსები უთუოდ შეიცავენ ჭეშმარიტი პოეზიის მთავარ ნიშნებს, — უხერხულად არ მიმაჩნია ამის განცხადება“, — წერდა კრებულის წინასიტყვაობაში ბატონი მურმანი და ერთი პატარა ფრაგმენტიც მოჰქონდა ფიქრიას პოეზიიდან: *„გვედგა — სისხლისფერი ღვინო, / სტუმრად — ვაჟიკაცი მეჯდა, / ვსვამდი — ჩემს სტუმართან ერთად, / ქარი კარფანჯარას გლეჯდა... / გული საწყალობლად ძგერდა, / გარეთ — თებერვალი ყეფდა“* და სიამოვნებით უმატებდა: „წერდა ამას ჩემი შვილი — ფიქრია ლებანიძე“...

„საოცარი მამაშვილობა ჰქონდათ, უფრო მეგობრები იყვნენ“, — თვალცრემლიანი ამბობს ქალბატონი ელენე ჭავჭავაძე, პოეტის ცხოვრების ერთგული მეგობარი და უამრავი ლექსის შთაგონების წყარო, თავად მრავალი საინტერესო, ცნობილი ადამიანის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი და ჟურნალისტი. მეტს ვერაფერს მეუბნება, ან რაა გასაკვირი, უჭირს ძვირფასი ქალიშვილისა და მეუღლის დამკარგავს, თუმცა, იმასაც მიმხელს, რომ გამორჩეულად ჰყვარებია ბატონ მურმანს „კვირის პალიტრა“ და ნამდვილად არ ეგების მისთვის „იმედის გაცრუება“. ახლა მურმან ლებანიძის ერთი ადრეული ლექსი გამახსენდა, პატარა ფიქრიას რომ მიუძღვნა. რამდენი სითბო და სიყვარულია მასში ჩატეული. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია აქ უჩვეულო, მამებს ხომ გამორჩეულად უყვართ ქალიშვილები, მაგრამ განა ბევრი ახერხებს სიყვარულის ასე გადმოცემას?

*„ხარ წვეთი მზისა, / ხარ ფიფქი თოვლის, / თოვლზე სპეტაკი / და მზეებრ წმინდა, / მივყვები ქუჩას / აღვსილი შენით, / ყურში სიცილი / წკრიალებს ტკბილი“* და თავის „პატარა პეპელაზე“ უზომოდ შეყვარებულ მამას სურვილი უჩნდება გოგონას სახელი შენობათა კედლებზე წეროს... რომ როცა გაიზრდება, გარდაცვლილი მამის სურათს წყენით ახედოს და შენდობით ჩაილაპარაკოს — „კოჭლი სტრიქონი ერჩიაო მთელს იმპერიებს“. არ აუხდა ოცნება მგოსანს, ფიქრიამ გაასწრო სასუფეველში და გული გაუკეთა: არა უშავსო, „ადრე თუ გვიან ყველანი მივალთ, ყველანი მივალთ, სადაც აღთქმულია“, მამას კი გულისტკივილით ათქმევინა: *„ფეხს ვუწყობ, შვილო ჩემო, / ცხოვრებას ოხერს, / არ გავლოთებულვარ, / ვერც ვიტყვი უსმელობას... / თავი ვერ მოვიკალი! / ვთამაშობ პოკერს, / ვიგონებ საქმეებს და / ვეჩვევი უშენობას...“*

აქ კი ტყუოდა ბატონი მურმანი, ვერა და ვერ შეეჩვია ფიქრიას გარეშე არსებობას, ან როგორ შეეგუებოდა, განა ჯერ კიდევ „გუშინ“ არ იყო, რომ ესიყვარულებოდა, „ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელოო“ და ვითომ ჰაიჰარად, მოჩვენებითი სიმშვიდით უამბობდა, როგორ წაუღიათ ყორნებს საქართველო, ჩვენ კი ვგრძნობთ, გალიაში გამომწყვდეული ლომივით რომ უდუღს გული უკუღმა დატრიალებული ბორბლის, შურისა და გაუტანლობის გამო შეწუხებულს. ფიქრია კი თურმე ამ დროს პოეტად იზრდებოდა, რომელიც მოგვიანებით ასევე შეწუხებული გვეტყვის: *„თავს ვიმძინარებ / და ცხადს თვალს ვერ ვუსწორებ, / ვაი, რომ არას მარგებს / დახუჭვა თვალის! / ვაი, რომ ვხედავ ყველაფერს! / ვაი, რომ — ვშველი ვერაფერს!“*

ფიქრიას შემოქმედებით საღამოზე ვერც მსახიობმა თენგიზ არჩვაძემ დამალა ცრემლი „მის ხელში გაზრდილი ნამცეცა გოგოს“ გამო და, ერთი ლამაზი ამბავი გაიხსენა რაჭიდან თბილისამდე მამა-შვილთან მის მოგზაურობას რომ შეეხებოდა. ჰყვებოდა ბატონი თენგიზი ამ თითქოს ჩვეულებრივი მგზავრობის ამბავს და ბატონი მურმანის მშვენიერი სტრიქონები მახსენდებოდა: *„იყო პოეზიის მინდვრები გასათიბი, / ცა იყო კრიალა, / მზე მინდვრებს ფარჩავდა“*... და თითქოს, ჩემთან ერთად, ყველა გრძნობდა, თუ როგორ „თიბეს და თიბეს პოეზიის მინდვრები“ მამა-შვილმა, და რომ მაშინ არც კი იცოდა მამამ, რომ შვილს კი არა, თურმე პოეტ ქალს ეპაექრებოდა...

— ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც ჩვენი ფასი იცისო, ხშირად უყვარდა თურმე ამის თქმა ბატონ მურმანს, რომლის ფასიც მართლა არასოდეს შეშლია ქართველს. ფიქრიას პოეზიას პირველ ყოვლისა მამა ეზიარა, მერე კი მთელ საქართველოს აჩუქა მისი ლექსები.

თითქმის ორი წელიწადი გაუგრძელდა შვილთან „შეხვედრის“ მოლოდინი მამას. ეს იყო უსაშველო ტკივილთან შეგუების უმძიმესი პერიოდი. ახლა ერთად განისვენებენ დიდუბის პანთეონში და აქ ისევ მახსენდება ფიქრიას სტრიქონები: *„ო, ეს არ იყო ტრაგიკული, / ეს იყო — ზომიერი დასასრული“.*

## ფიქრია

12 აგვისტო ფიქრია ლებანიძის დაბადების დღეა.

...მხოლოდ 38 გაზაფხულს მოესწრო — „მოუსვენარი, მოძრავი, მუდამ პრობლემებით სავსე და კითხვებით დატვირთული, სამართლიანი, გამტანი, პირდაპირი და მეგობრების მოყვარული, ოფიციალურს რომ ვერაფერს იტანდა და ყველაფერში ორიგინალური, სიკვდილშიც ორიგინალური აღმოჩნდა, რადგან ჩვენს შორის პირველი წავიდა“, — გულისტკივილით წერდნენ მეგობრები.

საოცარია, მაგრამ ფაქტია — ადამიანები როგორღაც საკუთარ ცხოვრებას ემსგავსებიან. ეტყობა, ფიქრია აუცილებლად შავი თმით, ახალგაზრდა უნდა წასულიყო ამ ქვეყნიდან, მისი შინაგანი ბუნება და სამყარო ჭაღარას ვერ მოიხდენდა, ვერ შეიგუებდა, თუმცა, ძალიან ადრე კი მოუწია წასვლა...

— მსუბუქი იყო ფიქრია, მოქნილი, კოხტა ტანის... სიყვარულისა და აღმაფრენისთვის დაბადებული... სიკეთის ნამდვილი განსახიერე-



ბა... — ამბობენ მისი უახლოესი მეგობრები. დანარჩენს კი ფიქრიას ლექსებიც გვეუბნებიან. მათში გარდა სიკეთისა და სიყვარულისა, დიდი ადგილი იმ ამოუხსნელ ფენომენს უკავია, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული თემა რომ ჰქვია და გიკვირს — რატომ ფიქრობდა ამდენს, რა წინათგრძნობა აწვალებდა და უმძიმებდა ასე სულს? *„აქედან მოჩანს — მზეების ჩასვლა, / არ ჩანს — ამოსვლა“, „რის — უფსკრულები და ღრეები! / რის — ფხაალესილი კლდეები, / გალაქტიკებია ჩვენ შორის, გალაქტიკები!“ „შემოდგომა თავდება, ო, რა მალე ღამდება“, „ღამე კი გრძელია, / ბნელი და ცივია, გათენება არ მიწერია“* — კითხულობ და ხვდები, რომ ფიქრია ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც პოეტი იყო, კარგი პოეტი, ამიტომაც აძლევდა შვილის შემოქმედებას ასეთ შეფასებას ბატონი მურმანი: „ათას უბედურებასთან ერთად, საშინელი სიკვდილის მიუხედავად, მე მაინც არა ვარ დამარცხებული კაცი, ვინაიდან ჩემი შვილის სუსტ ხორციელ არსებაში უდრეკი ადამიანის სულს და ჭეშმარიტი პოეტის ღირსებას აღმოაჩენს ქართული პოეზიის მკითხველი“. ამაში დარწმუნება სულაც არ არის ძნელი, რადგან ფიქრია თავისი მშვენიერი პოეზიით თუნდაც იმასაც შეგვახსენებს, *„არათუ დღეებს, / არათუ წლეებს, / იქ, სადაც მივალთ, / არად თვლიან ათასწლეულებს, / საუკუნეებს საერთოდ არ ანგარიშობენ...“*

**თამარ კაპანაძე**


**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“**

***აცხადებს მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისთვის შემდეგ სპეციალობებზე:***

**1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. უცხოური ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული); 3. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; 4. სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; 5. ქართული ენა და ლიტერატურა; 6. ისტორია; 7. ჟურნალისტიკა; 8. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; 9. საბანკო საქმე; 10. საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; 11. ფინანსები და კრედიტები.**

***წარმოებს მოწინავე სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ***

**ინსტიტუტთან 9 და 11 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს კოლეჯი შემდეგი სპეციალობებით:**

**1. სამეანო საქმე; 2. ორთოპედიული სტომატოლოგი; 3. მედდა; 4. სამართალმცოდნეობა; 5. საბაჟო-ეკონომიკური; 6. უცხოური ენები.**

***კოლეჯდამთავრებულები ჩაირიცხებიან ინსტიტუტში II კურსზე. ლტოლვილები და მრავალშვილიანები თავისუფლდებიან გადასახადისაგან 50%-ით.***

**მისამართი: დავით აღმაშენებლის 178, მე-18 სკოლა**

**☎ 35-27-00; 38-00-83; 899-90-25-99; 893-30-32-83; 52-67-67**





**უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით**

- სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე
- ჩხვლეტის გარეშე
- უმტკივნეულოდ
- სწრაფად
- გარანტირებული ეფექტით

**306-307**


CMYK

# „თავიდან რომ დაბრუნდეს ცხოვრება, ჩემი ძმების, დედაჩემის სიკვდილის ფრაგმენტებს ამოვგლეჯდი"



*— „ხათუნა იოსელიანი? ეგ ის არ არის, მაფიოზი „მგლების ხორუმიდან"? ქალი კი არა მგელია! რა უცნაურია ამ ფილმში" — ეს ერთ-ერთი მაყურებლის შთაბეჭდილებაა, რომელმაც ცოტა არ იყოს დამაფრთხო. უამრავი კინო და სცენური როლის შემსრულებელი მსახიობის ხსენებაზე, რაღა მაინცდამაინც მაფიოზის როლი გაახსენდა-მეთქი. ქალბატონ ხათუნასთვის ეს წელი ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა — იგი სამ მხატვრულ ფილმში გადაიღეს. რამდენიმე როლი სცენაზეც ითამაშა. მსახიობი შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ თავად მოგვითხრობს.*

**— „მგლების ხორუმში" თქვენმა მაფიოზმა გმირმა მაყურებელთა ვნებათაღელვა გამოიწვია. ინტიმურმა ფრაგმენტებმა კი ზოგიერთი შოკშიც ჩააგდო.**

— რას ამბობენ, რა არის შოკის მიზეზიო?

**— ქართველი ქალისთვის მიუღებელი სითამამეო.**

— არ მესმის, რას უნდა გამოეწვია შოკი, რა, ქართველი ქალი არ შეიძლება მაფიოზი იყოს? ან რას გულისხმობენ თამამ სცენებში, სექსუალურ კავშირს? ეკრანზე რომ ადამიანური ურთიერთობის ფორმებს ვუჩვენებთ, ეს არის შოკის მომგვრელი? ღმერთო ჩემო, იქნებ მითხრან მაშინ, რა ჰქვია პარლამენტში გამართულ თავ-პირის მტვრევის ტელეტრანსლაციას და დედის გინებას პირდაპირ ეთერში? ვინც შოკირებულია ჩემი როლით, ის ალბათ თავად არის კომპლექსიანი ადამიანი. ფილმში „გზა ჩალაურისკენ" მე პირველად გავიხადე. მერე რა მოხდა ამით?

**— ვილაცისთვის სტერეოტიპი დაარღვიეთ. საფიქრალი გაუჩინეთ.**

— რატომ? თუ შეიძლება ქართველი ქალების „ჯოგი" იდგეს ცირკთან, ქუჩაში მეძაობდეს, არ ვარგოდეს დედად, მეუღლედ, ადამიანად და ყველაფერ ამას თვალს ვუსწორებდეთ, ეკრანზე გაშიშვლებული მსახიობი გაგდებთ შოკში? ღმერთო ჩემო, მსახიობი შედის და გამოდის სხვადასხვა პროფესიის მქონე პერსონაჟის ტყავში... მაგათ, ვინც შოკში ვარდებიან, აუჩემებიათ: — ქართველი ქალი, ქართველი ქალიო. იქნებ იმაზეც იფიქრონ, რომ როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, ქართველ ქალსაც ყველაფერი ადამიანური სჭირდება და არა დედის გინება. რაც შეეხება ჩემს როლს, მაყურებლისგან პირადად მსმენია: — „მგლების ხორუმში" ეს ქალი უარყოფით გმირს ასახიერებს, მაგრამ მასზე ვგიჟდებიო, — ეს უკვე რეალური შეფასებაა.

**— ფილმში თქვენი ქალიშვილიც თამაშობს?**

— ჩემი ქალიშვილი — მაკა შენგელია „მგლების ხორუმში" მოსამსახურე ქალს თამაშობს, რომელსაც ჩემი შვილი (ფილმიდან) აუპატიურებს. იცით, როგორი ეროტიკული სცენაა? როგორი რთულია ამის გადაღება? უცხოეთში ფსიქოთერაპევტებთან მუშაობენ მსახიობები, ამის თამაში რომ შეძლონ.

**— ისინი უზარმაზარ ჰონორარს იღებენ. ცნობილია, რომ „ძირითად ინსტინქტში", ეროტიკულ სცენებში დუბლიორის გარეშე თამაშისათვის შერონ სტოუნმა სოლიდურ ჰონორარზე დამატებით კიდევ ორი მილიონი დოლარი მიიღო.**

— შერონ სტოუნი, ჯულია რობერტსი... ქართველი მსახიობი ქალები არც ერთ მათგანზე ნაკლები არ არიან, პირიქით, ოღონდ უპატრონოები ვართ... არავინ ფიქრობს, როგორ ყიდულობ ტანსაცმელს, ფეხსაცმელს ფილმისთვის, როგორ იმოსები.

**— ქალბატონო ხათუნა, როცა სამი წლის წინ ამერიკული ფილმი „ბელა მაფია" ვნახე, ვანესა რედგრეივის მაფიოზ გმირში რატომღაც თქვენ დაგინახეთ, ძალიან მოგიხდებოდათ ეს როლი.**

— თქვენ მაფიოზის როლში ალბათ იმიტომ წარმომიდგინეთ, რომ მკაცრის და ზვიადის შთაბეჭდილებას ვტოვებ, სინამდვილეში სულ სხვანაირი ვარ. თუმცა არც სიმკაცრე და მომთხოვნელობა მაკლია.

**— თქვენი წარსული დათმობის, სათნოების, ლმობიერების მთელი ისტორიაა, იქნებ ცხოვრებაში თამაშობთ?**

— ჩემი ცხოვრება მართლა სინაზის და სიამის ისტორია იყო, მაგრამ... ადამიანმა მრუშობისა და კაცთმოძულეობის (ეს ორი რამ სულს კლავს სხეულში) გარდა ყველაფერი უნდა შეძლო, ისე როგორც ხელოვნებაშია. მაფიოზთან ერთად მარკიზა ტოსკანელი ვითამაშე „ჰენრი მეოთხეში". იბსენის პიესაში „ბრძოლა ტახტისთვის" ნაზ დედოფალს ვთამაშობ. ნინო ლიპარტიანთან „ბალზამინოვის ქორწინებაშიც" კეთილშობილური როლი მაქვს. მე მსახიობი ვარ და და როლში შეიძლება ვიყო მაფიოზი, მაგრამ იმავდროულად დედოფლობაც შემიძლია. ეგ არის, რომ ადამიანს ცხოვრებაში არ აქვს თამაშის უფლება. რასაც გააკეთებ, ყველაფერში ნაღდი უნდა იყო. ღმერთის წინაშე მართალი უნდა წარდგე.

**— არსებობს როლი, რომლის თამაშზეც გიოცნებიათ?**

— ჯულიეტას თამაშზე ნამდვილად არ მიფიქრია, არასოდეს მიზიდავდა ეს როლი, მაგრამ ძალიან მინდოდა მეთამაშა „ჭირვეულის მორჯულებაში", დეზდემონაც არ მიზიდავდა.

**— ეი. სუსტი, ნაზი ქალების როლები არ გხიბლავთ?**

— არ არსებობს სუსტი ქალი. ჩვენში ერთად არის სისუსტეც და სიძლიერეც. თუ ქალი გადაირია, როგორც მაგალითად, „მგლების ხორუმში" ჩემი გმირი, აი, მისთვის ყველა აკრძალული ხერხი მისაღებია მიზნის მისაღწევად.

**— ქალბატონო ხათუნა, ცხოვრებაში თუ გქონიათ ურთიერთობა მაფიოზებთან?**

— ირგვლივ არც მაფიოზი მყავს, არც ნარკომანი, არც ცვედანი და არც ა.შ. ადრე მყავდა მეგობარი ქურდული სამყაროდან, მაგრამ ის კაცური კაცი იყო. ახლა ნარკოტიკს ყიდიან, წამლავენ ახალგაზრდობას. ასეთები უნდა გაწყდნენ. თუმცა არავინ მემეტება სიკვდილისთვის. მე ჩემი ძმის მკვლელიც არ დამიწყევლია. ჩვენ დროს კაცისთვის რომ გეთქვა „პედერასტოო" — თავს მოიკლავდა, ახლა კი ხალისობენ. დაინგრა ქალაქი. წინათ ბიჭები რომ ჩხუბობდნენ, დავაცხრებოდი, რას კადრულობთ-მეთქი. ბოდიშიო, — თავს დახრიდნენ და გაიფანტებოდნენ. ახლა იქით გითავაზებენ პანჩურს უკანალში და შეიძლება ტყვიაც დაგახალონ. ეჰ, უკვე აღარაფერი მიკვირს, მაგრამ როგორც ქალაქურად იტყვიან — ჩემი „ფლაგი" ძირს არასოდეს დამიშვია.

**— წელან მითხარით, მკაცრი ვჩანვარ, მაგრამ სხვანაირი ვარო. ძალიან სევდიანი მგონიხართ.**

— პირიქით, ძალიან მხიარული ვარ (ეცინება), თუმცა, რაც ჩემი საშა და კოკი აღარ არიან, აღარ მიმღერია. სანამ საშა მომიკვდებოდა, სულ სიმღერ-სიმღერით დავდიოდი. მომიკლეს და ხმა აღარ ამომიღია. ახლა თავიდან რომ დაბრუნდეს ცხოვრება, ჩემი ძმების, დედაჩემის სიკვდილის ფრაგმენტებს ამოვგლეჯდი...

*ეკა ლომიძე*

17 აგვისტო კვირა

16 აგვისტო შაბათი

15 აგვისტო პარასკევი

14 აგვისტო ხუთშაბათი

13 აგვისტო ოთხშაბათი

12 აგვისტო სამშაბათი

11 აგვისტო ორშაბათი



# „იმღერე რამე" სპორტულ-პოლიტიკურად



ერთი მათგანი გურულია, მეორე იმერელი, მესამე ქართლელი, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული განსხვავებულ კილოზე საუბრობს, სამივე „ბედკრული საქართველოს" შვილები არიან და გულსაც ერთი რამე უჩქროლებთ — სამშობლოს კეთილდღეობა. რას აღარ აკეთებენ ამისათვის: ერთმა მამულს სახელი იმით გაუთქვა, რომ მსოფლიოს დასანახად 21 კაცი გალახა, მეორემ დაამტკიცა, რომ ჰერკულესივით ძლიერი კუნთები აქვს და თუ დასჭირდა, სამშობლოს მხრებით შეუდგება, რაც შეეხება მესამეს, იგი საქართველოს კეთილდღეობისთვის ბრძოლაში დღემდე ხელმოცარული რჩება, თუმცა იმედს არ კარგავს და სჯერა, რომ „მომავალი ჩვენია". რას გვიქადის მომავალი — ეს სხვა რუბრიკის თემაა. ამჯერად კი ფრიად საინტერესო ამბავზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას: თუ თქვენ კომპანია „პრემიერის" მუსიკალური შოუს „იმღერე რამეს" მაყურებელი ბრძანდებით, სულ მალე უჩვეულო სანახაობის მოწმე გახდებით, მუსიკალურ „რინგზე" იხილავთ: ერთ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ სტაჟიან პოლიტიკურ მოღვაწეს და ორ სპორტსმენ ჩემპიონს, რომელთაც პოლიტიკაში მოსვლა განუზრახავთ. დიახ, ქვემო ქართლში პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებული ლევან მამალაძე არ შეუშინდა კუნთმაგარ ტიტანებთან შერკინებას. იგი გიორგი კანდელაკსა და გიორგი ასანიძესთან ერთად, „მუსიკალური „ბედ-იღბლის" პულტთან გამოცხადდა, საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინა და მიუხედავად ერთ-ერთი „მეტოქის" თავდადებული წინააღმდეგობისა, გამარჯვებაც მოიპოვა. „რინგი" მალე დატოვა ნამდვილ რინგზე დღემდე დაუმარცხებელმა **გიორგი კანდელაკმა**, იგი შოუში ვაჟიშვილ თარაშთან ერთად იყო მოსული:

**— გიორგი, იოლად დათანხმდით „იმღერე რამეში" მონაწილეობას?**

— არა, რას ამბობთ, ხომ იცით „არა შეჯდა მწყერი ხესაო", ვიცოდი ეგრე დამემართებოდა მუსიკალურ კონკურსში. ამიტომაც თავიდანვე უარი ვთქვი, მაგრამ არ მომეშვნენ და მეც დავთანხმდი, ეს პირველი შემთხვევაა, როცა „რინგზე" მივდიოდი და მჯეროდა, რომ აუცილებლად დავმარცხდებოდი, რა მექნა, ნათქვამია: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო". ჰოდა,. გავეცალე კიდეც...

**— გული დაგწყდათ, რომ წააგეთ?**

— ერთი სული მქონდა, როდის წავაგებდი, არანაირი აზარტის გრძნობა არ მქონდა, საერთოდ ასეთი ვარ, როცა ვგრძნობ, რომ რაღაც ჩემი საქმე არ არის, ან არ გამომივა, ხვეწნა-მუდარითაც რომ მოიკლან თავი, ძალით ვერავინ ვერაფერს გამაკეთებინებს, რაც არ ვიცი, არც მაინტერესებს (რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, გიორგი თვლის, რომ მისი ადგილი პოლიტიკაშიც არის და ამიტომაც გადაწყვიტა დეპუტატობა).

**— სულ არ მღერით?**

— (იცინის) გააჩნია რამდენს დავლევ, იმასაც გააჩნია, თანამეინახეებს რამდენი აქვთ დალეული, ხომ უნდა გამიძლონ.

**— გიორგი, მალე რუს მოკრივეს — ვასილიევს სამშობლოში შეხვდები რინგზე. რას აპირებ?**

— ერთი „ლევისის" ფირმის ქამარი უნდა დავახვედრო საჩუქრად. ძალიან უნდა ქამარი წამართვას, მაგრამ ვერ მივართვი, კარგად იცის მაგან, რასაც ვუპირებ. ნახავთ რა...

**გიორგი ასანიძის** მოხელთება შეუძლებელი გახდა სტუდიაში და მას მშობლიურ საჩხერეში დავუკავშირდი:

**— გიორგი, თავს როგორ გრძნობთ, „იმღერე რამეს" მარცხის შემდეგ?**

— შესანიშნავად. დავმარცხდი, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ...

**— მელომანი ხართ?**

— დიახ, სიმღერა და მუსიკა ძალიან მიყვარს და ხშირადაც ვუსმენ, სამწუხაროდ, თვითონ ვერ ვმღერი, მაგრამ თუ ვინმე უცხო არ მისმენს, ჩემს მუსიკალურ ჭიას ხანდახან მეც ვახარებ.

**— ოთხი შვილის მამა ხართ, რომელიმეს ატყობთ მუსიკალურობას?**

— მეუბნებიან, უფროსი გოგონა, რომელიც ჯერ შვიდი წლისაა, მშვენივრად მღერისო. თამრიკო ჭოხონელიძესთან მეცადინეობს. ვნახოთ, რა გამოუვა.

P.S. ვეცადე ორი სიტყვით, გამარჯვებულის შთაბეჭდილებებიც გამეგო, მაგრამ მცდელობა მცდელობად დარჩა, ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე ჩვეულებისამებრ მოუცლელია, როგორც ჩანს, წინასაარჩევნო ქაოსის დროს, მხოლოდ სიმღერისთვის იცლის. აკი თქვა კიდეც სტუდიაში — ძალიან მომწონს ეს შოუ და სიამოვნებით მივიღებ კიდევ მონაწილეობას. მომბეზრდა პოლიტიკაში ჯიბრი და თუ სიმღერაში შევეჯიბრებით ერთმანეთს, მაგას რა სჯობიაო.

*ეკა ლომიძე*


ქართული და უცხოური
ქურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მაცხოვრებელთათვის
და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73



სახლიდან
გაუსვლელად
შპს „ელვასერვისი"

# გაბრაზებულმა ზურა მანაგაძემ ბუკას თაყვანისმცემლის მობილური მტკვარში მოისროლა



(დასაწყისი იხ. გვ.16)

**— ბატონო ზურა, ბუკას თაყვანისმცემლებიც მობილურის სროლას ხომ არ გაიძულებენ?**

**ნენო:** — კი, კი. ერთ-ერთი მათგანის მობილური მტკვარში გდია.

**ზურა:** — სხვა არაფერი გამასროლინონ, მობილურები — ჯანდაბას. ძალიან უკონფლიქტო ვარ და ვცდილობ, ყველა ადამიანში სიკეთე და სიმართლე დავინახო. როცა ვხედავ, რომ ვიღაცას ჩვენი გაშარჟება უნდა, უკმეხი ვხდები. ღამის ორ-სამ საათზე რეკავენ და უცნაური ხმით ბუკას კითხულობენ. ოჯახს ხომ უნდა სცენ პატივი? ისეთი ხმით ვპასუხობ ხოლმე, რომ მეორედ აღარ რეკავენ, თუმცა ახლა სხვა რეკავს.

**— ქალბატონო ნენო, რა მსგავსება და განსხვავებაა მამა-შვილს შორის?**

**ნენო:** — განსხვავება ის არის, რომ ბუკას არ აქვს წვერი. ასევე ბუკას ჯერ არ უცდია სიმღერების დაწერა, ლექსებს კი წერს, ისინი მამამისს ძალიან მოსწონს. მეტისმეტად ჰგვანან ერთმანეთს. შენ როგორც არ უნდა აწყენინო, ის არ გაწყენინებს, შეურაცხყოფას არ მოგაყენებს. ეცდება, რომ მოგეფეროს და გაგაგებინოს. თუ ვერ გაგაგებინებს, ურთიერთობას შეწყვეტს.

**— ბუკა, მამა თუ არის შენი მესაიდუმლე?**

**ბუკა:** — როგორ არა, მაგრამ დედასთან უფრო გულახდილი ვარ.

**— ქალბატონო ნენო, როგორი ასატანია ოჯახში ორი პოპულარული ადამიანი?**

**ნენო:** — ასატანს ვერ დავარქმევ, ძალიან სასიამოვნოა. ბუკა ამ ბოლო დროს ძალიან დაიტვირთა და ამით კმაყოფილი ვარ. რაღაც-რაღაც პრობლემები და საფიქრალი მოხსნილი მაქვს, რადგან მის გვერდით ნატო დუმბაძეა. ის ჩემი შვილის მეორე დედაა.

**— როგორ ფიქრობთ, ბუკა სიმღერას გააგრძელებს?**

**ნენო:** — პირველ რიგში ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ გამარჯვებული და ბედნიერი იყოს. ბუკა ჭკვიანი ბავშვია. ფიქრი და ანგარიშის გაწევა იცის. ეს თვისებები დაეხმარება, რომ ბედნიერი ქალი და დედა იყოს. უნდა იმღეროს კიდეც, რადგან ეს თავად უნდოდა.

**ზურა:** — ვგრძნობ, რომ ბუკას თავისი მსმენელი უყვარს. მათაც უყვართ ბუკა, რადგან ბავშვები ჩემთან მოდიან და მის ამბავს მეკითხებიან. თაყვანისმცემელთა სიყვარული მან ერთ წელიწადში მოიპოვა. ამიტომ ვიდრე ხალხს მისი დანახვა უხარია, აუცილებლად სცენაზე უნდა იყოს. მე პირველად სცენაზე ფეხი რომ შევდგი, იმ დღიდან მაკანკალებს (კარგი გაგებით), რადგან სცენა მუდამ მაღელვებდა. მინდა, რომ ჩემს შვილსაც ასეთი გრძნობა ჰქონდეს სცენის მიმართ.

**— ბუკა, ზურა მანაგაძის ქალიშვილი რომ არ ყოფილიყავი, მაინც იმღერებდი?**

**ბუკა:** — სიმღერის ნიჭი მშობლებისგან გამომყვა. დედაც და ჩემი დაძმაც ძალიან კარგად მღერიან.

**ზურა:** — მე და ნენო დუეტის ჩაწერასაც ვაპირებთ.

**— მამა-შვილმა ერთმანეთი მომღერლის ამპლუაში შეაფასეთ...**

**ბუკა:** — მამა ყოველთვის გულით მღერის. როცა არ შეუძლია, ან არ უნდა, არც იმღერებს. სიმღერის დროს ყოველთვის თვალებს ხუჭავს და ეს თვისება მეც გამომყვა.

**ზურა:** — ბუკამ სერიოზული მუშაობა შარშან, აპრილში დაიწყო. ამ ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ შრომატევადი სამუშაო ჩაატარა თავისი ვოკალის მხრივ, თუმცა კიდევ ბევრი სამუშაო აქვს. მას ცოცხლად სიმღერაც შეუძლია, ფონოგრამასაც ადვილად წერს და თავის სიმღერებს ბექებსაც თვითონ ადებს. ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ მისით.

***ნათია ჟივიძე***

განსხვავებული ჟურნალი



**არ ენერა მის ოჯნებას ახდენა — ვერ შეისრულა 100 წელი წუთისოფელში, 2003 წლის თებერვალში გარდაიცვალა 99 წლის ასაკში. ღამით გეიპარა ძილში წყნარად, უშფოთველადო, — მითხრა მისმა ქალიშვილმა.**

**ადრე ვერ მოვახერხე და ახლა მივუბრუნდი იმ კასეტას, ცაცა ბებოს ხმა რომ შემოინახა და მისი საუბრის სტილის და მანერის სრული დაცვით „მოგასმენინებთ" ერთი, თითქმის საუკუნის ცოცხალი სიცოცხლის ამბავს...**

— 1903 წელს ვარ დაბადებული. პაჩპორტში 1906 მიწერია, მარა ტყულია მაგი. მამაჩემმა იცოდა წერა-კითხვა და მისი რვეულია აგერ შემონახული (ფრთხილად შლის ცელოფანში დიდი რუდუნებით შეხვეულ, ხელით შეკერილ გაყვითლებული ქაღალდების „რვეულს"). ა, ბატონო, ა: „თამარე დეიბადა 1903 წლის შემოდექზეო!.. მე ვარ თამარე... ცაცა დედაჩემს დოურქმევია და შემრჩა მერე ეს სახელი. საცაა, ასი წელი შემისრულდება, არადა ნამეტნავი სუსტი ვყოფილვარ ბოვშობაში, ავანტყოფი. ადრიანად მოვუნათლივარ — სულწაწყმედილს ნუ გოვუშობთ იმ ქვეყნათო. მორწმუნე კაცი იყო მამაჩემი და დოუმადლა ღმერთმა რწმენა, ნათლობამ გადამარჩინა... თოთხმეტი წლის ვსრულდებოდი, რო გამათხოვეს. ღონიერი იყო ჩემი მამამთილის, ერემო ნოზაძის ოჯახი, ვაგლახათ ბატონიც ვერ უბედავდა რამეს, თვარა მეზობლებს დიდი რიდი და ხათრი ქონდათ მისი, ბევრისთვის გოუმართავს ხელი. ჩემი ქმარი ბოლშევიკებთან ძმაკაცობდა, სულ კრებებზე დარბოდა და დასაჭერათაც ქე დაზდევდნენ. მიტომაც იჩქარენ მისი დაქორწინება — გული დოუდგება შინო. 1916-ში ჯვარი დავიწერეთ... 1917-ში რევოლუცია მოხდა და სწორედ იმ დღეს დეიბადა ჩვენი უფროსი ბიჭი შალიკო. ჩემს ცხონებულ ქმარს, კოწიას, რევლენის დარქმევა უნდოდა მისთვის — რევოლუციისა და ლენინის შეერთებით, მარა მე გედევირიე და არ დავანებე. მაშინ კი დამიჯერა, მარა უმცროს ბიჭს დოუწერა მერე რავარც თავად უნდოდა — ლენკო დაარქვა: ლენინის და კომუნიზმის შეერთებით, მარა ვერ გეიგენ სოფლელებმა და ლევანას უძახის დღემდე ყველა... რევოლუციის მერე „დიდი კაცი" გახდა ჩემი ქმარი, კოლექტივი ჩამოაყალიბა და თავმჯდომარეთაც ნიშნავდნენ, მარა ვარი თქვა: — ქვეყანას აწი სხვები მიხედავენ, მე ბაღნები მეზრდება და დროა აწი ოჯახს მივხედოო!.. ნამდვილი მიზეზი ჩუმად გამიმხილა მერე: — იგენი ღმერთს აგინებენ და მასთე ცხოვრება არაა ჩემი საქმე. ღმერთის მაგინებელი კაცი ვერ გეიხარებს და აგერ ნახავ შენ, მა კომუნიზმი თუ თიხასავით არ დეიფშვნება ღმერთის გარეშეო!.. ისე ყოლფერი კაი აგიხდათ, რავარც კოწიას არ უმტყუნა გუმანმა... ვიყავით ჩვენთვის. 7 შვილი შეგვეძინა, მარა ორი ჩვილები წაგვართვა უფალმა, არ დატოვა გაძაღლებულ წუთისოფელში. ხუთი გავზარდეთ. იმათ 17 შვილიშვილი მაჩუქეს, 39 შვილთაშვილი და იმის იქეთ აღარც ქე ვიცი... ბევრი ვართ, დეილოცა ღმერთის სამართალი.

**— გიყვარდათ ქმარი, როცა მიჰყვებოდით?!**

— რაფრა უნდა მყვარებოდა, როცა ნანახიც არ მყავდა?! რომ მიმიყვანა მამამთილმა სახლში, ოთხი დღის მერე მეიყვანეს კოწიე, ძლივს მეეძებნათ ტყეში, იმალებოდა, მენშევიკები მოსაკლავათ დაზდევდნენ. ჯერ იყვირა, — რა მეცოლებაო, მარა, რო დამინახა, ქე გოუპრწყინდა თვალები. კაი ვაჟკაცი იყო, ბრიალა შავი თვალები და გადაწკეპილი ულვაშები ქონდა. რო დევინახე, მაშინათვე მივხვთი, დედასაც რომ მერჩია, მამასაც და და-ძმებსაც. სახლში ვერ ჩერდებოდა მენშევიკების შიშით და მეც გევეკიდე ტყეში, ვერ დამაკავეს. ჩვენი უფროსი ბიჭი, შალიკო, თელი ცხოვრება მეტყევეთ მუშაობდა და ამასხრებდნენ: სხვა რა გამევიდოდა მაგისგან, ხის ძირშია ნაკეთებიო...

ადრე მოკვდა საწყალი კოწია, 39-ში... ფილტვებმა უმტყუნა. კაი რა მოუვიდოდა, აბა, პარავოზივით აბოლებდა თუთუნს. დამტოვა მარტო ბებრებთან, ბაღნებით. მერე შალიკო რო ომში წეიყვანეს, თლად გლახად წევიდა ჩვენი ოჯახის საქმე, მარა არ გაგვწირა ღმერთმა და გადავრჩით, შალიკოც დაგვიბრუნდა ომიდან და რუსის ქალიც ჩამოგვიყვანა — ოლია. თავიდან არ მეეწონა, ღერი სიტყვა არ იცოდა ქართუ-



## „ნეტავი იცოდე, როგორ მომენატრები, სიცოცხლეო, განშორების პირველსავე დღეს!.."

ლი, მარა მერე ისე გეიტლიკა ენა, ბარე ორ ქართველს გაასწრო, ახლა მგონია, რუსული აღარ ახსოვს და ჩვენსავით აგინებს რუსებს: — წევიდენ თავის სახლში, დაგვანებონ თავიო. შვილები ეუბნებიენ, — გაჩუმდი, თვარა, შენც გაგაყოლებთ უკანო, მარა ვერ გააგონებ რუსობას — ქართველი ვარ მეო. გვარიც არ დეიტოვა თავისი ჯიშის. ძაან უყვარდა ქმარი, იტყოდა — ჩემთვის დაწყებულა ომიო!..

ძაან მიყვარს სიცოცხლე. ბებრებს ახალგაზრდების გინება უყვართ, აფერი არ მოწონთ მათი — ჩვენ უკეთესები ვიყავითო! მე ყოლფერი მომწონს მაგათი. თამამები არიან, არ ეშინიათ არაფრის, სწავლობენ, უკეთესი ცხოვრება უყვართ. გახთილებით რო დადიენ, ეს კი არ მომწონს, მარა რას ვიზამ. ესაა საქმე: ბიჭის გვერდით წელი და მუცელი უჩანს გოგოს და ვითომც არაფერიო, მშვიდადაა კაცი!.. ჩემი კოწიე იმაზეც სურვილით ეინთებოდა, მის დასანახავათ თმას რო გევიშლიდი და ყელი გამომიჩნდებოდა შიშველი. გულგრილობა არ ვარგა ნამეტნავი... ტელევიზორი მიყვარს, ყოლფერს ვუყურეფ, დენი თუ გამეიმეტა ჩვენმა მთავრობამ. ისე, მთავრობასთანაც უნდა დაგაბარო რაცხა, თუ არ მიწყენ და თუ გოუბედავ თქმას... უთხარი, 98 წლის ცაცამ შემოგითვალათ, არ ხართ თქვენ კაი კაცები-თქვა! მიხედონ ხალხს და ქვეყანას, სანამ არ განრისხებულა ღმერთი, თვარა მაგენსაც მეერევა ეშმაკი და დეერევიენ ერთმანეთს, კომუნისტებივით დეექცევათ ქვეყანა თავზე... გაჭირვება კაცს მგლად აქცევს და ყოლფერის კადრება შოუძლია მერე...

ტელევიზორში ვუყურებ მთავრობის კაცებს, ვუსმენ, მარა ვერ გოვუგე მაგენის ბჟუტურს ვერაფერი. ამბობენ: ყოლფერი ბევრია ჩვენს ქვეყანაშიო და რაფრაა მაგი ამბავი! აბა, ეს ხალხი გიჟია, მშიერი და მწყურვალი რო დადის და ჩამოხეული ხალათ-შარვალი აცვიათ?!.. დაბერდენ გოუთხოვრები გოგოები და კაცებს ცოლები ვერ მოუყვანიათ შიშით — ცოლს დიდი ცომი უნდაო!.. ესაა ქვეყანა?!. ადრეც ჭირდა, მარა ჭადი ქე გვქონდა. ახლა ჭადიც აღარაა, გაგვირისხდა, მგონია, ღმერთი: — სანამდე ვიფიქრო მარტვა მე თქვენზე, ახლა თავადაც მიხედეთ თავსო!.. მართალია ღმერთი, სად ცალია, ჩემი და შენი ჭადის გამოცხობაზე იფიქროს, ღმერთია, ვანოიე მედუქნე კი არა...

გაზეთებიც მიყვარს. ადრე თავად ვკითხულობდი, მერე შვილიშვილები მიკითხავდენ, ახლა ყურს დამაკლდა და აღარ ვაწუხებ ბოვშებს — თელ სოფელს ეყურებოდა მათი ყვირილით წაკითხული. მიხაკო გამახსენდა, მეზობელი: — შენი თინიკო რო გაზეთის კითხვას დეიწყებს, მე მხართეძოზე წამოვწობი და არხეინად ვისმენ ჩემს ეზოშიო! არადა სოფლის თავში იგია და სოფლის ბოლოს — ჩვენ.

ქორწილი მიყვარს კიდო ნამეტნავი და ლამაზი დიოფლის დანახვა, თეთრ კაბაში რო არიენ გამოწყობილი. ეუ-უ, რაც მე მაშინ ვილოცები, იმის ნახევარი რო შეისმინოს ღმერთმა, გამრავლდება ე ჩვენი საქართველო და აშენდება სამარადჟამოდ. ბოვშის დაბადებაზე ხო თლად ვგიჟდები სიხარულით, სულერთია, გოგო დეიბადება თუ ბიჭი, სულიერი იყოს და გასაზრდელი, ოღონდ. ძაან მეცოდებიან გოუთხოვარი ქალები. დედობა ყველა ქალმა უნდა გამოცადოს. ამბობენ, — საკმარისი კაცი არაა ქვეყანაზე, მიტო რჩებიენ ქალები გოუთხოვრებიო!.. ისთე გააჩინონ... არა, კი ნუ გაბოზდებიან, შვილი გააჩინონ და დეივიწყონ მერე თავისი ქალობა, შვილებს მიუძღვნან თავი და სიცოცხლე... 36 წლის ვიყავი, კოწიე რომ მომიკვტა და არც გამიხედია კაცისკენ ვაგლახათ. ხუთი შვილის პატრონი ვიყავი და კაცზე ფიქრისთვის სად მეცალა, თვარა კაი ხანს დამიდიოდა მაშვალი გაღმა სოფლელი თვალჭრელიძისგან — მაგის მეტი ქალი არ მინდაო! და ისე წევიდა საიქიოს, არც მოუყვანია ვინმე!...

**— ისეთი სიამაყით გაიხსენეთ, ცაცა ბებო, გალმასოფლელი თვალჭრელიძე, მაინც გახარებდათ ყურადღება!**

— სული წაწყმედილი აქვს მაინც კაცს, ბებია... კაცი რა ჭირათ მინდოდა ჩემი კოწიეს მერე, მარა ვინცხა რო ფიქრობდა ჩემზე, დამარხულათ აღარ მიმაჩნია თავი. სიყვარული სიცოცხლეა, აბა! არ დარჩე გოუთხოვარი, თვარა ვერ აპატიებ თავს, ხეწნწიფეთაც რომ აგირჩიონ, მაინც შენი შვილების და ოჯახის მოსამსახურეობა გერჩიოს... სიცოცხლე, შვილები და მათი მონაგარი რომ არ მყავდეს, მაშინ რათ მინდა სიცოცხლე...

ქორწილი მიყვარს ნამეტნავი და ლამაზი დიოფლის დანახვა, თეთრ კაბაში რო არიენ გამოწყობილი. ეუ-უ, რაც მე მაშინ ვილოცები, იმის ნახევარი რო შეისმინოს ღმერთმა, გამრავლდება ე ჩვენი საქართველო და აშენდება სამარადჟამოდ. ბოვშის დაბადებაზე ხო თლად ვგიჟდები სიხარულით, სულერთია, გოგო დეიბადება თუ ბიჭი, სულიერი იყოს და გასაზრდელი, ოღონდ.

**— სურათის ჩუქებაზე რატომ მეუბნებით უარს, ცაცა ბებო?**

— სანამ ახალგაზრდა და ლამაზი ვიყავი, არ ვიცოდი, სურათი რა იყო, ახლა დავაფიცე ჩემს შვილიშვილებს, არ გადამიღონ. ჩვარს მიგავს სახის კანი. მაგი კარა, ანდერძი დავტოვე, არც საფლავზე დამიდგან სურათი, არაა საჭირო. ჭირივით მეზარება, ბალახი რო გადეივლის საფლავზე და გულდაწყვეტილი თვალებით „იხედებიან" იქიდან ახლობლის მოსვლას დანატრებული კვტრები!..

***...ცაცა ბებოს საფლავზე მიმსვლელი არ აკლია, მაგრამ მისივე თხოვნით სურათს მაინც არ უდგამენ: „მე ზეციდან გადმევიხედავ, როცა მემენატრებითო!" — უთქვამს. ჯვარია მის საფლავზე და ქვა დამაფიქრებელი წარწერით: „ნეტავი იცოდე, როგორ მომენატრები, სიცოცხლეო, განშორების პირველსავე დღეს!.."***

***ინგა ჯაყელი***

CMYK

*ქუთაისიდან მესტუმრა ერთი შავოსანი ქალბატონი. შვილმკვდარი დედა ვარო, — მითხრა, — დარდმა და ცრემლმა თვალისჩინი წამართვაო. ჩემს რესპონდენტთაგან ბევრს უთხოვია უცნობად დარჩენა, მაგრამ როცა ამ ქალბატონს მოვუსმინე, თავად ვთხოვე სახელების შეცვლა.*

*— რომ არა უსულგულო ადამიანები, ჩემი შვილი ახლა თავის შვილებთან ერთად იქნებოდაო, — მითხრა. იგი ყველას გვარ-სახელით დასახელებას აპირებდა. მაშინ მეორე მხარის აზრიც უნდა მოვისმინოთ, ეს კი ჟურნალისტური გამოძიებაა, რასაც ჩვენი რუბრიკა არ ითვალისწინებს-მეთქი. დაფიქრდა და დამეთანხმა, — ჩემს მონათხრობში ისედაც შეიცნობენ თავს და იქნებ, ახლა მაინც შეაწუხოთ სინდისმა, იქნებ ახლა მაინც უთხრან ბავშვებს სიმართლე (ახლა ჩემი შვილიშვილები 18 და 15 წლისანი არიან), თორემ ცოდონი არიან, მთელი სიცოცხლე უნდა ეგონოთ, რომ დედამისი უზნეო ქალი იყოო.*

# იგი ჭორის მსხვერპლი შეიქნა

## მინდა შვილიშვილებმა სიმართლე გაიგონ



— შეძლებული ოჯახი გვქონდა, — დაიწყო ქალბატონმა თხრობა, — სამი შვილი მყავდა. შუათანა, თეა, ყველაფრით გამორჩეული იყო — მშვიდი, უწყინარი, ხალისიანი, დაუზარელი და იმდენად ლამაზი, ქუჩაში თვალს აყოლებდნენ. უმცროსი, შალვა, ყველგან თან ახლდა დას, უფრთხილდებოდა. მეათე კლასში იყო, თანასოფლელმა ბიჭმა მისი მოტაცება სცადა. შალვამ ივაჟკაცა, მას ამხანაგებიც წამოეშველნენ და ასე „გადარჩა“ მაშინ. ჩემმა ქმარმა მითხრა: ყველაფერს თავი დაანებე და გოგოს მიხედე, შალვაც უბედურებას არ გადავყაროთო. იმის მერე, სკოლაშიც კი დავყვებოდი, ვუცდიდი გაკვეთილების დამთავრებამდე და შინ ერთად მოვდიოდით. თუკი მეგობრის დაბადების დღეზე მიიწვევდნენ, მეც მეპატიჟებოდნენ. თან გვეცოდებოდა, არ გვინდოდა შეზღუდულად ეგრძნო თავი, ამიტომაც ჩვენს ოჯახში მუდამ თეას, ციალას (უფროსი გოგონას) და შალვას მეგობრები იყრიდნენ თავს, ერთობოდნენ.

სკოლა რომ დაამთავრა, საგონებელში ჩავვარდით: უსწავლელი არ გვინდოდა ყოფილიყო, არადა თბილისში მარტო გაშვების გვეშინოდა. ამ ფიქრში ვიყავით, რომ ქუთაისელი ნათესავი გვეწვია. თურმე თეა მასთან სტუმრობისას უნახავს ერთი ბობოლას შვილს, შეჰყვარებია და მის მშობლებს გადაუწყვეტიათ, ქართული წესების დაცვით, მოეყვანათ რძალი. ნათესავმა ქებით ცაში აიყვანა სასიძო და მისი ოჯახი. ბევრი აღარ გვიფიქრია, ჩემს ქმარს გაეხარდა კიდეც — თუ ასეა, მაგას რა სჯობს. დროულად ჩავაბარებთ შვილს პატრონსო. თეამ ტირილი დაიწყო — მე ჯერ სწავლა მინდაო. დავამშვიდე, ისინი უსწავლელს არ დაგტოვებენ-მეთქი, მაგრამ ის მაინც ვერ წყნარდებოდა. უფროსმა ქალიშვილმა, ციალამ, გამიმხილა: თეას და ჩემს თანაკლასელ გიორგის ერთმანეთი უყვართო. თეა დავარიგე — გიორგის რომ გაჰყვე, ბევრი რამ დაგაკლდება, პირველი გაჭირვებისთანავე ეს შენი გრძნობა ახალმოსული თოვლივით გაქრება. თემური კი შეძლებული ოჯახის შვილია, თვითონაც დამოუკიდებელი კაცია, არაფერს გაგიჭირვებს, ისწავლი კიდეც, მალე თბილისშიც იყიდიან ბინას, სიყვარულიც მოვა და ბედნიერებაც-მეთქი. გული მეთუთქება, რომ მახსენდება, როგორ იჯდა ჩემ წინ თავჩაღუნული და ლაპალუპით სდიოდა ცრემლი...

მალე ქორწილი გადავიხადეთ. თეა მართლაც დედოფალივით ბრწყინავდა. თემური თვალს არ აშორებდა. მიხაროდა — ჩემი შვილი ამ ოჯახში ბედნიერი იქნება-მეთქი. მაგრამ თურმე ქონება არ ყოფილა მთავარი. ცოტა ხანში ჩემს ქმარს კარგი საქმე უშოვა სიძემ. ორი წლის შემდეგ ქუთაისში კერძო სახლი შევიძინეთ. ცოდვა როგორ ვთქვა, თეას მართლაც არაფერს უჭირვებდნენ. თბილისში, მაშინდელი პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩააბარებინეს. როცა გამოცდები ეწყებოდა, ბავშვს დედამთილი ან მე ვიტოვებდი, თემური კი თბილისში მიჰყვებოდა. დათუნას მერე გოგო გაუჩნდა, ეკა. თითქოს ბედნიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვამჩნევდი, სულ დარდი ედგა თვალებში. ერთხელ ვთხოვე, გული გაეხსნა ჩემთვის; არაფერი მითხრა, სევდიანად გამიღიმა მხოლოდ. ახლა, როცა შვილი აღარ მყავს, ბევრს ვფიქრობ წარსულზე, იმ სევდიან ღიმილზეც. ასე მგონია, იმ ჩუმი გამოხედვით მითხრა, — შეცდი, დედაჩემო, არც სიყვარული მოვიდა და არც ბედნიერებაო...

ერთ ზაფხულს, თეა ჩამოვიდა სოფელში ბავშვებთან ერთად. მის ჩამოსვლას ყოველთვის დიდი სტუმრიანობა მოსდევდა ხოლმე, რადგან „იმ ოჯახის“ რძლისა და „ბედნიერი“ თეას ნახვა ყველას უნდოდა — ნათესავსაც და ამხანაგსაც. თანაც, მთხოვნელებიც მრავლად იყვნენ: ზოგს სამსახურში „ხელის წაკვრა“ ესაჭიროებოდა, ზოგსაც მატერიალური დახმარება. თეა არავის გულნატკენს არ უშვებდა... ერთ საღამოს მთხოვა, — ბავშვები დაიტოვე (დათუნა მაშინ 6 წლის იყო, ეკა — 3-ის), ლალისთან (მისი მეჯვარე იყო) მეგობრები იკრიბებიანო. იქიდან ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა. გათხოვების მერე თეას თვალებში ასეთი სიხარული არ დამინახავს. დაწვრილებით მიამბო ყველაფერი, თუმცა ერთი რამ მაინც დამიმალა. თურმე გიორგიც ყოფილა იქ. ალბათ მაშინ განახლდა მათ შორის ურთიერთობა... ერთი რამ მჯერა, ჩემი შვილი ცუდს არაფერს ჩაიდენდა, არც მომატყუებდა. მოგვიანებით მითხრა: დედა, ხომ საშინელება დამატყდა თავს, რას არ მაბრალებენ, მაგრამ იცოდე, უცოდველი ვარ — ჩემსა და გიორგის შორის არაფერი მომხდარა, უბრალოდ, გვიხაროდა ერთმანეთის ნახვა, წარსულის გახსენება... ალბათ ნელ-ნელა ჩამოვცილდებოდით კიდეც ერთმანეთს, მაგრამ ვინ გვაცალაო? ამ ხალხს ცუდის უფრო სჯერა, ვიდრე კარგის, თანაც პროვინციულ ქალაქში ერთად დაგვინახეს და მოწყენებს საქმე მივეცითო!

როცა ვუთხარი: შვილო, გათხოვილი ქალი სხვა კაცს რომ შეხვდება, ხალხს სალაპარაკო მიეცემა, აბა, რა იქნება-მეთქი. მიპასუხა: ალბათ სჯობდა, არ შევხვედროდი, მაგრამ ისე მინდოდა მასთან განმარტოება, მასთან საუბარი, რომ სხვა რამეზე აღარც ვფიქრობდიო...

სასექტემბროდ, ქუთაისში რომ დავბრუნდით, მეზობლის ქალმა ამბავი მომიტანა: გუშინ თეა და გიორგი ერთ კაფეში უნახავთ და ეგ ამბავი კარგად არ დამთავრდებაო. გულგახეთქილი მივვარდი თეასთან: რას მიშვრები, თავი გინდა მომჭრა, ეგ რომ შენმა ქმარმა, დედამთილმამამთილმა, ან მაზლმა გაიგოს, ხომ იცი, რა ამბავიც ატყდება-მეთქი. დამამშვიდა: სანამ დათუნა სკოლაში იყო, იმ დროს შევედით კაფეში... რა დაშავდა იმით, რომ ბავშვობის მეგობრებმა ცოტა ხნით ვისაუბრეთო. დამპირდა, აღარ შეხვდებოდა გიორგის.

თეას მეგობარი გათხოვდა თბილისში. თეას ქმარი მოსკოვში იყო, ამიტომ ქორწილში მაზლი აახლეს. მაყრიონში გიორგიც იყო. იმ ქორწილში რაღაც იეჭვა მაზლმა და თეას თვალს არ აშორებდა. თეას ქმრის სანათესავოში ყველაზე მეტად მისი მაზლის ეშინოდა — „შავი“ იყო! მან თავის ძმაკაცებს დაავალა, თეასთვის თვალყური ედევნებინათ.

ერთხელაც, ის ჩემი ცოდვით სავსენი კვლავ განმარტოებით რომ ისხდნენ ქალაქის განაპირა მყუდრო კაფეში, მაზლი, თავისი ძმაკაცებითურთ, თავზე დაადგათ. გიორგი სიკვდილის პირამდე მიიყვანეს, ისე სცემეს, თეა კი შინ აღარც მიუშვეს, გამოისტუმრეს მშობლებთან. ბავშვები აღარ გააკარეს; როცა თემური მოსკოვიდან ჩამოვიდა, ჭორი ისეთი „გაბერილი“ დაახვედრეს, რომ თეას მოკვლა უნდოდა. იმდენი ქნეს, დედობის უფლება ჩამოართვეს, თვალითაც აღარ დაანახვეს შვილები. მერე ბავშვები ქუთაისს საერთოდ მოაცილეს, მამამისმა მოსკოვში წაიყვანა. თეა საშინელ დღეში ჩავარდა. მერე გადაწყვიტა, მამამთილთან მისულიყო, მუხლებში ჩავარდნოდა, პატიება ეთხოვა და ყველაფერი აეხსნა. გულცივად გამოისტუმრეს. მოგვიანებით, ძლივს გადარჩენილი გიორგი ჩვენთან მოვიდა, გულახდილად გვიამბო მისი და თეას ურთიერთობის შესახებ, მისი ხელიც გვთხოვა, მაგრამ თეამ ცივი უარი უთხრა. ამ ნაბიჯით ჭორს გავამართლებთო. მაშინ, მივალ შენ ქმარ-მაზლთან და ვეტყვი, რომ ჩვენ შორის არაფერი ყოფილაო. ესეც დაუშალა თეამ, მაგრამ მეც და ჩემმა ქმარმაც, თეასაგან მალულად, ვთხოვეთ, ეს გაეკეთებინა. არც გიორგის მისვლამ და ახსნა-განმარტებამ გამოიღო შედეგი. ის კი არა, მაზლი დაემუქრა: ქუთაისიდან გაქრი, თორემ აგაორთქლებო.

თეა თანდათან ისეთმა ნაღველმა შეიპყრო, ლაპარაკის სურვილიც კი დაკარგა.

ბოლოს ვიფიქრე, ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული, ვიჩივლებ, სასამართლოში სარჩელს შევიტან-მეთქი, — ეს აზრი ახლობლებს რომ გავუზიარე, არ მირჩიეს. ხომ იცი, რომ ისინი „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“-ს „ღირსეული“ წარმომადგენლები არიან, მაინც დაგამარცხებენ, დაიცადე, დრო ყველაფრის მკურნალიაო.

დრომ ვერ „უმკურნალა“ თეას დარდს. შვილების გარეშე ცხოვრებამ, გაუთავებელმა ჭორმა და ცილისწამებამ თავისი დაღი დაასვა. იგი შეგნებულად გამოეთხოვა სიცოცხლეს...

მას მერე თითქმის თორმეტი წელი გავიდა.

ამ ხნის მანძილზე თეას მაზლი რაღაც საქმის „გარჩევას“ შეეწირა.

თეას სიკვდილის მერე თითქმის ყველაფერი სულერთი გახდა ჩემთვის, მხოლოდ ერთ რამეს ვნატრობ, ახლა მაინც, როცა ამდენი წელია გასული, ძალა მოიკრიბონ, მამამაც და ბებია-ბაბუამაც სიმართლე გაუმხილონ დათუნას და ეკას...

***ძნელია ასეთ შემთხვევაში მსაჯულის როლი იტვირთო. ან კი, რომელ მოკვდავს აქვს განსჯის და განკითხვის უფლება...***

**მარინა ბაბუნაშვილი**

**წერილი რედაქციას**

# რას იტყვით?..

„მშობლების სურვილით გავთხოვდი. 22 წლის ვიყავი. არავინ მიყვარდა და იოლად დავყევი მათ ნებას. ქმარი სულაც არ იყო ისეთი პიროვნება, რომ გრძნობა არ გამჩენოდა მის მიმართ, მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ სიყვარული მაინც სხვა რამ იყო, გაცილებით ლამაზი და განსხვავებული, ვიდრე სინამდვილეში მქონდა. ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ ძლიერი გრძნობა ილუზიაა, მირაჟია, რომელიც არ არსებობს. უბრალოდ, მე არ მხვდა წილად ბედნიერება — მყვარებოდა და ვყვარებოდი ვინმეს ძალიან. არც ვეძებდი არავის, რადგან მიმაჩნდა, რომ ყველას თავისი ბედისწერა და ცხოვრების გზა აქვს. მყავდა გოგონა, რომელზედაც ორივეს, მეც და ჩემს ქმარსაც მზე და მთვარე ამოგვდიოდა. ქმარიც და მეც ვმუშაობდით, ოჯახს ჰყოფნიდა ჩვენი შემოსავალი... მალე ისეთი რამ მოხდა, რასაც ვერასოდეს წარმოვიდგენდი. ახალი უფროსი დაგვინიშნეს, ახალგაზრდა, ენერგიული კაცი, რომელსაც შევუყვარდი. ვატყობდი, რომ ჩემს დანახვაზე იბნეოდა, უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, თანამშრომლები ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ, მე არაფერს ვიმჩნევდი. ბოლოს, ერთ სამხიარულო თავყრილობაზე გამომიტყდა სიყვარულში. სასაცილოდ არ მეყო: შენც ცოლშვილიანი ხარ და მეც ქმარ-შვილის პატრონიმეთქი. გავიდა დრო. ჩემს თავსაც არ ვუტყდებოდი, რომ მისი დანახვა, მასთან ურთიერთობა ძალიან მსიამოვნებდა.

ერთხელ, ჩემმა ქმარმა დამირეკა — ქუთაისში მივდივარ მივლინებაშიო. ისეთი სამსახური ჰქონდა, ხშირად გვიან ბრუნდებოდა ან სულ არ მოდიოდა შინ.

გათენებისას ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. არ მესიამოვნა. ქალის შეშფოთებული ხმა მატყობინებდა, რომ ჩემი ქმარი მის ბინაში იყო, ინსულტი მოსვლოდა და „სასწრაფო დახმარების“ ექიმებს მისი საავადმყოფოში წაყვანა სურდათ. გულგახეთქილი წავედი იმ მისამართზე... ჩემს ქმარს მარცხენა მხარის პარეზი ჰქონდა, ლაპარაკიც უჭირდა. მივხვდი — ის ქალბატონი, ვის ბინაშიც ეს მოხდა, ჩემი ქმრის საყვარელი იყო.

სანამ უკიდურესად მძიმედ იყო, თავს ვადექი, როცა გამომჯობინდა და შინ დაბრუნდა, ვეღარ შევძელი მის გვერდით გაჩერება. ავიბარგე და შვილიანად მშობლებთან გადავედი. ერთი წლის მანძილზე მებოდიშებოდა, მაგრამ ვერ ვაპატიე ღალატი, ვერ შევძელი.

ამასობაში, ჩემი უფროსი ცოლს გასცილდა. მე არ მითქვამს, მაგრამ მას სხვისგან გაუგია ჩემი ამბავი. მთხოვა, ცოლად გამომყევიო. მიყვარდა და აღარ მითქვამს უარი. ჩვენ ახლა ერთად ვცხოვრობთ, გვყავს ბიჭი. ქმარყოფილი კი მარტოა, ცოლი აღარ შეურთავს. მთელი მისი სანათესავო მე მადანაშაულებს: ქალი და კაცი ერთია? კაცმა შეიძლება გულიც გადააყოლოს, ამიტომ ქალი უნდა გაბოზდესო?! და ა.შ. რას არ მიწოდებდნენ. რომ არა ჩემი მეუღლე (რა თქმა უნდა, მეორე), ალბათ გავგიჟდებოდი.

საინტერესოა, რას იტყვის ჩემზე „კვირის პალიტრის“ მკითხველი.

***პატივისცემით — ლ.თ. თბილისი“***

# „ექსტრავაგანტური“ სადედამთილო და „პელენწუკა“ სარძლო

*ამბავი, რომელსაც ახლა მოგითხრობთ, ქუთაისში მოხდა. უცხოეთიდან დაბრუნებული დიდი ხნის უნახავი მეგობრის სანახავად წავედი. სადარბაზოში შესული საშინელმა კივილმა შემძრა. „რავა დაგმარხე, შვილო, რავა დაგმარხე. რაზე გაგაჩინე, ჩემი გულის გასახეთქად, რად დამღუპეეე,“ — კიოდა ვიღაც ქალი. მესამე სართულის კიბის ბაქანზე ერთ-ერთი ბინის ღია კართან წარბაწეული და ლოყაზე ხელშემოდებული „პასიკიები“ და „ნაზიკიები“ იდგნენ. ვიფიქრე, ვიღაც უბედურ დედას შვილი მოუკვდა-მეთქი. დამფრთხალმა ავირბინე მეხუთე სართულზე. ის იყო, ზარი უნდა დამერეკა, რომ მესამე სართულიდან მჭექარე ხმა გაისმა: „დავთხრი თვალებს, ყელს გამოვჭრი, გამოვფატრავ... რავა უწობა მაგ პელენწუკა ჩემს ბიჭს ლოგინში... დიდუუ, შვილი შემიცდინეს, შვილი!.. რავა დაგმარხე, შვილო.“ იმის ნაცვლად, რომ მეგობრის დანახვაზე ემოციებად დავღვრილიყავი, ნაჩქარევად მოვიკითხე და სულწასულმა ვკითხე, — რა ხდება შენს მეზობლად-მეთქი. ისეთი არაფერი, ბიჭმა ცოლი შეირთო მშობლების დაუკითხავადო. თურმე უცხოეთში განათლებამიღებულ, კაი შესახედავ, შეძლებულ ახალგაზრდას შეუყვარდა მასზე 8 წლით უმცროსი, მხოლოდ სკოლადამთავრებული, მშვენიერი გარეგნობის, მაგრამ ხელმოკლე ოჯახის შვილი, მაღაზიის გამყიდველი გოგო, რომელიც სასტიკად არ მოსწონდა სადედამთილოს. მაგ პელენწუკამ, ფეთხუმმა რომ ბოვში (ბოვში 28 წლისაა!) შემიცთინოს, მთელ ოჯახს ამოვუბუგავ და ამოვუთუთქავო, — იმუქრებოდა და „ვასასებსაც“ წამსვე სარძლოსთან მიჰქონდათ მუქარა, მაგრამ ქალ-ვაჟი მაინც დაქორწინებულან და ვაჟს დედამისისთვის შეუთვლია, — თუ ჩემს ცოლს არ მიიღებ, მეც დამკარგავო. იმ დღეს ახალგაბედნიერებულები ოჯახში მისვლას აპირებდნენ თურმე. სადედამთილოს, სუფრის გაშლის ნაცვლად, „ზალის“ შუგულში ტახტი დაუდგამს, ზედ შვილის სურათები დაუწყვია და ისეთი ამბავი შეუქნია, რომ მეზობლებს სასწრაფო დახმარება უხმიათ. ქალის შემხედვარე ექიმებს დანანებით უთქვამთ, — რავა არ წამევიღეთ „სმირიტელნაია რუბაშკა“. ამის ადგილი საგიჟეთშიაო.*

*მორთულ-მოკაზმული სიძე-პატარძალი თავს დასდგომია მგლოვიარე დედამთილს, რომელსაც მათ დანახვაზე გული წასვლია და გონზე საავადმყოფოში მოსულა. ქმარს მკაცრად უბრძანებია ცოლისთვის, — თუ ჭკუას არ მოუხმობ, „ბავშვებს“ წესიერად არ მოექცევი, გაგეყრებიო. ამ ამბავს კიდევ დიდი გაგრძელება აქვს, თხრობას აქ შევწყვეტ და გთავაზობთ გამოკითხვას თემაზე, რას უწუნებენ დღევანდელი სადედამთილოები სარძლოებს. ყველა ჩემი რესპონდენტი მომავალი დედამთილია.*

*ძრწოდეთ, სარძლოებო!*





**ლილი (53 წლის):** — სამი ბიჭი მყავს. ძნელი ხვედრი მარგუნა ღმერთმა. ისე, რა მნიშვნელობა აქვს, დედამთილი იქნები თუ სიდედრი. რძალსაც და სიძესაც ერთნაირი „რქა“ აქვთ. მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, რომ რძლებთან ერთად არ ვიცხოვრებ, არც ჩემი შვილების არჩევანში ჩავერევი, მაგრამ, მოგეხსენებათ, დედის გული ვერ ისვენებს. სულ ვაფრთხილებ ჩემს ბიჭებს, პოლიტიკურად აქტიური ქალი არ შემოუშვან ოჯახში. რომელიმე მათგანმა რომ მითხრას, „კმარას“ აქტივისტი გოგო მიყვარსო, იმწუთშივე გამისკდება გული. მაგ ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე და ასფალტზე წოლია გოგოებს ვერ ვიტან. რა ეტყობათ მაგათ ქალობის, კვერცხის შეწვა და ცხვირსახოცის გარეცხვაც კი არ ეცოდინებათ. „კმარას“ გოგო კაცს არ გაახარებს. დამიჯერეთ, ბიჭებო.

**ლიკა (40 წლის):** — ჩემი სარძლო არ უნდა დადიოდეს ნახევრად ჩახდილი შარვლით, როგორც ახლა აცვია უმრავლესობას, მეტ დროს გარეთ არ უნდა ატარებდეს, ტელევიზორს წიგნი უნდა ერჩივნოს, უნდა ლაპარაკობდეს წესიერი ქართულით და არა ისე, როგორც, მაგალითად, ჩემს მეზობელს „უხურებს“ თავისი ქოფაკი რძალი. ერთხელ შევესწარი ის უზრდელი გოგო თითქმის შიშველი (ერთი გამაგებინა, სად აქვს მის ქმარს თვალები) თან მაკიაჟს იკეთებდა სარკის წინ და თან დედამთილს და თავის 3 წლის ბიჭს „მოძღვრავდა“: „ანიკო, ახლა მორჩი „ბეზდელნიკობას“ (არადა ქალი წელებზე ფეხს იდგამს), ბავშვს ხელი მოკიდე და სადმე „წაასასტავე“. შენ რომ იცი, ისე გოიმურად არ ჩააცვა, მაგრად „დაზმანე“, ისე რომ, ჩემი „პრუწოს“ (ასე ეძახის შვილს!) დანახვაზე ყველა ეცემოდეს. გააფრთხილე, არ „გაახუროს“ (ე.ი. არ იცელქოს), თორემ სიფათს ავახევ, შენი „ნაბოზვარი“ შვილი (თავის ქმარს გულისხმობს) თუ დარეკავს, უთხარი, „აკვაპარკში“ „ამოატასავოს“.

დედამთილი გაშეშებული უსმენდა.

ასეთი რძალი რომ შემხვდეს, თავს მოვიკლავ.

**თამრიკო (42 წლის):** — როგორც ჩემი ცხონებული დედამთილი იტყოდა, ქალს თუ გრძელი თმა არა აქვს, მოვლილი სახე და ხელები, შინ არ უნდა შეუშვაო. თმა საშუალო სიგრძისა მქონდა, სახე — თვრამეტი წლის გოგოს კვალობაზე მართლა არ დამეწუნებოდა, მაგრამ დიდხანს მქონდა მავნე ჩვევა — ფრჩხილებს ვიკვნეტდი. მიუხედავად ამდენი „ნაკლისა“, ჩემმა დედამთილმა კარი ფართოდ გამიღო და ისეთი დედამთილობა გამიწია, ბევრი რომ ვერ იოცნებებს. ამიტომ მიჭირს რაიმის თქმა სარძლოზე. მთავარია, ადამიანი იყოს, შეგნებული და განვითარებული და თუ რაღაც გაუგებრობა გვექნება, მოვაგვარებთ. გასათხოვარი ქალიშვილი მყავს, არც ისაა უნაკლო და როგორ შეიძლება სხვის შვილზე დავიწყო, ასეთი და ისეთი უნდა იყოს-მეთქი. ჩემი რძალი ჯერ მისი ქმრისთვის უნდა იყოს და მერე ჩემთვის. აი, ეს არის მთავარი.

**ეკა ლომიძე**

CMYK

# სკანვორდი ფრაგმენტებით






იტალიელი ფერმწერი 1696-1770

ვოლტერის ნამდვილი გვარი

გერმანული კოსმეტიკური სერია

სასუნთქი ორგანო

ბრიტანელ დოკერთა საყვარელი ლუდი

ლაიმა... / მუსიკალური ჯიბის საათი

ალფას მომდევნო ასო

ნოტი / ციურ სხეულთა სისტემა

ამერიკელი ნავთობის მაგნატი

დენის სიმძლავრის ერთეული (აბრევიატ.)

პოზები იოგაში

უცხოური ცხენბურთი

შიდაწვის ძრავების გერმ. კონსტრუქტორი

არაფრანგული წარმოების კონიაკი

მასონის ადგილი / ლუკ ბესონის ფილმი

მსახიობი ფილმში „შინაბერა“

ჰანემანის მკურნალობა / ზევსის მეუღლე

მტაცებელი ფრინველი / დიდი თუთიყუში

სასტუმრო მეტეხის ერთ-ერთი „ეპითეტი“

მწერლის გასამრჯელო

ესპანელის თანხმობა

დიდი მონასტერი

სასტუმროს მოსამსახურე

მოსეს წიგნი / სპირტიანი სასმელი

„ლაციოს“ მეკარე

ქართველი წმინდანი

რის გარეშეც შამპანურს ვერ შესვამ

დიდსულოვანი მამაკაცი

საქსოფონის გამომგონებელი

ზოდიაქოს წრის დამწყები

ფინური მობილური



მიწის საზომი ერთეული ამერიკაში

„ფეხბურთის მეფე“

წალკოტი უდაბნოში

ბუნების სურათი, ნახატი

იაპონური ავტომობილი

ღვინის საზიდი ჭურჭელი (ძველად)

აზირებული სურვილი

ქვის ხანიდან მოღწეული მწერი

გადიდებული ქერი

ავსტრიის დედაქალაქი

უკმაყოფილების გამომხატველი შორისდებული

კათოლიკური მღვდელმსახურება

ჟიულ ვერნის პერსონაჟი / მდინარე ბელგიაში

სარეცხი ფხვნილი / შეუზღუდავი მმართველობა

კლდეკარის ერისთავის სახელი

იაპონელთა უხილავი მზვერავი

საკაზმი და საგვირგვინო მცენარე

სტუდენტური ნახევარწლედი

მსოფლიოს 1995 წ. საუკეთესო ფეხბურთელი

გერმანელი პარფიუმერი

არარსებული სიდიდე / კოლუმბის კარაველა

კუნთების ენერგია

თმის მცენარეული საღებავი



„მილანის“ ბრაზილიელი შენაძენი

მხალი-ხმალი; თავითივა

... პუგაჩოვა

ჯავაჰარლალ ... / ვ. მელაძის სიმღერა

პრინც ჩარლზის სატრფო

მამალი იადონი

სმენადობის პირობები თეატრში



**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. პალიტრა; 2. ბატატი; 3. ლალი; 4. ორსინი; 5. ტირი; 6. პო; 7. ფატალისტი; 8. არნი; 9. ვალერია; 10. პიზა; 11. ელია; 12. პანი; 13. „სელესტა“; 14. პერი; 15. მადა; 16. ლა; 17. აიბოლიტი; 18. ძე; 19. ზეცა; 20. მური; 21. „ედა“; 22. ლიანა; 23. პალადა; 24. ფაილი; 25. უთო; 26. იდეა; 27. კაა; 28. ლამბადა; 29. „ლაილაი“; 30. მატჩი; 31. ეში; 32. პაატა; 33. ზაპა; 34. პია; 35. რა; 36. ჩაი; 37. ცენტი; 38. ნესტი; 39. დაჩი; 40. კამეა; 41. ცხრა; 42. პენსია; 43. პაი; 44. სია; 45. სეკა; 46. კაპრი; 47. პაემანი; 48. რიხიანი; 49. მანი; 50. სი; 51. სულა; 52. ტაუნსი; 53. ეტნა; 54. ეული; 55. უილი; 56. ნიცა; 57. ლი; 58. პოემა; 59. რიპლი; 60. ძუა; 61. ლეილა; 62. ლიე; 63. ლეი; 64. კულმანი; 65. პლანიცა; 66. სეკანსი; 67. კუპე; 68. ინა; 69. ბინა; 70. პერუ.

1. პავაროტისაც შეაჩერეს; 2. პატარძალი; 3. ზაფხულია, ცხელა, ცხელა; 4. მუსიკალური კადრი; 5. ბოსტნეულის დიეტაზე.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა რამაზ ალანიამ

CMYK

# უცნობი: — ამას სხვანაირად ერთი ადგილის თამაში ჰქვია...

**— რას აკეთებდა გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი) „კმარას" აქციაზე. ჩუბაისის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მას პროტესტის სულ სხვა ფორმისთვის უნდა მიემართა (ამბობენ, აეროპორტში გიორგი თავის თანამოაზრეებთან ერთად დაწოლას აპირებდა პროტესტის ნიშნად). საერთოდ იგი ამ ბოლო დროს აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში. დეპუტატობასაც ხომ არ აპირებს...**

*მერაბ კორკოტაძე*



კითხვაზე უპასუხებს **გიორგი გაჩეჩილაძე**.

— „კმარას" აქციაზე გამოჩენა უბრალოდ ჩვენი პოზიციების თანხვედრამ გამოიწვია. სულ ესაა. რაც შეეხება ჩემს აეროპორტში დაწოლას და მსგავს ჭორებს, საზოგადოებას ვთხოვ, რომ ნუ აჰყვება მას. მე მოვიქეცი ისე, როგორც მიმაჩნდა სწორად. სამართლიანი არჩევნების ჩატარება ხომ მხოლოდ ჩემი სურვილი არ არის, ეს მთელი ქვეყნის სატკივარია. არც პოლიტიკაში ვაპირებ მოსვლას და არც მსგავსი განცხადებებით ვინმესთვის თავის მობეზრებას. უბრალოდ გული შემტკივა როგორც ქართველს იმ უმსგავსობაზე, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. სხვებისგან განსხვავებით, მე შემიძლია თავს უფლება მივცე და მხართეძოზე წამოვწვე. დამერწმუნეთ, რომ არც შუქი მომაკლდება, არც გაზი და არც სხვა რამ, მაგრამ ხალხი ხომ გამოუვალ მდგომარეობაშია. ამიტომ გამოვდივარ ქუჩაში, რომ რითაც შემიძლია თანადგომა გავუწიო, მათთან ერთად მოვითხოვო ის, რაც კანონით ეკუთვნის საქართველოს მოქალაქეს. ასეთი პოლიტიკით ქვეყანას მომავალი არ უწერია. ბეიკერი ისე მოატყუეს, რომ თვალიც არ დაუხამხამებიათ და ხალხს რას უზამენ. ჩუბაისის ჩამოსვლა საქართველოში საარჩევნო კამპანიასთან უშუალო კავშირშია. ჩვენი ხელისუფლება კი ორმაგ თამაშს თამაშობს, ამას სხვანაირად ერთი ადგილის თამაში ჰქვია... სწორედ ეს იწვევს ჩემში პროტესტს. ჩუბაისის ჩამოსვლა რუსეთის პოლიტიკას უკავშირდება — ცდილობენ საქართველოს საგარეო პოლიტიკის შეცვლას და საშინაო საქმეებშიც უსირცხვილოდ ერევიან. ვერავინ იტყვის, რომ რასაც დღეს რუსეთი აკეთებს, ამას კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა ჰქვია. ჯერ დაგვიბრუნოს მიტაცებული მიწები და კეთილმეზობლობაზე მერე ვისაუბრებთ. ეს არის ჩემი პოზიცია და სწორედ ამ განწყობამ გამომიყვანა ქუჩაში.

# ნოეს კიდობანი ანესთეზიოლოგმა აღმოაჩინა

**— გთხოვთ მოგვითხროთ რონ უაიეტის შესახებ. რამდენად მართალია, რომ მან არარატის მთაზე ნოეს კიდობანი აღმოაჩინა და დაამტკიცა ბიბლიაში აღწერილი მოვლენები. ასევე თუ შეგიძლიათ მოგვაწოდეთ ინფორმაცია მის სხვა აღმოჩენებზე.**

*მაიკო ფაცაცია*

— რონ უაიეტი 1933 წელს დაიბადა. მისი პროფესია სულაც არ გახლდათ არქეოლოგია. ის ანესთეზიოლოგი იყო. თუმცა, მომეტებული ცნობისმოყვარეობის გამო, ისეთ აღმოჩენებში უძევს წვლილი, რომლებზეც ყველაზე სახელოვანი არქეოლოგებიც კი ოცნებობდნენ. უაიეტმა 120-ჯერ იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში: 1977 წელს თურქეთში, 1978 წელს ეგვიპტეში, 1979-ში ისრაელში. მთელი მისი მოღვაწეობა დაფუძნებული იყო ბიბლიაზე და მასში აღწერილი ფაქტების უტყუარობის უსაზღვრო რწმენაზე. რონ უაიეტმა აღმოაჩინა ნოეს კიდობნის ნარჩენები თურქეთის ტერიტორიაზე, არარატის მთიდან 20 კილომეტრის დაშორებით. ბევრი წინააღმდეგობის მიუხედავად, საბოლოოდ თურქეთის სახელმწიფომ და მსოფლიოს წამყვანმა არქეოლოგებმა ნაპოვნი ნაშთები ნოეს კიდობნის ნარჩენებად აღიარეს და თურქეთის მთავრობამ ეს ადგილი საერთაშორისო პარკად აქცია.

უაიეტმა მოიძია სოდომისა და გომორის ნანგრევებიც და დააზუსტა მარშრუტი, რომლითაც მოსემ გამოიყვანა თავისი ხალხი ეგვიპტიდან. აღმოაჩინა ის ადგილი წითელ ზღვაში, სადაც ებრაელებმა ზღვის ფსკერზე გაიარეს, ასევე — მათი მდევარი ეგვიპტელების ორთვალების ნაშთები.

# «ხოჭომ» მოახერხა ის, რაც ვერ შეძლო ჰიტლერმა

**— საინფორმაციო საშუალებებით მოვისმინე, რომ შეწყდა ავტომანქანა „ფოლკსვაგენ-ბიტლის" („ხოჭოს") გამოშვება. მაინტერესებს, ვინ იყო ამ მანქანის გამომგონებელი და ა.შ.**

*გიორგი გერლიანი*



— ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ჰიტლერმა გასცა ბრძანება, რომ დაწყებულიყო „სახალხო ავტომანქანის" წარმოება. „ფოლკსვაგენის" პირველი მოდელი შექმნა ფერდინანდ პორშემ 30-იანი წლების ბოლოს. მანქანის გარეგნულ სახეს 70 წლის მანძილზე კარდინალური ცვლილება არ განუცდია. მსოფლიო ომის შემდგომ „ხოჭოს" წარმოება ბრიტანული არმიის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის ზედამხედველობით მიმდინარეობდა. 60-იან წლებში გამოვიდა ავტორალის სპორტული ვარიანტი — VW1300, რომელსაც მაქსიმალური სიჩქარის, 120 კმ/სთ-ის განვითარება შეეძლო. ევროპაში „ხოჭოს" წარმოება 1978 წელს შეწყდა. თუმცა ბრაზილიასა და მექსიკაში უკანასკნელ ხანამდე გამოდიოდა. სულ რამდენიმე დღის წინ მექსიკაში უკანასკნელი პარტია — 3 ათასი ცალი ავტომობილი ჩამოვიდა კონვეიერიდან, თანაც გამონაკლისის სახით მარტო ღია ცისფერი და ბაცი თეთრი. უკანასკნელი სერიის „ხოჭო", რომელიც 7 ათას ევროდაა შეფასებული, მხოლოდ მექსიკაში გაიყიდება. სერიის უკანასკნელ მანქანას კი არ გაყიდიან. იგი გერმანიაში „გაემგზავრება", ქალაქ ვოლფსბურგში და „ფოლკსვაგენის" მუზეუმში დაიდებს ბინას.

# სიტყვათა კონა

**ბისტი** — თეთრი ლაქა თვალის გუგაზე — ლიბრი.

**ბილი** — განზე გაბზეკილი მსხვილი ულვაში.

**ბიწი** — ზნეობრივი მანკი.

**ბიჭაბატკანი** — ადრეულა, დოლის დაძვრამდე მოგებული ბატკანი, რომელიც გაზაფხულზე კარგად მოღონიერებულია.

**ბიჭო-გოგია** (საუბ.) — იგივეა, რაც მოლაღური.

**ბლატუნი** — თვალების უშნო ხამხამი.

**ბლაღოჩინი** (რუს.) (ძვ.) — მღვდელი, რომელიც განაგებდა რამდენიმე სამრევლოს საქმეებს.

**ბლითი** — თეთრი ფქვილისგან გამომცხვარი პატარა რგოლი (პურის) — ბუბლიკი.

**ბლიკვი** — მუშტი, რომელშიც ცერი სხვა თითებს ქვეშაა მოქცეული.

**ბლინდაჟი** (ფრ.) — საველე ნაგებობა, რომელიც იცავს მეომრებს საარტილერიო ცეცხლისაგან.

**ბლონდი** (ფრ.) — აბრეშუმის თხელი, ბადურა ქსოვილი (იხმარებოდა ძველად). ბლონდის ლეჩაქი.

**ბლოჟინი** — ენის ძლივძლივობით დაძვრა, გაჭირვებით, გაურკვევლად ლაპარაკი (მთვრალისა).

**ბოგანო** (ძვ.) — ძალიან ღარიბი, უქონელი.

**ბოგინი** — ძლივძლივობით არსებობა, გაჭირვებით ყოფნა.

**ბოდოშა** — უსუფთაო, აჩაჩულ-დაჩაჩული, სიკოხტავეს მოკლებული ქალი.

**ბოზა** — ფეტვის ბურახი.

**ბოზბაში** — ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი, შეზავებული დაკეპილი დუმით, ხახვითა და ქინძით.

**ბოთვერა** — ბუნჩულა, მსუქანი (ლეკვი).

**ბოინი** (კუთხ.) — 1. გუნდი (ფრინველთა). 2. ჰაერში ფრინველის ნებიერი ფრენა, ლივლივი.

**ბოკო** — რასაც წვერი ბლაგვი, მომრგვალებული აქვს, პირმოცვეთილი.

**ბოკოლა** — საქონელი, რომელსაც მოკლე და მსხვილი რქები აქვს.

# საქართველო ისტორიულად ყოველთვის სეისმურად აქტიური ზონა იყო...

**— მიწისძვრები ამ ბოლო დროს გახშირდა საქართველოში. რაშია საქმე, იქნებ კომპეტენტური პასუხი სეისმოლოგებისგან მიგველო.**

*თემურ აბზიანიძე*

კითხვაზე უპასუხებს **ზურაბ ჯავახიშვილი**, სეისმოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

— საქართველო სეისმურად აქტიურ რეგიონში მდებარეობს. ამას ადასტურებს როგორც ისტორიული, ისე ე. წ. ინსტრუმენტული მონაცემები (1963 წელს ჩხალთის, ხოლო 1991 წელს რაჭის მიწისძვრები).

შესაძლოა მიწისძვრის შემთხვევები არ გვახსოვდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი მოვლენა მხოლოდ უკანასკნელი წლების მანძილზე გახშირდა. თუმცა თბილისში მიწისძვრების გააქტიურება ნამდვილად შეინიშნება, მაგრამ ამის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევი და შეუძლებელიც კია, ვინაიდან მსგავსი შემთხვევები, როგორც წესი, ხანგრძლივი დროის მანძილზე შეისწავლება. ისტორიულ დოკუმენტებში მრავალადაა შემორჩენილი ცნობები კავკასიის და საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრების შესახებ. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ნათლად აღწერს 1088 წელს ჯავახეთში მომხდარ მიწისძვრას. ასეთივე მასშტაბის მიწისძვრა მომხდარა 1283 წელს სამცხეში, 1350 წელს ლეჩხუმ-სვანეთში, 1742 წელს კახეთში (ალავერდის მიწისძვრა). ეს გახლავთ არასრული სია უძველესი ისტორიული მიწისძვრებისა. საქართველოში ჯერ კიდევ 1899 წელს (რუსეთის იმპერიის თაოსნობით) დაარსდა ტიფლისის სეისმური სადგური. იმავე წლის 6 დეკემბერს ჩაიწერა პირველი სეისმოგრამა. მე-20 საუკუნის დასაწყისში კიდევ სამი სეისმური სადგური გაიხსნა: ბათუმში, ბორჯომსა და ახალქალაქში. ე. წ. ინსტრუმენტულ (ხელსაწყოების საშუალებით ჩაწერილი) პერიოდში რამდენიმე ძლიერი მიწისძვრა დაფიქსირდა. მაგალითად, 1920 წელს, რომლის ეპიცენტრი (8-9 ბალი) გორთან მდებარეობდა. მიწისძვრას ნგრევა და დიდი მსხვერპლი მოჰყვა. 1940 წელს ძლიერი მიწისძვრას ტაბაწყურში მოჰყვა ნგრევა და მსხვერპლი. 1963 წელს აფხაზეთში, სოფელ ჩხალთასთან (ინტენსივობა 9 ბალი) მიწისძვრას ასევე ნგრევა მოჰყვა. ხოლო მე-20 საუკუნის ყველაზე მასშტაბური 1991 წლის რაჭის მიწისძვრა გახლავთ. მიწისძვრის ეპიცენტრი რაჭისა და იმერეთის მაღალმთიან სოფლებში მდებარეობდა (ინტენსივობა 9 ბალი). მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 200-მდე ადამიანი. უსახლკაროდ დარჩა 100.000-მდე ადამიანი. მიწისძვრით მიყენებული ზარალი 10 მილიარდ მანეთად შეფასდა. ასევე 1992 წლის ოქტომბერში მოხდა ძლიერი მიწისძვრა (8 ბალი), რომლის ეპიცენტრიც ბარისახოსთან მდებარეობდა.

სეისმურად ყველაზე აქტიური ჯავახეთი და კავკასიონი გახლავთ. მართალია, რთული შესაგუებელია ეს გარემოება, მაგრამ საზოგადოებამ ყოველთვის უნდა იცოდეს და შეეცადოს მსგავს სიტუაციაში პანიკას არ აჰყვეს. ისეთი სიხშირითა და ინტენსივობით საქართველოში მიწისძვრა არასოდეს მოხდება, როგორც ეს კალიფორნიაში, ტოკიოსა თუ თურქეთში ხდება...

# როდის მივიღოთ მინერალური წყალი?

**— რა საერთო აქვთ მინერალურ წყლებს: „ბორჯომს", „ნაბეღლავს", „საირმეს" და „უწერას"? რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან და რომელი მათგანი რა შემთხვევაში უნდა მივიღოთო?**

*მარიკა სეფერთელაძე*



კითხვაზე უპასუხებს **ვიქტორ მახათაძე**, კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის განყოფილების ხელმძღვანელი, ექიმი-თერაპევტი, გასტროენტეროლოგი, პროფესორი.

— ყველა ეს მინერალური წყალი არსებული კლასიფიკაციის მიხედვით, განეკუთვნება ნახშირმჟავა-ჰიდროკარბონატული კლასის ჯგუფს. იმ განსხვავებით, რომ „ბორჯომი", „ნაბეღლავი" და „უწერა" თითქმის ერთმანეთის იდენტურია. ისინი საშუალო მინერალიზაციისაა და ჭარბად შეიცავენ ნატრიუმის კარბონატს (ე. წ. „საჭმლის სოდას"), ხოლო „საირმე" — უფრო დაბალი მინერალიზაციისა და შედარებით მეტი რაოდენობით შეიცავს კალციუმის იონებს. ამ მახასიათებლებიდან გამომდინარე, „ბორჯომი", „ნაბეღლავი" და „უწერა" უპირატესად გამოიყენება კუჭ-ნაწლავისა და სანაღვლე გზების ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალოდ, განსაკუთრებით კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობის დროს, ხოლო „საირმე", რომელსაც მეტად ახასიათებს შარდმდენი თვისება, იხმარება თირკმლებისა და საშარდე გზების (უროლოგიური) დაავადებების დროს.

ჩამოთვლილი მინერალური წყლები შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე კუჭისა და ნაწლავების გამორეცხვის მიზნით, სანაღვლე გზების ყრუ გამორეცხვის, ე. წ. ტიუბაჟის ჩასატარებლად (ეს სამკურნალო მეთოდი ფართოდაა ცნობილი და მას იყენებენ ქრონიკული, არაკენჭოვანი ქოლეცისტიტის დროს).

# სანადირო თოფის რეგისტრაციის წესი

**— იქნებ მიპასუხოთ, რა საბუთებია საჭირო სანადირო თოფის რეგისტრაციისათვის? ასევე ნებართვის ვადის გასვლის შემდეგ რა თანხაა საჭირო მის გასაგრძელებლად და რა შემთხვევაშია საჭირო საბუთების განახლება?**

*თენგიზ ნოზაძე*

კითხვაზე უპასუხებს **მერაბ როხვაძე**, შსს-ს სანებართვო განყოფილების უფროსი.

— მოქალაქემ განცხადებით უნდა მიმართოს შსს-ს რაიონული განყოფილების სანებართვო სამსახურს. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ იგი ფლობს სანადირო თოფს კერძო საკუთრებაში და სურს მისი რეგისტრაცია (თუ იარაღი შეძენილია მაღაზიაში, განცხადებას უნდა დაერთოს ნასყიდობის დამადასტურებელი საბუთი). ასევე, უნდა წარადგინოს ჯანმრთელობის ცნობა. შემდეგ პოლიციის რაიონულ განყოფილებაში აიღებს ცნობას, რომ არ იმყოფება პროფილაქტიკურ აღრიცხვაზე, ანუ დავა არა აქვს მეზობლებთან, ოჯახში, არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და სხვა. იარაღის რეგისტრაციისთვის საჭიროა შსს-ს რაიონული განყოფილების საინფორმაციო სამსახურის დასკვნა, რომ პირი არ არის ნასამართლევი. ასევე 2 ფოტოსურათი 3X4-ზე და ბოლოს, ოფიციალური გადასახადი სანადირო იარაღის სარეგისტრაციო მოსაკრებლისა, რაც მერყეობს 6-დან 20 ლარამდე. პირი გადაიხდის მოსაკრებელს ამ თანხის ფარგლებში (მისი ოდენობა დამოკიდებულია სანადირო თოფის სისტემაზე). ამის შემდეგ გაიცემა სანადირო თოფის ტარების ნებართვა. რაც შეეხება ხელახალ რეგისტრაციას, იგი აუცილებელია 3 წელიწადში ერთხელ. ხელახალი რეგისტრაციისთვის მოქალაქე ადრე გადახდილი თანხის 50%-ს იხდის. რაც შეეხება საბუთებს, მათი წარდგენა ხდება განმეორებით. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის ცნობას. მოგეხსენებათ, ეს ცნობაც განსაზღვრული ვადით გაიცემა. აქვე დავძენ, რომ თუ პირი გადააცდენს განმეორებითი რეგისტრაციისთვის საჭირო ვადას, ჯარიმდება ლარნახევრის ოდენობით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ხელახალი რეგისტრაცია ორი დღითაა დაგვიანებული თუ ოთხი თვით.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**შეიძლება თუ არა სამანიკიურე ინსტრუმენტებით გადაედოს ადამიანს სოკოვანი დაავადება? თუ ეს ასეა, მაშინ როგორ უნდა დავიცვათ თავი დაავადებისგან — როგორ შეიძლება ინსტრუმენტების დეზინფიცირება და საერთოდ, როგორ მუშაობენ საპარიკმახეროები და სილამაზის სალონები?**

***ინგა სალუქვაძე, თბილისი***

თუ არ გაქვთ პირადი სამანიკიურე იარაღების კომპლექტი, რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ სხვებისგან გადაგედოთ სოკოვანი დაავადება (და არა მხოლოდ იგი). კანის სოკოვანი დაავადების გამომწვევი სოკო — დერმატოფიტი — კარგად იზრდება 25-30$^0$C-ზე. მისთვის აუცილებელია ტენიანი, ნეიტრალური ან სუსტი ტუტოვანი გარემო. დერმატოფიტები მდგრადი არიან ულტრაიისფერი სხივებისადმი და იღუპებიან მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე.

გამოხარშვა — დეზინფექციის ყველაზე საიმედო ვარიანტია. თუ ამით ინსტრუმენტი დაზიანდება, მაშინ შეგიძლიათ დაამუშაოთ სპირტით ან სპეციფიკური ხსნარით ქლორჰექსიდინით (იყიდება აფთიაქებში), მაგრამ უკეთესია თუ საკუთარი კომპლექტი გექნებათ.

საპარიკმახეროებსა და სალონებში უნდა ხდებოდეს ინსტრუმენტების კვარცული დამუშავება სპეციალურ აპარატებში, მაგრამ რამდენად სრულდება ეს აუცილებელი პირობა, არავინ უწყის.

**რა შეიძლება იწვევდეს პერიოდულ ტკივილს ბეჭებში? როგორ უნდა ვიმკურნალო?**

**ა.ა.**

ბეჭებში ტკივილს სხვადასხვაგვარი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს. საკმაოდ ხშირად ეს სიმპტომი ხერხემლის გულმკერდის მალებთან არის დაკავშირებული. ზურგის კუნთების ტკივილის მიზეზი შეიძლება იყოს მიალგია (კუნთების გაცივებით ან მძიმე ფიზიკური შრომით გამოწვეული შეტევითი ტკივილი), ნევრიტი (ნერვის ანთება). ხშირად ხდება, რომ თირკმლების პათოლოგიის დროს ტკივილი ირადირდება (გადაეცემა) ბეჭების არეში. ზოგჯერ ასეთივე ირადიაცია ახასიათებს ქოლეცისტიტს (ნაღვლის ბუშტის ანთებას).

ქალებში ზურგის ტკივილს იწვევს საშვილოსნოს დაწევაც. არ არის გამორიცხული გულის იშემიური დაავადების ატიპური ფორმაც. ასე რომ, ამ ერთი სიმპტომით მრავალ დაავადებაზე შეიძლება დაგვებადოს ეჭვი. დიაგნოზის დასაზუსტებლად საჭიროა პაციენტის შემდგომი ფიზიკური და ლაბორატორიული გამოკვლევა.

**როგორ გავთავისუფლდე ჭიებისგან, რომლებიც იწვევენ ალერგიას სახეზე ჩირქოვანი გამონაყარის სახით? რა პროფილაქტიკური საშუალებები არსებობს ამისთვის?**

***პატივისცემით ირმა, თბილისი***

ალბათ მკითხველი საუბრობს ჭიებით ინვაზიაზე, რომელიც მართლაც იწვევს ალერგიულ რეაქციებს. ასუსტებს ადამიანის ორგანიზმში იმუნიტეტს და ხელს უწყობს სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის გააქტიურებას. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასადგენია რამდენადაა დაკავშირებული ჩირქოვანი გამონაყარი ჭიებით ინვაზიასთან. საინტერესოა მკითხველის ასაკი — შესაძლოა მის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებები ასაკობრივ ჰორმონულ ძვრებთან იყოს კავშირში.

თუ იცით (ლაბორატორიული გამოკვლევის თანახმად), რომ გაქვთ ჭიები, მაშინ უნდა ჩაიტაროთ მკურნალობა ანტიპელმინთური (ჭიების საწინააღმდეგო) პრეპარატებით პარაზიტოლოგის მეთვალყურეობით. გამონაყარის თაობაზე კი, უმჯობესია ექიმ-დერმატოლოგს მიმართოთ.

## [illegible]

**ძვირფასო რედაქციავ! მადლობას მოგახსენებთ კეთილი საქმისთვის, უანგარო დახმარებისთვის, რასაც მედიცინის რუბრიკით გაჭირვებულ ადამიანებს უწევთ. მინდა ერთი რეცეპტი მოგაწოდოთ:**

**წლების განმავლობაში ძალიან მაწუხებდა ნაღვლის ბუშტი. პერიოდულად, ნერვიულობისას, მქონდა აუტანელი შეტევები. ვსვამდი ალოქოლს, ნო-შპას, ლევომიცეტინს და სხვა მრავალ წამალს, მაგრამ შედეგი არ მქონდა. მეზობელმა მირჩია, დამელია უკვდავას ნაყენი (მისი ეფექტიანობა თავად ჰქონდა გამოცდილი). თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა წამალზე უფრო უკეთესი შედეგი მივიღე. ნაყენი შემდეგნაირად უნდა დამზადდეს: 2ს/კ უკვდავას ყვავილებს უნდა დაასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი და დადგათ წყლის ორთქლზე 20 წთ. შემდეგ გადმოდგით, გადაწურეთ და მიიღეთ შემდეგი წესით: პირველ დღეს 1/3 ჭიქა; მე-2 დღეს — 1/3 ჭიქა, 2-ჯერ დღეში, მესამე დღეს — 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში, მე-4 დღეს 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში, მე-5 დღეს 1/2 ჭიქა 2-ჯერ დღეში, მე-6 დღეს 1/2 ჭიქა ერთხელ დღეში. საჭიროების შემთხვევაში, ნაყენის მიღება უნდა გაიმეოროთ 7 დღის შემდეგ.**

**გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ეს რეცეპტი, რათა სხვებმაც გაიგონ უკვდავას სიკეთის შესახებ. ამავე დროს, ძალიან მაინტერესებს, როგორია ამ მცენარის მოქმედების მექანიზმი, რატომ აქვს მას დადებითი ეფექტი ნაღვლის ბუშტის ტკივილის დროს?**

**ექიმის კომენტარი:** უკვდავა ფიტოთერაპიაში ფართოდ გამოიყენება. იგი აუმჯობესებს ნაღვლის გამოყოფას, ამცირებს ნაღვლის მჟავების კონცენტრაციას, ზრდის ქოლატების და ბილირუბინის შემცველობას ნაღველში. მას აქვს აგრეთვე სპაზმების მომხსნელი მოქმედება ნაწლავების, სანაღვლე გზების, ნაღვლის ბუშტისა და სისხლძარღვების გლუვ კუნთებზე. გარდა ამისა, უკვდავას პრეპარატები ასტიმულირებს კუჭის წვენის გამოყოფას და კუჭქვეშა ჯირკვლის სეკრეტორულ ფუნქციას. ექსპერიმენტულად დადგენილია უკვდავას ანტიბაქტერიული ეფექტიც.

ნაღვლის სეკრეციისა და სპაზმების მოხსნის გზით უკვდავა ხელს უწყობს ქვიშისა და წვრილი კენჭების გამორეცხვას ნაღველ-კენჭოვანი დაავადების დროს. უკვდავა აუმჯობესებს ღვიძლის ფუნქციებსაც. ამრიგად, უკვდავაში ერთადაა თავმოყრილი ყველა ის ეფექტი, რომელიც აუცილებელია სანაღვლე გზების დაავადებათა მკურნალობისთვის. იგი ახდენს კომპლექსურ მოქმედებას, რაც წარმატების გარანტიას იძლევა. უკვდავას პრეპარატები ნაკლებტოქსიკურია, თუმცა უნდა ვიცოდეთ, რომ მისი ხანგრძლივი მიღებისას შეიძლება ღვიძლის შეგუბება განვითარდეს.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი მკითხველს

**ბევრი საინტერესო ხალხური წამლის რეცეპტი ვნახე თქვენს გაზეთში, იქნებ ვინმემ ჩემი გასაჭირის შესახებაც იცოდეს რამე. მაქვს შაკიკი და გამუდმებით მაწუხებს თავის ტკივილის შეტევები. ძალიან დამღალა ამ დაავადებამ. გთხოვთ დამეხმაროთ და მომაწოდოთ მის სამკურნალოდ გამოსადეგი მცენარეული რეცეპტები.**

***ერთგული მკითხველი***

**ვარ 60 წლის ქალი. მაწუხებს შარდის შეუკავებლობა, რომელიც თანდათან უფრო გამოხატული ხდება. დამტანჯა ამ პრობლემამ. ველარსად წავსულვარ. სხვებსაც ვაწუხებ. იქნებ თქვენმა მკითხველმა იცოდეს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, ან მცენარეული რეცეპტი შემომთავაზოთ. გთხოვთ, დამეხმაროთ.**

***ღრმა პატივისცემით ა.ლ.***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## დღეგრძელობის ათი პირობა



**იმისათვის რომ, შევამციროთ ყოველდღიური რაციონის კალორიულობა ისე, რომ არ დაირღვეს ორგანიზმის ბალანსი და შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი პირობები:**

1. საკვებად შეარჩიეთ უცხიმო რძე და რძის პროდუქტები: 1%-იანი კეფირი, უცხიმო ხაჭო, ახალი ყველი. არაჟანი შეცვალეთ იოგურტით ან კეფირით;
2. უარი თქვით ძეხვეულზე, სოსისზე, ყველანაირ შებოლილზე და გადადით ძალიან მჭლე ხორცზე, ქათმის ხორცს გააცალეთ კანი;
3. კატეგორიულად თქვით უარი შაქარზე. ჩაის ან ყავის სმის დროს ის შეცვალეთ შაქრის შემცვლელით. დღის განმავლობაში ჩაის ნაცვლად მიიღეთ მინერალური წყალი, მას არც შაქარი და არც კანფეტი არ სჭირდება;
4. ყოველდღე უნდა მიირთვათ უცხიმო თევზი, ხაჭო და კვერცხის ცილა, რაც დაგეხმარებათ ცილის დეფიციტის აღდგენაში;
5. უარი თქვით პურსა და ფუნთუშაზე. არ მოგწონთ შავი პური? ძალიან კარგი, ცოტას შეჭამთ;
6. არ დალიოთ ნაყიდი წვენები, ის ძალიან კალორიულია. უმჯობესია სვათ ახალგამოწურული წვენი ან მიირთვათ ახალი ხილი;
7. ნუ შეწვავთ ხორცს, თევზს, ბოსტნეულს — მოხარშეთ ან მოთუთქეთ, ან დაბრაწეთ ოდნავ მცენარეულ ზეთმოსხმულ ქურაში მოასხით ვაშლის ძმარი;
8. სალათებს არ დაამატოთ მაიონეზი: შეკაზმეთ მცენარეული ზეთებით ან ლიმონის წვენით, მდოგვით, პირშუშხათი ან იოგურტით;
9. გადადით სამარხვო წვნიანებზე;
10. თუ უდროო დროს მოგშივდათ, დალიეთ 1 ჩ/ჭ წყალი, ეს შიმშილის გრძნობას დააცხრობს.

***ზდოროვიე №4***



## შვრიის რძე

გთავაზობთ შვრიის რძის მომზადების წესს, რომელსაც ოდითგანვე იყენებდნენ კუჭქვეშა ჯირკვლის ანთების დროს. აიღეთ კანიანად (რადგან კანი სამკურნალოა) 100გ შვრია, გარეცხეთ, დაასხით 1,5 ლ ცივი წყალი და დადგით ცეცხლზე (სასურველია მომინანქრებული ჭურჭლით), როგორც კი წამოდუღდება, დაუკელით ცეცხლს. მომზადების დროა 1 საათი, მაგრამ ადუღებიდან 40 წუთის შემდეგ, პირდაპირ ქვაბში, ხის სანაყით დაჭყლიტეთ მოხარშული შვრია და კიდევ 20 წუთი ადუღეთ. მიღებული ფაფა გააცივეთ, გაწურეთ. მიიღებთ თეთრ სითხეს, სწორედ ეს არის შვრიის რძე, რომელიც უფროსებმა უნდა მიიღოთ კუჭქვეშა ჯირკვლის ანთების დროს, 100გ 3-4ჯერ დღეში, ბავშვებმა — 50გ.

შვრიის რძე შეინახეთ მაცივარში 2 დღე, მესამე დღეს ახალი მოამზადეთ. მკურნალობის კურსია 5 თვე.

***ოტდოხნი! №29***

## წამალი და ალკოჰოლი



ექიმები ამტკიცებენ, რომ ნებისმიერი სასმელი, რომელიც შეიცავს სპირტს, ნებისმიერ წამალს ზემოქმედების უნარს უცვლის. ალკოჰოლი აძლიერებს პრეპარატის ეფექტურობას, ამახინჯებს მას ისე, რომ ვერსაცნობი ხდება, ან ისე ცვლის წამლისადმი ორგანიზმის ქსოვილების მგრძნობელობას, რომ წამალი, სულ სხვა, არაპროგნოზირებადი ტრაექტორიით მიემართება, საქმე ყოველთვის მოწამვლით მთავრდება, ამასთან, სამწუხაროდ, შეუძლებელია ხოლმე იმის განსაზღვრა, თუ რა დონის იქნება ინტოქსიკაცია.

ალკოჰოლის მიღების დროს უწყინარმა ტკივილგამაყუჩებელმაც (ანალგინის მსგავსი) კი, შეიძლება საშინელი ზიანი მოგვაყენოს. განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვება პარაცეტამოლთან, (ასევე ეფერალგინთან, ტაილენოლთან და სხვა სიცხის დამწევ საშუალებებთან) ერთად სპირტიანი სასმლის მიღებას. მცირე პარაცეტამოლის დოზაც კი ალკოჰოლთან ერთად მომაკვდინებელ დარტყმას აყენებს ღვიძლს. ზოგჯერ ალკოჰოლისგან თავატკივებული ადამიანი იღებს დასაძინებელს ან ტრანკვილიზატორს, რათა დამშვიდდეს, მაგრამ ალკოჰოლი ამის საშუალებას არ აძლევს, ტაბლეტი არ მუშაობს, ამიტომ ავადმყოფი იძულებულია მიიღოს მეორე, მესამე... ასეთი „კოქტეილი“ აუცილებლად იმოქმედებს თავის ტვინზე და ადამიანმა შეიძლება ვერ გამოიღვიძოს.

***არგუმენტი ი ფაქტი №37***

## ღმერთების სასმელი



ჯერ კიდევ ჰომეროსის დროს, კუნძულ კრეტაზე მოჰყავდათ განსაკუთრებული ყურძენი და იცოდნენ მეღვინეობის ისეთი საიდუმლოებანი, რომ „ილიადას“ ავტორი წყურვილის მომკვლელ მზის სასმელს ღმერთების საჩუქრად მოიხსენიებდა. ბევრი თანამედროვე მეცნიერის დასკვნით, ღვინო მცირე დოზებით საწამლავი კი არა, წამალია. რა თქმა უნდა, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ის ყველა დაავადებას კურნავს, მაგრამ მისი გონივრულად გამოყენება ჯანმრთელობას წაადგება.

ექიმები გვირჩევენ: ათეროსკლეროზისა და გულის სისუსტის დროს მივიღოთ მინერალურ წყალში გახსნილი თეთრი ღვინო, კუჭის აშლილობის დროს კაბერნეს ტიპის ღვინო.

ხალხური მედიცინით რეკომენდებულია ღვინოს დაამატოთ მუხის ქერქი და მიიღოთ 3-4 ს/კ ჭამამდე 0,5 საათით ადრე.

სისხლნაკლებობისა და მოტეხილობის დროს დაგეხმარებათ წითელი ღვინო.

საერთოდ, ღვინო მდიდარია ორგანული მჟავებითა და ვიტამინებით, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ნივთიერებათა ცვლაში; ის შეიცავს დაახლოებით 24 დასახელების მიკროელემენტს. მშრალი ღვინოები მდიდარია გლუკოზით, ფრუქტოზით და რთული ეთეროვანი ზეთებით, რომლებიც ღვინოს სძენენ სასიამოვნო არომატს და სამკურნალო თვისებებს.

დაიხსომეთ: ღვინო სასარგებლოა, როდესაც მისი მიღებისას ვიცავთ ზომიერებას: პირველი ბოკალი — წყურვილს კლავს, მეორე — ხალისს გმატებთ, მესამე — სიამოვნებას განიჭებთ, მეოთხე — უგუნურობისაკენ გიბიძგებთ.

***ოტდოხნი! №27***



## ფრთხილად, საშიშია!

თურმე სოლარიუმში ხელოვნურად გარუჯვა არც ისე უვნებელი ყოფილა. მაგალითად, ესპანეთში გამკაცრებულია ხელოვნური ნამზეურის მისაღები აპარატების გამოყენების ხანგრძლივობა. ექიმები ფიქრობენ, რომ ის იწვევს ასე გახშირებულ კანის დაავადებებს, ასნებოვნებს თვალებს. ახალი კანონით, 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს და ფეხმძიმეებს ეკრძალებათ სოლარიუმით სარგებლობა. კანადელი მეცნიერები კი ამტკიცებენ, რომ სოლარიუმში 20-წუთიანი ყოფნა უტოლდება სამხრეთულ მზეზე ყოფნის 2 საათს.

მათ, ვისაც არ შეუძლიათ უარის თქმა ხელოვნურ ნამზეურზე, ექიმები ურჩევენ: სოლარიუმში წასვლამდე გაიარონ შემოწმება გინეკოლოგთან, დერმატოლოგთან, ონკოლოგთან; პირველი სეანსი არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს. არ ვურჩევთ სოლარიუმში გარუჯვას მათ, ვისაც თეთრი კანი, ბევრი ხალი და ჭორფლი აქვს.

***ტრუდ-7 №23***

# სანელებელიც და წამალიც...



**იმბირი (კოჭა)** — გაცივების დროს სასარგებლოა ცხელ რძეში გახსნილი დაფქული კოჭა. ხალხურ მედიცინას კი მიაჩნია, რომ მისი ნახარში ბრწყინვალე შარდმდენი და ამოსახველებელი საშუალებაა.

როგორც სხვა ნებისმიერი საკაზმი, კოჭა აძლიერებს მადას და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. გარდა იმისა, რომ ასუფთავებს სისხლს, შველის თავის ტკივილს, აღადგენს ძალ-ღონეს.

**მდოგვი** — ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს დროს ითვლებოდა ხველების საწინააღმდეგო და ამოსახველებელ საშუალებად. თანამედროვე ხალხური მედიცინა კი თვლის, რომ მდოგვი შველის არა მარტო ხველას, არამედ



სეზონურ დეპრესიას, კბილის ტკივილს. სასარგებლოა პნევმონიის, ბრონქიტის, იპოქონდრიისა და ციებ-ცხელების დროს, აუმჯობესებს საჭმელების გემოს, ხელს უწყობს ენერგიის მთავარი წყაროს — ცხიმების ათვისებას, რაც ასე საჭიროა ცივ ამინდში.

**შავი პილპილი** ამაღლებს გუნება-განწყობილებას და აუმჯობესებს მადას. დაფქული ან მარცვლოვანი შავი წიწაკა, გარდა იმისა, რომ ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, ასტიმულირებს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას.

**ჩილი (წიწაკა)** — მატებს ძალას. ხალხური მედიცინა მწარე, წითელ წიწაკას ოდითგანვე იყენებდა გადაღლილობისა და ციებ-ცხელების დროს. ეს მწარე, სამხრეთაფრიკული ნაყოფი აქვეითებს მადას, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, ასტიმულირებს სისხლის მოძრაობას, ათბობს სხეულს.

**პირშუშხა** — სპობს ყველა მიკრობსა და ნათელს ხდის გონებას, ებრძვის გაცივებასა და ვირუსულ ინფექციებს. მისი ფესვების ნაყენი ხსნის გონებრივ და ფიზიკურ დაღლილობას.

**წიწაკა** — წითელი, ყვითელი ან მწვანე ვიტამინების ნამდვილ წყაროს წარმოადგენს. ეს ბოსტნეული ბრწყინვალე საშუალებაა გაცივების პროფილაქტიკისათვის. ტკბილ წიწაკაში არსებული ვიტამინები და მიკროელემენტები აძლიერებენ იმუნიტეტს, აუმჯობესებენ სისხლის მოძრაობას, ამასთან გირჩევთ, სამკურნალო ეფექტს რომ მიაღწიოთ, უმჯობესია მიირთვათ უმად.

*ლიზა №25*

# სექსი მხოლოდ სიამოვნება არ არის



ვინ თქვა, რომ სექსი მხოლოდ სიამოვნებაა? გერმანელი მეცნიერები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ — რეგულარული სექსუალური ურთიერთობანი არის საფუძველი იმისა, რომ იშვიათად მიაკითხოთ ექიმს, ნაკლებად მიეძალოთ წამლებს, აღარ დაგჭირდეთ დილის ვარჯიში, ტრენაჟორებზე სიარული. თურმე 26-წუთიანი სექსი იგივეა, რაც ნახევარსაათიანი კროსი, ის ნთქავს ზუსტად იმდენსავე კალორიას, რასაც შეიცავს ერთი თეთრი პური.

ამ სასიამოვნო და სასარგებლო „სპორტის“ მიმდევრებს ნაკლებად ემართებათ ინსულტი, უუმჯობესდებათ მეხსიერება, იკლებენ წონაში; ის პირდაპირ მისწრებაა იმ ადამიანებისთვის, რომელთაც აწუხებთ შაკიკი, სახსრების ქრონიკული ტკივილი, რადგან ამ „სპორტის“ დროს ორგანიზმში გამოიყოფა ტკივილგამაყუჩებელი ნივთიერება.

*ვერსია №27*

მკურნალი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

პირველად საქართველოში!

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:

სქესობრივი აქტის ჩატარების გამნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: 99 64 99
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
ანონიმურობა დაცულია!

**მაწუხებს უძილობა. რა არის უძილობის მიზეზი, როგორ მოვიქცე, რას მირჩევთ?**

*ქ. სოხაძე, ქ. თბილისი*

# უძილობა



უძილობის მიზეზი მრავალგვარია. ის შეიძლება განაპირობოს გულ-სისხლძარღვთა, ნევროლოგიურმა პრობლემებმა, სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატის ბოროტად გამოყენებამ, ფილტვების პათოლოგიამ და სხვა დაავადებებმა. მაგრამ არ არის აუცილებელი უძილობის მიზეზი ორგანული პათოლოგია იყოს. იმ ადამიანთა უმეტესობას, ვისაც უძილობა აწუხებს, ამ პრობლემის მოგვარება მარტივად, საკუთარი წეს-ჩვეულებების კორექტირებით შეუძლია. მაგალითად, უძილობა აწუხებს ადამიანს, რომელიც დღისით წათვლემს, ხოლო შემდეგ ადრე წვება დასაძინებლად; ზოგიერთი ძილის წინ მაგარ ჩაის, ყავას ან შოკოლადს მიირთმევს. უძილობის მიზეზია პრეპარატებიც მაგ: ანალგეტიკები (ტკივილგამაყუჩებლები) თეოფილინი, სიდნოკარბი, ჰიდროკორტიზონი, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის დროს გამოყენებული ზოგიერთი წამალი და სხვა.

ზოგიერთი ადამიანი არანაირად არ უწყობს ხელს მშვიდ ძილს, არ იყენებს ისეთ ელემენტარულ და ხელმისაწვდომ საშუალებებს, როგორიცაა: თბილი შხაპი ან აბაზანა, სასიამოვნო წიგნი, მსუბუქი ვახშამი.

ზოგჯერ უძილობა მოჩვენებითია. მაგ. ადამიანი ადრე იღვიძებს, მაგრამ გარშემომყოფებს სძინავთ, მას ერიდება ადგომა და საკუთარი საქმის კეთება. უჩნდება დისკომფორტის გრძნობა და ეჩვენება, რომ უძილობა აწუხებს. უძილობის მიზეზად აღიარებულია კომპიუტერთან დიდხანს ჯდომაც. ზოგჯერ კი, ამ პრობლემის მიზეზი ვერ დგინდება, უცნობია. ისე კი, გაითვალისწინეთ, საკმარისია ცხოვრების რეჟიმის შეცვლა და ყველაფერი მოგვარდება.

**ძილისმომგვრელი საშუალებები:** ისინი საკმაოდ ბევრია. უმეტესი მათგანი ადამიანს ამშვიდებს და შედეგიც ამით მიიღწევა. ძირითადად ადამიანები გამოიყენებენ „მსუბუქი“ ზემოქმედების მქონე საშუალებებს.

ძლიერი ძილისმომგვრელი საშუალებები ექიმმა უნდა დანიშნოს. რადგანაც „მსუბუქი“ ზემოქმედების პრეპარატებსაც კი აქვს გვერდითი მოვლენები, როგორიცაა: დილით თავის ტკივილი, ძილქუში, შეზღუდულობა. უფრო მეტიც, პირის სიმშრალე, შარდგამოყოფის შეფერხება, გონების დაფანტვა. ძლიერმოქმედი აბების გვერდითი მოვლენები უფრო მძლავრია. ისე, რომ ზოგჯერ ვითარდება აპნოე — სუნთქვის შეჩერებაც კი. ეს უმეტესად ხდება იმ პრეპარატების მიღებისას, რომელთაც „ბენზდიაზევინები“ ეწოდებათ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, არ არის სასურველი, მივიღოთ ტრიაზოდამი და ფლურაზეპამი. ნაკლებად საშიშია — ნოზეპამი, ტაზეპამი, ტემაზეპამი. ისინი ადვილად გამოიდევნებიან ორგანიზმიდან. მათი ერთადერთი უარყოფითი ეფექტი — მიჩვევაა. ამიტომ ისინი 2-3 კვირაზე მეტხანს არ უნდა გამოიყენოთ.

ძილის ხანგრძლივობის ნორმა არ არსებობს, ის ინდივიდუალურია. ჩვეულებრივ მიღებულია, რომ მოზრდილ ადამიანს 7-8 საათს უნდა ეძინოს. 70 წლის შემდეგ ძილის ხანგრძლივობა მცირდება.

უმჯობესია უძილობას მცენარეული პრეპარატებით ებრძოლოთ. მაგ. უძველესი საშუალებით — კატაბალახას აბებით, ნაყენით. უფრო ეფექტურია ნაყენი. კარგია სვიისა და თავშავას ნახარში. არსებობს სხვა უამრავი საშუალება: იორდასალამი, ქერი, კუნელი.

უძილობის დროს დაწექით სიბნელეში. უმჯობესია, თუ თავი ჩრდილოეთით გექნებათ.

*გაითვალისწინეთ!* უძილობა იწვევს იმუნური სისტემის შესუსტებას, აძლიერებს ჰიპერტონიული და გულის იშემიური დაავადების განვითარების შანსს, სტენოკარდიას, აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ნერვული უჯრედები „ძალას ვერ იკრებენ“ უძილობის ჟამს.

*მაია მუხიგული*

# ჯარაექიმის რჩევანი

...გვლის შხამისა და სპირტის ნარევით დაიზილეთ ზურგი რევმატიზმის, ბრონქიტის და გაცივების დროს;

...მაისში მოკრეფილი თეთრი სამყურას ჩაი კარგია ჰიპერტონიის დროს;

...დღეში 3 ჭიქა შტოშის წვენი ამცირებს გულსისხლძარღვოვან დაავადებათა რისკს 40%-ით.

...კაკალი შველის თავის ტკივილსა და გულით დაავადებულებს, ამშვიდებს ნერვებს;

...თბილ წყალში გახსნილი 1 ჩ/კ თაფლი შველის უძილობას;

...ოხრახუში ხელს უწყობს სისხლის შედედებას;

...აგვისტოში შეგროვილი იორდასალამის, ვარდისა და გეორგინის გამხმარ ყვავილს იყენებენ კუჭის წყლულის სამკურნალოდ. ყვავილების ნარევი მოხარშეთ, გააჩერეთ ერთი კვირა ცივ ადგილას და სვით 1 ს/კ 3-ჯერ დღეში.

...ყოველდღე 100გ ხაჭოს მიღება სასარგებლოა ღვიძლითა და ათეროსკლეროზით დაავადებულთათვის;

...ახალი ვირთევზას ნახარში შველის ფრჩხილებზე აქერცლილ ნუნებს (სრულიად საკმარისია ნახარშში ჩაყოთ ხელები);

# მობრძანდით, „ბატონო პომიდორო“!

100გ პომიდვრის წვენში სულ 22 კალორიაა. ეს სასარგებლო ბოსტნეული შეიცავს ლიმონისა და ვაშლის მჟავებს, რომელიც ხელს უწყობს საჭმლის მონელებას. 1 ჩ/ჭ ტომატში არის ვიტამინებისა და პროვიტამინ A -ს დღეღამური ნორმის ნახევარი, რომელიც ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, ამასთან ორგანიზმს აწვდის კალიუმის, რკინისა და სპილენძის დღეღამურ ნორმას, შეიცავს თუთიას, კალციუმს და ფოსფორს, მრავალგვარ ვიტამინს. რაც მთავარია, მასში შედის ორგანული ნაერთი ლიკოპინი, რომელიც პომიდორს აძლევს წითელ ფერს, ის ნატურალური ანტიოქსიდანტია და „ებრძვის“ თავისუფალ რადიკალებს, შესამჩნევად ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებათა რიკს. ლიკოპინი რომ უკეთ აითვისოს ორგანიზმმა, პომიდვრის სალათას დაამატეთ მზეუმზირის ზეთი.

თუ პომიდორს მოვხარშავთ მაღალ ტემპერატურაზე, მასში 2 წუთის შემდეგ ლიკოპინი 1/3-ით მეტი გახდება, ვიდრე უმში იყო; თუ 15 წუთით ვადუღებთ, ამ ნივთიერების კონცენტრაცია 1,5-ჯერ გაიზრდება. პომიდორი ბრწყინვალე ანტიდეპრესანტია, აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას, რადგან შეიცავს სეროტონინს — ბედნიერების ჰორმონს.

პომიდორი შეიძლება გამოიყენოთ კოსმეტიკური თვალსაზრისითაც.

*თუ ცხიმიანი კანი გაქვთ:* 1. სახე გაიწმინდეთ პომიდვრის წვენით, შეიშრეთ და მერე ჩამოიბანეთ.

2. პომიდვრის რბილობში ათქვიფეთ 1 კვერცხის ცილა და წაისვით სახეზე 10-15 წუთით, შემდეგ ჩამოიბანეთ.

*თუ ნორმალური კანი გაქვთ:* 1ცალ გახეხილ პომიდორს დაუმატეთ 2ს/კ ხაჭო, 1ს/კ რძე და 1ჩ/კ მზესუმზირის ზეთი. 15-20 წუთით გაიჩერეთ სახეზე და შემდეგ ჩამოიბანეთ.

*თუ მშრალი კანი გაქვთ*: 2ს/კ პომიდვრის წვენისა და 2ს/კ ხორბლის ფქვილის ნარევი წაისვით სახეზე და ზემოდან დაიფარეთ მარლა და 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ.

*ოტდოხნი! №22*

კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:

1. დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;
2. ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;
3. სამეანო განყოფილებას;
4. ახალშობილთა განყოფილებას;
5. გინეკოლოგიურ განყოფილებას;
6. თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);
7. ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია – ლაპარასკოპია);
8. სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;
9. რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.
მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.
მადლობას გიხდით ნდობისთვის.
მის: ცოტნე დადიანის №255
(ყოფ. სამშობიარო სახლი)
☎ 66-73-70 71 72 73 74



**საბერძნეთი**

# ათენელები მეჩეთის წინააღმდეგები არიან



ათენელები აღშფოთებას ვერ მალავენ — 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მათთან ჩატარება ძალიან ძვირი უჯდებათ, ათენის მახლობლად მთავრდება მეჩეთის მშენებლობა. ხელისუფლება არ მალავს, რომ მუსლიმანური ცენტრის მშენებლობა, რომელსაც საუდის არაბეთი აფინანსებს, დაკავშირებულია მომავალ ოლიმპიადასთან, რადგან ათენი ერთადერთი ევროპული დედაქალაქია, სადაც არ იყო ნორმალური მეჩეთი.

ათენის მერი ირწმუნება, — ჩვენთვის არავის უკითხავს მშენებლობის დაწყების ნებართვაო. ათენელებს ეს ამბავი მაინცდამაინც არ ეჭაშნიკებათ — არ გვსურს, აეროპორტიდან მომავალ ტურისტს პირველადვე თვალში მეჩეთის გუმბათი მოხვდესო. მართლმადიდებელ მღვდლებს კი ეშინიათ, რომ ცენტრი ყველანაირად შეეცდება ქრისტიანთა გამაჰმადიანებას.

***ვლასტი №30***

**ერაყი**

# ჩვენ მარიონეტები არა ვართ

*ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნდა სადამის წინა ხელისუფლების დროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, 80 წლის* ***ადნან ალ-ჰახაჩი****. მას ესაუბრა ჟურნალ „შტერნის“ კორესპონდენტი:*

*— თქვენ ერაყის სამთავრობო საბჭოს წევრი ხართ. ამერიკელ გუბერნატორს პოლ ბრემერს შეუძლია თქვენი გადაწყვეტილების შეცვლა?*

— გაეროს რეზოლუციის თანახმად, ამერიკელებს აქვთ გარკვეული უფლებამოსილება, მაგრამ მზად არიან, ამ უფლებების გადმოსაცემად. ჩვენ განვსაზღვრავთ დიპლომატიურ ურთიერთობებს, ბიუჯეტს, შევქმნით კანონებს, მოვამზადებთ არჩევნებს, ჩამოვაყალიბებთ არმიას, პოლიციას, დავაწესებთ გადასახადებს. თუმცა ყოველივე ამას ამერიკელების მხარდაჭერით გავაკეთებთ, მაგრამ ერაყელები მალე დარწმუნდებიან, რომ ჩვენ მარიონეტული კი არა, ნამდვილი ხელისუფლება ვართ.



*— როცა საქმე ნავთობზე მიდგება, კონფლიქტი გარდაუვალი გახდება.*

— ტონი ბლერმა და ჯორჯ ბუშმა განაცხადეს: — ჩვენ ერაყში იმიტომ კი არ ვართ, რომ ქვეყანა კოლონიად ვაქციოთ ან ნავთი მოვიპაროთო. მე მათი მჯერა. ინგლისსა და ამერიკას ჩვენი ნავთობის ფირმების სხვა ქვეყნებისთვის მიყიდვის უფლება არა აქვთ.

*— რა ეშველება ძველი ხელისუფლების მილიარდობით ვალს?*

— თუ სულ არ ჩამოგვაწერენ, გვადროვებენ მაინც.

*— თქვენ ერაყის სამ ეთნიკურ და რელიგიურ ზონად გაყოფის წინააღმდეგი ხართ?*

— სასტიკი წინააღმდეგი. ერაყი ერთიანი სახელმწიფო იყო და ასეთად დარჩება!

*— მაგრამ ქურთები ფართო ავტონომიას რომ ითხოვენ?*

— რა თქმა უნდა, ეკუთვნით, მაგრამ საკუთარ არმიაზე ფიქრი გულშიც არ უნდა გაივლონ. მათ უნდა იმსახურონ ერაყის არმიაში. არ შეიძლება ქვეყანას ჰყავდეს ორი არმია. ხოლო რაც შეეხება დემოკრატიას, მერწმუნეთ, ის ჩვენს ქვეყანაში უთუოდ ორ-სამ წელიწადში დამყარდება.

გვიწინასწარმეტყველებდნენ, შიიტებსა და სუნიტებს, ქურთებსა და არაბებს შორის სამოქალაქო ომი დაიწყებაო, მაგრამ ასე არ მოხდა. შეტაკებებს ადგილი ჰქონდა მხოლოდ პარტია „ბაასის“ დამცველებსა და ამერიკის არმიას შორის. ხალხი ამ ომმა დაღალა. მათ უნდათ საჭმელი, სინათლე, წყალი და ნორმალური ცხოვრება.

***შტერნი***

# ვინ იბრძვის კალიფორნიის გუბერნატორობისთვის



კალიფორნიის შტატის გუბერნატორს, გრეი დევისს გადაყენებას უპირებენ. მას ბრალად სდებენ ბიუჯეტის შეუსრულებლობას. ამერიკაში ძალიან იშვიათი შემთხვევაა გუბერნატორის გადაყენება, ამიტომაც შესაბამისი კანონი არ არსებობს. არჩევნებისთვის მზადებისას ცნობილი იურისტებიც კი განცვიფრდნენ, როცა შეიტყვეს, გუბერნატორობის კანდიდატი შეიძლება იყოს იმდენი, რამდენსაც საარჩევნო ბიულეტენი დაიტევსო. მონაწილეობა კი შეუძლია ყველას, ვინც გადაიხდის 3,5 ათას დოლარს და წარმოადგენს 65 მხარდამჭერის ხელმოწერას.

გუბერნატორობის მოსურნეთა შორისაა ჟურნალ „ჰასტლერის“ 61 წლის გამომცემელი ლარი ფლინტი ანუ როგორც მას უწოდებენ „პორნოს მეფე“. მაყურებელი მას იცნობს მილოშ ფორმანის ფილმით „ხალხი ლარი ფლინტის“ წინააღმდეგ. ხეიბრის სავარძელს მიჯაჭვულ ფლინტს (70-იან წლებში მას რელიგიური ფანატიკოსი დაესხა თავს) ბიუჯეტის შევსების გზებს ვერავინ ასწავლის, რა თქმა უნდა, არა საკუთარი ჯიბიდან. ყველგან სათამაშო ავტომატებს დავაყენებ, რაც დიდ შემოსავალს მოუტანს შტატსო, — ამბობს იგი.

ფლინტს ბევრი კონკურენტი ჰყავს, მაგრამ მთავარი მოქიშპეა ჰოლივუდის სუპერვარსკვლავი არნოლდ შვარცენეგერი.

საგულისხმოა, რომ არნის მეუღლე მარია შრაივერი, სენატორ ედვარდ კენედის დისწული, ამის წინააღმდეგია. ცოლის სიტყვას არნოლდისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ერთი ხანობა ამიტომაც ყოყმანობდა, მაგრამ ახლა ოფიციალურად განაცხადა, — შტატში მდგომარეობის გამოსწორებას მხოლოდ მე შევძლებ და ამიტომაც უთუოდ უნდა მივიღო მონაწილეობა არჩევნებშიო.

***კომერსანტი №162***

# ჰუსეინის ვაჟების საფლავიდან დროშები მოიპარეს

სადამ ჰუსეინის ვაჟები და შვილიშვილი დაღუპვიდან 11 დღის შემდეგ, თიქრიტის მახლობლად, ყოფილი დიქტატორის მშობლიურ სოფელ ალ-ავდჯაში დაკრძალეს. მანამდე მათი ცხედრები ბაღდადის აეროპორტის სამხედრო ბაზის მორგში ესვენა. ამ ხნის განმავლობაში ვაშინგტონი მოლაპარაკებას აწარმოებდა ერაყის ახალ ხელისუფლებასთან — ვაითუ,



დამხობილი პრეზიდენტის მომხრეებმა მათი საფლავები წმინდა ადგილად შერაცხონო. ლაპარაკი იყო ცხედრების დაწვაზე და ფერფლის უდაბნოში მობნევაზე, მაგრამ ამერიკელები ამას არ დათანხმდნენ.

დაკრძალვის ცერემონიაში მხოლოდ 40 ნათესავს მისცეს მონაწილეობის ნება, დანარჩენები სასაფლაოს კარიბჭესთან შეაჩერეს.

მიუხედავად იმისა, რომ სასაფლაოს ამერიკელი ჯარისკაცები დარაჯობდნენ, იმავე ღამეს სადამის ვაჟების საფლავებიდან ერაყის სახელმწიფო დროშები მოიპარეს.

პენტაგონმა სამხედრო სამსახურებს სადამ ჰუსეინის შესაძლო გადასხვაფერებული ფოტოები დაუგზავნა (ულვაშმოპარსული, წვერმოშვებული და ა.შ.). „სადამ ჰუსეინის დაჭერა არ გაგვიჭირდება, მაგრამ ჩვენ მიერ დაწესებული ჯილდო — 25 მილიონი დოლარი ერაყელმა უნდა მიიღოს, რომელიც ამას საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად გააკეთებს“, — განაცხადა ერაყში ამერიკის ადმინისტრაციის თავკაცმა პოლ ბრემერმა.

***ნიუზუიქი***

# ისრაელის დიდი კედელი



აშშ-მა მაინცდამაინც არ მოუწონა პრემიერ არიელ შარონს ისრაელსა და პალესტინას შორის ბერლინის მსგავსი კედლის აგება. სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა შიშიც კი გამოთქვა, — ვაითუ ამან ორ ქვეყანას შორის სამშვიდობო გეგმა ჩაშალოსო. კედლის აგება არც საუდის არაბეთს მოსდის თვალში, არც ეგვიპტეს და, რა თქმა უნდა, არც პალესტინას. ამერიკელების მუქარას — დახმარებას შეგიკვეცავთო, გარკვეული შედეგი მოჰყვა — მშენებარე კედელს ისრაელი აშშ-ის სურვილების გათვალისწინებით შეუცვლის მარშრუტს. პალესტინის ებრაული დასახლებები — არიელი, კდუმიმი და შავეი-შომირნი კედლის შიგნით აღარ მოჰყვებიან. ისრაელელებმა თუმცა კი დაუთმეს ამერიკელებს, მაგრამ მაინც წუწუნებენ, — ნუთუ არ ესმით, რომ კედელი პალესტინელი ექსტრემისტებისგან თავის დასაცავად გვჭირდებაო.

***ტრუდი 7***

# სკანდალური თვითმკვლელობა

კომპანია Hyundai Asan-ის თავმჯდომარემ, 54 წლის ჩონ მონ ჰონმა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. იგი სეულის ცენტრში მდებარე საკუთარი ოფისის მე-12 სართულიდან გადმოხტა. ჩონი „ჰიუნდაის“ დამაარსებლის ვაჟია. ჯერჯერობით უცნობია, რატომ მოიკლა თავი ქვეყნის ერთ-ერთმა გავლენიანმა ბიზნესმენმა, რომელიც ლობირებდა კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამხრეთ კორეის ბიზნესს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობით, ჩონ მონის ანდერძში არაფერია ნათქვამი თვითმკვლელობის მოტივებზე. ბევრი დარწმუნებულია, რომ ამ ნაბიჯისკენ მას უბიძგა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის საიდუმლოდ გაგზავნილი მილიონების გარშემო ატეხილმა სკანდალმა, რომელშიც ის აღმოჩნდა გახვეული.



ჩონ მონ ჰონი (მარჯვნივ) და მამამისი (მარცხნივ) კიმ ჩენ ირთან (ცენტრში) მეგობრობაში ამხილეს

2000 წლის ივნისში, ომის შემდგომ, პირველად გაიმართა საერთო კორეული სამიტი, რომელსაც დაესწრნენ კიმ დე ჩჟუნი და კიმ ჩენ ირი. პირველმა მათგანმა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის შემორიგებისთვის ნობელის პრემია მიიღო. ამას მოჰყვა ჭორი, ჩრდილოეთის ლიდერს 100 მლნ დოლარი გადაუხადეს ისტორიულ სამიტში მონაწილეობისთვისო. სამიტის წინ Hyundai Asan-მა კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას 500 მლნ დოლარი გადაურიცხა. თვითმკვლელობამდე რამდენიმე ხნით ადრე ჩონ მონ ჰონმა განაცხადა, — ეს ფული განკუთვნილი იყო ჩრდილოეთ კორეაში ექსკლუზიური ეკონომიკური უფლებების მისაღებადო.

სიმართლეს ძიება დაადგენს.

***ნეზავისიმაია გაზეტა №160***

## მოკლედ

**რუსეთის ფედერაციის** უმაღლესი საბჭოს ყოფილმა სპიკერმა რუსლან ხასბულატოვმა განაცხადა, რომ კენჭს იყრის ჩეჩნეთის პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად. მას მხარს უჭერს რესპუბლიკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ხასბულატოვი არჩევნებზე სერიოზულ კონკურენციას გაუწევს ჩეჩნეთის ახლანდელ თავკაცს აჰმედ კადიროვს.

**ვენესუელის** პრეზიდენტმა უგო ჩავესმა კარაკასში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე განაცხადა: — შევახსენებ აშშ-ს, რომ მას არა აქვს ჩვენთვის რაიმის კარნახის უფლება, ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და არა ჩრდილოეთ ამერიკის კოლონია.

**გაეროს** მიერ მომზადებულ ყოველკვირეულ მოხსენებაში, „ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი“, მსოფლიოს 166 ქვეყნიდან ამ თვალსაზრისით საუკეთესოდ მიჩნეული იქნა ნორვეგია.

**ინდონეზიის** ქალაქ დენპასარის სასამართლომ 2002 წლის ოქტომბერში კუნძულ ბალიზე აფეთქების მოწყობაში დამნაშავედ ცნო 40 წლის ამროზი. აფეთქებას 21 ქვეყნის 202 მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. ამროზიმ დანაშაული აღიარა: — სასიკვდილო განაჩენი, რომელიც გამომიტანეს, არ მადარდებს, ბედნიერი ვარ, რომ ალაჰის სახელით ვკვდებიო.

**აზერბაიჯანის** პრეზიდენტი თურქეთიდან აშშ-ში, ოჰაიოს შტატში, კლივლენდში გადააფრინეს. 1999 წელს კლივლენდში ჰეიდარ ალიევს გულის შუნტირება ჩაუტარდა, ამიტომ უპრიანია იქვე შეუმოწმონ ჯანმრთელობის მდგომარეობა.

**დიდ ბრიტანეთს** ასეთი ხვატი არ მოსწრებია. ლონდონში ტემპერატურამ 35 გრადუსს გადააჭარბა, გერმანიის დედაქალაქში 29 გრადუსი იყო და ბერლინელები სამუშაოდ არ გავიდნენ — გამოიყენეს კანონით მინიჭებული უფლება. ევროპაში სიცხით გამოწვეულ ხანძრებს 30 ადამიანი ემსხვერპლა.

**იაპონიაში**, კუნძულ ოკინავას საშინელი ტაიფუნი დაატყდა თავს, ხეები ძირფესვიანად ამოგლიჯა, უსახლკაროდ დატოვა ასობით ადამიანი. გადაიდო ავიარეისები, აღარ მოძრაობს საზღვაო ტრანსპორტი და საზოგადოებრივი ავტობუსები. ვარაუდობენ, რომ ტაიფუნ „ეტაუს“ კოკისპირული წვიმა მოჰყვება.

**ლიტვაში** მუშაობა განაახლა ჩეჩენი სეპარატისტების ინტერნეტსაიტმა „კავკაზცენტრმა“, რომელიც ადრე ქვეყნის სპეცსამსახურებმა დახურეს.

**რომში**, ფორუმის სავაჭრო ნაწილის მახლობლად, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს იმპერატორ კალიგულას სასახლის ნაშთი.

**ჯაკარტის** ფეშენებელურ რაიონში ძლიერი აფეთქება მოხდა. დაინგრა ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „მარიოტის“ რესტორანი და ჰოლი. დაიღუპა 14 ადამიანი, 150-ზე მეტი მძიმედ დაშავდა.

**დიდ ბრიტანეთში** ხელისუფლება დროებით შეიცვალა. კუნძულ ბარბადოსზე დასასვენებლად წასული პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ვიცე-პრემიერმა ჯონ პრესკოტმა შეცვალა. ჟურნალისტებს მან მორცხვად განუცხადა — ტონი ბლერმა „ბირთვული ჩემოდანი“ არ მანდო და თან წაიღოო.

**აშშ**-ის სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელს და მის პირველ მოადგილეს რიჩარდ არმიტეჯს სახელმწიფო დეპარტამენტში მეორე ვადით არ სურთ დარჩენა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ისევ ჯორჯ ბუში გაიმარჯვებს.

**მოსკოვში** დააკავეს კრიმინალური დაჯგუფების „კურგანსკაიას“ ლიდერის ალექსანდრ სოლონიკის მკვლელი. მას სხვა დანაშაულშიც ედება ბრალი. სოლონიკის მკვლელობის შემკვეთი (მის გვარს ჯერჯერობით არ ასახელებენ) და კილერი ალექსეი გუსევი მოსკოვის სპეცჯგუფისა და საბერძნეთის პოლიციის წარმომადგენლების ერთობლივი ოპერაციის შედეგად იგდეს ხელთ. ეძებენ სოლონიკის მკვლელობის კიდევ სამ მონაწილეს. შეგახსენებთ, — ალექსანდრ სოლონიკი, მეტსახელად საშა მაკედონსკი, ათენში თავის მეგობარ ქალთან ერთად მოკლეს 1997 წლის 31 იანვარს. სოლონიკის ბანდა, რომელშიც ყოფილი სამხედროები და სპორტსმენები შედიოდნენ, მოსკოვში 90-იან წლებში გამოჩნდა. საზარელი სისასტიკით გამოირჩეოდა, ლიდერობის ხელში ჩასაგდებად „კურგანსკელებმა“ 20-ზე მეტი კრიმინალური ავტორიტეტი „გაასაღეს“. შეკვეთით ასობით ადამიანი მოკლეს. 2002 წელს რუსმა სამართალდამცავებმა რამდენიმე ბანდიტი დააპატიმრეს. დანარჩენ დამნაშავეებს ეძებენ.

**ლიბერიელი** ამბოხებულების ლიდერმა აბდულა სეია შერიფმა განაცხადა, რომ მისი ჯარები მზად არიან შეწყვიტონ ცეცხლი, თუ პრეზიდენტი ჩარლზ ტეილორი გადადგება და ქვეყნიდანაც წავა. თავად ტეილორი კი, ადრინდელი დაპირების მიუხედავად, აცხადებს, რომ ლიბერიაში დარჩება მანამ, სანამ გაერო არ მოუხსნის სამხედრო დანაშაულის ბრალდებას. მერე კი ნიგერიას მიაშურებს, სადაც კარგა ხანია, სთავაზობენ დროებით პოლიტიკურ თავშესაფარს.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

ამ ბოლო დროს ხშირად საუბრობენ სვანეთში მოსალოდნელ ეკოლოგიურ კატასტროფაზე, რისი მიზეზიც გარემოს დაბინძურებაა. ამ საკითხზე მსჯელობა მყარი არგუმენტების გარეშე დაუშვებელია. ისედაც სილატაკის ზღვარზე მცხოვრებ სვანეთის მოსახლეობას ეს კრიზისი უკანასკნელ საყრდენს გამოაცლის. არადა, მდგომარეობა მართლაც სერიოზულია და საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს. ჯერ იმას გიამბობთ, რაც საკუთარი თვალით ვნახე...

ცხენისწყალი რომ მუდმივად მღვრიე და ტალახიანი მოდის, ეს ყველამ იცის, ვისაც ერთხელ მაინც უმოგზაურია ლეჩხუმსა და სვანეთში. აქაურები ამბობენ, რომ 1987 წლის სტიქიურ მოვლენებამდე, ცხენისწყალი ანკარა მოედინებოდა, შიგ ძალიან ბევრი კალმახი იყოო. ახლა მსგავსი არაფერია. კალმახი კი არა, სხვა თევზიც გაქრა.

ხეები ხმებიან, ძირითადად ბლის, ქლიავის...

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მივმართე ლენტეხის რაიონის გამგებელს, **მიხა (გოგი) ოთიანს**. გამგებელი ცოტა გულნატკენი იყო ზოგიერთი დაუსაბუთებელი ინფორმაციის პრესაში მოხვედრის გამო.



# ინამლება თუ არა სვანეთი?

— ბევრ რამეში ვერ დავეთანხმები პრესით გავრცელებულ ინფორმაციას, რომ თითქოს სვანურ კარტოფილში, რძეში, ხორცში დიდი შემადგენლობითაა დარიშხანი. ეს პროდუქტები ცნობილია საუკეთესო ხარისხით, გემოთი და შემადგენლობითაც... ამ პროდუქტების გარეშე განწირულია სვანი გლეხი. პურის ფქვილსაც კი მისი საფასურით ყიდულობენ. წარმოიდგინეთ, ასეთი „რეკლამის" შემდეგ რა მოელის ჩვენს მოსახლეობას. მით უმეტეს, რომ შემოწმებაც კი არ ჩატარებულა...

**— თქვენ არ ხართ დაინტერესებული, რომ ჩაატაროთ ექსპერტიზა და ბოლოს და ბოლოს, ყველამ გაიგოს სიმართლე?**

— ადგილზე ამისი გამოკვლევის საშუალება არა გვაქვს, ალბათ, უახლოეს პერიოდში გამოყოფენ კომისიას და შესაბამისი დასკვნებიც ხელთ გვექნება.

**— რაც შეეხება დარიშხანის საბადოს და მის გადამამუშავებელ საწარმოს... მისი მიზეზით, ამბობენ, თევზი გაწყდაო, ნაყოფიც თანდათან დაპატარავდა და გემო შეიცვალა... საკვებად ვარგისი არც ერთი სახის ხილში არ შეუმოწმებიათ დარიშხანის ან რომელიმე სხვა ნივთიერების მაღალი შემცველობა. არაობიექტური რომ არ ვიყო, გეტყვით, რომ აქ მინახავს არაჩვეულებრივად კარგი ზომისა და გემოს ხილიც, ბოსტნეულიც... ცალსახად მცენარეების განადგურების შესახებ საუბარი არ იქნებოდა მართებული, მაგრამ ხეები რომ ხმება, ეს უდავოა.**

— სვანეთის ფლორაში მომხდარ ამ ცვლილებებს მართლაც უკავშირებენ დარიშხანის გადამამუშავებელ ყოფილ საწარმოს. პირადად ვიყავი ლაშხეთში, ზესხოში, ცანაში, ძუღარეშში, სადაც ხდებოდა მადნის მოპოვება. გადამუშავება და ნარჩენების დამარხვა. საწარმო ისეა დარბეული, როგორც ყველა სხვა ობიექტი. ყოფილი სამარხი კი, რომელიც თავის დროზეც არ იქნებოდა წესების შესაბამისად აგებული, ახლა მთლად ღია ცის ქვეშ დარჩა. მაგრამ დარიშხანის წარმოების გარეშეც არ გვადგას სიკეთე. დაახლოებით 10 წლის წინ, ცხენისწყალში მეწყერი ჩამოწვა და იქ კალმახს რა გააჩერებს... ამიტომ ვამბობ, რომ საჭიროა გამოკვლევა — რა არის კალმახის გაქრობის ძირითადი მიზეზი, დარიშხანი თუ სხვა რამ...

**— მაგრამ რას უზამთ ნარჩენების დიდ რაოდენობას, რომელიც ცანაში და ძუღარეშშია დარჩენილი?**

— ნარჩენები ბევრია, შემოკავებულია ბეტონის კედლით. როგორც სპეციალისტები ამბობენ, იქ სამარხი უნდა ყოფილიყო. ბეტონის ფუძე და სახურავი უნდა ჰქონოდა, რომ არ გაეჟონა. ამასაც გამოკვლევა უნდა.

**— თქვენ პროფესიით მედიკოსი ბრძანდებით, მართლა იმატა ონკოლოგიურმა დაავადებებმა სვანეთში?**

— ამ სენით დაავადებულები ჩვენთან ერთეულებია. ონკოდაავადებები საერთოდ იზრდება მოსახლეობაში. ეს მარტო სვანეთში არ ხდება. ყველაფერს დარიშხანს ნუ დავაბრალებთ. ჩემს ეზოშიც გახმა ბალი, მაგრამ ის ხე 50 წლის მაინც იყო... ფუტკარზე რომ ამბობენ, გაწყდაო... დიდთოვლობა იყო. მამაჩემს 12 სკა ჰყავდა და იმ ზამთარს გაწყდა ყველა, ამას მე სტიქიას ვაბრალებ და არა დარიშხანს. ყველაზე მეტად მე ვარ დაინტერესებული, გავიგო, რა ხდება ჩემს რაიონში. დავრეკე გარემოს დაცვის სამინისტროში, ალბათ უახლოეს მომავალში ჩამოვლენ.

**— ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ცხენისწყალში ორჯერ გადავარდა სატვირთო მანქანა. ერთი გადამუშავებული დარიშხანით დატვირთული, მეორე, იმ ნივთიერებით, რომელიც დარიშხანის გადასამუშავებლად იყო საჭირო, ეს არ დააბინძურებდა მდინარეს? თანაც ეს იყო სტიქამდე, როცა წარმოება ჯერ კიდევ მუშაობდა.**

— ეს მაშინდელ ხელმძღვანელობას უნდა ჰკითხოთ, მე არ ვიცი.

**— იმასაც ამბობენ, ცანაში ნარჩენები რუსეთის ტერიტორიიდანაც შემოჰქონდათ და აქაურ „სამარხებში" ტოვებდნენო.**

— იქიდან შემოჰქონდათ გადასამუშავებელი დარიშხანი, გადამუშავების შემდეგ ნარჩენებსაც იყენებდნენ.

**— რაჭაში უნდათ აამუშაონ დარიშხანის გადამამუშავებელი საწარმოო, ამის შესახებ თუ იცით რამე?**

— ჯერჯერობით, ეგ საწარმო არ ამოქმედებულა. მაგრამ ვიცი, იქ გერმანელებმა უნდა განაახლონ წარმოება. ესეც ჩვენი პრეზიდენტის ავტორიტეტით კეთდება.

**— ამბობენ, ნიკო ლეკიშვილიც უშუალოდ მონაწილეობს ამაშიო.**

— შეიძლება ნიკო ლეკიშვილის ავტორიტეტიც გარკვეულწილად მონაწილეობს.

**— სვანეთში არავის გამოუთქვამს სურვილი წარმოების განახლებისა?**

— იმედი მაქვს, რადგან რაჭაში მოვიდნენ, იქნებ ჩვენთანაც აამოქმედონ ეს საწარმო, ხალხს დავასაქმებთ.

*რაც შეეხება დარიშხანის წარმოების პრობლემებს, როგორც აღმოჩნდა, ეს ადრე გაცილებით უფრო აქტუალური ყოფილა. 80-იან წლებში სვანეთში სტუმრად ჩამოსულა რუსეთიდან ერთ-ერთი ებრაელი მეცნიერი. მას უნახავს წარმოება და გაოცებულა, ასეთ პირობებში საშიშია მუშაობაო. უსაფრთხოების ზომები თურმე მაშინვე დარღვეული იყო, მას შემდეგ ძუღარეშსა და ყორულდაშში არსებული ჰერმეტულად დახუფული ცისტერნები ფურცლებად დაჭრეს და ორი ტრაილერით გაიტანეს, შიგთავსი მიემატა ღია ცის ქვეშ დატოვებულ ნარჩენებს. თვითმხილველმა, რომელმაც თავისი სახელისა და გვარის დასახელება არ ისურვა, მიამბო, რომ ამ მანქანებით რაიონიდან გაიტანეს განსაკუთრებული შემადგენლობის ლითონი, ვითომდა რაიონის „სასარგებლოდ", სანაცვლოდ ფქვილი უნდა შემოეტანათ... ეს ამბავი კარგა ხანია წარსულს ჩაჰბარდა. მაშინ მთელი საქართველოდან განუკითხავად გადიოდა ჯართის დიდი პარტიები. ახლა პრობლემა უფრო მწვავედ დგას. საჭიროა შემოწმდეს ნიადაგში დარიშხანისა და მავნე ნივთიერებების შემადგენლობა. ფაქტი ფაქტად რჩება. ოთხმოც წელს გადაცილებულმა ოსანა ონიანმა დაგვიდასტურა — ახლა გაფუჭებულია ყველაფერი, ეზოში ორი ატმის ხე მედგა, შესანიშნავად ისხამდა. ორივე გახმა, ბალი გადაგვარდა, აღარ ვიცი, რას დავაბრალოო.*

*სვანეთში ყველა ერთმანეთს იცნობს. ელვის სისწრაფით ვრცელდება ამბავი ხალხში, ამიტომ არც მე გამჭირვებია უშუალო თვითმხილველების პოვნა.*

— 1960 თუ 1961 წელი იყო. ზემო სვანეთში ვიყავით ქორწილში, ფეხით მოვდიოდით, დარიშხანიანი კასრებით დატვირთული სატვირთო მანქანა წამოგვეწია. გავაჩერეთ. მთვრალები ვიყავით და წაყვანა ვთხოვეთ. მძღოლმა გვითხრა: დარიშხანი მიმაქვს და ამ კასრებზე ადამიანის დაჯდომა არაფრით არ შეიძლებაო. არ დავუჯერეთ. ძალით ავედით მანქანის ძარაზე. ხიდამდე მანქანამ მიმართულება დაკარგა, კლდეს შეეჯახა, ამობრუნდა, ჩვენ გადმოვცვივდით. ერთი კაცი იქვე დაიღუპა, მეორე სახლში მიიყვანეს, კასრები მდინარე ცხენისწყალში ჩაცვივდა.

**— ალბათ ჩატარდა სამაშველო სამუშაოები და ამოიღეს დარიშხანიანი კასრები ან ნამტვრევები მაინც.**

— არავინ არ მოსულა. არაფერი არ ამოუღიათ ცხენისწყალიდან, რომ ამოეღოთ, აუცილებლად გავიგებდით.

**— ბარემ ისიც გაიხსენეთ, ცანაში მიმავალი მეორე მანქანა რომ გადავარდა ცხენისწყალში.**

— დიახ, ეს შემთხვევაც მახსოვს. ოღონდ მაშინ ძარაზე ტვირთი იყო, ზუსტად ვერ გეტყვით რა, რაღაც, რაც ცანაში სჭირდებოდათ.

ჩვენთან ბევრს ჰყავდა ფუტკარი, ახლა ერთ ოჯახსაც ვერ ნახავთ, ფუტკარი რომ ჰყავდეს, გაუწყდათ.

*რატომ მოხდა ეს შემაშფოთებელი ცვლილებები? ამ კითხვაზე ოფიციალური ექსპერტების პასუხს ჯერაც ელოდება სვანეთი... სვანეთი, რომელიც ისედაც უმძიმეს პირობებში ცხოვრობს, რომელსაც სტიქიური მოვლენები ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს. ორიოდე დღის წინ წვიმების გამო ისევ დაიმეწყრა იქაურობა, გზებზე ჩამოვიდა მეწყერი და მოძრაობა შეწყდა. მხოლოდ ადგილობრივი ძალების მოუღალავი მცდელობით გაიწმინდა გზები. ასე ხდება, ვინ იცის, წელიწადში რამდენჯერ. ასეთ პირობებში მცხოვრებ რეგიონს სუფთა ეკოლოგიური გარემო თუ არ შეუნარჩუნდა, ჩათვალეთ, რომ ძირითად სასიცოცხლო არტერიას გადავუჭრით. ამას კი სვანეთი — მნიშვნელოვანი სასაზღვრო, საკურორტო და ულამაზესი მხარე არ იმსახურებს.*

***ლელა ჯიყაშვილი***
***სვანეთიდან***

# აფხაზეთის ექო

## ნუცა ბებიას „ცოტნე დადიანს" ეძახიან...

ნუცა მეფორია ჩემი ბებიაა. იგი გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებში ცხოვრობს. აფხაზეთის ომის დროს ამ სოფელსაც ადგა დიდი გასაჭირი. ერთ დღეს, როცა გარემო საეჭვოდ მიჩუმათდა და დროებით შეწყდა ტყვიების ზუზუნი, სოფლის მოსახლეობა სამალავიდან ნელ-ნელა გამოვიდა. სწორედ მაშინ დაესხნენ თავს აფხაზები...

ნუცა ბებიაც თავისივე ეზოში დაიჭირეს და ოციოდე ტყვესთან ერთად სოფლის განაპირას, ერთ-ერთ სარდაფში შეაგდეს. სოფელს კი გამოსასყიდი მოსთხოვეს. სარდაფს ფანჯრები გარედან ფიცრებით აუჭედეს. ტყვეებს ცოცხლად დაწვას უპირებდნენ მეორე დილისთვის, თუ მათი მოთხოვნა არ შესრულდებოდა — საკმაოდ დიდი თანხა უნდა მოეგროვებინათ აფხაზებისთვის.

ბებიას ნათლულს აფხაზი ცოლი ჰყავდა, შუამავალი გამოძებნა ოჯახმა და აფხაზები მოხუცის გათავისუფლებას დაყაბულდნენ.

— რომელია აქ ნუცა მეფორია? — გაისმა ჩახუთულ სარდაფში აფხაზი მეომრის ხმა შუაღამისას.

— მე გახლავართ... — წამოიწია შეცბუნებული ბებია.

— შენ თავისუფალი ხარ, მაგრამ რადგან ბნელი ღამეა, შეგიძლია ერთი კაცი წაიყვანო და წახვიდე...

წამით სარდაფი გაირინდა. ყველა ნუცა ბებიას შეჰყურებდა იმედის თვალით, თითოეული ხავსს ეჭიდებოდა, იქნებ მე გამიყოლოსო... ცოტა ხანში კი თითქოს ყველამ ერთად ამოიდგა ენა: — ნუცა, მე წამიყვანე! ნუცა, მე წამიყვანე!... — ემუდარებოდნენ მოხუცს სასიკვდილოდ განწირული ტყვეები.

ნუცა ბებიამ ვერ გაუძლო ამ შემაძრწუნებელ სანახაობას:

— თუ დაღუპვა გვიწერია, მეც თქვენთან ერთად მოვკვდები... ნუ გეშინიათ, არსადაც არ მივდივარ,



მაგრამ იმედი მაქვს, ჩვენები ასე უპატრონოდ არ მიგვატოვებენ...

მტერი გაოცებული დარჩა ერთი ჩვეულებრივი ქალის ამ მართლაც გმირული საქციელით.

ტყვეები მეორე დილით მართლაც გაათავისუფლეს. მე და ჩემმა ძმამ კი ჩვენს საყვარელ ბებოს ამ გმირობის გამო „ცოტნე დადიანი" შევარქვით.

ჩვენი „ცოტნე დადიანი" ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია და ახლა ქვემო ბარღებში დარჩენილ ქართველ ბავშვებს ასწავლის.

ბებია თავის გულისტკივილს ხშირად ლექსებში აქსოვს. მეც დავესესხები და მისეული სტროფით დავასრულებ ჩემს მონათხრობს:

***ჰაჯი-უსუბ, შენი***
***კაცთმოყვარე ერი,***
***ეგრე რაღამ შეშალა***
***და გადარია,***
***ქვეყანაზე საფარ-ბეგი***
***მოგიმრავლდა,***
***ბათუსთანა ვაჟკაცები***
***სად არიან?!***

მართლაც სად არიან ბათუსთანა ვაჟკაცები?..

***ირაკლი გაგუა,***
***მარტვილის № 1 საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.***

ასლგადამღები აპარატები
ევროპიდან და იაპონიიდან
აღდგენილი და ახალი
1. იჯარა - ლიზინგი
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი
ქსეროასლები
შავ-თეთრი წითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი ქსეროასლები
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
საარჩევნო პლაკატების და ბუკლეტების
კომპიუტერული დიზაინი
ფოტოების მხატვრული გაფორმება, ბეჭდვა ნივთებზე, „ნაკლეიკები" თქვენი ბავშვის ფოტოთი, ეტიკეტები, აკინძვა, ლამინირება
Web-დიზაინი
თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89
შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო" Company LTD

საქართველოს
ეროვნულმა ბანკმა
9 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური
ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1200 |
| ევრო | 2,4062 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4202 |
| რუსული რუბლი | 0,0697 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5186 |

„ტონსტროისის" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, წაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი" აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

ფირმა „ლაზისი"
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად და ხარისხიანად ევროსტანდარტის
პროფილით ესპანური სისტემის საკეტებით
ფერები — სხვადასხვა.
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან,
სალაროების მხრიდან)
☎ 33-75-87; 899-18-66-15;
899-55-62-77; 34-52-93 (საღამოს)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## როგორ მივატოვე ავტოინსპექტორობა



ყოფილი ავტოინსპექტორი გახლავართ — კომუნისტების დროინდელი 20-წლიანი სტაჟით. ერთ უქმე დღეს შინ არხეინად ვისვენებდი. ცოლთან რაღაც შელაპარაკება მომივიდა და იმანაც გაბრაზებულმა მითხრა, — რას წამოგორებულხარ. გადი გარეთ, საღამოს, ერთ-ორ კაპიკს მაინც შემოიტან სახლშიო. მეც ავდექი, დავქოქე მანქანა და გაბრაზებული გავვარდი ეზოდან, შევარჩიე ერთი თავისუფალი ადგილი შავი ზღვის ქუჩაზე და დავდექი საშოვარზე. შემოვარდა ერთი უწესო მძღოლი წითელზე და ვისკუპე მანქანიდან, აღვმართე ჯოხი და გავაჩერე. გადმოვიდა ერთი ახმახი ვინმე, მე სიმაღლით ვარ ასე, 160 სმ-მდე. ავხედე ქვემოდან და დავუყვირე, საბუთები ჩქარა ან თუმანი ჯარიმა-მეთქი. ერთი შემომხედა და მკითხა: — შენთან აქ, მეორე ინსპექტორი რომ დგას, ის სად არისო. არ ვიცი, დღეს მე ვარ მარტო-მეთქი, ვუთხარი გაბრაზებულმა. მერე მარტო ხარ და კიდე გაჩერებას მიბედავ ამხელა კაცსო? და რომ გამომიქანა მუშტი, მე ცალკე გადავვარდი, ქუდი ცალკე მიგორავდა და ჯოხი ახლაც არ ვიცი, სად გადავარდა, ის კი არხეინად ჩაჯდა მანქანაში და გააგრძელა გზა. ძლივს ავდექი, ქუდი როგორც იქნა ვიპოვე ტალახში ამოვლებული, ცოტა მოვწესრიგდი. იქვე ვიყიდე შავი სათვალე და... ჯავრი ცოლზე ვიყარე. იმ დღიდან გავანებე ინსპექციას თავი და ახლა ყვავილებს ვყიდი. ასე რომ ინსპექტორებო, ფრთხილად, ფულის „კეთებისას“.

***ზ. ნონიკაშვილი, თბილისი***

## ლუდი და ნახირი



კახეთის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში (სახელს შეგნებულად არ ვასახელებ) იქაურმა ბიჭებმა ლუდით ქეიფი გადაწყვიტეს ბუნების წიაღში. ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანეს და სოფლიდან რამდენიმე კილომეტრით მოშორებულ წყაროს თავზე „ჩაუსხდნენ“. როგორც იცით, ჩვენში ლუდით ცუდ ადამიანებს ადღეგრძელებენ ხოლმე, მაგრამ იმ დღეს რატომღაც უკუღმართად მოიქცნენ კახელი ბიჭები — თავიდანვე პირობა დადეს, რომ ჩვეულებრივ სადღეგრძელოებს იტყოდნენ. წავიდა სმა, დალიეს თავიანთი მეგობრობის, ოჯახების, ნაცნობ-მოკეთეების სადღეგრძელოები და ამასობაში თავს სოფლის მენახირე წაადგათ. ბიჭებმაც სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს, სუფრასთან მიიპატიჟეს და ლუდით სავსე კათხა მიაწოდეს. რა თქმა უნდა, მენახირე საქმის კურსში არ იყო, აიღო კათხა და ღიმილით თქვა: — ვინც თქვენ ჩემს მოსვლამდე ადღეგრძელეთ, ყველას ასე და ისეო.

... იმ დღეს ნახირი მოქეიფე ბიჭებმა ჩარეკეს სოფელში, მენახირეს კი სიარულის თავი სადღა ჰქონდა „შეგინებულთა“ მუშტებისგან მიჟეჟილს.

***კობა შიბლიანელი, თბილისი***

## ეს მე ვარ, თქვენი ნაცარქექია!..

### რეიტინგის კვალდაკვალ...



გამარჯობათ, მე ნაცარქექია ვარ, ზღაპრიდან გადმოსახლებული გმირი. თანაც ყველაზე საყვარელი... არ გჯერათ? გადაშალეთ გაზეთის 35-ე გვერდი და ნახეთ — ყველას ვაჯობე, მკითხველის საყვარელი გმირი გავხდი! კომბლედან დაწყებული, დევით დამთავრებული, ყველა ხალიჩაზე გავაკარი.

აწყოს ახლა კომბლემ ჭერში კომბლები და ურახუნოს მერე თავში ლეიბორისტებსა და ნაციონალისტებს. ისე, კომბალი მარტო მაგათ კი არა, არც სხვებს აწყენდა! კარგად იცის კომბალმა, თანაც მარჯვედ მოქნეულმა, ჭკუის სწავლება.

თქვენ ხუმრობთ და, მართლა ბედი მქონია, კაციც მე ვყოფილვარ და ქუდიც მე მხურებია. ეს რა მაგარი ვინმე ვყოფილვარ — წიქარასაც ბევრით გავუსწარი და მზეჭაბუკ ცისკარასაც.

მართლა არ მეგონა, მძლეთამძლე ამირანს თუ დავჯაბნიდი. აღარც მის მიერ აბრიალებული ცეცხლის ძალა მოჰგონებიათ და აღარც თვით ღმერთთან შერკინება. გაგონილა, კაცო!

ერთი მატყუარა და ნაცრის ქექვით თავმობეზრებული ჩიაკაცი არჩიეს დევგმირს! სიზმარაც დამაჩაგვრინეს, ის სიზმარა, დღეს რომ ყველაზე კარგად გამოხატავს ჩვენი თანამემამულეების განწყობას — სიზმარში მაინც გაიხარონ და გალაღდნენ, თორემ ისეა ეს ქვეყანა არეული, ცხადში ვინ გაგახარებს... თუ შეგატყვეს, რამე საქმე წამოიწყე, თანაც სასიკეთო, იმდენი ვინმე ჩაგისაფრდება, თითები არ გეყოფა დასათვლელად, მანამ არ შეგეშვებიან, სანამ ყველაფერზე ხელს არ აგაღებინებენ... ან საზღვარგარეთ გაგაქცევენ, ან კიდევ... ეჰ, არ ღირს ახლა ყველაფრის თქმა...

ჭინჭრაქას ოინები თურმე ჩემთან რა მოსატანია, ან ასფურცელას და ხუთკუნჭულას სასიყვარულო თავგადასავლები. ყველაზე მოხერხებულიც მე ვყოფილვარ, ჭკუაც მე მქონია და გამჭრიახობაც...

ყველაზე მეტად მაინც დევი შემეცოდა. ჩემგან გაწამებულ-გასაცოდავებული, „კვირის პალიტრის“ მკითხველებმაც გაწირეს და ბოლო ადგილზე წამოასკუპეს!



ჩამოვიყვან ახლა დევს იმ ბოლო კვარცხლბეკიდან, ჩავჭიდებ ხელს და მივალთ კომბლესთან, გამოვართმევ ათას კომბალს (იმას არ ვეტყვი, რომ რეიტინგში ვაჯობე, ნურც თქვენ გამამხელთ სადმე), ავკიდებ ჩემს დევს ზურგზე ამ კომბლებს (რომელი ვერ გაუძლებს) და ვივლით აღმა-დაღმა არჩევნებამდე. თუ სადმე არეულ-დარეულობას წავაწყდით, მე ჩემს მოხერხებულობას გამოვიყენებ, დევი კიდევ თავის ძალას (კომბლებსაც, შიგადაშიგ!) და აბა, დაგვიდგნენ წინ მეამბოხეები და სკამ-სავარძლის მაძიებლები.

თქვენ გულს ნუ გაიტეხთ, იმათ მხარეზე დავდგებით, ვისი არჩევაც თქვენ გინდათ ამ ჩიტირეკია პარლამენტში. თქვენ კი რა გითხარით, ნეტავ აქამდე მოგეფიქრებინათ ჩემი ზღაპრიდან გამოხმობა, ხომ გვეშველებოდა ყველას...

***ნაცარქექიას ესაუბრა ელენე სალარიძე***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ჭიჭიკია საყვარელთან „შეიპარა“ მე-9 სართულზე. ძმაკაცები გააფრთხილა: — შეიძლება თათულის ქმარი მივლინებიდან დაბრუნდეს, ქვევით „ბრეზენტი“ გაშალეთ, დააკაკუნებს თუ არა, გადმოვხტებიო. კარზე დააკაკუნეს. ჭიჭიკია გადახტა. თათულიმ კარი გააღო:

— ქალბატონო, ჭიჭიკიას გადაეცით, ბრეზენტი ვერ ვიშოვეთ-თქო!

***ვანო შავდათაშვილი, თბილისი***



ახალგაზრდა რუსი სამშობიაროში მივიდა მეუღლის სანახავად, აკოცა და ბავშვის საწოლს დახედა. საწოლში შავი ახალშობილი დაინახა და წამოიყვირა, მაგრამ ცოლის „შემხვედრ“ შეტევას წააწყდა:

— კიდევ იტყვი, „ბაბნიკი“ არა ვარ და ზანგ ქალებში არ დავდივარო?!

***თემურ ტუღუში, ჩოხატაური***

სამსახურიდან დაბრუნებულ რაჭველს მეზობლებმა ამბავი დაახვედრეს, შენს ცოლთან საყვარელიაო. გაბრაზებული შევარდა შინ და ცოლის საყვარელს ძებნა დაუწყო. გარდერობში აღმოაჩინა შიშისგან აკანკალებული ჩია კაცი.

— ვინა ხარ შენ?!

— კოლია ვარ, კოლია!

რაჭველმა მაგრად გალახა კოლია და კიბეზეც დააგორა.

მეორე დღეს იგივე სცენა განმეორდა, ოღონდ რაჭველმა გარდერობში ორმეტრიანი კაცი აღმოაჩინა. შეშინებულმა სასწრაფოდ მიხურა გარდერობის კარი და ოთახში ვიღაცას დაუწყო ძებნა. — ის კოლია სად არის, კოლია, დედას ვუტირებო!..

***თამაზ ხელაძე, ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი***





სვანი აბარებს გამოცდას ავტოსკოლაში.

— ვთქვათ, მიდიხარ 90 კმ სიჩქარით. უცბად მანქანას ერთი საბურავი მოსძვრა და წინ გავარდა, როგორ მოიქცევი? — ეკითხებიან.

— მოვუმატებ სიჩქარეს.

— რატომ?

— საბურავს რომ დავეწიო!..

***ლ. ნასყიდაშვილი, თბილისი***



სვანი „ტელეატელიეში“ შევიდა:

— თუ შეიძლება ერთი ფერადი ტელევიზორი შემიკერეთ!..

***მერაბ უძილაური, თბილისი***



დილაადრიან მიხოს ჭიშკართან ზაქარა დგას და იძახის. გამოდის გოგია.

— გოგი, მამაშენ უთხარ, ზაქარა იყო და ხაშზე გადმოვიდეს!

— მამაჩემი წუხელ გაგლეჯილი მთვრალი მოვიდა, დაწვა და... ამ დილით... — აზლუქუნდა გოგია.

— რაა ამ დილით?!

— მოკვდა, მოკვდა! — ხმამაღლა ატირდა გოგია.

— ვაჰ, განა იგრე როგორ მოკვდა რო, ხაში ველარა ჭამოს, კაცო?!

***ტატო ი., თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ფელეტონებს და იუმორესკებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.

C M Y K

## მილოცვა



**ნანუცა ყარმაზანაშვილს!**

ჩვენი ოჯახის სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ, შენი ცხოვრება სილამაზით, სიხარულით და ღმერთის წყალობით იყოს სავსე.

*შენი პაპინო და ბებონი*

**თემურ მიმინოშვილს!**



მთელი სულითა და გულით გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ყოველივე კარგს, წმინდასა და საუკეთესოს. გისურვებ ულევ სიხარულს, ბედნიერებას ყველა იმ ადამიანთან ერთად, ვისაც თქვენი ბედნიერება უხარია, ვისაც უყვარხართ. ყოველთვის ბედნიერი მენახე, საყვარელო თემური ნათლია. გისურვებ წარმატებებს მთელი ცხოვრების მანძილზე. მაღალი ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის მფარველი.

*ლიკა ქვილითაია*

## ბინები

მაღალი დონის საკუთარი სახლი ხეხილიანი ეზოთი, ავტოფარეხით, მანქანების გასაჩერებელი ადგილით, ვაკის პარკთან, ელჩების უბანში – ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ადგილას. ტელ: 23-24-67

სასწრაფოდ იყიდება! საგურამოდან 1 კმ-ში ახლადაშენებული ევროდიზაინის სახლი (ს/ფ – 350 კვმ, ეზო – 1200კვმ), შიდატერასული 4 სართულით, 4 საძინებლით – თავისი სააბაზანო-ტუალეტებით, შიდა აუზით, ბუხრით, კაპიტალური ღობით, დეკორატიული ბაღით, მუდმივი დენით, ბ/აირით, ცხელი და ცივი წყლით. ტელ: 877 40-15-83; 877 75-45-17

იყიდება კერძო, 2-სართულიანი, ახალგარემონტებული სახლი ეზოთი, 6 ოთახით, 2 ლოჯიით, ღია აივნებით, ცენტრალური გათბობით, ტელეფონით, მ „ნაძალადევთან", 250 მ-ში. ფასი $30.000. მის: წიკლაურის ქ. №24. ტელ: 69-43-15

## ქირავდება

საოფისე ფართი აღმაშენებლის №154-ში, თერთმეტსართულიან შენობაში (მწვანე მინებით, დანიური სკოლის გვერდით), შეღავათიან ფასად. ტელ: 95-34-73; 95-36-57; 899 58-48-23

1, 2 და 3-ოთახიანი, კომფორტულად მოწყობილი ბინები, პარლამენტთან ახლოს, ბესიკის ქ. №9-ში, საოჯახო სასტუმროსავით, დღიურად. ერთდროულად მივიღებთ 10-15 კაცს. ფასი: 1 დღე, 2 ადამიანი – $15, $30, $40, $50 და $100. არის შეღავათებიც. ტელ: 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86

ვაკის პარკთან, მე-2 სართულზე, 3-ოთახიანი ბინა ევრორემონტით, ავტოფარეხით, კონდიციონერით, გათბობით, ცხელი წყლით, ტელეფონით, ავეჯით. ფასი $1.000 (შესაძლებელია გრძელვადიანი დროით გაქირავებაც). ტ: 23-24-67

## გთავაზობთ სამუშაოს

გვჭირდება განათლებული ადამიანები ოფისში სათანამშრომლოდ. სამუშაო კონტრაქტითაა. მსოფლიოში საუკეთესო მუშაკებს, შანსი ეძლევათ ყოველ 3 თვეში უფასოდ წასვლისა საზღვარგარეთ, სამუშაოდ ან სტაჟირებით (კომპანიის პროფილით). გამომუშავება – ყოველდღიური, თვეში – საშუალოდ 300-600 ლარი. მიმდინარეობს შერჩევა. ფირმის საერთაშორისო მენეჯერი ბ-ნი დავითი. მის. „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94; 899 90-54-78

ოფისში, ადგილზე სათანამშრომლოდ კომპანიას ესაჭიროება უმაღლესი განათლების მქონე სხვადასხვა სპეციალობის ადამიანი. წარმატებული თანამშრომლები სურვილისდა მიხედვით გაიგზავნებიან საზღვარგარეთ სტაჟირებაზე. გამომუშავება – $200-300. მის: ჭოველიძის ქ. №2, IV სართ. ოთახი №415. საერთაშორისო მენეჯერი ლელა. ტელ: 93-38-46; 57-69-73

პრესტიჟული მაღაზია სამუშაოდ იწვევს 30 წლამდე ასაკის მაღალ, სიმპათიურ გოგონებს კონსულტანტის თანამდებობაზე სამუშაოდ. მსურველებმა მოგვმართონ 11 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით, 12-18 სთ. მის: ვაჟა-ფშაველას №10. ტელ: 37-30-19

## მომსახურება

ფირმების რეგისტრაცია (შპს, არასამთავრობო ორგანიზაცია), აუდიტი, ქონების შეფასება, საბუღალტრო მომსახურება, საგადასახადო ინსპექციაში დეკლარაციების ჩაბარება. ტელ: 33-30-88; 61-36-42 (საღამოს)

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველივე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

## ტურიზმი

დასვენება ქობულეთში, კერძო ბინებში და სამჯერადი კვებით კაფეში. 10 დღე – 80-100-120 ლარი, ბინის კომფორტის მიხედვით და კვების საფასურის ჩათვლით. ბავშვებზე და ჯგუფებზე – შეღავათები. ცნობებისთვის: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. 113/115, (ეზოს სიღრმეში, სამკ. ცენტრი), კაბ №31. ტ: 69-18-38 (ბინა); 91-18-38 (სამს); 877 41-86-16. ცისანა სუმბაძე

„დილა პლუსი" უზრუნველყოფს შეღავათიან, კომფორტულ დასვენებას საქართველოს ზღვისპირა კურორტებზე: ბათუმი, ქობულეთი, კვარიათი, გონიო, სარფი, მწვანე კონცხი, ციხისძირი, ჩაქვი, ურეკი – სასტუმროებში, კოტეჯებსა და კერძო სექტორებში; ასევე ბორჯომი, ბაკურიანი; დასვენება თურქეთის კურორტებზე.
Website: http://dilaplus.gol.ge
E-mail: dilaplus@nm.ru ტელ: 98-69-51; 899 54-00-79. მის: აბელიშვილის (ყოფ. მელიქიშვილის) ქ. №21

## მკურნალობა

სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან მეღმუშაკი მაყვალა ცინცაძე წინაპართა გადმოცემით ამზადებს მალამოებს და საფენებს. მკურნალობს სახსრებს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), ართროზს, საშწვერა ნერვის ანთებას, პოლიართრიტს, რადიკულიტს (მხოლოდ ჰაიმორიტი, ფრონტიტი იკურნება 8-10 დღეში სრული გარანტიით). ტელ: 35-81-81, 34-62-51

ადამიანის მთლიანი ორგანიზმის უზუსტესი კომპიუტერული დიაგნოსტიკა ბიორიტმების საშუალებით. შესაბამისად ინიშნება მკურნალობის კომპლექსური კურსი უვნებელი მცენარეული პრეპარატებით და აპითერაპიის (ფუტკრის) პროდუქტებით. მის: აღმაშენებლის №109 (ეზოში, ხელმარცხნივ, ნაცრისფერი გისოსებიანი ოფისი). ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით, 10-18 სთ, გარდა კვირისა: 94-19-84; 96-35-92 (სამს); 897 58-29-18

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების ფინანსებისა და სამართლის ქართულ-ბრიტანული ინსტიტუტი აცხადებს მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე: იურიდიული, ეკონომიკური, უცხო ენების, პედაგოგიური, დიპლომატიური, ჟურნალისტიკა, კომპიუტერული ტექნოლოგიები. წლიური გადასახადი $150. მის: შარტავას №7 (შრომის სასახლე), მე-15 სართ. ტელ: 38-76-52; 38-08-78; 590-590

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა (იურიდიული); 2. ეკონომიკური; 3. უცხო ენები. უმაღლესდამთავრებულები ჩაირიცხებიან მე-3 კურსზე. ფასი 150 ლარიდან. მის: თოფურიას №12, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 30-51-30; 32-06-97; 32-82-60

## სხვადასხვა

ამერიკულ-უნგრული საერთაშორისო ბიზნეს-ცენტრი, რომელმაც 1 ივლისიდან დაიწყო საქართველოში ფუნქციონირება, ავითარებს ახალ ბიზნესს ამიერკავკასიაში. გვესაჭიროება რამდენიმე ბიზნეს-პარტნიორი, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან. ტ: 877 71-69-35. მერაბი

## ხსოვნა

**მამუკა ნიბლიაშვილის გახსენება**



13 აგვისტოს ერთი წელი გახდება, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. დაგვრჩა შენი ლამაზი სურათები და ის აუწერელი მწუხარება, რასაც შენი არყოფნით განვიცდით, უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე. თავი მოიყარეს შენმა ახლობლებმა და შენმა უახლოესმა მეგობრებმა, რომლებიც ტკბილად იხსენებდნენ შენთან გატარებულ ლამაზ დღეებს. ვერაფრით ვინუგეშებ, შვილო, თავს და ვერც ვერაფრით ვანუგეშებ გაუბედურებულ და დამწუხრებულ შენს მშობლებს. ხსნას მხოლოდ ლოცვასა და უფლის რწმენაში ვეძებთ. მჯერა, რომ შენი სული მარადიული და უკვდავია და შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

*მამიდა და მამიდაშვილები – გია და ეკა*

**მზიურა კანანაძის ხსოვნას!**



ჩვენო ლამაზო, სათნო და საყვარელო მზიურა! უდროოდ შეწყდა შენი გულისცემა!

შეწყდა მაშინ, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა შვილებს – ლელას და ლაშას, შვილიშვილს – ალექსანდრეს, 94 წლის დედას, ახლაც რომ ცოცხალი ჰგონიხარ, შენი უძრავი სხეულის წინ წინ მწუხარებით თავდახრილ და-ძმებს და მათ ოჯახებს, ნათესავებს, მეგობრებს, მეზობლებს, კოლეგებს.

ეს საჭიროება გაიძულებდა ზეადამიანური გააფთრებით გებრძოლა მოვლენილ ავადმყოფობასთან, რომლის გასაღებიც კაცობრიობას ჯერ კიდევ ვერ მოუძებნია!

ავადმყოფის მკურნალობას სიტყვით, ღიმილით და ღვთიური სიყვარულით იწყებდი და თითქმის უკვე დამარცხებულ სენს ჭკვიანურად, შერჩეული ხერხებითა და სწორად მიგნებული წამლებით საბოლოოდ ულებდი ბოლოს. რამდენი მადლობა დაუხვდება წინ შენს შთამომავლობას, სიტყვით, წერილებით – პრესაში თუ პრესის გარეშე – პაციენტის გულებში ღრმად და თბილად შენახული! საოცარია, როგორ ახერხებდი, ოჯახისთვის შეწირული და თავდადებული, ამხელა ენერგიის ხარჯვას სამსახურში!

მოყვასის კეთილდღეობისათვის უშურველს საკუთარი თავი დაგრჩა ყურადღების გარეშე, შედეგმაც არ დააყოვნა – ავადმყოფობის საშინელი ურჩხული აღიმართა შენ წინაშე, თავისი ბოროტი საცეცებით. შენთვის დამახასიათებელი შეუპოვრობით შეები და კიდევ რამდენიმე რიგითი სასწაული მოახდინე – რამდენჯერმე წამოუდექი უკურნებელ სენს, რამდენიჯერმე დაუბრუნდი შენს მეორე ოჯახს – ჩვეულ და საყვარელ სამუშაოს.

ავსტრალიელი მწერალი ქალის ბესტხელერის სიუჟეტს იგონებდი ხოლმე ხშირად – ძეძვის ტანმორჩილი ჩიტი სასიკვდილო ეკალს რომ იყრის გულში და სასოწარკვეთილი, მაგრამ საოცრად მიმზიდველი გალობით რომ ემშვიდობება ქვეყანას. შენი სიცოცხლის ბოლო წუთები რაღაცით წააგავდა ამ საოცრად ლამაზი და მომხიბლავი ფრინველის ბოლო წუთებს, ოღონდ გულის ჩხვლეტის ტკივილი იყო ჯოჯოხეთური და გაუსაძლისი, ისეთი – სიკვდილს რომ მონატრებს ადამიანს!

ბრძენ კაცს უთქვამს: ბედნიერია ის, ვინც სიცოცხლეში ერთხელ კვდებაო. ბედნიერი ხარ, რომ შენი ხანგრძლივი ავადმყოფობის განმავლობაში ერთხელაც არ გახდი ადამიანთა ყველაზე საზიზღარ და აუტანელ ფენომენთა – უმადურობის, ამაგის დაუფასებლობის, ჩივილის თუ წუწუნის მოწმე.

სენმა იმძლავრა... მაგრამ ვერ, გძლია. შენ, ეკვეთავე მზიურავ დარჩი – ლამაზი, სათნო, მომტევებელი...

და ეს იყო შენი ყველაზე დიდი გამარჯვება!

ეს იყო შენი ბოლო გამარჯვება!

ამ გამარჯვებით საუკუნო სასუფეველი დაიმკვიდრე ზეციურ საქართველოში, სადაც მოუთმენლად გელის შენი საყვარელი მამიკო!

გემშვიდობებით ჩვენო ლამაზო, სათნო და საყვარელო მზიურა!

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ქართული მიწა, რომლის სიყვარულსაც შესწირე შენი ხანმოკლე, მაგრამ, საოცრად ლამაზი და ნათელი სიცოცხლე.

*თსსუ აკად. ნ. ყიფშიძის ცენტრალური კლინიკის დღის სტაციონარის განყოფილება, სხივური დიაგნოსტიკის და სხივური თერაპიის კათედრა*

**ჯემალ შაშვიაშვილის მოგონება**



ჩვენო ძვირფასო და საყვარელო მამა, თვალის დახამხამებაში გაირბინა სამმა წელმა. ძალიან ძნელია უშენობა. ჩვენო მშვენიერო და ყველასათვის კეთილო, გვიჭირს უშენობა. მიუხედავად დროის სვლისა, შენ ჩვენი მოურჩენელი ტკივილი ხარ. შენ ხომ უჩვენოდ ვერ ძლებდი, ყოველთვის ჩვენი იმედი იყავი, ახლა გვჭირდება შენი თანადგომა, მაგრამ უცაბედმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. ახლა ისღა დაგვრჩენია, მოვიდეთ შენს საფლავთან, დავანთოთ სანთელი და ვილოცოთ შენთვის, რათა ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი ლამაზი და სპეტაკი სული.

*შენი შვილები*

**რაინდი ძაგანიას ხსოვნას!**



3 წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან. დრო მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ ამ ტკივილს ვერაფერი დაგვავიწყებს.

ჩვენო რაინდი! ყოველთვის გვეყვარები და გვეხსომები გულისხმიერი, ღვთის მოყვარული, არაჩვეულებრივი მამა, შვილი, ძმა, ბიძა და მეგობარი. უფალს ვთხოვ შენი ლამაზი, ვაჟკაცური სულის მარადიულობას.

*დღედაღამ შენს სულზე მლოცველი შენი ოჯახი*

**გრიშა (ბიძინა) მეტრეველის გახსენება**



ბიძი, ჩემო სიყვარულო, ჩემო სიხარულო და ჩემო სიცოცხლევ, ტკივილიანი გულით და ცრემლიანი თვალით გილოცავ დაბადების დღეს – 12 აგვისტოს. მუდამ ნათელში მეყოლე, მუდამ ია-ვარდით იყოს მოფენილი შენი გზა და ადგილსამყოფელი. ჩემო ძვირფასო და საყვარელო ბიძი, მენატრები უსაშველოდ, ვერაფრით შევეგუე უშენობას, შენი იმედის და სიყვარულის მოკლებას. რაც დრო გადის, მით მეტად მაკლიხარ, მეტად ვიტანჯები მარტოობით. შენ თავს ვფიცავარ, სიცოცხლე აღარ მინდა. ტირილის მეტს არაფერს ვაკეთებ. დღეში რამდენჯერმე უნდა დავხედო და მოვეფერო შენს სურათებს და ტანსაცმელს. გეხვეწები ძალიან, წამიყვანე შენთან, აქამდე სულ ერთად ვიყავით სახლში, სამსახურში და დასასვენებლადაც, ახლაც მინდა შენთან ყოფნა.

*„ოღონდ შენ გვერდით ვიყო,*
*შენი გულის ძგერა მესმოდეს,*
*შენს სუნთქვას ვგრძნობდე და*
*ჯოჯოხეთსაც სამოთხედ მივიჩნევ".*

*მეუღლე თამარი*

**ოთარ ჭინჭარაძის გახსენება**



ჩვენო საყვარელო ოთარ, 40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ჩვენ გვერდით აღარა ხარ; 40 ცრემლიანი დღე, მას შემდეგ, რაც სიცოცხლის სანთელი ჩაგიქრეს სამუდამოდ. გაუსაძლისია შენი საცოდავი, მოხუცებული დედის სიცოცხლე, რომლისთვისაც ყოველი დღის დაღამება მხოლოდ შენამდე გასავლელი გზის შემოკლება იქნება.

გაოგნებულები ვართ შენი დედმამიშვილები და მთელი ჩვენი სიცოცხლე ალბათ ტვინს გაგვიხვრეტს ეს კითხვები, თუ ვინ? რისთვის? რატომ? ჩვენო მოუნელებელო ტკივილო, დანით აკუწვაც არ გაკმარეს და დედის მე-9 შვილს უპატრონო გიწოდეს. უფალი მიუზღავს ყველას თავისას. შენ კი, ჩვენო კეთილო, მხიარულო, ჭკვიანო, გვჯერა, რომ იმ ქვეყნად ნათელში დაიმკვიდრებ სასუფეველს.

*შენი დედა და დედმამიშვილები*

**გვენატრები, ეკა!..**



7 აგვისტოს 30 წელი სამუდამო სასუფეველში მოგილოცეთ, ეკა! პატარა ეკამ მოგიტანა შენი საყვარელი ყვავილები. პატარა ეკამ, შენმა ძმისშვილმა, შენი სახელი რომ დავარქვით და უშენობის ტკივილს მალამოდ რომ ედება. მაგრამ არა, შვილო, გაუსაძლისია უშენობა. 5 წელი 5 საუკუნედ იქცა. სიცოცხლით სავსე, საპატარძლოდ გამზადებული, მოულოდნელად გამოგვეცალე ხელიდან... წახვედი და უსაზღვრო ტკივილი დაგვიტოვე. მაგრამ თითქოს მაინც ბედნიერები ვართ, რომ ჩვენს ცხოვრებაში იყო ის 25 წელი (გარდაცვალებიდან 10 დღის შემდეგ რომ შეგისრულდა), რომელიც შენით იყო სავსე, შენი სითბოთი, შენი სიყვარულიანი გამოხედვით, გადამდები სიცილით და იმ სიკეთით, ყველასადმი რომ იჩენდი განურჩევლად. ამიტომაც ზღვა ხალხმა დაგიტირა, ეკუნა... რა ვქნათ, შვილო, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. ეტყობა, უფლის ნებაც ეს იყო, მალე წაეყვანე თავისთან. რა ბედნიერი ხარ იმ ვიდეოკადრებში, შენი ხანმოკლე სიცოცხლის ბოლო წლებს და დღეებს რომ ასახავს, გიყურებთ და ცრემლი თავისით პოულობს გზას. მოვდივართ შენს საფლავთან და იქაც შენი ღიმილიანი სურათები გვხვდება... ვანთებთ სანთლებს შენთვის და იმ სანთლების შუქზე შენს გაღიმებულ სახეს ვხედავთ... თითქოს ამ ღიმილით გვამშვიდებ, გვეხმარები, რომ ცოტა ხანს კიდევ გავძლოთ და ვიცოცხლოთ შენი სულის მოსახსენებლად. რაც დრო გადის, მით უფრო გვენატრები, ეკა! ნათელში ამყოფოს უფალმა შვილო, შენი სული...

*შენი მშობლები – ლევან ძამუცაძე და ალექო ტყეშელაშვილი*

**როზა იასაშვილი-პაპალაშვილის გახსენება**



ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ, ჩვენო საყვარელო დედა. რამდენი ხანია აღარ დამიძახია ეს ლამაზი სიტყვა – დედა! ძნელია უშენობა, დედა, ძალიან გვენატრები. შრომასა და ოჯახზე ზრუნვაში გალიე შენი სიცოცხლე, ჩვენო სათნო, კეთილო, ყველასთვის საყვარელო ადამიანო. როგორ გინდოდა შენი შვილიშვილებისთვის გეცქირა, მაგრამ არ დაგცალდა. არასოდეს დამავიწყდება შენი სევდიანი თვალები, შველას რომ გვთხოვდი, მაგრამ ვერაფერი გიშველეთ. უკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი. ასეთი ძლიერი სულის ქალს, მეგონა სიკვდილი ვერ მოგერეოდა, მაგრამ ამაოდ. ამბობენ, დრო ყველაფრის მეკურნალიაო, მაგრამ ვერანაირი დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რაც შენმა იმ ქვეყნად წასვლამ მოგვაყენა.

ღმერთმა გაცხონოს და ნათელში ამყოფოს შენი კეთილშობილური სული, დედა.

*შვილები*

**გია (კოფე) კობერიძის ხსოვნას!**



უკვე ერთი, ტკივილით და დარდით სავსე წელი გავიდა, ჩვენო საყვარელო გიო, შენი მოულოდნელი და თავზარდამცემი სიკვდილიდან. 11 აგვისტოს 35 წლის ხდები, გიო, ჩვენო ლამაზო, თბილო, ზრდილობიანო, სიკეთით სავსე ბიჭო. როგორ გვენატრება შენი თბილი და ალერსიანი ღიმილი, როგორ დაგვაკლდი, გიო, ყველგან შენ დაგეძებთ, ყველგან შენს კეთილშობილებას ვეძებთ, ჩვენო გაუნელებელო ტკივილო. შენ სიძე კი არა, ღვიძლი შვილივით და ძმასავით საყვარელი იყავი ჩვენი ოჯახისათვის. შენი უსაყვარლესი მეუღლის – შენი ლიკას ხსოვნასა და სიყვარულში გაგრძელდება შენი ლამაზი სიცოცხლე, თქვენი ულამაზესი სიყვარული. დაე, ყველა ჩვენთაგანის სიყვარულმა გაგინათოს იმქვეყნიური გზა. ვილოცებთ და უფალს შევთხოვთ, შენს ნათელ სულს სასუფეველი დაუმკვიდროს.

*სიდედრი დალი, ცოლისდა დიანა, ქვისლი გოჩა*

**დათო (ტიგრა) გაბელაიას!**



13 აგვისტო შენი დაბადების დღეა, დათო! 19 წლის გახდებოდი, მაგრამ განგებამ სამარადისო სასუფეველს მიგაბარა. ბუნებამ რა ბედი გარგუნა, ასე ტრაგიკულად რომ დაამთავრე სიცოცხლე! ძალიან მენატრები, ჩემო ერთგულო მეგობარო და მუდამ, სიცოცხლის ბოლომდე გვეყვარები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩემო „ტიგრა".

*შენი გიორგი (კიკოლი)*

**ნატო ჯავახიშვილის ხსოვნას!**



ნატო, შვილო! მეორე ზაფხული, მეორე დაბადების დღეა უშენოდ. 17 აგვისტოს 20 წელი გისრულდება. გილოცავთ, შვილო. ძნელია ამ ლამაზი თარიღის საფლავზე მოსვლით მოლოცვა, ჩვენ ხომ წინასწარ სხვანაირად გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ 18 წლისამ მოულოდნელად მიგვატოვე და შენი ლამაზი ფიქრებითა და ოცნებებით ზეციურ ცხოვრებაში გადაინაცვლე, ჩვენ კი სამუდამო ტკივილი, დარდი და მწუხარება დაგვიტოვე. გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული ტკივილი. შენ ხომ ჩვენს ფიქრთა მუდმივ თანამგზავრად იქეცი. ნატო! ძალიან გვენატრები, გვიყვარხარ და გვაკლიხარ. მუდამ ვილოცებთ შენი სულის სიმშვიდისათვის.

უფალს შევთხოვთ, შვილო, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ოჯახი*

**ვახო შერაზადიშვილის მონატრება!**



დღეს, 11 აგვისტოს მოვალთ შენს საფლავთან, ავანთებთ 25 სანთელს და მოგილოცავთ დაბადების დღეს.

მოულოდნელი და შემზარავი იყო შენი ტრაგიკული სიკვდილი. წახვედი ზღაპრული მომავალის რწმენით უცხოეთში და უცებ, ერთ წამში გაქრა შენი უამრავი ოცნება, ფიქრი.

ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, გვენატრება შენი ხმის გაგონება, შენი დანახვა, ჩვენო ლამაზო, ალალი გულის პატრონო.

უშენობა უსაშველო ტკივილია, ჩვენო ვახო – ტკივილი, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს.

*შენი გამწარებული მშობლები, ძმა და დები*

**ალიკა ბერიძის ხსოვნას!**



სევდითა და ტკივილით, საოცარი მონატრების განცდით გასრულდა ერთი წელი. გაცვეთილ ფრაზას ვიმეორებთ, – დრო ყველაფრის მკურნალიაო. არა და არა, დრო უფრო მძაფრად აღვიძებს მონატრებას და შენთან გატარებულ დღეებთან გვაბრუნებს. დღეები კი საოცრად ლამაზი, ხალასი, უამრავი სიხარულით სავსე იყო. თუმცა ხანმოკლე, მაგრამ თავისი შინაარსით თითქმის უკვდავებას გაუტოლდა და ჩვენს ხსოვნაში მზეჭაბუკისმაგვარ ვაჟკაცად და უსაზღვროდ კეთილ ალიკად არსებობ. არსებობ ღია ჭრილობად და მარადიული სიკეთის სიმბოლოდ რჩები, თუმცა შენ გარეშე ყოველივე გაცრეცილ ფერებად გვესახება. ელფერდაკარგულია შენი ეგზოტიკური ეზო, სადაც ყვავილები ულიმღამოდ ყვავილობენ; ნაცრისფერია შენი ოთახი, გიტარამ საყოველთაო გლოვა გამოაცხადა და შავი ბაფთით შეიმოსა, ჰო, შენი ხელის სითბო მოაკლდა, შენი მარდი თითების შეხება მოაკლდა. წამლეკავმა ტკივილმა გამოჟონა სულიდან და დაუამებელ ტკივილად დარჩა. იმედად ის გვრჩება, რომ ბოლოს ყველა ერთად ვიქნებით, რამეთუ ყველას დასასრული ხომ მარადისობაა. ვკოცნით და ვეფერებით იმ მარადისობას, რომლის ბინადრადაც გვეგულები. ჩვენ ბევრნი ვართ და სანამ ერთი მომგონებელი გვეყოლება, შენც ჩვენთან იქნები, მაგრამ მონატრებას, უსაშველო მონატრებას რა ვუყოთ?

*შენი დეიდაშვილები – ელზა და ეკა ლომიძეები*



# ტანგოს სისხლიანი კანონი

## ყველა ნამდვილი ტანგუერო ტანგოთია ავად...

წლევანდელი ზაფხულის ჰიტი — ტანგოა. დაბრუნდა 60-იანი წლების ნიუ-იორკის მოდა. მაგრამ რატომ? ტანგო ხომ უფრო სიკვდილთანაა დაკავშირებული, ვიდრე სიცოცხლესთან. თუმცა სისხლიც სიცოცხლის განუყრელი ნაწილია. საკმარისია, ამ ცეცხლოვანი ცეკვის დაბადების ზოგიერთი წვრილმანი გავიხსენოთ, რომ მივხვდებით, რაც უდევს საფუძვლად მას.

ტანგო ბუენოს-აირესის საროსკიპოებში დაიბადა და მისი მთავარი გმირები საროსკიპოს მეპატრონე ქალი და მისი სუტენიორი იყვნენ, პირველი შემსრულებლები კი საროსკიპოს კლიენტები. ცეკვას მათ სუტენიორი ასწავლიდა. თავდაპირველად, მამაკაცები თითო-თითოდ, ან ერთმანეთთან ცეკვავდნენ თავიანთი რიგის მოლოდინში. ხანდახან ლამაზმანებიც უერთდებოდნენ კლიენტებს სექსის წინ მათი წარმოსახვის გასაღიზიანებლად. სწორედ ეს ედო საფუძვლად ტანგოს. ახალი ცეკვა რამდენიმე ჟანრის უცნაურ შერწყმას წარმოადგენდა. მუსიკალურ ფონს ღარიბული ორკესტრი ქმნიდა — ბანდონეონი (აკორდეონის სახესხვაობა), დანჯღრეული პიანინო, ვიოლინო და გიტარა. როგორც კი ბანდონეონის პირველივე აკორდი აჟღერდებოდა, ქალსა და მამაკაცში ერთდროულად ილვიძებდა ავხორცობა და ვნება — მოცეკვავეები ცეკვისას სიყვარულის ქურუმებად იქცეოდნენ. ამიტომაც უწოდა ბორხესმა ტანგოს „ჰორიზონტალური სურვილის ვერტიკალური გამოხატვა“. ტანგოს შემქმნელებს წინა პლანზე მისი სექსუალური ხასიათი გადმოჰქონდათ, მაგრამ, გარდა ამისა, მხოლოდ ბორხესმა მიაქცია ყურადღება მის სისხლიან ქვეტექსტს. არც არავის უცდია მანამდე სიყვარულის ცეკვის, ტანგოს, როგორც მკვლელობის ისტორიის აღწერა. თურმე ამაოდ — დრომ ვერ ამოძირკვა მისი კრიმინალური წარსული.

ტანგოს ტრიუმფული სვლა მსოფლიოში გასული საუკუნის 10-იან წლებში დაიწყო. პირველად პარიზი „დაიპყრო“. წითელი ხავერდის ფარდები, მიბნედილი მზერა, შეღებილი თვალები — აი, 20-იანი წლების ტანგო-სალონების ატმოსფერო.

30-იან წლებში ტანგო თითქმის გაუფერულდა და ეს მეორე მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. სამაგიეროდ, ომის შემდეგ ისევ აბრიალდა ტანგოს ცეცხლი, არგენტინელები კარგი გასამრჯელოს ფასად ევროპელებს ამ ეგზოტიკურ ცეკვას ასწავლიდნენ. თუმცა ევროპაში ტანგომ დაკარგა ველური მომხიბვლელობა. ევროპელებმა მას თავშეკავება და სიმკაცრე „ასწავლეს“.

ტანგოს ბედნიერის გარდა, ტრაგიკული დროებაც ახსოვს. 60-იანი წლების შუახანებში ნიუ-იორკი შეძრა მოდურ ტანგო-კლუბში მომხდარმა რამდენიმე სასტიკმა მკვლელობამ. მსხვერპლნი, ძირითადად, რესპექტაბელური ოჯახების ქალიშვილები იყვნენ. პოლიციამ ძლივს იპოვა დამნაშავე — იმავე კლუბის მეპატრონე, სწორედ ტანგომ შეშალა და აქცია იგი მკვლელად...

60-იანი წლების ევროპასა და ამერიკაში ახალმა სიომ დაქროლა. ქალებმა და მამაკაცებმა ყველა სოციალური ნიღაბი ჩამოიხსნეს. მათ ნამდვილი ქალურობისა და მამაკაცურობის შეგრძნება მოუნდათ. საამისოდ მხოლოდ ტანგო გამოდგებოდა.

თუ ოდესმე ყოფილხართ არგენტინულ ტანგო-კლუბში, აუცილებლად შენიშნავდით, როგორ ცვლის ცეკვა ადამიანებს — მამაკაცებს თვალები უელავთ, ქალებს სისხლი უდუღთ, მაგრამ საკმარისია, მიჩუმდეს მაგიური მელოდია და... მოცეკვავეები ნათურებივით ქრებიან. ცნობილმა ტანგოს მოცეკვავემ, პაკო პერეირამ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: ტანგო ფანტასტიკურად ცვლის ადამიანს არა მარტო სულიერად, გარეგნულადაცო. ბუენოს-აირესის ტანგო-კლუბებში წლების განმავლობაში ერთი და იგივე წყვილები ცეკვავენ. უკანასკნელი აკორდის გასრულებისთანავე, ერთმანეთს გალანტურად ემშვიდობებიან... დღისით კი ერთმანეთს ვერ ცნობენ — იმიტომ, რომ ღამით სხვანაირები არიან.

ტანგოს თავისი დაუწერელი კანონები აქვს. პირველი — ყველა ნამდვილი ტანგუერო, ადრე თუ გვიან, ცეკვის ქურუმი ხდება. მარტივად რომ ვთქვათ, ჭკუიდან იშლება, ტანგოთია ავად. ტანგუეროსთვის ყველაზე მომაკვდინებელი ქალის დაცინვაა. ქალმა, რომელიც უარყოფს პარტნიორს — იქნება ის სუტენიორი თუ ჯენტლმენი — შეიძლება საკუთარი სიცოცხლით აგოს პასუხი. ტანგო რიტუალია, რომელიც ყოველთვის როდი მთავრდება სიყვარულით. მას არცთუ იშვიათად სიკვდილიც მოაქვს. ეს სულაც არ გახლავთ ლიტონი სიტყვები — ტანგო ერთდროულად სიყვარულისა და მკვლელობის ისტორიაა.

ტანგო — ქალაქის ფსკერის გამოწვევაა რესპექტაბელური საზოგადოებისთვის ნასროლი. ტანგო — იარაღია, რომლითაც ქალაქის ღატაკი გარეუბანი მაძღარ ბურჟუაზიულ ცენტრს უტევდა.

ტანგოსა და სიყვარულზე ყველამ ყველაფერი იცის. ის კი, რომ ტანგოს მოკვლაც შეუძლია, ბევრმა არ იცის. უბრალოდ იმიტომ, რომ სიყვარულის ისტორია ტანგოში ის ბრჭყვიალა გარეკანია, რომლის მიღმა სიძულვილის ისტორია იმალება.

# მშობლების საფლავზე დაღვრილი ცრემლები

## ელენა მაიაკოვსკაიას მონათხრობიდან



პატრიცია ტომპსონი, იგივე ელენა ვლადიმირის ასული მაიაკოვსკაია, უკვე 77 წლისაა. მას ისე, უბრალოდ, ვერ ჩაუვლი — მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული აღნაგობა და ძლიერი ენერგეტიკა არ გაძლევს ამის საშუალებას.

ელენა მაიაკოვსკაია, ავტორი წიგნისა „მაიაკოვსკი მანჰეტენში“ ამბობს:

„დედაჩემი, ელი ჯონსი, დაიბადა ბაშკირეთში, მსხვილი მიწათმფლობელის, პეტრე ზიბერტის ოჯახში. 19 წლისა ცოლად გაჰყვა ინგლისელ ჯორჯ ჯონსს და 1923 წელს მასთან ერთად საცხოვრებლად ამერიკაში გადასახლდა.

ელი და ვლადიმირი ერთმანეთს მეგობრებთან წვეულებაზე ყოფნისას შეხვდნენ. მამამ მაშინვე თვალი დაადგა დედაჩემს. მაგრამ მამა ქალების გულთამპყრობლის სახელით იყო ცნობილი და ამან შეაკრთო ელი. მით უმეტეს, რომ მაიაკოვსკიმ ხმამაღლა განაცხადა, რომ ცოლიანია (გულისხმობდა ლილია ბრიკს).

მიუხედავად ამისა, დაჟინებით სთხოვდა ელის ტელეფონის ნომერს. დედა გაურბოდა მას, ერიდებოდა მარტო დარჩენას მაიაკოვსკისთან.

შემდეგ აფეთქდა ყველაფერი: ისინი ერთად დასახლდნენ და არც განშორებიან ერთმანეთს მამის ამერიკაში ყოფნისას. „ეს იყო უმთავრესი ჩემს ცხოვრებაში“, — ამბობდა ნახევარი საუკუნის შემდეგ ელი, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ახსოვდა ყველა წვრილმანი პირველი შეხვედრისა.

მამამ სულ ერთხელ მნახა: 1928 წელს დედასთან ერთად ნიცაში ვისვენებდი. ის საგანგებოდ ჩამოვიდა ჩვენს სანახავად. მაშინ, სასტუმროს აივანზე გადამიღეს პატარას სურათი. მამაჩემის მეგობრებმა იციან, რომ მაიაკოვსკის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მაგიდაზე ედო თეთრპანამიანი პატარა გოგონას სურათი, სწორედ ის სურათი, რომელიც ნიცის სასტუმროს აივანზე გადავიღე. სურათი დღემდე შემომრჩა.

შემომრჩა აგრეთვე მამის ხელით დაწერილი სიყვარულით სავსე წერილები, რომლებსაც ის დედას უგზავნიდა.

როცა მამა ამერიკიდან მიემგზავრებოდა, მან ყველაზე იაფფასიანი ბილეთი იყიდა ყველაზე ცუდ გემზე იმიტომ, რომ რაც კი ფული გააჩნდა, იმით ღიღილოები იყიდა და დედას საწოლზე მოუფინა.

ეს იყო დიდი სიყვარული.

მოსკოვში პირველად რომ ჩამოვედი 1990 წელს, თან ჩამოვიტანე ნაწილი დედაჩემის ნეშტისა და ის მაიაკოვსკის გვერდით დავკრძალე.

სამართლიანობა აღვადგინე. საფლავზე იმდენი ცრემლი დავღვარე, იმდენი, რომ ალბათ გამოვისყიდე მამისეული ყველა ცოდვა“.


# WWW.SHOPGE.COM

## გასახდომი სავარჯიშო ქამარი – AB Tronic – "აბტრონიკი"



გსურთ გახდომა?
გსურთ გათავისუფლდეთ ცელულიტისგან?
გსურთ მოიცილოთ ზედმეტი ცხიმები?
გეზარებათ ვარჯიში?

გასახდომი სავარჯიშო ქამარი "აბტრონიკი" ეფექტური საშუალებაა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოსაგვარებლად. იგი ძირეულად განსხვავდება სხვა მსგავსი ქამრებისგან და ახალი სიტყვაა **AB** სისტემებში. თუ სხვა ქამრებს აქვთ მხოლოდ მასაჟის რეჟიმი, "აბტრონიკს" გააჩნია დაზელვისა და ვარჯიშის ფუნქციებიც. მასში გამოყენებულია ნეოპრენის მასალა, რომლის საშუალებითაც "აბტრონიკი" წარმოქმნის მსუბუქ ვიბრაციულ დარტყმებს. ასეთი უსაფრთხო ვიბრაცია უზრუნველყოფს თქვენი კანქვეშა მამოძრავებელი ნერვების აქტივიზაციასა და კუნთის შეკუმშვას. რაც არ უნდა მკაცრ დიეტას იცავდეთ, თქვენი კუნთები მაინც ეშვება და კარგავს ტონუსს, რაც თავისთავად ფორმას უკარგავს სხეულს. "აბტრონიკის" ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ამ მოშვებული კუნთების გამოვლენა, მათი გამკვრივება, ცხიმების დაწვა და ცელულიტის დაშლა, კანის სტრუქტურის გაუმჯობესება და, რაც მთავარია, სხეულის იმ ნაწილებზე ზემოქმედება, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას.



მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება, რითაც "აბტრონიკი" გამოირჩევა სხვა ქამრებისგან, არის ის, რომ იგი აღჭურვილია **LCD** მონიტორით. მისი საშუალებით თქვენ თვალნათლივ შეგიძლიათ სხვადასხვა კუნთზე განსხვავებული სავარჯიშო რეჟიმების შერჩევა. "აბტრონიკს" ასევე მოჰყვება სხვადასხვა ზომის ქამარი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ მოირგოთ იგი როგორც წელზე, ასევე ხელებზე და ბარძაყებზე.

"აბტრონიკის" ქამარი არ წარმოადგენს სამედიცინო დანიშნულების ხელსაწყოს. იგი დამზადებულია მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ვარჯიშის გარეშე თქვენთვის სასურველი მიზნების მისაღწევად სწორ კვებასთან ერთად. ყოველდღიურად 30 წუთის განმავლობაში ქამრის გამოყენებით თქვენ იგრძნობთ შედეგს სულ რაღაც ოთხ კვირაში.

გასახდომი სავარჯიშო ქამარი **AB Tronic** – ნებისმიერ დიეტაზე ბევრად უფრო ეფექტური და იოლი საშუალებაა!

ფასი 154 ლარი

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან იხილეთ ინტერნეტ მაღაზია - **www.shopge.com.** ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.



# როდესაც ჩვეულებრივი ცხოვრება არაჩვეულებრივი ხდება




## მამაკაცებო, დაამარცხეთ პროსტატიტი

პროსტატიტი არის დაავადება, რომელიც მამაკაცთა უმეტეს ნაწილს სხვადასხვა ასაკში აღენიშნება. იგი შეიძლება იყოს როგორც ინფექციური, ასევე არაინფექციური წარმოშობის. მისი მკურნალობის მრავალი ტრადიციული და არატრადიციული მეთოდი არსებობს. ჩვენ გთავაზობთ ერთ-ერთ ალტერნატივას. – პრეპარატი პროსტა-სტრონგი, რომელიც მცენარეულ საწყისებზეა შექმნილი და აქვს მრავალწლიანი გამოცდილება.

*რა ახასიათებს პროსტატიტს?*

მამაკაცებს, რომელთაც აქვთ პროსტატიტი, აღენიშნებათ დისკომფორტი მუცლის ქვედა ნაწილში, ტკივილი შარდვის დროს. ამას გარ[illegible]შესაძლებელია აღენიშნოთ ტემპერატურის მომატება, ტკივილი სახსრებსა და კუნთებში, სისხლიანი შარდვა.

*რას შეიცავს პროსტა-სტრონგი?*

თუთიის პიკოლინატი – ხელს უწყობს ზრდასა და რეპროდუქციას. ამ მინერალის მიმართ მოთხოვნილება სხვა ორგანოებთან შედარებით პროსტატის ჯირკვალს ყველაზე მაღალი აქვს.

**Saw Palmetto** – ექსტრაქტი, ეს მცენარე შეიცავს ბეტა სისტეროლს, რომელიც ხელს უწყობს პროსტატის ნორმალური ზომის შენარჩუნებას. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ 4-6 კვირის მანძილზე 90% ტესტირებულ მამაკაცებში ზომა დაუბრუნდა ნორმას.

**Quercetin** – ეს არის ბიოფლავოიდი, რომელსაც იღებენ ციტრუსოვანი ხილიდან. იცავს ჯირკვალს ტოქსინებისაგან და არის ანტიოქსიდანტი. ამის გამო იგი ახდენს სიმსივნის პროფილაქტიკას.

**Pugeum Afrikanum** – ექსტრაქტი, აუმჯობესებს შარდის გამოყოფას. ხელს უშლის პროსტატის ჰიპერპლაზიას.

**Licopene** – მნიშვნელოვანი კაროტენოიდია, აუცილებელია პროსტატის მკურნალობისათვის. **Bbifido bactrimi** – ბიფიდუმი შეიცავს ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო ნორმალურ არაპათოგენურ ფლორას. **Betaglukani** – აძლიერებს იმუნურ სისტემას.

*როგორ მივიღოთ პროსტა-სტრონგი?*

მიიღეთ 4 კაფსულა დღეში, ჭამის დროს. შეიძლება მიღება ერთ ჯერზე ან გაყავით რამდენიმე მიღებაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ გააჩნია არანაირი გვერდითი მოვლენები.

ძვირფასო მამაკაცებო, იცხოვრეთ მშვიდად
პროსტა-სტრონგის დახმარებით.

„ნუტრიმენტ ჰაუს“-ში თქვენ გელით ექიმების გულისხმიერება და მზრუნველობა. კვალიფიციური ექიმები დაგეხმარებიან პრეპარატების სწორად შერჩევასა და დანიშვნაში.

„ნუტრიმენტ ჰაუსი“, მის: დ. აღმაშენებლის 150
ნუტრიმენტ ჰაუსი NUTRIMENT HOUSE
ტელ: 95-65-03; 96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე
კვირის გარდა 10.00 - 18.00
www.shopge.com

**მე და ბატონი ოთარ ნიქაბაძე ერთმანეთს ბაგრატის ტაძრის ეზოში შევხვდით.**

**— ადრე არასოდეს მქონია რაიმე წინათგრძნობა, — მითხრა ჩემმა რესპონდენტმა, — განსაკუთრებული სიზმარიც კი არასოდეს მინახავს, არც დიდი მორწმუნეობით გამოვირჩეოდი... არ ვიცი, რატომ გამომარჩია განგებამ და შემთხვევას, რომელზეც ახლა უნდა გიამბოთ, რისი მინიშნება სურდა ჩემთვის?!.**

**ცოდვაში ხომ არ ჩამეთვლება სასწაულის რწმენა?! იქნებ არც ღირდეს ჩემი ამბის სახალხოდ მოყოლაო, — დაეჭვდა რატომღაც.**

**თუ სიმართლეს ამბობთ, ღვთისთვის საწყენი რატომ უნდა იყოს-მეთქი, — გავიკვირვე. გაოცებით შემომხედა, — ასეთი რამის მოგონება როგორ შეიძლებაო და დაიწყო:**

# „რაღაც ძალამ ავტობუსიდან ჩასვლა მაიძულა!..“

— ორი წლის წინ, სამარშრუტო ტაქსით ქუთაისიდან თბილისში მივდიოდი. უცებ უცნაური თვლემა მომერია. მესმოდა სალონში ჩართული მუსიკის ხმა, მგზავრების იშვიათი გადალაპარაკება... მოვინდომე, მაგრამ ვერ დავაღწიე ბურანს თავი. ამ ჭიდილში ვიღაცამ მიბრძანა: „ახლა გააჩერებ ტაქსის, ჩახვალ და ერთი საათის შემდეგ გააგრძელებ გზას... ჩადი, დაემორჩილე ბრძანებას, რომელსაც მფარველი ანგელოზი გაძლევს!“



ამის შემდეგ თითქოს მაგნიტოფონის ფირმა ჩაიხვიაო, გაუთავებლად მესმოდა: „ჩადი... ჩადი... ჩადი!..“ მერე თითქოს ხელი მკრეს, უცებ შევხტი და შემკრთალმა თვალი გავახილე.

მგზავრები მშვიდად ისხდნენ. ეჭვით მივიხედე უკან — ვინმე ხომ არ გამემასხრა-მეთქი. 20-ოდე წლის გოგონა იჯდა, რომელიც თვლემდა. მას ვერაფერს დავაბრალებდი, მე მამაკაცის ხმა მესმოდა...

...უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა, თავი ამტკივდა, გულიც გამიხდა ცუდად.

გალიზიანებულმა გადავწყვიტე, თავიდან მომეშორებინა უსიამოვნო შეგრძნება, არც ჩამოსვლას ვაპირებდი, მაგრამ... მართლა ცუდად გამიხდა გული, იძულებული გავხდი, მძღოლისთვის გაჩერება მეთხოვა. ხარაგაულს ვუახლოვდებოდით. მგზავრებმაც შემამჩნიეს, რომ არ ვიყავი კარგად, ზოგმა ვალიდოლი მომაწოდა, ზოგმა — წყალი... ცოტა უკეთ გავხდი, მაგრამ მანქანაში ჩაჯდომა მაინც ვერ გავბედე. მგზავრებს ყურადღებისთვის მადლობა გადავუხადე, მოვუბოდიშე აფორიაქებისთვის და იქვე დავემშვიდობე: — ახლობელს დავურეკავ მობილური ტელეფონით და ჩამომაკითხავენ, თანაც მართლა უკეთ ვგრძნობ თავს, თქვენ ნუღა დაიგვიანებთ, ვიცი, ყველას საქმეზე გეჩქარებათ-მეთქი და გავისტუმრე.

მართლა ვაპირებდი ცოლისძმასთან დარეკვას, რომ მანქანით ჩამოეკითხა, მაგრამ... როგორც კი ის სამარშრუტო ტაქსი დაიძრა და წავიდა, მაშინვე უკეთ გავხდი — გულიც დამიწყნარდა და თავის ტკივილიც გაიქრა...

შორიახლოს პატარა ეკლესია შევნიშნე. მისკენ გამიწია გულმა. შევედი, სანთლები ავანთე და უფალს მადლობა ვუთხარი, თუმცა კი მაშინ არ ვიცოდი, მისი ნებით რას გადავრჩი...

რადგან თავს უკეთ ვგრძნობდი, დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გამვლელი ავტობუსი გავაჩერე და თბილისისკენ გავწიე...

რიკოთთან კი ისეთი რამ მელოდა, რამაც ერთბაშად გამხადა მორწმუნე: იმ ჩემს სამარშრუტო ტაქსის საჭე ამოვარდნოდა და ამოტრიალებულიყო. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალი იყო დაღუპული. ის ქალბატონი უკან მჯდარა, ჩემი ჩასვლის შემდეგ წინ გადასულა, ჩემს ადგილზე და... ხედავთ, რას გადამარჩინა უფალმა, როცა მფარველი ანგელოზის პირით მამცნო მოსალოდნელი საფრთხე...

გეფიცებით ადამიანობას, მე არ ვიცოდი... ჩემთვის არ უთქვამს იმ იდუმალ ხმას — ყველანი ჩადით და ნუ გააგრძელებთ გზასო, თორემ ყველაფერს გავაკეთებდი მგზავრების გადასარჩენად, როგორმე შევძლებდი მათ დარწმუნებას!.. ხმა მხოლოდ მე მიბრძანებდა ჩასვლას. როგორც ჩანს, იმ ცხონებული ქალის სიცოცხლეს აღარ ეწერა გაგრძელება...

მგზავრებმა მიცნეს, შემომეხვივნენ: სასწაულია, რას გადაგარჩინა განგებამო. ვერ გავბედე მათთვის იმისი მოყოლა, რაც ახლა გიამბეთ, შემეშინდა, რომ ვერ გამიგებდნენ, ეწყინებოდათ. თუ რომელიმე მათგანი ამ მასალას წაიკითხავს, ახლა ვუხდი ბოდიშს.

ბატონმა ოთარმა დასძინა:

— მას შემდეგ ძალიან გამახვილებული მაქვს ყურადღება და ვცდილობ, გუმანით გამოვიცნო მოსალოდნელი ამბები, მაგრამ არაფერი გამომდის, როგორც ჩანს, განგება არც ისე ხშირად ერევა ადამიანის ცხოვრებაში...

*მართალია, ხშირად არ ერევა, მაგრამ განა ერთეული შემთხვევა არ უნდა იყოს საკმარისი იმისთვის, რომ ურწმუნოებით არასოდეს შეურაცხვყოთ უფალი ჩვენი?!.*

***ინგა ჯაყელი***

**ჩვენ გვწერენ**

# მოგვაშტერდებოდა... ვმუნჯდებოდით და...



ერთი ამბავი მინდა მოგითხროთ კაცზე, რომელიც ჩემი ლექტორი გახლდათ უმაღლეს სასწავლებელში. ჯერ კიდევ მისაღებ გამოცდაზე შევხვდი მას. არასოდეს დამავიწყდება ის დღე. ბილეთში მოცემული საკითხები მართლაც ბრწყინვალედ ვიცოდი. ამიტომაც თამამად გავემართე გამომცდელებისაკენ. გოგონა, ჩემთან მობრძანდით, — მომმართა ერთმა მათგანმა, ალბათ 40 წელს გადაცილებულმა სიმპათიურმა მამაკაცმა. დავჯექი. ბილეთი გამომართვა, დახედა და — აბა, დაიწყეო... თავდახრილი მისმენდა, ხელისგულს ისრესდა. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ნერვიულობდა. პირველი საკითხი ისე მოვყევი, ჩემკენ არც გამოუხედავს. ასევე თავდახრილმა მთხოვა — განაგრძეთო. განვაგრძე, გადავედი მესამე საკითხზე და უცებ შემომხედა, არაფერი უთქვამს, მომაშტერდა თვალებში, თითქოს თავზე რაღაცამ მომიჭირა, შუბლი ამეწვა, დავიბენი. ვუყურებდი მხოლოდ გამომცდელის წყვილ თვალს და სხვას ვერაფერს. ტანში სიცივემ დამიარა. კარგი, მე თქვენ არ გიყურებთო, — ჩაიჩურჩულა თავისთვის და ისევ დახარა თავი, თან დააყოლა, — გთხოვთ, განაგრძეთო. შვება ვიგრძენი, წამში ძალა და აზრი დამიბრუნდა. ცოტა შეშინებულმა თხრობა განვაგრძე. ბილეთის გარდა კითხვებიც თავჩაღუნულმა დამისვა. ყველაფერს ვუპასუხე. კომისიის თავმჯდომარესთან გამიშვა.

ერთ-ერთი საგნის ლექტორი სწორედ ის უცნაური კაცი აღმოჩნდა. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ადამიანი იყო: ჩვეულებრივი თვალები ჰქონდა, მაგრამ თუ ძალიან დაუკვირდებოდი და წუთით მაინც შეძლებდი მისი მზერისთვის თვალის გასწორებას, მიხვდებოდი, რომ ამ კაცში რაღაც იდუმალი და მისტიკური იმალებოდა. ლექციებს სულ თვალებდახრილი კითხულობდა. ჰქონდა სულში ჩამწვდომი, უცნაური თბილი ხმა, რომლის ტონალობაც სულ ერთი და იგივე იყო. მისი მზერის ძლევამოსილებაში სემესტრის ბოლოს, გამოცდის ჩაბარების დროს დავრწმუნდით. როგორც კი თვალებში შემოგვხედავდა, ხმა გვიწყდებოდა, ვეღარ ვაზროვნებდით. ზუსტად ხვდებოდა, რომელი ვიყავით მზად და რომელი — არა. ერთ ჩემს ჯგუფელს ჩვენსავით ჩაუწყდა ხმა და ლექტორს სთხოვა, — ნუ მიყურებთ, თორემ ცუდად ვხდებიო. მან კი მიუგო, — რა მნიშვნელობა აქვს, გენაცვალე, იმას, შემოგხედავ თუ არა, შენ ხომ ისედაც არ იცი საგანი. წადი, მოამზადე და მერე დამისკუპდი აქო. ერთხელ ლექციის დროს მაგიდაზე მდგარი ჭიქა უცებ გაიბზარა, მერე კი ხმაურით გასკდა. ისედაც გასუსულებს სუნთქვა შეგვეკრა. რა მოხდა? — იკითხა მან ყრუდ და ხელისგულს სრესა დაუწყო. მერე ადგა, თვალებდახრილმა ბოდიში მოგვიხადა და წავიდა. კარგა ხანს ვერ ვიღებდით ხმას. ის კაცი თან გვზარავდა, თან პატივისცემით განგვაწყობდა მის მიმართ. იგივე იგრძნობოდა ლექტორების მხრიდანაც. იმ დღის შემდეგ ინსტიტუტში არ გამოჩენილა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ საშინელი თავის ტკივილით გარდაიცვალა.

შემდეგ მასზე ერთი ძალიან საინტერესო ამბავიც გავიგე. კოკისპირულ წვიმაში მანქანა ხის ქვეშ გაუჩერებია. მეხი დასცემია მანქანას. თვითონ გონება დაუკარგავს, დიდხანს წოლილა საავადმყოფოში, საშინელი თავის ტკივილებით იტანჯებოდა თურმე და ვერაფერს შველოდნენ. მერე ტკივილები განელებია, მაგრამ ჰიპნოზის უნარი გასჩენია, რომლის ძალა არაერთხელ გამოვცადე საკუთარ თავზეც.

***კატო დავითაშვილი***

# „საზალღო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I. აბა, გამოიცანი:**
1) — ა); 2) — ბ); 3) — ბ); 4) — ა); 5) — გ); 6) — ბ).

**II.** 1-ელ თეფშზე უნდა დავუმატოთ ა) და დ) კუნწულები;
მე-2 თეფშზე — ე) და ვ); მე-3 თეფშზე — ბ) და გ).

**III.** ზედმეტია — მე-4.

**IV.** რებუსი
ხე ფესვებითა დგას, კაცი მოყვრითაო.

**V.** ბამბა.



# კუბელები აკრძალულ ხილს მისწვდნენ



კუბელ ახალგაზრდობას ახალი გატაცება აქვს, სწორედ ის, რომელიც კუბაში კატეგორიულად იყო აკრძალული — თავისუფლების კუნძულზე დიდად პოპულარულია ტატუირება. თუმცა მოსახლეობის დიდ ნაწილს იგი ძველებურად სამარცხვინოდ ეჩვენება.

ახალგაზრდები ტატუსთვის ნახატებს ინტერნეტში ეძებენ, ხან თვითონვე იგონებენ. ყველაზე მეტად გავრცელებულია ჯვრის, მზის, ყვავილების, კარაველას და ზოდიაქოს ნიშნების გამოსახულებები.

იშვიათად, მაგრამ მაინც მოჰკრავთ თვალს ლეგენდარული ლათინურამერიკელი რევოლუციონერის, ჩე გევარასა და არგენტინული ფეხბურთის ვარსკვლავის, დიეგო მარადონას „ფერწერულ ტილოებს“.

ახალმოდურ ტენდენციას წინ ველარაფერი ელობება და პრივილეგირებულ სასწავლო დაწესებულებებში აღმზრდელობითი საუბრების ჩატარება დასავლური იდეოლოგიის მავნებლობაზე — წყალწაღებულის ხავსზე მოჭიდებას ჰგავს.

*ოტდოხნი! №30*

# რა ღირს ყოფილი სახელმწიფოს მეთაურების შენახვა დემოკრატიულ ქვეყნებში

ახალდამკვიდრებულმა დემოკრატიამ ახალი პრობლემა გააჩინა, როგორ გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა აკეთონ ან როგორ იცხოვრონ ხალხის იმ რჩეულებმა, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში აღსრულებული მოვალეობის შემდგომ, ჩვეულებრივი ცხოვრების წესს უნდა დაუბრუნდნენ. ყველა ქვეყანას თავისი კანონი აქვს შემუშავებული ამის თაობაზე:

ამერიკაში ექსპრეზიდენტები საკმაოდ ძვირად ღირებულნი არიან, მაგრამ ყველა ერთნაირად არა, მაგალითად: რონალდ რეიგანი გადასახადების გადამხდელთ წელიწადში 700 ათასი დოლარი უჯდებათ, ჯორჯ ბუში — 583 ათასი, ჯეიმს კარტერი — 500 ათასი, ჯერალდ ფორდი — 300 ათასი.

გერმანიაში ყოფილი კანცლერი ჰელმუტ კოლი ყოველთვიურად იღებს სახელმწიფო პენსიას და ბუნდესტაგის დეპუტატის ხელფასს 20 ათასი მარკის ოდენობით, ოღონდ ის საკუთარი სახსრებიდან იხდის ყოველნაირ თანხას საჭიროებისამებრ. უფრო მოკრძალებულად ცხოვრობენ პოსტსაბჭოური ქვეყნების ყოფილი სახელმწიფოს მეთაურები.

*ვერსია №28*

# კოღოს საწინააღმდეგო ტელეფონი

სამხრეთკორეელ მობილური ტელეფონების მფლობელებს ამიერიდან მოსკიტების შიში აღარ უნდა ჰქონდეთ — სისხლისმსმელების დასაფრთხობად საკმარისია მობილურ ტელეფონებზე ხმოვანი სიგნალები ჩართონ. ამის წყალობით მოსკიტი მსხვერპლს 10 მ-ზე ახლოს ვერ მიეკარება.

თუმცა ხმოვანი სიგნალების გაშვებისას, მობილური ტელეფონი ჩვეულებრივზე მეტ ენერგიას გასცემს.

*მონდი*

# ლატარიაში თევზებს და მერწყულებს უმართლებთ





ლატარიის დაყინებული და ხანგრძლივი თამაში მოგების ალბათობას ზრდის — დაასკვნეს იმ გამოკითხვის ავტორებმა, რომელიც ერთ-ერთმა უმსხვილესმა იაპონურმა ბანკმა „მიძუჰომ“ ჩაატარა. როგორც გაირკვა, გამოკითხულთა 60%, რომელთაც 10 მლნ იენზე მეტი (85.000 დოლარი) მოუგიათ, ლატარიის ბილეთებს 10 და მეტი წლის განმავლობაში ყიდულობენ.

გამოკითხული 1368 კაციდან მხოლოდ 38%-მა აღიარა, რომ ბედნიერი პირველივე ბილეთი აღმოჩნდა. ამასთან, ასეთი „სპონტანური“ ბედნიერების ღირსნი მხოლოდ ქალები ბრძანდებიან.

ნიშანდობლივია, რომ მამაკაცთაგან ხშირად 50 წლის ძლიერი სქესის წარმომადგენლები იგებენ — ისინი უმეტესად მსხვილი კომპანიების თანამშრომლები არიან.

მამაკაცთაგან ყველაზე იღბლიანები მერწყულის ნიშნით დაბადებულები აღმოჩნდნენ, ქალებიდან — კირჩხიბები.

ისე, იაპონელებს მოგებით გამოწვეული სიხარული ეიფორიაში სულაც არ აგდებს. უმრავლეობა აცხადებს, რომ მათი ცხოვრების წესი ოდნავადაც არ შეიცვლება საპრიზო თანხის მიღების შემდეგ.

*ვოკრუგ სვეტა №29*

# გვიან ხომ არ იყო?

21 წლის მადრიდელმა ქალიშვილმა ერთიანად გადაბუგა თავისი სახლი, როცა ჰარი პოტერის რეცეპტის მიხედვით „ჯადოსნურ ელექსირს“ ადუღებდა.

მეხანძრეები მთელ საათს ებრძოდნენ ცეცხლს, „ჯადოქარს“ კი საავადმყოფოში პირველ დახმარებას უტარებდნენ.

როგორც უიღბლო მაგმა ბრძანა, ელექსირის რეცეპტი ჯოანა როულინგის წიგნში ამოუკითხავს: ზეთი, ალკოჰოლური სასმელი და კბილის პასტა პლასტიკატის(!) ფიალაში შეაზავა და ცეცხლზე შემოდგა. საბედნიეროდ, სამზარეულოდან სწორედ მაშინ გავიდა, როცა მაგიური სითხე აბრიალდა და ცეცხლი აგიზგიზდა.

ხანძრის ჩასაქრობად ორი სახანძრო მანქანა იბრძოდა.

*ეხო პლანეტი №29*

# 12-მეტრიანი ბედნიერება

ბულგარელ ლენა დინჩევას მშვენიერი საჩუქარი აახლეს ლონდონიდან — გინესის რეკორდების მსოფლიო ინსტიტუტმა მას სერტიფიკატი უბოძა, რითაც აუწყებენ, რომ ცნობილ რეკორდების წიგნში ადგილი განაღდებული აქვს.

ასეთი პატივი ქალბატონ დინჩევას იმისთვის ერგო, რომ მსოფლიოში ყველაზე გრძელი, 12-მეტრიანი მარტენიცა დაწნა. მარტენიცა წითელი და თეთრი ძაფებით დაწნული ტრადიციული ბულგარული მოსართავია — იგი ბედნიერებისა და ჯანმრთელობის სიმბოლოა. მარტენიცას ნაცნობ-მეგობრებს გაზაფხულის დამდეგს, 1-ელ მარტს ჩუქნიან და მთელი თვის განმავლობაში სამოსზე დამაგრებულს დაატარებენ. მაგრამ ლენა დინჩევას ქმნილება საეჭვოა, ვინმემ ატაროს — იგი 63,5 კგ-ს იწონის. ხელმარჯვე ქალბატონმა მის დაწვნას 170 დღე მოანდომა.

წარმატებით ფრთაშესხმული რეკორდსმენი საკუთარი მიღწევის გაუმჯობესებას აპირებს — თუ პირველზე 6.200 ცალი იყო ასხმული, მეორეზე — 8.000 თეთრ-წითელი ზანზალაკი იქნება ჩამოკონწიალებული.

*შტერნი*

# დაგვიანებული აღიარება

77 წლის ჰამილტონ ნაკი ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც კეიპტაუნის უნივერსიტეტში მებაღედ მუშაობს. ამას წინათ მას... ქირურგის საპატიო წოდება მიანიჭეს მსოფლიოში პირველად გულის გადასანერგ ოპერაციაში გაწეული ღვაწლისთვის.

1967 წელს კარდიოქირურგმა კრისტიან ბარნარდმა ლაბორატორიაში თანაშემწედ აიყვანა შავკანიანი ბიჭუნა, რომლის ნიჭმაც გააოგნა.

— ჰამილტონმა ზედმიწევნით აითვისა არა მარტო სრული სამედიცინო კურსი, არამედ ცხოველებს ვირტუოზულად უკეთებდა ოპერაციებს. მიუხედავად ამისა, აპარტეიდი შავკანიანს მედიცინისკენ მიმავალ გზას უღობავდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა — ჰამილტონ ნაკი ხანდაზმულობამდე მებაღედ მუშაობდა და ერთ მშვენიერ დღეს პენსიაზე გავიდა — სულ 90 დოლარი ერგო. ახლა კი მას ფილმებს უღებენ და ორდენებით აჯილდოებენ. მას ერთადერთი ოცნება აქვს — მიაღებინოს განათლება შვილიშვილებს.

*ნიუზუიქი*

# აქლემი — უდაბნოს ხომალდი



ცნობილია, რომ ყველაზე ამტანი ცხოველია აქლემი. მას შეუძლია გაიაროს ასობით კილომეტრი უდაბნოში გავარვარებულ ქვიშაზე. ბუნებამ მისი ტერფები საგანგებო „ფეხსაცმელებით“ შეამკო — ბებერებიანი ბალიშები იცავს მას დამწვრობისაგან. ბებერები აქლემს ტანზეც აქვს, მუხლებზეც და სხეულზეც. აქლემს უდაბნოში მცირე საკვები ჰყოფნის — ეს არის მცენარეები, რომელსაც სხვა ცხოველები ვერ ჭამენ. ფინიკი ძირითადი საკვებია აქლემისათვის. რბილი ნაწილით იკვებება პატრონი, ხოლო კურკას აქლემი მიირთმევს. აქლემი უძლებს სითხის 30%-ის დაკარგვას. ეს ყველა ცხოველისათვის სასიკვდილოა. შეუძლია უწყლოდ გაძლოს 45 დღე. პირველი შესაძლებლობისთანავე შეუძლია ერთი ამოსუნთქვით 50 ლიტრი წყალი დალიოს. აღწერილია შემთხვევები, რომ აქლემმა დალია 94 ლ წყალი და ორი საათის შემდეგ კიდევ — 92 ლიტრი. მარტო წყალი კი არა, აქლემს ეხმარება აგრეთვე ცხიმის მარაგი. გადაამუშავებს რა 100 გ ცხიმს, იღებს 100 გ წყალს. ცხიმის მარაგი კი აქლემს დიდი აქვს — 110-120 კგ. იგი მას კუზში იმარაგებს. იმის გამო, რომ ცხიმი ზურგზე აქვს, სხეული თავისუფალია და ამიტომ აქლემს არ სცხელა.

*მირ ნოვოსტეი №29*

# მეხი ეცემა... მამაკაცებს?

მეხი მამაკაცებს ორჯერ მეტად ეცემა, ვიდრე ქალებს — ასეთი შედეგი მიიღეს პიტსბურგელმა მეცნიერებმა კვლევის შედეგად. აშშ-ში 1994-2000 წლებში. ელჭექის დროს დაღუპულთა 70 პროცენტი მამაკაცია. ჯერჯერობით გაურკვეველია, რატომ ირჩევს მეხი თავის მსხვერპლად მამაკაცს!

*ნლო №30*

# ბაიკალი ოკეანედ გადაიქცევა

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ბაიკალის ტბა წელიწადში 5 კილომეტრით ფართოვდება. თითქოს ამაში საშიში არაფერია, მაგრამ მცირეოდენმა ცვლილებამაც კი შესაძლოა კარდინალურად შეცვალოს დედამიწის გეოგრაფია.

ბაიკალის ღრმული ტექტონური ძალების მოქმედების შედეგად წარმოიშვა: ჯერ კიდევ 2,5 მილიონი წლის წინ დაიწყო ფორმირება ტბის შემოგარენის მთებმა და ე.წ. „ტბის აბაზანამ“. დღემდე რიფტოგენეზის პროცესი — დედამიწის ქერქის გაწელვა გრძელდება, ასე რომ, ასეული მილიონი წლის შემდეგ ბაიკალის ტბა ოკეანედ გადაიქცევა.

*ექსპრეს-გაზეტა №31*

# ესპანელები ეძებენ ბრიტანულ ოქროს

1694 წელს ესპანეთის სანაპიროსთან დაიღუპა ბრიტანული ფრეგატი „სასექე“, რომელსაც ჰერცოგ რობერტ ამადეი II-ისთვის მიჰქონდა 100-100ტ ოქრო და ვერცხლი.

ამჟამად მის მოსაპოვებლად იბრძვის ეპანეთი და კატეგორიულად კრძალავს ზღვის ფსკერზე სხვა სახელმწიფოების მაძიებლების ჩასვლას.

ამას დიდი სკანდალი შეიძლება მოჰყვეს. თვით ესპანელებმა მრავალი მოთხოვნა წამოაყენეს ამერიკის წყლებში ჩაძირული ესპანური ხომალდების თაობაზე. საერთაშორისო კანონებით ხომალდი იმისია, ვისი დროშაც იყო აღმართული მასზე კატასტროფის დროს.

მადრიდის გადაწყვეტილებამ შესაძლოა გაამწვავოს ურთიერთობა ამერიკასთანაც. ინგლისელებმა დახმარება სთხოვეს ვაშინგტონს. ფირმა „ოდისეამ“ (იგი პენტაგონთან არის დაკავშირებული) უკვე გაიღო 5 მილიონი დოლარი განძის საძიებლად. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით „ოდისეა“ მიიღებს 80%-ს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ თანაბრად გაიყონ დანარჩენი ნახევარი მილიარდი დოლარი. ამერიკელები 40%-ს მიიღებენ.

ესპანურმა გავლენიანმა გაზეთმა „ელ მუნდომ“ ამ სკანდალს უკვე უწოდა მეორე ტრაფალგარის ბრძოლა.

*პარი მატჩი*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გრიგოლ ორბელიანის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**ჩ.** ოდნავ შემჭკნარი ყურძენი; **ვ.** მამაკაცური პოტენციის ასამაღლებელი პრეპარატი; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **ნ.** მონღოლთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გარკვეული ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი; **ი.** ბიბლიის პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად მიჰყიდეს ეგვიპტელებს; **ბ.** ქალაქი აფხაზეთში; **ა.** სამცხის მმართველთა ტიტული; **ზ.** რამდენიმე თოფის ან ზარბაზნის ერთდროულად დაცლა; **ე.** გარკვეული დისტანციის ცალკეული მონაკვეთი; **თ.** სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი; **ი.** იტალიელი ფეხბურთელი; **ს.** კახეთის ერთ-ერთი რაიონი; **ა.** ბავშვის სარწეველა საწოლი; **უ.** მამალი ცხენი; **კ.** ზაპოროჟიელ კაზაკთა სამხედრო მეთაურის წოდება; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **თ.** ირანის დედაქალაქი; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **ს.** პერიოდული სხდომა, რომელსაც ატარებენ წარმომადგენლობითი ორგანოები, სამეცნიერო დაწესებულებები და ა.შ.; **ო.** რა ერქვა არგენტინელ ფეხბურთელ არდილესს; **ა.** კარტოფილის სამშობლო; **რ.** სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **ჩ.** ვაზის აჭრილი ტოტი მტევნებიანად; **ე.** მცენარე, რომლის ფესვებითაც სააღდგომო კვერცხებს ღებავენ; **ვ.** ბალტიისპირელი მომღერალი ქალი; **ა.** ჩრდილოეთ ამერიკა — კორდილიერები, სამხრეთ ამერიკა — ?; **ნ.** რა ერქვა სემის, ქამისა და იაფეტის მამას; **ი.** ცალკე პირის ან დაწესებულების რომელიმე წლისთავი და ამ წლისთავთან დაკავშირებული ზეიმი; **ა.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**გ.** გოქჩა; **ა.** არომატი; **ე.** ეგრისი; **რ.** რიწა; **თ.** თხილი; **ე.** ერნესტი; **დ.** დრეიფი; **ა.** ალბიონი; **დ.** დიადემა; **ა.** ათაბაგი; **ი.** ილუმენი; **ს.** სიცრუე; **ვ.** ვიერი; **ე.** ეკლერი; **ნ.** ნოე; **ე.** ერბო; **ჩ.** ჩხეიძე; **ვ.** ვალეტა; **ე.** ეტიკეტი; **ნ.** ნობელი; **თ.** თაობა; **ა.** აორტა; **ნ.** ნაოჭი; **ე.** ესტრადა; **რ.** რეესტრი; **თ.** თიბათვე; **ა.** ალაფი; **დ.** დიანა.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ქორწინება აუცილებელი ბოროტებაა.**

CMYK

# VIVA LA DIVA, ანუ ვარსკვლავური ესტაფეტა

**გგონიათ, ბრიტნი სპირსი, ალისია კელი და უმა თურმანი უნიკალური და განუმეორებლები არიან? ნურას უკაცრავად, მათი წინამორბედ ვარსკვლავებსაც სწორედ მსგავსი ქცევები, სახელი და გარეგნობა ჰქონდათ. გამოდის, რომ თაობები ერთმანეთს ესტაფეტას გადასცემენ.**

## სენიორები: სოფი ლორენი — პენელოპა კრუსი

ხმელთაშუა ზღვის ასულთაგან მხოლოდ სოფიმ და პენელოპამ შეძლეს ჰოლივუდში სახელის მოხვეჭა.



ბავშვობაში სოფი ლორენს კბილის საჩიჩქნს ეძახდნენ, რადგან ძალიან გამხდარი იყო, პენელოპას კი ფიცარს. ლოს-ანჯელესს ორივე ქედმაღლურად უყურებს. განსაკუთრებული ირონიით ლაპარაკობენ ამერიკულ სამზარეულოზე...

## ამორძალები: მარლენ დიტრიხი — უმა თურმანი

თუ ოდესმე გადაწყვეტენ ფილმის გადაღებას მარლენ დიტრიხის ცხოვრებაზე, მთავარი როლი უმა თურმანს უნდა ერგოს. მათ ხომ



გამოხედვაც კი ერთნაირად არაამქვეყნიური აქვთ. გერმანულ აქცენტსაც კი ადვილად აითვისებს, რადგან გვარში გერმანელები ჰყავდა (ბაბუამისია ბარონი კარლ ფონ შლებრუგი), ხმაც მარლენივით ხრინწიანი აქვს. მიღებებზე მარლენი გამუდმებით წუწნიდა ლიმონის ნაჭერს პირის გარშემო კუნთების სავარჯიშოდ, გადაღებების დროს ითხოვდა, მის პარიკზე ეფრქვიათ ოქროს ფხვნილი. უმა კი მოითხოვს, გადასაღებ მოედანთან კარგად მოწყობილი იოგას სავარჯიშო დარბაზის გამართვას. ორივე ქალი კენედების გვარის მამაკაცების მიმართ გულგრილი არ იყო. მარლენი იმით ამაყობდა, რომ სამივე კენედისთან ჰქონდა სექსუალური კავშირი: ჯოზეფ კენედისთან (ჯეკის მამასთან), ჯო კენედისთან და თავად კედთან. უმა თურმანს ასევე მოაქვს თავი ცნობილი მამაკაცების საყვარლობით, რომელთა შორის ჯონ კენედი-უმცროსიც იყო.

## ვამპირები: შერი და კრისტინა აგილერა

ისევე, როგორც შერი, კრისტინა აგილერა მტკიცე პრინციპზე დგას: რაც მეტია, მით უკეთესი.



აქედან მოდის პარიკებისადმი ლტოლვა, თმის ხელოვნური გაზრდა, კორსეტები, push-up-ბიუსჰალტერები. ორივე მიისწრაფის ძლიერ პარტნიორებთან სათანამშრომლოდ.

შერი — სონი ბინოსთან, ეროს რამაზოტისთან მღეროდა, კრისტინა — რიკი მარტინთან, BB კინგთან, სტინგთან, ენრიკე იგლესიასთან. შერიცა და კრიტინაც ამბიციურები და თითქმის გაუნათლებლების არიან.

## პოპ-პრინცესები: მადონა და ბრიტნი სპირსი

ორივეს ოქროსფრად აქვს შეღებილი თმა, ორივემ ადრე მიაღწია წარმატებას, ორივე ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმულთა სიის სათავეში დგას. ორივე გიჟდება მეტამორფოზებზე, პოპ-მუსიკაზე და პრეტენზიულ ცეკვებზე. საოცარია, მაგრამ ეს ორი, თითქოსდა კონკურენტი ქალი, გიჟდება ერთმანეთზე. ბრიტნი ჩაცმულობითაც მადონნას ბაძავს და ამბობს — „ის შესანიშნავი ადამიანია, მე მის მუსიკაზე გავიზარდე, ბედნიერი ვიქნებოდი, მასთან ერთად რომ მემღერა“. მადონნაც სიყვარულით პასუხობს — სწორედ მან დაუდო საფუძველი ბრიტნის სახელიანი მაისურის ჩაცმას. 2001 წელს კი გამოექომაგა ნორჩ მეგობარს, ჟურნალისტებს



მიმართა, — დაანებეთ თავი ამ თვრამეტი წლის გოგოს, მის ასაკში მეც ათას სისულელეს ჩავდიოდიო.

## ნიუ-იორკელი წუნკლები: ბარბრა სტრაიზანდი და ჯენიფერ ლოპესი

ვარსკვლავი ბარბარა სტრაიზანდი ყველას თავის მოთხოვნებს კარნახობს. მაგალითად, სასტუმროში, სადაც ჩერდება, ყველაფერი, ტუალეტის ქაღალდიანად, ატმისფერი უნდა იყოს, რათა მისი სახის ფერი უფრო ვარდისფერი გამოჩნდეს. ჯენიფერს ვარდისფერი უყვარს, — ამ ფერის ფონზე უფრო ნორჩი ჩანს. ეს კი 30 წელს გადაცილებული ქალისთვის ბევრს ნიშნავს.

მომღერალმა, რომელიც მსახიობობს კიდეც — სტრეიზანდმა, მსახიობს, რომელიც მღერის — ლოპესს გამოცდილება გაუზიარა: არასოდეს დაუკავშირო ბედი მამაკაცს, რომელიც დაგჩრდილავსო. ამიტომაც არის, რომ ბარბრას „პირად



სიაში“ ირიცხებიან — ყოფილი პარიკმახერი ჯონ პეტერსი და ყოფილი მეწაღე ელიოტ გულდი, ახლა კი ის მსახიობ ჯეიმს ბროლინის ცოლია. ჯენიფერმა ზურგი აქცია პაფი დედს, როგორც კი მან პრესის ყურადღება მიიპყრო და ცოლად გაჰყვა მეორეხარისხოვან მოცეკვავე კრის ჯადს, რომელიც მალევე მიატოვა. ორივე საქმიანი ქალია.

ბარბრას საფირმო ნიშანი — მისი მოზრდილი ცხვირია, ჯენიფერმა კი საზოგადოებრიობის გული უზადო დუნდულებით მიიპყრო. ჩემს უკანალზე ყავის სერვიზის გაწყობა შემიძლია, — ამაყად განაცხადა მან.

## ამაყი ქალები: ჯოან კროუფორდი და ჯულია რობერტსი

თავის დროზე ორივე მსოფლიოს ულამაზე ქალად იყო აღიარებული. ორივეს „სათნო“ სახელი აქვს უცხოთათვის, შინაურებში კი „რთულ“ ქალებად ითვლებიან. კროუფორდი საკუთარ თავს მრავლობით რიცხვში თუ აღმატებულ ხარისხში მოიხსენიებს: „ჩვენ, ჯოან კროუფორდი“, ჯულია რობერტსს შეუძლია თუნდაც უშნო ვარცხნილობის გამო, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შეწყვიტოს ან გადადოს გადაღება, ორივეს დიდი პირი და ფუნჩულა ტუჩები აქვს... თუმცა რობერტსი ასეთი ტუჩებით ბუნებამ დააჯილდოვა, კროუფორდი კი კოსმეტიკის წყალობით არის ასეთი. ისინი ერთმანეთს პირად ცხოვრებაშიც არ ჩამორჩებიან. ჯოანმა ხუთი ქმარი და ჩვიდმეტი საყვარელი მოიცვალა. ჯულიამ თოთხმეტი ბოიფრენდი გამოიცვალა, ხუთჯერ



იყო დანიშნული, მეორედ გათხოვდა და სული კბილით უჭირავს, ქმარს როდის გაშორდება. ჯოანმა ორ ქალს წაართვა ქმარი. ჯულიამ ახლანდელი ქმარი წართაცა ცოლს. გარდა ამისა, ორივე უცნაურია: სასტუმროსი დაბინავებისტანავე არკვევენ, რამდენი ნაბიჯია მისი ნომრიდან ლიფტის კაბინამდე. რობერტსს ოტელის დატოვებისას ყოველთვის თან მიაქვს ნაგავი — არავინ არ უნდა იცოდეს, რას ყრის ვარსკვლავი!

დაბოლოს, ყველა სიტუაციაში ბოლო სიტყვა მათ ეკუთვნოდათ.

***7 დღე №29***

# ჟეუცვლელი არავინაა





კამერონ დიასმა რამდენიმე თვის წინ დიდი ხნის მეგობარი ჯარედ ლეტო „თანამდებობიდან გადააყენა“, მაგრამ მარტოობით თავი არ დაუტანჯავს — ახალი საყვარელი გაიჩინა — 22 წლის მომღერალი ჯასტინ ტიმბერლეიკი. ეშმაკმა კამერონმა კარგა ხანია, თვალი დაადგა ჯასტინს და აცდუნა კიდეც ერთ ჟეულებაზე: შამპანურით გამომთვრალი მომღერლის ჟვლივ მოტრიალე თაყვანისმცემლები დაიფრინა და შინაც წაიყვანა. ეტყობა, კამერონმა თავი გამოიდო და ჯასტინს სექსის მასტერკლასი ჩაუტარა; ასე რომ, დილით თურმე საბრალო ბიჭი იატაკის ტილოსავით იყო მომჩვარული. დიასმა ესეც არ იკმარა, ხელი დაავლო და დედამისის გასაცნობად წაათრია მემფისში. როგორც ამბობენ, ქალებს ერთმანეთისთვის გაუგიათ და ახლახან ჯასტინის კონცერტზე ხელიხელგადახვეულნიც მსხდარან. ეტყობა, გათხოვებაზე მეოცნებე დიასი მალე აისრულებს ოცნებას.

# ნიკოლ კიდმანი „გაძვირდა“



„წითური ალქაჯი“ თანდათან „ძვირდება“ — „შანელის“ მოდის სახლმა იგი კომპანიის სახედ აირჩია. თავდაპირველად, 2 მლნ დოლარს სთავაზობდნენ. სამოდელო ბიზნესისთვის ეს საკმაოდ მოკრძალებული თანხაა — „შანელის“ მენეჯერებმა თავი იმართლეს — ბოლო და ბოლოს ქიდმანი აქამდეც ხმარობდა ჩვენს სუნამოებსა და სამოსსო. „წითურმა ალქაჯმაც“ არ დააყოვნა და დაიმუქრა — ახლავე სხვა კომპანიის პროდუქციაზე გადავალო. ხერხმა გაჭრა — 2 მლნ 10 მლნ-ად იქცა. კმაყოფილმა ნიკოლმა (რომელსაც არც ის უყვარს ფულის ფლანგვა) სასწრაფოდ შეუკვეთა „შანელს“ ასიოდე ექსკლუზიური სამოსი, ამასთან, არა მარტო თავისთვის, თავისი შვილობილებისთვისაც. სამოსს თან შესაფერისი, წლის სამყოფი კოსმეტიკა და სუნამო უნდა ახლდეს. ფირმის ხელმძღვანელები აღშფოთებულნი არიან — ნიკოლი მათ ორჯერ ძვირი უჯდებათ, მაგრამ გვიანაა — კონტრაქტი ხელმოწერილია, იმისი დარღვევის შემთხვევაში კი „წითური ალქაჯი“ „შანელს“ პირსაგამტეხლოდ 50 მილიონს გადაახდევინებს.



# რასელ კროუ — ონავარი ბიჭუნა

რასელ კროუს სტუმრობით ძალიან იზარალა სიდნეის ერთ-ერთმა ფეშენებელურმა რესტორანმა. „გლადიატორმა“ რესტორანში სავახშმოდ დაპატიჟა რაგბისტების ადგილობრივი გუნდი. მსახიობი გვარიანად შეზარხოშდა, სტუმრები თავისთან, ნომერში აიყვანა და ბურთის თამაში გააჩაღა. როცა მთელი ავეჯი დაილეწა, კროუმ მაგიდის მომტვრეული ფეხი ჩოგანივით მოიმარჯვა და ახლა კრიკეტს შეუდგა. ცელქი რასელი მხოლოდ გამთენიისას დამშვიდდა, გაისტუმრა ვალი — 10.500 დოლარი და უშფოთველად დაიძინა.

# ჯეკ ნიკოლსონი: არაფერი მინდა, წიგნებისა და მუსიკის გარდა



ძალიან გულჩახვეული ვარ. საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობ და ძალიან მომწონს ასე ყოფნა. დროგამოშვებით ფილმებსი ვთამაშობ. ამჟამად უმეტესად შინა ვარ. მაქვს საინტერესო წიგნები, კარგი მუსიკა — ამაზე მეტი არც მინდა არაფერი. თუ ჩემი სამსახიობო საქმიანობა გაინტერესებთ, გეტყვით, რომ გამოვიდა ფილმი ჩემი მონაწილეობით — „რისხვის მოთოკვა“. ფსიქოთერაპევტის როლს ვთამაშობ, ვკურნავ ექსცენტრიულ ქალბატონებსა და ბატონებს ზედმეტი გაავებისგან თავის დასაღწევად. კარგად გამომივიდა როლი თუ ცუდად, თვითონ განსაჯეთ, მით უმეტეს, რომ ცხოვრებაში საკმაოდ გაუწონასწორებელი ვარ. უფრო მეტიც, 60-იანი წლებიდან მუდმივად მიწევს ამგვარ სპეციალისტებთან ურთიერთობა. მაინც, თუ გავითვალისწინებთ ჩემს დიდ გამოცდილებას, როლი ცუდად არ გამომსვლია. ამჟამად ჩემს საყვარელ ნიუ-იორკში ახალ ფილმზე ვმუშაობ. მას ჯერ სათაური არა აქვს. უბრალოდ, რეჟისორი ნენსი მაიერსი ინტრიგას აძლიერებს. აშშ-ში დეკემბერში გამოვა ფილმი, სხვა ქვეყნებში — მოგვიანებით. სასაცილოა, მაგრამ გადაღებების დროს მეც დამჭირდა ფსიქოთერაპევტთან მისვლა, ზოგიერთ სცენას გამოვყავდი წონასწორობიდან.

***სობესედნიკი №24***

შპს „გი-გიო“

„გივრომი“

საჩუქარი საქართველოს მოსახლეობას

საუკუნოვანი ოცნების ასრულება — მუდმივი სიმშრალე 30 წუთში

გადახურვების, აუზების, ნესტიანი, გაჟღენთილი, სველი-ეროზირებული, წყალგაუონავი ზედაპირების სრული ორმხრივი ფოროვანი ჰიდროიზოლირება სისველის გამომწვევი მიზეზების აღმოუფხვრელობისა და წინასწარი გაშრობა-დამუშავების გარეშე კონკრეტული შემთხვევისათვის აუცილებელი სახეობის, მსოფლიოში დღემდე არარსებული, უნიკალური შესაძლებლობების მასალით „გივრომი“.

მასალის სიახლისა და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, პრობლემის შესწავლა და ჰიდროიზოლირების შესრულება მხოლოდ ჩვენს მიერ.

☎ 95-85-38; 91-12-59; 899-27-11-22; 893-37-11-22; 893-25-19-15 ელ.ფოსტა: gi-gio@list.ru

მეტალო-პლასტმასის პროფილები და აქსესუარები FIRAT-ისაგან

WIHOUSE — 6000$ (განიერი)

ჩარჩო — 2,30$

ფანჯრის ფრთა — 2,45$

ტიხარი — 2,58$

კარის ფრთა — 3,10$

მისამართი: ქ. თბილისი, აგლაძის 37

ტელ: 44-10-18, ოფისი; 899 18-87-79; 893 90-23-57

# ნაკრებში წინასწარ განწირული ექსპერიმენტები გრძელდება


მერაბ ჟორდანია

ცაიტნოტში ჩავარდნილმა სფფ-ის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ერთობ მოულოდნელი და სენსაციური გადაწყვეტილება მიიღო. მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩენილი ეროვნული ნაკრების ფუნქციები თავად შეითავსა და ე.წ. დამხმარე შტაბიც შექმნა, სადაც ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი რევაზ არველაძე და გუშინდელი ნაკრების წევრები — თემურ ქეცბაია და მიხეილ ყაველაშვილი შევლენ. როგორც ჟორდანია აცხადებს, თბილისის „დინამოს" შეფობის უარმა — ივო შუშაკს ნაკრებში მუშაობის ნებას აღარ დავრთავთო, მას სხვა გზა აღარ დაუტოვა და ეს უცნაური გადაწყვეტილებაც მას შემდეგ მიიღო.

მაშ ასე, ისევ „დროებითი მწვრთნელი", ისევ ექსპერიმენტები, რომლებიც, კაცმა არ იცის, რას მოუტანს ჩვენს ფეხბურთს. თუ წარსულს გადავხედავთ, ეროვნულ ნაკრებში განხორციელებულ არც ერთ ექსპერიმენტს სასიკეთო შედეგი არ გამოუღია — არც „დროებითი მწვრთნელისა" და არც ორმწვრთნელიანობის ექსპერიმენტს. ღმერთმა ქნას, ჟორდანიას და მისი „საბრძოლო შტაბის" ეს 3-მატჩიანი ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდეს, მაგრამ წარსულის გათვალისწინება და იმ უამრავი თავმოუბმელი საქმის გახსენება, რომელიც ჟორდანიას პრეზიდენტობის ჟამს ჰქონდა ქართულ ფეხბურთში, პესიმისტურ განწყობას გვიქმნის.

დღემდე, 5-წლიანი საპრეზიდენტო მოღვაწეობის მანძილზე ჟორდანიამ ერთადერთი მართებული და გონივრული გადაწყვეტილება მიიღო ეროვნულ ნაკრებთან დაკავშირებით, როცა მას შუშაკი უთავკაცა და როგორც ახლა გამოჩნდა, ამაშიც უდიდესი წვლილი თბილისის „დინამოს" მესვეურებს მიუძღვით. შესაძლოა, რუსეთის ნაკრებთან მატჩის წინ შუშაკისთვის ნაკრებში მუშაობის ნება რომ არ დაერთოთ დინამოელებს, ეს კვარტეტი (ჟორდანია და მისი 3-კაციანი შტაბი), ცოტა ადრე მიგვეღო.

**მერაბ ჟორდანია** კვლავ ცაიტნოტში აღმოჩნდა და ამჯერადაც უარესიდან უარესი გადაწყვეტილება აირჩია. როგორც წესი, კარგი და პროფესიონალი მოთამაშეები (ჭადრაკში და ცხოვრებაში), ცაიტნოტში იშვიათად ვარდებიან და თუ მაინც დროის უკმარისობა შეაწუხებთ, ჰყოფნით ნიჭი და გამოცდილება, საუკეთესო ვარიანტი გამოძებნონ და ისე გამოძვრნენ ურთულესი, ხშირად უიმედო სიტუაციიდან. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით სფფ-ის თავკაცზე.

მიუხედავად იმ რთული ვითარებისა, რაც ნაკრებშია შექმნილი და რაც ჟორდანიამ სხვებზე უკეთ იცის, ის მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი... „ნეტარ არიან მორწმუნენი..." მაგრამ დამაიმედებელი და სასიკეთო არაფერი უჩანს ჩვენს ნაკრებს. ნეტავ, რისი და ვისი ეიმედება ჟორდანიას? სჯობს თავად მას მოვუსმინოთ:

— **ბატონო მერაბ, რატომ მიიღეთ ასეთი მოულოდნელი გადაწყვეტილება?**

— მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ ივო შუშაკს მხოლოდ კლუბში მუშაობა მოსთხოვა და ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა, სხვა გამოსავალი აღარ გვქონდა. დრო ცოტაა დარჩენილი სექტემბრამდე, ნაკრებს კიდევ 3 ოფიციალური მატჩი აქვს გასამართი. ცაიტნოტში აღმოჩნდა ფედერაცია და ეს გადაწყვეტილება ექსტრემალურ ვითარებაში მივიღეთ.

— **სამწვრთნელო შტაბში რევაზ არველაძის გამოჩენა არავის გაჰკვირვებია, რასაც ვერ ვიტყვით თემურ ქეცბაიაზე, მით უმეტეს მიხეილ ყაველაშვილზე. რატომ გააკეთეთ არჩევანი ამ ორ ფეხბურთელზე?**

— წინ 3 შესარჩევი მატჩია და დამხმარეები აუცილებლად დამჭირდებოდა. რადგან რევაზ არველაძის საკითხი თქვენთვის გასაგებია, სხვებზე მოგახსენებთ. თემურ ქეცბაია კარგად იცნობს ნაკრებს, ქართულ ფეხბურთს და დარწმუნებული ვარ, ის ჩვენს საერთო საქმიანობაში დიდ წვლილს შეიტანს.

მიხეილ ყაველაშვილი მოქმედი ფეხბურთელია, მაგრამ, ჯერ არ არის სანაკრებოდ სასურველ ფორმაში და მასაც დროებით ასისტენტობა შევთავაზე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყაველაშვილი, როგორც ფეხბურთელი, ნაკრებში აღარ ითამაშებს. თუ ფორმა აღიდგინა და სათამაშო პრაქტიკაც ექნება, ითამაშოს ნაკრებში.

— **როგორც ნაკრების მწვრთნელს, რისი იმედი გაქვთ დარჩენილ შეხვედრებში?**

— მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლის შანსი კიდევ გააჩნია, მართალია, თეორიული, მაგრამ ეს მაინც შანსია და მის გამოყენებას შევეცდებით. ყველაფერს ვიღონებთ, რომ წარმატებით ჩავატაროთ სამივე შეხვედრა — შინ და სტუმრად ალბანეთთან და ასევე — სტუმრად რუსეთთან. მე არ გამოვრიცხავ, რომ ჯგუფში II ადგილზე გავიდეთ. ეს შეიძლება, რუსეთ-საქართველოს მატჩის მერე გაირკვეს.

— **თქვენ შემდეგ ვინ მოვა ნაკრების სათავეში?**

— ნაკრების ახალი მწვრთნელი აუცილებლად უცხოელი იქნება, უკვე ვაწარმოებთ რამდენიმე ევროპელ და სამხრეთამერიკელ სპეციალისტთან მოლაპარაკებას. ისეთ სპეციალისტს ჩამოვიყვანთ, რომელიც ჩვენი ქომაგების ამბიციებს დააკმაყოფილებს.

მერაბ ჟორდანია პირველია ფედერაციის პრეზიდენტთაგან, რომელმაც ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა შეითავსა — მსგავსი რამ ფიფა-ს წევრი ქვეყნებიდან არც ერთში არ მომხდარა. ე.ი. უამრავი ნეგატიურის გარდა, ჟორდანიას არჩევანს ერთი დადებითიც ჰქონია — საფეხბურთო სფეროში ერთადერთი კაცია მსოფლიოში, რომელიც ამ ორ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს გაუძლვება. საქართველოს ნაკრები ამ ეტაპზეც უცხოელი მწვრთნელის გარეშე დარჩა. არადა, ეროვნული ნაკრების წევრებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ჟორდანია ამჯერად მაინც მოიწვევდა „დროებითი შუშაკის" ნაცვლად „მუდმივ უცხოელს" და ნაკრების მწვრთნელის საკითხიც ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდებოდა.

ქართველ ლეგიონერთა ნაწილი გაოგნებულია ჟორდანიას უპრეცედენტო გადაწყვეტილებით, მართალია, ნაწილი გაგებით ეკიდება მის გასაჭირს, მაგრამ მათ მაინც უცხოელი მწვრთნელი აქვთ გულში ამოჭრილი.

**ზურაბ ხიზანიშვილი:** ეტყობა, ძალიან გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა მერაბ ჟორდანია, რაკი ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. გულით მინდოდა, უცხოელი სპეციალისტი მოეწვიათ, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ვერ მოესწრო. მომავალში აუცილებლად უცხოელი მწვრთნელი უნდა დაინიშნოს ნაკრებში, სხვაგვარად ნაკრებს არანაირი პერსპექტივა არ ექნება.

**ალექსანდრე იაშვილი:** სხვა ქართველი მწვრთნელის დანიშვნას დროებით და ასევე დროებით თავის დამშვიდებას, რომ ნაკრებს, ასე თუ ისე, მწვრთნელი ჰყავს და მთლად კატასტროფულად არ არის საქმე, ისევ მერაბ ჟორდანიას ნაბიჯი სჯობდა. ამით ის მაინც არის ხაზგასმული, რომ ქართულ ფეხბურთში ისე ცუდადაა საქმე, ისეა არეულ-დარეული ყველაფერი, ნაკრებს ხეირიანი მწვრთნელი დროზე ვერ მოუძებნეს და ჟორდანიამაც უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო. ეს ჩვენი სატკივარის მორიგი გამოაშკარავებაა. ამ 3 მატჩს, ამ შესარჩევი ციკლის ჩავარდნასაც მოითმენს კაცი, მაინც ჩარჩენილი ვართ ჯგუფში და თეორიული შანსიღა დაგვრჩა გასასვლელად. სამომავლოდ კი უცხოელი მწვრთნელი თუ არ მოვიწვიეთ, თანაც ხანგრძლივი კონტრაქტით, ცუდად იქნება საქმე.

**ლევან კობიაშვილი:** დიდ პატივს ვცემ ჟორდანიას, მესმის მისი და რადგან ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, ეტყობა ძალიან გაუჭირდა, სხვა გზა არ ჰქონდა. კაცს როცა უჭირს, გვერდით უნდა დაუდგე — ჩამოვალ და ვითამაშებ. თუმცა, ყველამ უნდა გაიგოს, რომ გაუთავებელმა ექსპერიმენტებმა მოგვიყვანა აქამდე. მწვრთნელთა ასეთი ხშირი ცვლა, როცა კარგად იცი, რომ სანაკრებოდ საჭირო კვალიფიკაციის მწვრთნელი არა გყავს ქვეყანაში, გაუმართლებელია. ეს ბოლო ექსპერიმენტი უნდა იყოს. აწი, მართლაც აღარავინ მოითმენს, თუ ჟორდანიას ნორმალური უცხოელი მწვრთნელი არ შეცვლის. ყველა, მათ შორის, ფეხბურთელებიც დავიღალეთ ამ უთავბოლო ექსპერიმენტებით. მეეჭვება, ევრო-2004-ის შესარჩევ ეტაპზე რაიმეს მივაღწიოთ და ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი გამოვიყენოთ, მაგრამ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს უცხოელი მწვრთნელითა და ახალი ნაკრებით უნდა შევხვდეთ.

**შოთა არველაძე:** რაღაც ამდაგვარ გადაწყვეტილებას ველოდი ჟორდანიასგან. როგორც ადამიანს, კარგად მესმის მისი, ეს უცნაური ნაბიჯიც გასაგებია ჩემთვის. ბიჭები, ალბათ, არ დავალალატებთ, გვერდით დავუდგებით იმ იმედით, რომ ჟორდანიას უთუოდ პროფესიონალი უცხოელი სპეციალისტი შეცვლის. საამისოდ თადარიგი კი ფედერაციამ ახლავე უნდა დაიჭიროს და არა მაშინ, როცა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კარს მოგვადგება.

**ჩემპიონთა ლიგა, II საკვალიფიკაციო ეტაპი, საპასუხო შეხვედრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| მაკაბი (ისრაელი) — ჟილინა (სლოვაკეთი) | 1:1 | I მატჩი | (0:1) |
| ჰიკი (ფინეთი) — მტკ (უნგრეთი) | 1:0 | | (1:3) |
| შახტარი (უკრაინა) — შერიფი (მოლდოვა) | 2:0 | | (0:0) |
| ვარდარი (მაკედონია) — ცსკა (რუსეთი) | 1:1 | | (2:1) |
| ომონია (კვიპროსი) — ვისლა (პოლონეთი) | 2:2 | | (2:5) |
| სლავია (ჩეხეთი) — ლეოტარი (ბოსნია) | 2:0 | | (2:1) |
| ცსკა (ბულგარეთი) — პიუნიკი (სომხეთი) | 1:0 | | (2:0) |
| ანდერლეხტი (ბელგია) — რაპიდი (რუმინეთი) | 3:2 | | (2:2) |
| გრაცერი (ავსტრია) — ტირანა (ალბანეთი) | 2:1 | | (5:1) |
| რუსენბორგი (ნორვეგია) — ბოჰემიანსი (ირლანდია) | 4:0 | | (1:0) |
| სელტიკი (შოტლანდია) — კაუნასი (ლიტვა) | 1:0 | | (4:0) |
| დინამო (ხორვატია) — მარიბორი (სლოვენია) | 2:1 | | (1:1) |
| იურგორდენი (შვედეთი) — პარტიზანი (სერბეთი) | 2:2 | | (1:1) |
| სლემა (მალტა) — კოპენჰაგენი (დანია) | 0:6 | | (1:4) |

დახრილი შრიფტით აღნიშნულია გუნდები, რომლებიც მომავალ ეტაპზე გავიდნენ.

# ქართველ სპორტსმენებს დეპუტატობის სურვილმა დარია ხელი

საქართველოს პარლამენტს სპორტსმენები არასდროს ჰკლებია, მაგრამ დღევანდელი პარლამენტის ჩათვლით, ყველა მოწვევის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ყოფილი, ვეტერანი სპოტსმენები იყრიდნენ თავს. პრინციპში ალოგიკურიცაა მოქმედი, პროფესიონალი სპორტსმენი პოლიტიკაში მოღვაწეობდეს. დიდ სპორტს იმდენი ენერგია, დრო მიაქვს, რომ წესით, პროფესიონალმა სპორტსმენმა პოლიტიკისთვის ვერანაირად ვერ უნდა მოიცალოს. თუმცა, საქართველოში ხომ დიდი ხანია, ბევრი რამ ლოგიკური ალოგიკურად იქცა და ჩვენი ცხოვრების წესი, არანაირ კანონზომიერებას აღარ ექვემდებარება.

მომავალ პარლამენტში უკვე მოქმედი სპორტსმენებიც აპირებენ მოსვლას. ჯერ იყო და მოკრივე გიორგი კანდელაკმა გადაწყვიტა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა, ახლა კი ძალოსანი გიორგი ასანიძეც შეუერთდა მას. ასანიძე კარგა ხანს ყოყმანობდა, ეყარა თუ არა კენჭი არჩევნებში, მას მრავალი ფაქტორი აფერხებდა, რომ ეს გადაწყვეტილება მიეღო. ერთხანს ხმებიც გავრცელდა, ასანიძემ დეპუტატობა გადაიფიქრაო, მაგრამ როგორც ჩანს, ძალოსანმა გაპოლიტიკოსების სურვილი ვერ დაძლია, ყველა შემაკავებელი ფაქტორი გაანეიტრალა და დღეს უკვე კატეგორიულად აცხადებს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ისეთივე შემართებით, სამართლიანად და წესების დაცვით იბრძოლებს, როგორც სარბიელზე სჩვევია.

რა მიზნითა და მიზეზით მიდის ასანიძე პარლამენტში? რა სიკეთეს მოუტანს ქართულ პოლიტიკას საჩხერელი ძალოსნის გადეპუტატება და რას დაკარგავს ამით ქართული სპორტი? ვისი ინტერესები იკვეთება ასანიძის ამ მოულოდნელ განზრახვაში? ამ კითხვებზე **გიორგი ასანიძე** ჩვენს ექსკლუზიურ ინტერვიუში გასცემს პასუხს.

— **გიორგი, რატომ გადაწყვიტეთ პარლამენტარობა?**

— ამაზე ბევრი ვიფიქრე, კარგა ხანს ვყოყმანობდი, მიმეღო თუ არა არჩევნებში მონაწილეობა. ბოლოს გადავწყვიტე, საჩხერის რაიონში ვიყარო კენჭი მაჟორიტართა არჩევნებში. იმედი მაქვს, თუ არჩევნებში გავიმარჯვე, პარლამენტში სასიკეთო საქმეებს შევეჭიდები. ცხადია, ჩემი იქ მისვლის მიზანი, უმთავრესად, ქართულ სპორტში ვითარების სასიკეთოდ, რადიკალურად შეცვლაა. როგორც სპორტსმენმა, ცოტა საქმე არ გავუკეთე ქართულ სპორტს, ახლა კი ვეცდები, მას პარლამენტიდან შევეშველო. ქართველ სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტული სამყაროს სხვა წარმომადგენლებს თანამოაზრეებთან ერთად შევება მოვგვარო. ცხადია, ჩემს ამომრჩევლებზე, საჩხერის მოსახლეობაზეც უნდა ვიზრუნო.

— **მერედა, შეძლებთ სპორტისა და დეპუტატობის შეთავსებას? ვიცი, რომ როცა დიდი შეჯიბრებისთვის ემზადებით, ისეთი მკაცრი რეჟიმით ცხოვრობთ, წამით არა გაქვთ მოცლა. ასეთ პირობებში თუ იქნებით, ვინ უნდა აკეთოს თქვენი საქმე პარლამენტში, ორეულს ხომ არ დაიქირავებთ?**

— არა, ორეული არ დამჭირდება. გაისად, ათენის ოლიმპიადის მერე სპორტიდან მივდივარ. ოლიმპიადა 2004 წლის სექტემბერშია, საპარლამენტო არჩევნები კი წელს, ნოემბერში. სულ რამდენიმე თვე მომიწევს ორი საქმის შეთავსება. მერე კი მთელ დროს პოლიტიკას დავუთმობ. ოლიმპიადისთვის დიდი იმედი მაქვს, ნორმალურად მოვემზადები, და არც წინასაარჩევნო პერიოდი, არც პარლამენტში ჩემი რამდენიმეთვიანი მოღვაწეობა, ათენში ჩემს გამოსვლას დაღს არ დააჩნევს.

— **თქვენ ერთხელ განმიცხადეთ, საჩხერეში ერთადერთ კაცს — ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს ვერ გადაველობები წინ და თუ ივანიშვილს საკუთარი ფავორიტი მაჟორიტარი კანდიდატი ეყოლება საჩხერეში, მე იქ კენჭს აღარ ვიყრი, ივანიშვილის კანდიდატს, პირიქით, მხარს დავუჭერო. ამის გამო ბატონ ბიძინასთან შეხვედრასა და სიტუაციაში გარკვევასაც აპირებდით. როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილთან მოაგვარეთ ეს პრობლემა?**

— ბატონ ბიძინას პირადად ვერ შევხვდი, მაგრამ შევხვდი და ვესაუბრე მის წარმომადგენლებს. გაირკვა, რომ ბიძინა ივანიშვილი არავის, არც ერთ პარტიას, არც ერთ მაჟორიტარს არ უჭერს მხარს საჩხერეში. საერთოდ, ის ამ ეტაპზე აბსოლუტურად აპოლიტიკურია. არც ამ არჩევნებს გაეკარება ახლოს. ბატონმა ბიძინამ შემომითვალა, არანაირი ინტერესები არა მაქვს არც საჩხერის და არც სხვა რაიონში და როგორც გსურს, ისე მოიქეციო. ბიძინა ივანიშვილმა კი მე, შეიძლება ითქვას, ცხოვრება ამიწყო, არაერთხელ დამიდგა გაჭირვების დროს მხარში და ხელი მომიმართა. უსინდისო კაცი უნდა ვყოფილიყავი, რომ არ მეფიქრა რაიონში მის ინტერესებზე. არ მეკითხა, აპირებდა თუ არა ვინმეს მხარდაჭერას. ახლა ეს მორალური ტვირთი არ მამძიმებს და


გიორგი ასანიძე

შემიძლია, სუფთა სინდისით ვიყარო კენჭი.

— **გიორგი, თქვენ კარგი ურთიერთობა გაქვთ ბიძინა ივანიშვილთან, მის ოჯახთან და ახლობლებთან. თავად ხომ არ უნდა მიგიჩნიოთ საჩხერის არჩევნებში მის კანდიდატად?**

— არა, ხომ გითხარით, ბიძინა ივანიშვილი ახლოს არ ეკარება ქართულ პოლიტიკას, მეტადრე, ამ არჩევნებს. ეს დანამდვილებით ვიცი.

— **არც თქვენი საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისას გამოჩნდება ივანიშვილის ფული?**

— ბიძინა ივანიშვილს ერთ თეთრს არ ვთხოვ. თუ დამაფინანსა, მაშინ რა გამოვა — ხომ დაარღვევს იმ ნეიტრალიტეტს, რაც ამ არჩევნებისას უკავია?

— **საკმაოდ დიდი თანხა დაგჭირდებათ საარჩევნო კამპანიისთვის, საიდან იშოვით ამდენ ფულს?**

— დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი საარჩევნო კამპანიის დამფინანსებლები გამოჩნდებიან და არა მარტო საჩხერეში. მაქვს საკმაო ავტორიტეტი, სახელი, რომ მათ, ვისაც ფული აქვს, ჩემი პარლამენტში მისვლის სურვილი გაუჩნდეთ და საამისოდ გაიღონ თანხები. ასევე, ვფიქრობ, გვერდში დამიდგება სპორტული სამყაროც, რადგან პარლამენტში საჩხერელებთან ერთად მათ ინტერესებს დავიცავ. ერთი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ — ჩემს საარჩევნო კამპანიას, სხვებისგან განსხვავებით, მცირე თანხა მოხმარდება და, რაც მთავარია, ეს იქნება თეთრი, სუფთა ფული. 30 წლის ვხდები და დღემდე ყველაზე წინ საკუთარ ღირსებას, კაცურ სახელს ვაყენებ, რასაც არც ამ არჩევნებში შევილახავ და არც სხვას მივცემ ამის უფლებას.

— **საჩხერის რაიონში არჩევნებისას ვინ იქნებიან თქვენი კონკურენტები?**

— ჯერ ოფიციალურად ხომ არც ერთი კანდიდატი არ არის რეგისტრირებული, ისიც გასარკვევია, როგორ და რა წესით ჩატარდება არჩევნები. ამიტომ, ჯერ მიჭირს ჩემს მომავალ კონკურენტებზე ლაპარაკი. ისე, რამდენიმე ღირსეული ადამიანი აპირებს ჩემს რაიონში კენჭისყრას. ვნახოთ.

— **ამ ეტაპზე გამარჯვების რა შანსები გაქვთ?**

— მართალია, ღირსეული მეტოქეები მეყოლება, მაგრამ სპორტმა მასწავლა, რომ დაუმარცხებელი მეტოქე არ არსებობს. ვფიქრობ, ასეა ცხოვრებაში და პოლიტიკაშიც. ასევე სპორტმა მასწავლა, რომ გამარჯვებისთვის მხოლოდ პატიოსანი გზით, თამაშის წესების დაცვით უნდა იბრძოლო. მხოლოდ ასეთ გამარჯვებას აქვს გემო და ფასი. ამ არჩევნებშიც ამგვარ ბრძოლას ვაპირებ.

— **სპორტიდან ათენის ოლიმპიადის შემდეგ წასვლის სურვილიც პოლიტიკას ხომ არ უკავშირდება?**

— არა, პოლიტიკა არაფერ შუაშია. ერთი, რომ არც ისე პატარა ვარ და მეორეც, ქრონიკულმა ტრავმებმა და ხანგრძლივმა მკურნალობებმა დამღალა. დეპუტატობაც რომ არ გადამეწყვიტა, მაინც მივდიოდი ოლიმპიადის მერე სპორტიდან.

P.S. კაცმა არ იცის, რა ხეირს დააყრის ჩვენს ცხოვრებას მოქმედ სპორტსმენთა მოძალება პარლამენტში. ღმერთმა ქნას, მათმა პოლიტიკაში მოსვლამ სასიკეთოდ ბევრი რამ შეცვალოს. სადღეისოდ კი თავი მხოლოდ იმით შეგვიძლია დავიმშვიდოთ, რომ ის სპორტსმენები, ვინც პარლამენტარობას აპირებენ, სინდისშეურყვნელი ხალხია, არც მოსახლეობისა და ქვეყნის ბიუჯეტში უფათურებიათ ხელი და დეპუტატობის მრავალი მოსურნისგან განსხვავებით, არც კრიმინალური წარსული „უმშვენებთ" ზურგს. პირიქით, დღემდე ამ ბიჭებს ალალად უკეთებიათ ქართული საქმე, და იმ იშვიათ გამონაკლისს ეკუთვნიან, თავიანთი შრომითა და ოფლით რომ გაუთქვეს საქვეყნოდ სამშობლოს სახელი.

***გვერდი მოამზადა ჯაბა ლეონიძემ***

## №31 (357) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

ჯეკ-პოტის — 300 ლარის მოგების მსურველთა რიცხვმა 966-ს მიაღწია. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 353-მა ქალმა და 610-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას — **„ვინ არის ყველაზე კონსტრუქციული, მოწესრიგებული და მშვიდი პოლიტიკოსი?“**

ალსანიშნავია, რომ აქ ჩამოთვლილ პოლიტიკოსთაგან თითქმის ყველას თანაბრად ახასიათებს კონსტრუქციულობა, არც ერთი მათგანი არ გამოირჩევა რადიკალიზმითა და ზედმეტი ემოციურობით, თუმცა, რესპონდენტებმა მაინც შეძლეს მათ შორის არჩევანის გაკეთება.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველი ყველაზე კონსტრუქციულ და მოწესრიგებულ პოლიტიკოსად ნინო ბურჯანაძეს მიიჩნევს. რესპონდენტთა 38-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. მინიმალური — 1 ქულა 1-მა მიაკუთვნა. **6,48** საშუალო ქულით საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე პირველ ადგილზეა, რაც უდავოდ ქალბატონი ნინოს ინტელექტისა და ლოგიკური, გაწონასწორებული განცხადებების დამსახურებაა. თანაც, საზოგადოებას უფრო ხშირად ეძლევა მისი განცხადებების მოსმენის საშუალება.

შემდეგ ადგილზე პრეზიდენტია, საშუალო ქულაა 5,82. მკითხველთა 31 თვლის, რომ ედუარდ შევარდნაძე ყველაზე მოწესრიგებული, კონსტრუქციული და მშვიდი პოლიტიკოსია.

რესპონდენტთა 17-ის აზრით კი, ამ განსაზღვრებებს ყველაზე მეტად იმსახურებს ასლან აბაშიძე — 5,64 საშუალო ქულით აბაშიძე მესამე ადგილზეა.

როგორც ვხედავთ, სულ მცირე სხვაობით ჩამოიტოვეს უკან აკაკი ასათიანმა ჯუმბერ პატიაშვილი, ხოლო გოგი თოფაძემ — ზურაბ ჟვანია. ალსანიშნავია, რომ თოფაძე რესპონდენტთა 1,7-მა შეაფასა მაქსიმალური ქულით, ხოლო ჟვანია — 2,2-მა, სამაგიეროდ, ჟვანია მინიმალურ ქულათა სიუხვით გამოირჩევა, მკითხველთა 15-მა მიაკუთვნა მას 1 ქულა.

# კონსტრუქციული პოლიტიკოსი




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 44 წლის **ნათელა ნარიმანიძე** და 30 წლის **მაია რიჟამაძე**.

საპრიზო ფონდი — 300 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 13 აგვისტოს, 17 საათზე.

## №32 (358) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში**

**№32 (358) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 13 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 14 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №32 (358) — სკანდალები

**თქვენი აზრით, რომელია ბოლო პერიოდის ყველაზე სკანდალური მოვლენა საქართველოში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№32(358) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | მოვლენა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | საკადრო წმენდა აჭარაში | |
| 2 | ნაციონალისტების შიმშილობა იუსტიციის სამინისტროში | |
| 3 | სკანდალი ფილარმონიაში — სამეთვალყურეო საბჭო ალ. ბასიალაიას წინააღმდეგ | |
| 4 | „ეი-ი-ეს თელასის“ გაყიდვა | |
| 5 | ლეიბორისტებისა და ნაციონალისტების დაპირისპირება საკრებულოში | |
| 6 | ინტელიგენციის ღია წერილი აშშ-ის ელჩს | |
| 7 | ინციდენტი ლეიბორისტების ოფისთან | |
| 8 | საარჩევნო კანონის მიღება პარლამენტში | |

### მკითხველის რეიტინგი

**თქვენი აზრით, რომელ მინისტრს აქვს ყველაზე დადებითი იმიჯი საზოგადოებაში?**

✓ ______________________

### მკითხველის პრემია

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

ასაკი ______ ტელეფონი ______

ყურადღება! საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათსავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

### ქართული ხალხური ზღაპრების ყველაზე საყვარელი გმირები

| | | |
|---|---|---|
| 1. | ნაცარქექია | 46,7% |
| 2. | კომბლე | 20,7% |
| 3. | წიქარა | 6,6% |
| 4. | ცისკარა | 5,5% |
| 5. | ამირანი | 3,7% |
| 6. | ხუთკუნჭულა | 2,4% |
| 7. | სიზმარა | 1,9% |
| 8-10. | ჭინჭრაქა | 1,3% |
| 8-10. | ასფურცელა | 1,3% |
| 8-10. | დევი | 1,3% |



საყვარელი გმირის დასახელება მხოლოდ 0,6%-ს გაუჭირდა. როგორც ვხედავთ, ყველა მათგანი სიკეთისათვის, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი სახასიათო სახეა (თუ არ ჩავთვლით დევს, რომელიც გულუბრყვილობისა და მოუხერხებლობის სიმბოლოა).

მოხერხებული, ჭკუითა და გამჭრიახობით გამორჩეული ნაცარქექია კი, მკითხველთა უმრავლესობის საყვარელი გმირია.

***მკითხველის რეიტინგს 777 რესპონდენტი გამოეხმაურა***

## ფოტოანტიკვარი ©



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

ასეთი „ლოყუჩა“ აღარ ვარ, ისე კი, მიცნოთ უნდა... გამარჯობათ...

## • ფოტოპალიტრა •



დავით მირცხულავა, ანზორ ბალუაშვილი

**ა.ბ.** — შუქი თუ არ იქნება, აღარც დენით წამება იქნება. ამით კიდევ ერთი ნაბიჯით მაინც წავიწევთ წინ, დემოკრატიისაკენ. შენ კი, ჩემო დავით, საქართველოს დემოკრატიის მამის გვირგვინი არ აგცდება.

***ნუგზარ ტუაევი, თბილისი***

ორი ბალუ.

***ცირა ხუბულავა, ზუგდიდი***

*რომ იცოდეთ, რაც მოგელით,*
*დაიგლეჯდით თავზე ქოჩორს,*
*„მარჩენალი“ ისე გხმარობთ,*
*როგორც მიხო თავის ჩოჩორს.*

***იოსებ სურამელი, თბილისი***

**ა.ბ.** — დიდი სურვილი მაქვს, ღრმად ჩავიხედო ენერგეტიკაში.

**დ.მ.** — არ გირჩევთ ბატონო ანზორ, იქ ისეთი სიბნელეა, უკან ამოსვლა შეიძლება გაგიჭირდეთ.

***რევაზ რაზმაძე, თბილისი***

**ა.ბ.** — პუსკუნ! ერთხელ არ დაგიჭირე, ორჯერ არ დაგიჭირე, ახლა აღარ გიშველის ეგ პუტ-პუტი... „სუში სუხარი“.

***„დელფინი“, თბილისი***

**დ.მ.** — *ჩემო ანზორ! მომეშველე, აღმომიჩნდა ბევრი მტერი.*

**ა.ბ.** — *ჩამოყაჭე, რაც იშოვე, მოგვარდება ყველაფერი.*

***ანზორ თავართქილაძე, სამტრედია***

**ა.ბ.** — *„ეი-ი-ესი“ ჩემო დავით, დიდი ლუკმა გახლავს, ან დაგახრჩობს, ან ციხეში ვერ ასცდები ჩასმას.*

**დ.მ.** — *ძია ანზორ, დიდი ფულით ვაშინგტონის ნაცვლად მე და ბაბუ საჩუქრებით მოსკოვს ვგეგმავთ ჩასვლას.*

***ემზარ გოგოლაძე, რუსთავი***

ფოტოგანწყობა



— რა იყო, გეწყინათ თუ? მე სულაც არა...



# ზოგი გახდომაზე ოცნებობს, ზოგი კი...

ძალიან მძიმე ცხოვრება აქვს დღესდღეობით რენე ზელვეგერს: მან სასწრაფოდ უნდა მოიმატოს წონაში ფილმისთვის „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“. თანაც, სულ ცოტა 15 კგ-ით მაინც. ამიტომაც, კოხტა რენე მთელი დღეები უნდება პიცის, ჰამბურგერებისა და შემწვარი კარტოფილის თქვლეფას. რობი უილიამსს კი, ყველაფერი პირიქით აქვს: ის ეტკინსის მკაცრ დიეტაზეა. როგორც თავად რობიმ განაცხადა, ბოლო თვეებში მან ზედმეტი წონა აკრიფა იმიტომ, რომ ანტიდეპრესანტებს იღებდა. მომღერალმა სასწრაფოდ უნდა დაიკლოს წონა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ვერ ჩაატარებს კონცერტებს — ძლივს მოძრაობს სცენაზე...



12/VIII ● სავსე მთვარე

მაგნიტური დღეა

14/VIII 21-დან 23 საათამდე

* * *

მოხუცი შედის აფთიაქში:

— გოგონა, აცეტილსალიცილის მჟავა თუ გაქვთ, სიცხის დამწევი, ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატია, ნატრიუმ კარბონატსაც შეიცავს...

— ასპირინი გნებავთ, ხომ?

— ხო, ხო, ჯანდაბას, დამტანჯა ამ სკლეროზმა, ვერა და ვერ დავიმახსოვრე მაგის სახელი!..




## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





**თარაზულად:** 1. ყველაზე პოპულარული თანამედროვე საოპერო მომღერალი ქალი; 4. ზოლას რომანი; 6. გერმანელი გლეხების ცეკვა, რომლის ვენურმა ნაირსახეობამ მამა-შვილ შტრაუსების წყალობით მსოფლიო დაიპყრო; 7. ინგლისის სამეფო დინასტია, რომლის გერბზეც გამოსახული იყო თეთრი ვარდი; 8. სან-მარინოს ტრასა ფორმულა-1-ის მანქანებისათვის; 9. კაბოვერდეს ყველაზე დიდი ღირსშესანიშნაობა, ნაღვლიანი სიმღერების მომღერალი ხანდაზმული მანდილოსანი; 10. მუსიკალური ინტერვალი მოცემულ ბგერასა და მისგან მერვე ბგერას შორის; 13. ნუგბარი, რომლის რეკლამაც სამოთხის დარ სიამოვნებას გპირდებათ; 16. დედამიწის ყველაზე დიდი ძუძუმწოვარი; 18. მეფის მხლებელი ამალა; 19. საფრანგეთის ისტორიული ოლქი და თანამედროვე ეკონომიკური რაიონი; 20. გერმანული ავტომობილი; 22. ე. გაბაშვილის მოთხრობა „... გადაიჩეხა“; 23. სტალინის ყოველდღიური სამოსი; 25. 630 წელს დაარსებული ქალაქი ერაყში; 27. ქალაქი რუსეთში, რომლის „მოგვარე“ პორუჩიკზე უამრავი ანეკდოტი „დადის“; 28. განცხადება სპექტაკლის შესახებ; 29. ფალიაშვილის ოპერა; 30. აფრა; 31. შტატი აშშ-ში.

**შვეულად:** 1. პერსონაჟი ჰიუგოს რომანიდან „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“; 2. ორფევსის მეუღლე; 3. ექიმის ერთ-ერთი სპეციალობა; 4. დელიკატესი, რომლითაც ოდითგანვე განთქმული იყო რუსეთი; 5. სტამბოლი თურქეთისთვის; 11. მდინარე ტისას მთის ფერდობზე რომაელებმა დარგეს ვაზი, რომლისგანაც დაყენებულ სასმელს დღემდე უწოდებენ „ღვინოთა მეფეს და მეფეთა ღვინოს“; 12. ყველაზე „პროდუქტიული“ იტალიელი საოპერო კომპოზიტორი; 14. მომავალი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი; 15. ფრანგი მსახიობი; 16. სუსტი ქარი; 17. მდინარე ციმბირში; 21. საგანგებო მიზნით გაგზავნილი ადამიანთა ჯგუფი; 22. ზოდიაქოს ნიშანი; 24. ეგნატე ნინოშვილის ნამდვილი გვარი; 25. უბრწყინვალესი ქირურგი, რომელმაც ფრთა შეასხა ადამიანის ოცნებას გულის გადანერგვის შესახებ; 26. იგივეა, რაც მულტიპლიკაცია.

შეადგინა რამაზ ალანიამ





# საფრანგეთი ეთხოვება მარი ტრენტინიანს

ცნობილი ფრანგი მსახიობის ჟან-ლუი ტრენტინიანის ქალიშვილი, მსახიობი მარი ტრენტინიანი მეგობართან, მუსიკოს ბერტრან კანტთან ერთად იმყოფებოდა ვილნიუსში, სადაც მარის იღებდნენ სატელევიზიო ფილმში. მთვრალ მუსიკოსს კამათი მოუვიდა საყვარელთან და ხელი ისე მძლავრად ჰკრა, რომ ქალი დაეცა და კომაში ჩავარდა. პარიზიდან ჩამოფრენილმა ქირურგმა მარის თავის ქალის ოპერაცია გაუკეთა. მსახიობი სამშობლოში გადააფრინეს. დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ გადაარჩინეს — 27 ივლისს, განთიადისას, მარი ტრენტინიანი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

როგორც ამბობენ, მარის და ბერტრანს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. მუსიკოსმა მისი გულისთვის ცოლ-შვილიც კი მიატოვა.

მარის ოთხი ვაჟი დარჩა.

ლიტვის მთავრობა აპირებს, თავად გაასამართლოს ბერტრან კანტი. მას 14 წლით პატიმრობა ელის.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 32 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№32 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 14 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი ©1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.